ახალი გოჯოლადი

ივლისი 2010 №62
ფასი 5 ლარი

ისტორიები
ლევან გიგინეიშვილი
თამარ ბაბუაძე
შალვა ფანცულაია
დავით ჩიხლაძე
ამხანაგი როტენბერგი
ანა კორძაია-სამადაშვილი

კომენტარები
ლაოკოონი
სანდრო ნავერიანი
აკვაპარკი
გიგი გულედანი

წერილები
კანი 2010
გიორგი გვახარია

სპეცპროექტი
ბოლო ზარი 2010
ლიკა ზაკაშვილი

თარგმანი
ისლამიზმი-ზმი
პანკაჯ მიშრა

ინტერვიუ
ჯასთინ დი ჩიოჩიო
კახა თოლორდავა

საავტორო
ანადენკო
ლევან ბერძენიშვილი

ლიტერატურა
ირმა ტაველიძე
ზბიგნევ ჰერბერტი
რუსუდან კაიშაური
ნიკოლო ამანიტი
ლუიზა ბრანკაჩო

ISSN 1512-2220

ჯეოსელი
ნაიღე ინტერნეტი
ნებისმიერ ადგილას!
მოემზადე ზაფხულისთვის
და შეიძინე
ჯეოსელ - ჯონექტი
99 ლარად.

სასწავლო ცენტრი

"British Connection"

გთავაზობთ მოსამზადებელ კურსებს
სხვადასხვა სასერტიფიკატო გამოცდებისთვის:

FCE (B1-B2)
CAE
TOEFL
IELTS

მაგისტრატურის ინგლისური ენის გამოცდისთვის
მოსამზადებელი ჯგუფები
ფუნქციონირებას იწყებენ 1-7 ივნისიდან
კურსის ხანგრძლივობა - 12 კვირა

☺ სასარგებლო რჩევა - ეწვიეთ საიტს

www.britishconnection.ge

მისამართი: ბუდაპეშტის ქ. 1
ტელეფონი: 308 135 / 855 301 390

ინგლისურენოვანი ბანაკი კვარიათში

Camp etc.

ინგლისური ენის გაკვეთილები / თამაშობები / ექსკურსიები / ღონისძიებები

ინგლისელი და ამერიკელი მასწავლებლები და ხელმძღვანელები

მაღალი ხარისხის საცხოვრებელი პირობები

სამჯერადი კვება

ბრწყინვალე ადგილმდებარეობა

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
ტელეფონი: 8 907 907 07 / 8 908 908 08
www.etcetera.ge

გარეკანზე: ლევან გიგინეიშვილი
ფოტო: დავით მესხი

ცხელი შოკოლადი

N62, ივლისი 2010

	8	რედაქტორის წერილი
	10	ჩვენი ავტორები
მიმოხილვები	12	ფსიქოდრამის წრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ***დავით ჩიხლაძე***
	14	გამოფენები ***დავით ჩიხლაძე***
	15	ერთი ისტორია სომხეთის თანამედროვე ხელოვნების შესახებ ***დავით ჩიხლაძე***
აქცენტები	16	იდუმალებით მოცული შენობა ***ხათუნა ქარდავა***
	18	120 წლის მარინოს ანუ „დარდის შემგროვებლის“ ნაამბობი ***სვანურიდან თარგმნა ლელა გაფრინდაშვილმა***
კომენტარები	19	ლაოკოონი ***სანდრო ნავერიანი***
	20	აკვაპარკი ***გიგი გულედანი***
წერილები	22	„მარტინესიდან“ ფესტივალების სასახლემდე ***გიორგი გვახარია***
	28	ბურჟუაზიის პროლეტარული ხიბლი ***დავით ბუხრიკიძე***
ისტორიები	32	*ლევან გიგინეიშვილი* მთავარია ცნობისმოყვარეობა ***თამარ ბაბუაძე***
	36	შალვა ფანცულაია და ეფემერა პროდუქციის წინააღმდეგ ***დავით ჩიხლაძე***
	42	ამხანაგი როტენბერგი ***მიხაილ ზოშჩენკო*** ***რუსულიდან თარგმნა ანა კორძაია-სამადაშვილმა***
ინტერვიუ	50	საუბარი ჯასთინ დი ჩიოჩიოსთან ***კახა თოლორდავა***
სპეცპროექტი	55	ბოლო ზარი 2010 ***ლიკა ზაკაშვილი***
თარგმანი	62	ისლამიზმი-ზმი ***პანკაჯ მიშრა*** ***ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ***
ესეები	66	ძაღლის გაზაფხული ***პაატა ქურდაძე***
	70	რუსოფობია, როგორც კულტურული მექანიზმი ***ზაალ ანდრონიკაშვილი***
	74	არათბილისური თარო ***აკა მორჩილაძე***
დისკუსია	78	არჩევნების შემდეგ ***ნინო ბექიშვილი***
საავტორო	84	ანადენკო ***ლევან ბერძენიშვილი***
	91	„პიდარასტები“ და დაძმობილებულები ***გიორგი მაისურაძე***

მთავარი რედაქტორი: ნინო ლომაძე
არტ-რედაქტორი: გიორგი ნადირაძე
რედაქტორ-სტილისტი: ნინო სვანიძე
კორექტორი: ნინო საითიძე
ნომერზე მუშაობდნენ: დავით ბუხრიკიძე, დავით ჩიხლაძე, ლევან ბერძენიშვილი, გიგი გულედანი, გიორგი მაისურაძე, კახა თოლორდავა, ნინო ბექიშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, სანდრო ნავერიანი, აკა მორჩილაძე, ირმა ტაველიძე, ლიკა ზაკაშვილი, პაატა ქურდაძე, ზაალ ანდრონიკაშვილი, ხათუნა ქარდავა, თამარ ბაბუაძე, გიორგი გვახარია
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი, გურამ წიბახაშვილი, დავით მესხი, ირინა ხუციშვილი, ლევან ხერხეულიძე
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი, მაია სუმბაძე
დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა: ლელა შუბითიძე
სარეკლამო გაყიდვები: შალვა ჩუბინიძე
დისტრიბუცია: ზვიად შენგელია
გამომცემელი: შორენა შავერდაშვილი

გამომცემლობა:
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net
სხვა გამოცემები: *ლიბერალი, ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი, თიბისი და თიბისელები.*
სტამბა: „ფავორიტი“, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50, ტელ.: 951952

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ექსპრეს კლინიკა

ბაიმაჩტივე ჯანმრთელობაზე ზრუნვა

ჩვენ გიმარტივებთ ექიმთან ვიზიტის პროცესს

- ✓ თქვენს სახლთან ახლოს
- ✓ სწრაფი მომსახურება
- ✓ ხელმისაწვდომი ფასი
- ✓ მოსახერხებელი სამუშაო საათები
- ✓ წინასწარ ჩაწერის შესაძლებლობა

ადვილად ხელმისაწვდომი, სწრაფი სამედიცინო მომსახურება

ეკატერინე გურგენიძე
ექიმის ასისტენტი

თბილისი: გამსახურდიას ქ. 23/25, ჭავჭავაძის გამზ. 24, ჭავჭავაძის გამზ. 50, ყოსტავას ქ. 23, გორგასლის ქ. 39;
ტელეფონი: 0-007; 20 12 12

ბორჯომიდან ახალქალაქისკენ რომ ვაგრძელებ გზას და მარცხნივ ხან მწვანე, ხან კი ოქროსფერ ფერდებს ვხედავ, უკვე მიხარია. რამდენიმე წლის წინ აქაურობა სულ სხვანაირი იყო.

ეს გზა 11 ივნისსაც გავიარე. „ცხელი შოკოლადი“ ახალციხელ სტუდენტებს ხვდებოდა. შეხვედრა უნივერსიტეტში გაიმართა, სადაც ცელოფანაფარებული ფანჯრებიანი და ბნელი შენობის ნაცვლად ახლადგარემონტებული და ახალი ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები დაგვხვდა. სამიოდე წელიწადში აქ მართლა ბევრი რამე შეიცვალა.

„განსაბჭოება“ – ასე ჰქვია ახალ პროექტს, რომელიც ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით წამოვიწყეთ. წლის ბოლომდე, სტუმრებთან ერთად, საქართველოს კიდევ შვიდ ქალაქში ჩავალთ. ამ ღონისძიებებს, ფორმალურად „სემინარები“ დავარქვით და მთავარ სასაუბრო თემად საბჭოთა მემკვიდრეობა ავირჩიეთ.

ახალციხეში კიდევ ერთხელ გამახსენდა გერმანიიდან დაბრუნებული სოფო ბუკიას ნაამბობი ჰამბურგის მუნიციპალიტეტის ერთი პროექტის შესახებ. ჰამბურგის ქუჩებში, თითქმის ყველა სახლის წინ ტროტუარზე, პატარა ოქროსფერი ფილებია დაგებული. ფილებზე სახელები, გვარები, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები და საკონცენტრაციო ბანაკების სახელებია ამოტვიფრული. ისინი ჰოლოკოსტის მსხვერპლი ჰამბურგელი ებრაელები არიან. თითო ფილის დაგება 5 ევრო ჯდება და ამ თანხას ჰამბურგელი მოქალაქეები საკუთარი ჯიბიდან იხდიან. პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ქუჩების დათვალიერებისას ტურისტებთან ისტორიის მოყოლას ასე იწყებს: „ჩემი მშობლები ნაცისტები იყვნენ“.

როგორც გერმანელმა გიდმა თქვა, ახალი გერმანია წარსულის შეფასებით იწყება. საქართველოში საბჭოთა წარსულის გააზრებაზე საუბარი ჯერ მხოლოდ საზოგადოების ძალიან ვიწრო წრეებში დაიწყო. „ცხელი შოკოლადი“ ამ პროცესში ჩართვას ცდილობს. გვინდა, სანამ ლუსტრაციის კანონის მიღების შესახებ სატელევიზიო სიუჟეტით გავიგებთ, ვიცოდეთ, რომ ბევრი ჩვენგანისთვის ახალი საქართველო შესაძლოა ამ ფრაზით დაიწყოს: „ჩემი წინაპარი ჯალათი იყო“.

ნინო ლომაძე
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge

smart club
მიიღე უფრო მეტი!
თიბისი ბანკი
TBC BANK
27 27 27
www.tbcbank.ge
* 27 27
www.smartclub.ge

დავით ბუხრიკიძე

ჭკუაზე მყოფები სიცხეში საკაცობრიო პრობლემებზე ცხადია, არ ფიქრობენ. არც ნაკლებად საკაცობრიოზე. თუმცა როცა ნებადართული, ერთთვიანი საფეხბურთო სიგიჟე ჩვენთან ასე „სახალისოა“, ასე ახლოა და ფინანსურადაც სახიფათო, არ შეიძლება მრავალტანჯულ საზოგადოებრივ არხზე უნებლიეთ მაინც არ იფიქრო.

მაგალითად, სანდრო ცნობილაძის ყოველდღიურ, საჭირო და არა საჭირო ჟამს დრამატულ შეკივლებაზე, ან მის კლასიკურად მჟღერ ფრაზებზე: „მოედნიდან გაყვანილ იქნა“, „ძირითად დროს დამატებულ იქნა...“

შეიძლება ისიც გაიხსენო, რომ ეთერიდან ლამის ყველა სხვა გადაცემა მოხსნეს მსოფლიო ჩემპიონატის რეჟიმის გამო. საზოგადოებრივმა არხმა ლამის ტოტალიზატორებში მოთამაშე ქალების რეკლამირებაც დაიწყო, რომლებსაც თურმე, ფულის მოგების განსაცვიფრებელი ინტუიცია აქვთ (ესღა აკლდათ ისედაც დაქცეულ ოჯახებს). ზრდილი და ვითომ მორცხვი ბუკმეკერები სწორედ ამ არხიდან მოგვიწოდებენ, ჩვენთან მოდით, ითამაშეთ, გენდერული ბალანსი დაცულიაო... და მერე დამაჯერებთ, რომ ეს ტოტალიზატორის რეკლამა არ არის?! საზოგადოებრივი მაუწყებელი ქუჩაში, ბარებსა და კაფეებში თავშეყრილ ესპანეთის, ალჟირის, გერმანიის, ბრაზილიის, ინგლისის, და ათასი სხვა ქვეყნის დროშის ფერებად სახეშეღებილ ფანებს ყოველდღიურად გვიჩვენებს და ამით იმასაც ამტკიცებს, რომ სინამდვილეში ამ ადამიანებს ფეხბურთი არ აინტერესებთ და არც არაფერი გაეგებათ; ან რატომ უნდა აღელვებდეს ქართველ გულშემატკივარს სხვისი გამარჯვება ან დამარცხება? მაგალითად, გააღწევს თუ არა მერვედფინალში იტალიის უსახური და საშინელი ნაკრები, არაფრით მესმის.

ამდენი პლაზმური ტელევიზორი თუ იყო საქართველოში, არც ეს მეგონა. ლუდის ბარებს და რესტორნებს მსოფლიო ჩემპიონატის დროს დამატებითი სტიმული და სამუშაო აქვთ და ცხელი საღამოც მათთვის ძალიან ხელსაყრელია ლუდისა და ფეხბურთის „სინთეზისათვის“.

სინამდვილეში კი სულ სხვა, უფრო დრამატული საკითხი მაინტერესებს: საქართველოში რატომ არასოდეს ლაპარაკობენ ისე დამაჯერებლად და დიდხანს საკუთარი წარუმატებლობის მიზეზებზე და ყოველთვის სხვისი გამარჯვების მონაწილე რატომ გვინდა ვიყოთ? და თუ ასე გვსურს ზეიმი, რატომ ვერ ვქმნით ამ გამარჯვებას?

თამარ ბაბუაძე

ჩემი სკოლის დირექტორი მრისხანე ქალი იყო, ერთხელ მახსოვს, ჩემს კლასელს ძალიან ლამაზი მწვანე სვიტერი ეცვა, ზედ ყვითელი ტაქსი ეხატა, მე მომწონდა, დირექტორს კი არ მოეწონა და იმდენად არ მოეწონა, რომ მიიმწყვდია ეს გოგო კუთხეში და ისე დაქაჩა თმები, კინაღამ სკალპი ააძრო.

ჩემი დაწყებითი კლასის დამრიგებელი ერთ-ერთ ჩემს თანაკლასელს, რომელიც დამჯერე, ჭკვიანი და ხუთოსანი უნდა ყოფილიყო, კლასის ორგანიზატორად ნიშნავდა და მას ერთ-ერთ მისიად ავალებდა, დანარჩენი კლასელებისთვის ფრჩხილები შეემოწმებინა, დაჭრილი გვქონდა თუ არა, ჭუჭყი ხომ არ ჩაგვიგროვდა. ჩემი ინფორმატიკის მასწავლებელი გულმოდგინედ გვიხსნიდა, რას ნიშნავს კომპიუტერის კლავიატურაზე ღილაკი delete, რა დანიშნულება აქვს enter-ს. ჩვენ დაფასთან უნდა გავსულიყავით და ტექსტთან ახლოს თხრობით (თუმცა, თვითონ მასწავლებელს ზეპირად ერჩივნა) გველაპარაკა კომპიუტერის გამოყენებაზე. ჩემი ბიოლოგიის მასწავლებელი სპეციალურად ახტებოდა ქვეთავს „განაყოფიერება“, ეს სახელმძღვანელოში აკრძალული პარაგრაფი იყო. ჩემი ქართულის მასწავლებელმა ერთხელ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩამაგდო, როცა საჯაროდ, მთელი კლასის წინაშე შემარცხვინა (მაშინ ასე ვფიქრობდი) და ბრაზიანად მიმტკიცებდა, ეგ თემა შენი დაწერილი არ არის, თქვი, ვის დააწერინეო... საჯარო სკოლას ჩემს დროს ჯერ კიდევ საშუალო ერქვა. სწავლა საბჭოთა სკოლაში დავიწყე და როცა დავამთავრე, უკვე დამოუკიდებელი საქართველო იყო, განათლების გარდამავალი სისტემით, საბჭოეთში გამოცდილებადაგროვებული პედაგოგებით და საბჭოური სახელმძღვანელოებით, ამიტომ განსაკუთრებით მეძვირფასება მასწავლებლები, რომელთა გაკვეთილები ოდნავ განსხვავებული იყო, რომლებიც გვაქეზებდნენ, გვემსჯელა და ხმამაღლა გვეაზროვნა. ლევან გიგინეიშვილი ის მასწავლებელია, რომლის მოსწავლეც დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი ახლაც. თუ მასთან საუბარს წაიკითხავენ ისეთები, რომელთაც ჩემნაირი სასკოლო შთაბეჭდილებები შემორჩათ, შეიძლება ამ ოცნებაში თვითონაც ამყვნენ. ხოლო ისინი, ვინც საბჭოთა კავშირის შემდეგ დაიბადნენ, კიდევ უფრო კარგად მიხვდებიან, რომ ქართული საჯარო სკოლა მანამ ვერ იქცევა სრულყოფილ საგანმანათლებლო სივრცედ, ვიდრე მიდგომა სკოლის მიმართ ზუსტად ისე არ შეიცვლება, როგორც ლევანი ამბობს.

ერთი კითხვაა მთავარი: როგორ მოქალაქეს ვიღებთ არსებული განათლების სისტემისგან და სინამდვილეში როგორი მოქალაქე სჭირდება თანამედროვე სამყაროს? მეტს აღარ მოგიყვებით, თუ უკვე დაგაინტერესეთ, ეს უკვე კარგია, რადგან, როგორც ლევანი ამბობს, სწავლის (კითხვის) პროცესში ცნობისმოყვარეობაა მთავარი.

ჯიპისი GPC

– 20% +
ფასდაკლება

მიიღე 20%–იანი ფასდაკლება ჯი პი სი–ს აფთიაქებში და შეავსე ვაშლებით შენი ზღარბი ბარათი!

აქცია მიმდინარეობს მხოლოდ თბილისის
და ქუთაისის აფთიაქებში

ჯი პი სი – თქვენზე ზრუნავენ!

ფსიქოდრამის წრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ახალგაზრდა ფსიქოლოგმა გიორგი დონაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში ფსიქოდრამის წრე ჩამოაყალიბა. დიდი ხანია, გვსმენია, რომ დასავლეთში არსებობს იმის პრაქტიკა, როდესაც თეატრის ფორმას კონკრეტულად თერაპიული მიზნებისთვის იყენებენ, მაგრამ ჩვენს ფსიქოლოგებს ასეთი შემოქმედებითი შესაძლებლობისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ; მით უმეტეს, რომ ქართველები თეატრალური ხალხი ვართ. მაგრამ ეტყობა ეს სხვა თეატრია, არა ნიღბების მორგების, არამედ მათი მოხსნის და დაძაბულობებისგან განმუხტვის.

ალბერ კამიუს „უცხოს“ მერე ადამიანთა შორის ურთიერთობები მართლაც ძალზე აქტუალურია. საქმე მარტო გაუცხოებაშიც არ არის, როგორც აღმოჩნდა. თურმე, ქალსა და კაცს უამრავი როლი აქვთ ნებით თუ უნებლიეთ აღებული, რითაც ერთმანეთს პერმანენტულად ასამართლებენ, სჯიან და საყვედურობენ. ალბათ მეგობრებთანაც შეიძლება იყოს მსგავსი სიტუაციები, რადგანაც, ყოველგვარი ურთიერთობა, მართლაც, როლებისა და თამაშისაგან შედგება.

ჯგუფის სამუშაო ბაზისს ამერიკელი ფსიქოანალიტიკოსის ერიკ ბერნის ტრანსაქციული (ურთიერთობათა) ანალიზის თეორია წარმოადგენს. „თამაშები, რომელთაც ვთამაშობთ“ – ასე ეწოდება ამ პროგრამას, რომელიც დაახლოებით ერთ თვეზეა გათვლილი, ერთი რომელიმე ჯგუფისთვის, მერე კი ახალი ჯგუფი იწყებს მუშაობას. მორენოს თერაპევტიული თეატრის მოდელი და დრამატული ქმედება აქ ფროიდის ინტელექტუალურ ანალიზს ცვლის. ყველაფერი კი სპონტანურობის და აუთენტურობის დასაბრუნებლად კეთდება.

როლების გათამაშებისას ამოცანა ის არის, ადამიანები მიხვდნენ და აღმოაჩინონ, მიჰყავს თუ არა მათ მიერ ამორჩეულ საურთიერთობო როლებს ისინი სასურველ მიზნებამდე; ან თუნდაც იქამდე, რასაც ყველა მოელის გარემოსგან და რასაც სითბოს, ყურადღებას, დაფასებას და ადამიანურ გაგებას ვეძახით.

შესავალი ლექცია ეგზისტენციალისტმა ფსიქოთერაპევტმა და კონსულტანტმა გიორგი კალანდარიშვილმა წაიკითხა. ამჯერად გიორგი დონაძე ფსიქოდრამის უკვე მეორე ჯგუფთან მუშაობს.

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: ირინა ხუციშვილი

ბანკი ქართუ
CARTU BANK

აისრულე ოცნებები PLATINUM-თან ერთად

„ბანკი ქართუ“-ს VISA Platinum-ის ექსკლუზიური პაკეტი სპეციალურად წარმატებული ადამიანებისთვის შეირჩა. ის ხაზს უსვამს ბარათის მფლობელის მაღალ სტატუსს და მორგებულია მფლობელის ცხოვრების სტილზე. „ბანკი ქართუ“-მ გაითვალისწინა ყველაფერი, რაც უცხოეთში მგზავრობისას დაგჭირდებათ:

- Priority Pass
- Global Sim ბარათი საჩუქრად და მობილურის ნაშთის ავტომატური განახლება
- უფასო სამედიცინო და იურიდიული კონსტულტაცია
- Visa Global Customer Assistance Service-ის მეშვეობით მულტიენოვანი დახმარება 24 საათის განმავლობაში
- დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში, ბარათის ჩანაცვლებისა და ნაღდი ფულის სასწრაფო გაცემის მომსახურება

დაგვირეკეთ:
995 32 92 55 92
www.cartubank.ge

more people around
the world go with Visa.
visit visa.com/visaplatinum
VISA





გამოფენები

გასული ერთი თვის პერიოდი დატვირთული აღმოჩნდა. გამოფენები ძალიან სწრაფად იცვლებოდა. კოტე მინდაძე კონცეპტუალისტი მხატვარია, რომელიც საქართველოსა და ჰოლანდიაში მოღვაწეობს. მან „გალერეა 9“-ში წარმოადგინა პერსონალური ექსპოზიცია, რომელიც კალეიდოსკოპურობითა და ეკლექტიკურობით გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ კონცეპტუალური ხელოვნება ყოველთვის რაღაც ფილოსოფიურ ნარატივს გულისხმობს, აქ წარმოდგენილი ნამუშევრები და მათი ერთიანობაც უფრო დიზაინსა და პირადი გემოვნების კატალოგიზირებაზე მინიშნებას გვთავაზობდა.

კოკა ცხვედიანმა ერთი წლის განმავლობაში აკრილით შესრულებული აბსტრაქციები გამოფინა „თიბისი“ ბანკის გალერეაში, მარჯანიშვილზე. მიუხედავად პალიტრის სიუხვისა და სიმკვეთრისა, ეს გამოფენა თითქოს აქრომატული და საკმაოდ მონოტონური იყო – უზარმაზარი სივრცის ორივე მხარეს გამოფენილი ერთნაირი, სამომხმარებლო, ზომიერი ფორმატის შუშის ჩარჩოებში ჩასმული სურათების უწყვეტი სერია, ხაზისა და ფორმის ერთი და იგივე ქარგა; თითქოს ერთი დიდი სურათი იყო დაყოფილი პატარა ნაწილებად. სურათების ასეთ დასაშვებ მონოტონურ მედიტაციურობას, ჩემი აზრით, არღვევდა სქელ მუყაოზე შესრულებული ემოციური ფერწერისა და შუშის ჩარჩოს სტერილურობის ურთიერთშეუთავსებლობა.

„გალა გალერეამ“ ორი პერსონალური გამოფენის გახსნა მოასწრო – ჯერ მიშა გოგრიჭიანის პერსონალური ფერწერული პროექტი იყო გამოფენილი, რომელიც მწვავარ ძაღლებს შეეხებოდა და მხატვრის ამ იდიოსინკრაზიული აკვიატებით იმედს ან ნიშანს გვაძლევდა, რომ, დასავლეთის გამოცდილების მსგავსად, ისტორიის პრიმიტიულობის გზით კომფორტულად შევძლებდით მხატვრის მხოლოდ ენობრივი ნიუანსებით ტკბობას. ეს გამოფენა პროფესიონალიზმისა და წარმოსახვის მხრივაც მართლაც კარგი აღმოჩნდა. თუმცა, მხატვრის მიერ თემის დაჟინების ინტენსივობა არ მგონია, საქართველოს რეალობაში ხშირი იყოს. გამოფენის გახსნაზე, შესაბამისად, დამთვალიერებლებისთვის უხვად იყო მონადირული შებოლილი ძეხვი და ლუდი.

15 ივნისს კი „გალა გალერეამ“ წლევანდელი პერსონალური გამოფენების ციკლი მიშა შენგელიას გამოფენით „ლედი მაკბეტის ოფისი“ დაამთავრა. მიშა შენგელიამ ექსპოზიციის ერთ საყრდენ წერტილად კონვერტების გარეკანები აიღო, სადაც გამგზავნის და მიმღების მისამართებია აღნიშნული. ეს მინიატურული ნამუშევრები მიშა შენგელიასთვის ახალი არ არის, მას ისინი საქართველოშიც აქვს გამოფენილი და საზღვარგარეთაც. მთავარი პოსტულატი ერთ-ერთი ასეთი საფოსტო ზედაპირიდანაა: „ღმერთი ლანჩის შესვენებაზეა, გთხოვთ დაელოდოთ“. აქ შეიძლება იკითხება დარღვეული კომუნიკაცია სულიერებასთან, შეიძლება ეს უიმედო იუმორია, მაგრამ თუ მართლა ასეა, მაშინ, ამ ნამუშევრების მინიატურულობიდან გამომდინარე, პრობლემა მტკივნეულად დაპატარავებულია და სარკასტულ სახეს იღებს. მაგრამ მეორე საყრდენი წერტილი, თუ მასშტაბური ფონი ის იყო, რომ მიშა შენგელიამ გამოფენა გალერეის კედლებზე განავრცო და ისინი სახატავ ზედაპირად გამოიყენა. ეს დახატული ინსტალაცია უდავოდ ლამაზი გამოვიდა, როგორც კარგად გაფორმებული საფოსტო კონვერტი და ყველაფერი ერთ მთლიან გზავნილად გადაიქცა. ეს უკვე აღარ იყო ირონიული და მყიფე იმედის ილუსტრაცია, არამედ შემდგარი, დარწმუნებული და თბილი გზავნილის ფორმა, რომელსაც ადრესატიც რეალური ჰყავდა – თბილისის დამთვალიერებელი.

ისიც კრეატიულია, რომ გალერეა თუნდაც სეზონის დახურვისას საკუთარ კედლებს მხატვარს სახატავად დაუთმობს და სარემონტო განახლების ხარჯები სხვა ჩვეულ ხარჯთა რიგში დგას.

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: ირინა ხუციშვილი

ერთი ისტორია სომხეთის თანამედროვე ხელოვნების შესახებ

27 მაისს გოეთეს ინსტიტუტში კურატორმა ევა ხაჩატრიანმა წაიკითხა მოხსენება სომხეთის თანამედროვე ხელოვნების რეპრეზენტირების შესახებ. მოხსენებას ახლდა სლაიდები და ვიდეოდოკუმენტაცია, რაც მონათხრობს მეტ სიცხადეს და ინტერესს სძენდა.

ის, რაც კურატორმა გვიამბო, ჩვენთვისაც საკმაოდ ნაცნობი აღმოჩნდა. სომხეთში ეს ისტორია 80-იანი წლების შუა პერიოდიდან იწყება და თანამედროვე ხელოვნების გაჩენისა და განვითარების გზებს შეეხება. ევა ხაჩატრიანის მონათხრობი კარგად განმარტავდა იმ განსხვავებელ ნიშნებს, რაც სომხეთის ხელოვნებას ახასიათებს. მაგალითად, მან ხაზი გაუსვა, რომ სხვა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, სომხეთში თანამედროვე ხელოვნების შემოსვლა ეროვნულ მოძრაობასთანაც გაიგივდა, როგორც საერთო, ანტისაბჭოთა ფრონტის და კრიტერიუმის სუბიექტთან. მართლაც, კადრებში ვხედავდით მხატვრების მსვლელობებს ტრანსპარანტებით, რომლებიც ქვეყანაში თანამედროვე ხელოვნების მიღებას და დამკვიდრებას ითხოვდნენ, ჩვენთან კი ამ დროს ასეთ ტრანსპარანტებს მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით იყენებდნენ. ევა ხაჩატრიანმა ისაუბრა ერევნის ერთ ჯგუფზე, რომელმაც მთავარი გენერატორის როლი შეასრულა და რომელსაც „მესამე სართული“ ერქვა. მაყურებელმა ნახა კადრები პირველი გამოფენებიდან, შემდეგ ცალკეული მონაწილეების შემოქმედებას და ბიოგრაფიასაც გაეცნო, რაც მთლიანობაში ძალზე საინტერესო წარმოდგენას გვიქმნიდა, როგორც ამ მხატვრებზე, ასევე თვითონ სომხური თანამედროვე ხელოვნების სპეციფიკაზე. ისევე, როგორც კოსმოპოლიტიზმი გულისხმობს ცალკეული ეროვნული სუბიექტების ერთიანობას, გამოჩნდა, რომ თითქოს ერთი შეხედვით იმპერსონალურ თანამედროვე ან აბსტრაქტულ ხელოვნებას საკმაოდ გამოკვეთილი ნაციონალური მახასიათებლები აქვს – ის, რაც მხოლოდ ერთ რომელიმე ქვეყანაში ვლინდება. სომხეთის შემთხვევაში ეს, ალბათ, იუმორის ელემენტია, როგორც ფილოსოფიური ნიშანი მათს კონცეპტუალურ მხატვრობაში. ბიოგრაფიული მომენტებიოდან კი ის იყო თვალშისაცემი, რომ დღეს ამ მხატვართა აბსოლუტური უმრავლესობა უცხოეთში ცხოვრობს და იქ აგრძელებს საკუთარ შემოქმედებას.

ამ შეხვედრაზე არაერთი საინტერესო პიროვნებისა და ორგანიზაციის შესახებ შევიტყვეთ, რომელმაც წვლილი შეიტანა სომხეთის თანამედროვე ხელოვნებისა და კულტურის განვითარებაში.

ევა ხაჩატრიანი ერევანში ცხოვრობს და მოღვაწეობს. იგი დამოუკიდებელი კურატორია და არტ-კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის წევრია სომხეთიდან. 2003-2008 წლებში იგი კურატორად მუშაობდა თანამედროვე ექსპერიმენტული ხელოვნების სომხურ ცენტრში, ხოლო 2006-08 წლებში იმავე ცენტრის ვიზუალური ხელოვნების განყოფილების დირექტორის მოადგილე იყო. ევა ხაჩატრიანი არის თანადამფუძნებელი ვებ-გვერდის http://artnews.am, სადაც ყოველთვიურად სომხეთის თანამედროვე ხელოვნების სიახლეები ქვეყნდება. მისი მიმდინარე ინტერესები გენდერისა და ახალი მედიების თემას შეეხება. ღონისძიების ორგანიზატორები და სპონსორები არიან საქართველოს თანამედროვე ხელოვნების არქივი „არქიდრომი“ და GeoAir.

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: ირინა ხუციშვილი

იდუმალებით მოცული შენობა

ავტორი: ხათუნა ქარდავა

არ ვიცი რატომ, მაგრამ მუზეუმებში შესვლისას ბავშვობიდანვე მქონდა განცდა, რომ იდუმალებით მოცულ შენობაში დავიარებოდი. შესაძლოა სივრცის, ან, უძველესი ნივთების სუნის გამო. ბავშვობის ასაკიდან დიდი ხანია გამოვედი, თუმცა შენობები, სახელწოდებით „ქართული მუზეუმები“ ჩემთვის დიდხანს ექსკურსიამძღოლის მოწყენილ ხმასთან და მუზეუმის დამთვალიერებელთა მცირე ჯგუფთან ასოცირდებოდა.

მერე (უკვე ჩემი ჟურნალისტური კარიერის დასაწყისში) ლიტერატურის მუზეუმში მოვხვდი, რომელიღაც წიგნის პრეზენტაციაზე. პრეზენტაცია მუზეუმის ეზოში იყო, ბაღში დარგული ვარდების სურნელისა და გრილი ნიავის ფონზე. მომეწონა. ვიდექი ეზოში, იმ კედლებს შორის, რომელთა მიღმა უზარმაზარი დარბაზებია, ამ დარბაზებში უნიკალური სურათები და ამ სურათებს გასაოცარი ისტორიები აქვთ.

მას მერე ჭანტურიას ქუჩის რვა ნომერში მდებარე ლიტერატურის მუზეუმზე ბევრი წერილი დავწერე,

თუმცა ისტორიას, რომელიც თავად მუზეუმის შენობას უკავშირდება, დღეს გიამბობთ. ეს ძალიან ლამაზი ისტორიაა, კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლის ალექსანდრ ბარატინსკისა და ქართველი თავადის ქალის ლიზა ორბელიანის სიყვარულის ისტორია.

ნაყიდი სიყვარული

ამ შენობის კედლებთან დაკავშირებული მეცხრამეტე საუკუნის შუა ნახევრის სიყვარულის ისტორია რამდენიმე ადამიანისგან მოვისმინე და ყველა მათგანმა მეფისნაცვლის სატრფო, ლიზა ორბელიანი ასე დაახასიათა: უშნო ქალი იყო, დაბალი, შავგვრემანი, შეუხედავი.... მეფისნაცვალი კი.... ოოოოო, მასზე ქალები გიჟდებოდნენ, მისთვის ქალები ქმრებს ღალატობდნენ, მასზე ოცნებობდნენ, ჩუმად ეტრფოდნენ, წვეულებებზე შორიდან უმზერდნენ. აბა, რომელი ქალის გულს ვერ დაიპყრობდა მამაკაცი: ულამაზესი, ძალღონით სავსე, ძალაუფლების მომხვეჭი და ძალიან დიდი სიმდიდრის პატრონი.

კავკასიაში ის 1835 წელს გამოჩნდა, რიგითი ოფიცრის სტატუსით, მეორედ ოცი წლის შემდეგ – „კავკასიის კორპუსის“ მეთაურად. მოგვიანებით სახელი შამილის დამარცხებით მოიხვეჭა. და ეს ყოვლად მომნუსხველი მამაკაცი კავკასიაში მეფისნაცვლად ყოფნის პერიოდს სწორედ იმ შენობაში ატარებს, რომელსაც დღეს ლიტერატურის მუზეუმი ჰქვია.

სამსართულიან შენობას შვიდი უზარმაზარი დარბაზი აქვს, ლამაზი კიბეები და უამრავი ოთახი. არავინ იცის, რომელ დარბაზში ან ოთახში იჯდა მეფისნაცვალი ალექსანდრე, როცა მას „უშნო“ ლიზა ორბელიანი ესტუმრა. ბარატინსკის ბევრი სტუმრობდა, ძირითადად – დახმარების სათხოვნელად, ახალი თანამდებობის მისაღებად, სტუმრობდნენ ქართველი თავადები, თავადების ცოლები, ცოლების ნათესავები, ნათესავების მეგობრები. ისტორიას არ შემოუნახავს ცნობები იმის შესახებ, ვის როგორ ეხმარებოდა მეფისნაცვალი. თუმცა, ლიზა ორბელიანთან მისი შეხვედრის ისტორია ლეგენდად იქცა. ყოფილი ბარატინსკის ქუჩის, ამჯერად ჭანტურიას რვა ნომერში მდებარე სასახლეში მყოფ მეფისნაცვალთან შედის ქალი, რომელიც სთხოვს: „თუ ჩემი ქმარი მოგადგათ და რაღაც გთხოვათ, უმორჩილესად გთხოვთ, არ დაეხმაროთ“. ქალი სასახლეს მალევე ტოვებს. რამდენიმე დღეში ბარატინსკი ლიზა ორბელიანის ქმარს სასახლეში იბარებს და, ცოლის სანაცვლოდ, დიდ თანხას სთავაზობს. ასე ხდება ლიზა ორბელიანი მეფისნაცვლის მეუღლე. ქალი, რომელმაც ახალგაზრდობის ნახევარი მუქთახორა, უსაქმურ ქმართან ერთად გაატარა, ულამაზესი და უმდიდრესი კაცის ცოლი ხდება. შეუღლების შემდეგ ლიზა ორბელიანი და მეფისნაცვალი პარიზში მიემგზავრებიან. როგორც ჩანს, ქალს მაინც ტვირთად მიჰყვება „ნაყიდი სიყვარული“, ჭლექით ავადდება და ცხოვრების ბოლო წლებს მონასტერში ატარებს. ბარატინსკის მეტი ცოლი აღარ შეურთავს. სულ ეს არის, რასაც ლიზა ორბელიანის შთამომავალი, სალომე ქობულაშვილი ამ ისტორიაზე მიამბობს. ლიტერატურის მუზეუმში ლაშა ბაქრაძის კაბინეტში ვსხედვართ, ლაშა ლეპტოპში ბარატინსკისა და ორბელიანის სურათებს ეძებს.

მე კი სალომეს გაკვირვებული ვეკითხები: მართლა უშნო ქალი იყო ლიზა? – ბებიაჩემი ასე ამბობდა, – მპასუხობს სალომე. სალომეს ბებიის მარიამ ქობულაშვილის მონაყოლის მიხედვით, ბარატინსკიმ მთელი ქონება ლიზას შთამომავლებს დაუტოვა. შვილი მათ არ ჰყოლიათ.

ლაშა ინტერნეტში ლიზას სურათს პოულობს და გაოცებული ამბობს: „ეს არის უშნო ქალი? ნახე რა თვალ-წარბი აქვს“. ლაშას ლეპტოპს დაჟინებით ვაცქერდებით. გულში კმაყოფილი ვრჩები, რომ ფოტოზე ისეთი ქალი ვნახე, როგორიც წარმომედგინა, ძალიან საინტერესო თვალებით და სადა ვარცხნილობით. „უდავოდ ძალიან შარმიანია, სხვაგვარად მეფისნაცვალს ვერ მოხიბლავდა“, – ესეც ისე, ჩემთვის გავიფიქრე.

ეს ისტორია რომ მოვისმინე, რამე ახალი დეტალის აღმოსაჩენად ინტერნეტში ქექვა დავიწყე. ბარატინსკის ბიოგრაფიებში ლიზასთან ურთიერთობის ეს ეპიზოდი ნახსენები არსად არ არის. სამაგიეროდ აი, რა ამოვიკითხე: „ალექსანდრეს ძალზე მოსწონდა ქართველი ქალები, მათ სილამაზის ეტალონებად მიიჩნევდა. რამდენიმე მათგანთან გახმაურებული რომანიც ჰქონდა. საუბრობენ ალექსანდრეს რომანტიკულ დამოკიდებულებაზე მარიამ ორბელიანის ქალიშვილთან, ლიზა ორბელიანთან. ბარატინსკიმ ის ჯერ კიდევ მაშინ გაიცნო, როცა ბავშვი იყო. მერეც, როცა ლიზა წამოიზარდა, როგორც ძველი ნათესავის პატარა შვილს, ისე ექცეოდა. ის ყველას ჰპირდებოდა, რომ ლიზას სწავლა-განათლებაზე თავად იზრუნებდა. სწორედ ამიტომაც ატარებდა ლიზა დღეში რამდენიმე საათს ბარატინსკისთან განმარტოებით. ამ მეცადინეობების შესახებ ქალაქში ბევრი ჭორი დადიოდა. ლიზას მეუღლე ბარატინსკის თანაშემწე იყო და მეფისნაცვალთან მეუღლის მეცადინეობების შედეგს – გენერლის წოდებას სულმოუთქმელად ელოდებოდა“.

იქნებ ასეც იყო და იქნებ ლეგენდა ამ ისტორიის გაგრძელებაა.

საუკუნეზე მეტი გავიდა და, კაცმა რომ თქვას, არც არავინ იცის ზუსტად, როგორ იყო სინამდვილეში. ისტორიას არც იმის დამადასტურებელი დოკუმენტები შემოუნახავს, მართლა იყო თუ არა მუზეუმის შენობა ბარატინსკის სასახლე. ერთადერთი, რაც შენობის ისტორიის ამ ვერსიას ამყარებს, ის არის, რომ ჭანტურიას ქუჩას ადრე ბარატინსკის ქუჩა ერქვა. ალბათ ასე იყო. ყოველ შემთხვევისთვის, თუ მე მკითხავენ ლიტერატურის მუზეუმის წარსულის შესახებ რამეს, აუცილებლად ამ ისტორიას მოვყვები.

სასახლიდან მუზეუმამდე

ვიდრე ლიტერატურის მუზეუმი დაერქმეოდა, მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი ერქვა. მუზეუმი გიორგი ლეონიძისა და ტიციან ტაბიძის თაოსნობით დაარსდა. გამგედ გიორგი ლეონიძე დაინიშნა. თავდაპირველად ფონდში მხოლოდ 329 ექსპონატი იყო.

მერე, როცა ფონდი გაიზარდა, მუზეუმის შენობამ ეკლესიიდან ჭანტურიას რვა ნომერში, უკვე ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში გადაინაცვლა. მას „საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი“ ეწოდა, მოგვიანებით გიორგი ლეონიძის სახელი მიენიჭა. ფერადი მინიატურებით შემკული ათონური ოთხთავი, „ვეფხისტყაოსნის“ მეჩვიდმეტე-მეცხრამეტე საუკუნეების რედაქციები, მეთვრამეტე საუკუნეში გადაწერილი „ყარამანიანი“, საგალობელთა და ლოცვათა კრებული, ვახტანგ მეექვსეს „სამართლის წიგნი“, მეცხრამეტე საუკუნის რუსი მხატვრების ნახატები, ალექსანდრე ჭავჭავაძის საგვარეულო გერბი, არჩილ მეფის მიერ მოსკოვში დაარსებულ სტამბაში დაბეჭდილი სახარება... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. დღეს მუზეუმის შენობას უზარმაზარი არქივი აქვს. თბილისში მდებარე სხვა მუზეუმებისგან განსხვავებით, ქართული საზოგადოების ხშირი თავშეყრის ადგილია. აქ საგამომცემლო საქმიანობაც წარმოებს და თეატრის სცენაც არსებობს. ახლახან დანიშნული მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე შენობის წარსულიდან მხოლოდ იმას იხსენებს, რომ მუზეუმს დიდი, უზარმაზარი შესასვლელი ჰქონდა და შენობაში მართლაც ისე შედიოდი, როგორც მეფის სასახლეში. სარკეებიანი „ვიტრინაც“ გაახსენდა, დღეს განადგურებული და გაპარტახებული. განახლებას აქ ბევრი რამ საჭიროებს, პირველ რიგში – განძთსაცავი. ნივთების შესანახად არც ტენიანობაა ნორმალური და არც ოთახი. საცავი შენობის სარდაფშია. ეს ალბათ ბარატინსკის საქეიფო ადგილი იყო, – ჩემთვის გავიფიქრე. დარბაზების ნაწილში გალერეა „ჰობი“ ფუნქციონირებს, „აქ სადღესასწაულო მიღებებს აწყობდა“, სხვა დარბაზებში ახალი გამოფენისთვის მზადებაა, „აქ იქნებ ოფიციალურ შეხვედრებს მართავდა... დარბაზებში გამოფენილ უამრავ სურათს შორის მე მაინც ბარატინსკისა და ლიზას სურათებს ვეძებ. არა, მაინც, რომელ ოთახში იჯდა, როცა ლიზა ორბელიანი ეახლა“.

არ ვიცით. ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცი და თქვენც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ ლაშა ბაქრაძე პირობას გვაძლევს, მუზეუმს დედაქალაქის კულტურულ მოვლენათა ეპიცენტრად გადააქცევს. მე კი ვფიქრობ: „ეს შენობა იმსახურებს ბევრ სადღესასწაულო საღამოს, ხალხმრავლობას, გამოფენის ფონზე აჟღერებულ ვიოლინოს, თეთრ როიალზე რომელიმე რომანტიკოსი სტუმრის მიერ შესრულებულ სონატას. და სურათების თვალიერებისას, ვიღაც სტუმრებს აუცილებლად მოუყვება, როგორ შეუყვარდა ულამაზეს მეფისნაცვალს ორბელიანის ქალი ლიზა.

120 წლის მარინოს ანუ „დარდის შემგროვებლის“ ნაამბობი

სვანურიდან თარგმნა ლელა გაფრინდაშვილმა
ჩაიწერა მაქსიმე ქალდანმა (1939 წელი, მესტია)

– რა უნდა გითხრა უსინათლო მოხუცმა ქალმა? ახლანდელ დროს არ ჰგავდა ძველი დრო, ასე დალხინებულად ვერ ვცხოვრობდით მაშინ. თუ კი რამ ჭირი და დაუნდობელი გამოჩნდებოდა, – ყველაფერი საცოდავ ქალს დაეძგერებოდა. რაც მახსოვს და გამახსენდება, – ყველაფერს მოგიყვები.

„ჟამიანობა“ (იგულისხმება ქოლერის პერიოდი – ლ.გ.) და მზის დაბნელება კარგად მახსოვს. ამას რა დამავიწყებდა. მაშინ კარგა მოზრდილი გოგო ვიყავი.

მე პირველი შვილი ვყოფილვარ და კრიჭა ისეთი შეკრული მქონია, რომ დედას პირი გაუხვრეტია ჩემთვის, – ძუძუ რომ ეჭმია. ამ გზით სული შემარჩინეს და გამომზარდეს. 6-7 წლის ვიყავი, როცა ჯერ ღორების მწყემსვა დამავალეს, შემდეგ – ცხვრების. დედაჩემი მატყლის ჩეჩვას. დართვას, დაგრეხვას, ქსოვას და კანაფის ძაფის დამზადებას მასწავლიდა. მხოლოდ ეს იყო ძველად ქალის საოსტატო საქმე.

ჩვიდმეტი წლის ვიქნებოდი, როცა ჩემი საქმროს მშობლებმა „ფეხები გამიხსნეს“ (იგულისხმება ადათი, რომლის მიხედვითაც დანიშნულ ქალს მომავალი დედამთილ-მამამთილი უფლებას აძლევს მამისეული სახლი დატოვოს და ქმრის ოჯახში გადავიდეს – ლ.გ.) და ერთი კვირა იქ, მათთან, ვიყავი. მაგრამ მაშინ „გვირგვინის დადგმამდე“ (დანიშნული ქალისა და სასიძოს ცოლ-ქმრად გამოცხადება – ლ.გ) ქმართან წოლა არ შეიძლებოდა.

თავისახლში (დანიშნული ქალის მშობლიური ოჯახი, სადაც იგი, ნიშნობის შემდეგ, 3-4 წელი რჩებოდა – ლ.გ.) ყოფნისას ბევრი მოციქული მომდიოდა იმ წინადადებით, რომ საყვარელი გამეჩინა – ერთი კაცის ამარა ხომ არ იქნებიო – მეუბნებოდნენ. ამიტომ საყვარელი გავიჩინე, მაგრამ ეს ამბავი, ქმრისა და ოჯახის წევრების გარდა, უამრავმა ადამიანმა იცოდა.

ერთ წელსაც ჩემს ძმას ვიღაც შემოაკვდა. კაცები გარეთ ვერ გამოდიოდნენ სამუშაოდ, ამიტომ კაცის და ქალის საქმე მხოლოდ ქალების გასაკეთებელი შეიქნა. სათიბში და სახნავში ჩემი ქმარი და სხვა სიძეები მოდიოდნენ. მაშინ ახლანდელივით ცოტა ხალხი არ ცხოვრობდა ერთად (იგულისხმება „დიდი ოჯახი“, სადაც არა მხოლოდ ძმები, არამედ ბიძაშვილები ცხოვრობდნენ თავიანთი მონაგარით – ლ.გ). ძალიან ძნელად და იშვიათად იყოფოდნენ, ამიტომ სახლში უამრავი ქალი და კაცი ირეოდა.

ორი წლის თავზე ჩემი ძმა მოკლეს. მიცვალებულის ჭირისუფალი ხომ ყოველთვის მხოლოდ ქალია?! დაკრძალვის შემდეგ ერთი წელი „ურწყვი“ ვიყავი (იგულისხმება წესი, რომლის მიხედვითაც ცხოველური პროდუქტის ჭამა იკრძალება – ლ.გ.) მალე მამაჩემი მოკვდა, მერე – ბიძა და ამიტომ გამოვიდა, რომ სამი წელი „ბალახზე და პურზე გავატარე“.

„ქალის წესი“ როცა მეწყებოდა, თუ უპატრონო სახლს ვერ ვიპოვიდი, მაშინ ბოსელში ან წისქვილში ვეგდე. მხოლოდ კვირის თავზე შემიშვებდნენ ხოლმე სახლში. ამის გამო, განსაკუთრებით ზამთარში, ხან რა სენი შემეყრებოდა და ხან – რა. საშინელად ვიტანჯებოდი და მხოლოდ „ცეცხლის მოტარებით“ მწამლობდნენ. (გავარვარებულ ხის ნაჭერს მტკივნეულ წერტილებთან მიახლოებდნენ, რათა სიმხურვალეს ტკივილი „დაეძლია“ – ლ.გ.)

20 წლის არ ვიყავი, – ჩემი „ნაჭვლაში“ (საქმროს მიერ ქალის მშობლებისთვის მირთმეული გამოსასყიდი – ლ.გ) მოიტანეს, რაშიც მაშინ ორი ყველაზე ნაყოფიერი ყანა, წყვილი ხარი, სამი ძროხა და პირგასამტეხლო შედიოდა. ამის შემდეგ, ზუსტად ერთ წელიწადში გამიშვეს ქმართან. იქ ჯერ გოგო, მერე კი – ორი ვაჟი გამიჩნდა, მაგრამ ქმარი გარდამეცვალა და ობლების ბედი ჩემზე დაეკიდა.

მეორედ მოხუც და შეძლებულ კაცზე გამათხოვეს და ჩემიანებმა „ნაჭვლაში“ მასაც ძველი წესით და ოდენობით გამოართვეს. ქმარი ოხერი, ავი ზნის გამოდგა: ძუნწი იყო და ყველაფერზე მეჩხუბებოდა, ყველა ჭაბუკის საყვარლობას მწამებდა. მაგრამ მე საცოდავს ეს ყველაფერი უნდა ამეტანა.

მალე მეორე ძმაც მომიკვდა და სამი წელი ისევ „ურწყვი“ ვიყავი.

მეორე ქმართან ქალ-ვაჟი გამიჩნდა. მაგრამ ერთ წელს ქოლერა გაჩნდა და ავადმყოფების გარდა, ყველა შორი-შორს გავიქეცით. ქმარი, მაზლი და მისი ცოლი მოუვლელობისგან დაიხოცნენ. მეზობლებმა ჩვენი სახლი და მიცვალებულები დაწვეს იმ იმედით, რომ სოფელი სულ არ ამოწყდებოდა.

როცა ქოლერამ გადაიარა, ყველა გადარჩენილი კერას დაუბრუნდა. შინ აღარაფერი დამიხვდა. კაცებმა, როგორც იქნა, სოფლის დახმარებით, სახლი გადახურეს, ორი გოდორი ფქვილი მოისესხეს ჩემთვის და საშოვარზე წავიდნენ.

მე და ჩემი შვილები კინაღამ შიმშილით დავიხოცეთ, ამიტომ მშობლებმა შემიფარეს უმცროსი ობლებით, უფროსებზეც თვალი მეჭირა.

ქალს მაშინ დიდი ჯაფა ჰქონდა: თოხნა, ფორცხვა, კარ-მიდამოს ქვებისგან გასუფთავება, თესვა, მარცვლეულის მკა, ლეწვა და განიავება, რეცხვა, ფქვილის დამზადება, ძროხის წველა, პურის ცხობა, საჭმლის მომზადება – ქანცის გაცლამდე მუშაობა.

მესამედ ისევ გამათხოვა თავისახლმა, მსუყე ოჯახში. ქმარი მეც მიყვარდა. ახლაც კაი გვარიანი „ნაჭვლაში“ აიღეს. მე მხოლოდ სამი ნაბადი და სამი თექის ნაჭერი გადმომიგდეს, მეტი არაფერი! ასეთი წესი იყო მაშინ. ამ სახლში სამი ბიჭი გავაჩინე.

ახლა ყველა შვილი დამიბერდა, ზოგი – გარდამეცვალა. მხოლოდ მე შემრჩა სული და ვცოცხლობ, დარდის შემგროვებლად. სამი ქმარი მომიკვდა, ხუთი – შვილი, ოთხი – ძმა, სამი – და, ექვსი – შვილიშვილი და ამის გარდა – რამდენი ახლობელი და სახლიკაცი?!

თეთრ ლეჩაქს ვერ ვეღირსე თავზე!

ლაოკოონი

ავტორი: სანდრო ნავერიანი

ერთხელ, არც ისეთი პატარა ვიყავი, მამაჩემს უნდა შევხვედროდი სადმე. შეხვედრის ადგილი მე შევარჩიე და ვუთხარი, რომ სამ საათზე ლაოკოონის ძეგლთან შევხვდებოდი. ლაოკოონი ის წვერებიანი და ჭკვიანი კაცი იყო, რომელიც ამბობდა, – ნუ მოათრევთ მაგ ცხენს ტროაშიო, – და ამის გამო, ათენამ მას ბოლო მოუღო – გველები თუ რაღაც მსგავსები მიუქსია და მიახრჩვეს. მამაჩემმა არ იცოდა, სად იყო ლაოკოონის ძეგლი, იმიტომ, რომ ლაოკოონის ძეგლი საქართველოში არსად არ დგას და ალბათ არც სხვაგან დგას სადმე. შეხვედრა მაინც შედგა და შედგა გალაკტიონის ძეგლთან, რომელიც მე ძალიან დიდხანს ლაოკოონის ძეგლი მეგონა.

გალაკტიონის ძეგლი გალაკტიონის რომ არის, ყველამ იცის, მაგრამ მე არ ვიცოდი, და იმის გამო, რომ გალაკტიონის ძეგლს რაღაც ისეთი აცვია (შეიძლება არც აცვია), რაც გველებს მაგონებს, ჩავთვალე, ის ლაოკოონი იყო.

გამოვიდა, რომ მე არცთუ ძალიან მცირე ასაკში არ ვიცოდი, ვინ იყო გალაკტიონი. შეიძლება ითქვას, არც ახლა ვიცი. რასაკვირველია, ვიცი, რომ ის პოეტი იყო, დაწერა „მერი“ და „მესაფლავე“ (ეს ამ წამს დედაჩემს ვკითხე, ზუსტად არც ეს ვიცოდი) და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა – „ლეჩკომბინატის“ პალატიდან გადმოხტა. მაგრამ არ ვიცი მისი შემოქმედება.

ის, რომ გალაკტიონის პოეზია არ ვიცი და კიდევ სხვა ყველა ქართველი პოეტის, იმით აიხსნება, რომ უბრალოდ არ მიყვარს პოეზია. აქ ალბათ შემომაგინებს ერთი-ორი გულანთებული პატრიოტი, – პოეზია რა შუაშია, ის ხომ გალაკტიონი იყოო. მაგრამ, ჰა, არ მიყვარს, და არც ვიცი, რა ვქნა, ჩავხარო თავი და სინდისმა მქენჯნოს? არა, არ უნდა მქენჯნოს და არც უნდა მრცხვენოდეს. უბრალოდ, უნდა ვიცოდე და ვიცი კიდეც, რომ უკეთესი იქნება, თუ მეცოდინება გალაკტიონიც და, ვთქვათ, რატომ არა – ახმატოვა?

ერთი თვეც არ არის გასული მას შემდეგ, რაც პირველ არხზე იშვა ახალი თოქ-შოუ „აუდიტორია“. წამყვანი ეკა ხოფერიაა და იდეაში სწორად ეკა ხოფერიამ უნდა განაპირობოს შოუს წარმატება.

„აუდიტორია“ საკმაოდ სკანდალურად დაიწყო და ცოტა სასაცილოდაც, როდესაც ეკა ხოფერიამ მისასალმებელ სიტყვაში მოგვახარა, რომ თურმე ეცდება, მისი აუდიტორია ჩვენიც გახდეს. ვაშა. მე კი მეგონა, რომ ისედაც ჩვენი აუდიტორია უნდა ყოფილიყო.

პირველი გადაცემის თემა იყო ზოგადი განათლება, უფრო კონკრეტულად კი – ვინ დაწერა „ჩემო კარგო ქვეყანავ“, ვინ არის რობერტ სტურუა, ვინ დადგა „კავკასიური ცარცის წრე“, კიდევ იყო რაღაც „ჭრიჭინაზე“ თუ „აბეზარაზე“ და ამ კითხვებით თოქ-შოუს ჟურნალისტებმა მიაკითხეს საქართველოს რამდენიმე სასწავლებლის სტუდენტებს. აღმოჩნდა, რომ სტუდენტების უმრავლესობამ არ იცოდა, ვინ დაწერა ის ლექსი, ვინ დადგა სპექტაკლი, ვინ იყო ჭრიჭინა და საერთოდ, რატომ უსვამდა კითხვებს მათ ეს აბეზარი ჟურნალისტი.

ძალიან საინტერესოები იყვნენ გადაცემის სტუმრები – ვერ ვიტყვი, რომ განათლების სფეროში ჭიპმოჭრილი რეფორმატორები, მაგრამ როგორც ეკა ხოფერიამ გვაუწყა, ისინი არიან ყველაზე კომპეტენტურები და მათი ყველაზე კარგად ესმის საზოგადოებას. სტუმრების სია: გოგი ქავთარაძე – პოლიტიკოსი; ჯანსუღ ჩარკვიანი – პოეტი-პოლიტიკოსი; ლელა წურწუმია – მომღერალი-პოლიტიკოსი; ავთო ვარსიმაშვილი – წესით, რეჟისორი; სიმონ ჯანაშია – კაი კაცი, და გია მურღულია – დირექტორი. ამათ დაემატნენ გია ბუღაძე, გია ხუბუა და კიდევ ერთი, არ მახსოვს მისი გვარ-სახელი.

საერთოდ, ქართულ ჟურნალისტიკაში ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს აქცენტის სწორად დასმა და სტუმრის შერჩევა. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რა კრიტერიუმებით შეარჩიეს სტუმრები. რატომ არის ლელა წურწუმია კომპეტენტური, ისაუბროს მასზე 30 წლით უმცროსი ადამიანის ზოგად განათლებაზე. ან რატომ თვლის ეკა ხოფერია, რომ დღეს უფრო მნიშვნელოვანია იცოდე, ვისია ლექსი „ჩემო კარგო ქვეყანავ“, ვიდრე ის, თუ რამდენჯერ გაიზარდა ცენტრალური ამერიკის მოსახლეობა გასული საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ, და რატომ აქვს ყველაზე ხშირი სექსუალური კავშირი დედამიწის ამ ნაწილის მოსახლეობას? ან საერთოდ, რატომ არის რამის ცოდნა ვალდებულება?

მე მაქვს კითხვა იმ ადამიანებთან, ვინც თვლის, რომ თუ ილიას ლექსი არ ვიცი, დაღუპული ვარ და სირცხვილია. რა მოუტანა მათ იმან, რომ მძინარეებმაც კი იცოდნენ „ჩემო კარგო ქვეყანავ“?

რაც უნდა მითხრან, მე ვერაფერს ვხედავ. მე ვერ ვხედავ ვერანაირ შედეგს, გარდა იმისა, რომ ჩვენი მამების და ბაბუების თაობამ საკუთარი თავის სრული იზოლაცია მოახდინა და უნდათ, რომ ჩვენც ასე ვიცხოვროთ – ვიცოდეთ ილია, სტურუა, ხორავა, ტიციანი, გუდიაშვილი... ჩვენ არასდროს მოგვცემია იმის საშუალება, გვესაუბრა იმაზე, არის თუ არა ამ ყველაფრის ცოდნა მნიშვნელოვანი? იქნებ არ არის აუცილებელი, ყველამ იცოდეს, ვინ დაწერა „მესაფლავე“? ან ისევე არ ჰქონდეთ ნანახი „კავკასიური ცარცის წრე“, როგორც – მე? სანამ ამ ცოდნის ეფექტურობაზე ღიად საუბარს არ დავიწყებთ, გამუდმებით იქნება ასეთი ბრძოლები თაობებს შორის. თუმცა, ამას ბრძოლაც არ ჰქვია – ისინი დგანან და თავზე გვაჯვამენ.

ილიას და აკაკის ცოდნამ, მტკვარში შესრიალებულ ტივზე აღიღინებულმა ბუკმა და წინწილანმა, წინაპრების წინაპრობით გამოწვეულმა ყალბმა ცრემლებმა, პატარა ჭიქაში ჩატეულმა დიდმა გულმა და დღენიადაგ პუტანკებში სიარულმა მიგვიყვანა იქ, სადაც ვიყავით გასული საუკუნის 90-იანებში. მანამდე კი მთელი

70 წელი – ძღრენში. და ვინ იყვნენ ისინი, ვისაც იმ 70 წლის განმავლობაში ილიაც და აკაკიც ფეხზე ეკიდა? ვინ და ისინი, ვინც დღეს ყველაზე მეტად ყვირიან, – გადავშენდებით, ეს თუ არ გვეცოდინებაო.

რა თქმა უნდა, კარგია, თუ გეცოდინება ილიას შემოქმედება, თუმცა ბევრად უფრო სასარგებლოა, მის საქმიანობას იცნობდე, იმას, თუ რას აკეთებდა ლექსების, პოემების, რომანების წერის გარდა. ძალიან კარგი იქნება, თუ წაიკითხავ მიხეილ ჯავახიშვილს და ამისთვის ჯანსუღ ჩარკვიანივით პირზე ბოქლომის დადება არ დაგჭირდება, მაგრამ არც ერთი და არც მეორე სავალდებულო არ არის; ისევე, როგორც ჩემთვის არ არის სავალდებულო, ვიცოდე გალაკტიონის პოეზია და არც ის, რომ იგი უდიდეს პოეტად ვაღიარო. ვინც იცის, მისთვის არის, ჩემთვის კი ის ვერასდროს იქნება დიდი პოეტი, ყოველ შემთხვევაში იქამდე მაინც, ვიდრე მის და, ვთქვათ, გიორგი კეკელიძის ლექსებს არ წავიკითხავ.

აკვაპარკი

ავტორი: გიგი გულედანი

საკრებულოსა და მერის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია ზენიტში იყო, როცა საბურთალოს ქუჩაზე, სურსათის მაღაზიიდან სიგარეტის კოლოფით გამოსულებს (მე და ჩემს ორ გზააბნეულ მეგობარს) ნაცების აქტივისტებმა სარეკლამო ფლაერები გადმოგვცეს, რომლის მიხედვითაც, იქვე, სადღაც ბახტრიონზე, ერთ-ერთი კორპუსის სახურავზე მერიის მიერ დაფინანსებული ახალი ულტრათანამედროვე რეკრეაციული ზონა უნდა გახსნილიყო.

და მართლაც, სახურავის კარი რომ შევაღეთ, წინ ბახტრიონის ქუჩისთვის ერთობ უცნაური სანახაობა გადაგვშალა: ნიკელის მოაჯირები, თეთრი შეზლონგები, ჯაკუზები და ძალიან ბევრი ხალხი. როგორც აღმოჩნდა, აკვაპარკი ერთი კვირის გახსნილი იყო და უკვე კლიენტურის სოლიდური კონტინგენტი ჰყავდა. ახალგაზრდა, მოვლილი დედები საცურაო კოსტიუმებით შეზლონგებში ირუჯებოდნენ, ბავშვები ჭიანჭველებივით დარბოდნენ, კუთხეში მუშაობდა საზაფხულო ბარი – მოკლედ, უკვე მოყვანილი იყო კაი გახურებული პლაჟის მოძრაობა.

ბარმენამდე რომ მივაღწიეთ, აქტივისტების მოცემული მოსაწვევები წინ დავუდე და მოვითხოვე სამი უფასო მოჰიტო. ბარმენმა მითხრა, რომ ამ მოსაწვევებს ვადა ერთი კვირის წინათ გაუვიდა, მაგრამ გვიჯიგრა, სასმელი მაინც დაგვისხა და ჩვენც ჭიქებით ხელში სახურავის კიდესთან მდგარ მაგიდას მივუსხედით.

ქვემოთ კარგად ჩანდა საბურთალოს ქუჩა: გოგირდის აბანო ძველ „კალონკასთან“, აქსისის მშენებარე კომპლექსი, სურსათის მაღაზია კუტუზოვის კუთხეში... და აქ, ზუსტად არ ვიცი რისი გავლენით, ასეთი სტეიტმენტი გავაკეთე: მეთქი, „რა იყო თბილისი სულ რაღაც 7-8 წლის წინ? ჩვეულებრივი მემწვანილეების ქალაქი!“

...რასაც მოვაყოლე კიდეც რევოლუციამდე მომხდარი ერთი ამბავი:

ვიყავი ლეონიძის ქუჩაზე ბიძაშვილებთან და ბიცოლაჩემმა გამაგზავნა შაქარზე ზემელის ძველ სადღეღამისოში. ვიყიდე ეს შაქრის ფხვნილი და რომ მივუტანე ბიცოლაჩემს, მან ნაწილი სახლში წასაღებად გადმომიყარა. ეს გარკვეულ ოჯახურ ტრადიციად გვექცა იმ პერიოდიდან მოყოლებული, როცა ყველაფერი ტალონებზე იყიდებოდა (ჭირდა ადრე შაქარი) და ჩვენც ნაშოვნ პროდუქტებს ერთმანეთს ვუნაწილებდით ხოლმე. გამოვედი გარეთ და დავუყევი დაღმართს შაქრის ფხვნილიანი პარკით ხელში. იქვე, სურსათის მაღაზიასთან, ქუჩაში ყიდდნენ მწვანილს. ვიკითხე მწვანე ხახვისა და ტარხუნის ფასი და მითხრეს, – კონა – ლარიო. მეთქი, სუ გაგიჟდით? რაამბავია...

და ზევით ავიხედე.

მეორე სართულზე გაღებული იყო აივნის კარი, სადაც ქურთის ქალი ჭრელი ბამბაზიის ხალათით გადმომდგარიყო და რიკულებთან დაწყობილ მწვანილს ნამავდა. მის უკან კი ჩანდა ძალიან დიდი, განათებული ოთახი, სადაც კედლებზე გასაშრობად ჭერამდე ეკიდა მწვანილის დანამული კონები.

ცოტა ხანს მონუსხული ვუყურებდი ამ სანახაობას, მახსენდებოდა საბჭოთა ხილ-ბოსტნეულის მაღაზიების წყლით გაფორმებული სველი ვიტრინები. ბოლოს, როცა გამოვერკვიე, ჩავისუნთქე და ამ ქალს ავძახე, მეთქი, – „თქვენ ხართ მწვანილის მაფია!!! თქვენ ხართ მწვანილის მაფია!!!“ მერე კი მოვტრიალდი და დავუყევი დაღმართს რუსთაველისკენ.

მწვანილის ამბავს რომ მოვრჩი, ბიჭებს ხმა არ ამოუღიათ. გარემო რატომღაც ტოვებდა მირაჟის შთაბეჭდილებას: სახურავიდან, თეთრი შეზლონგების მიღმა ჩანდა საბურთალოს ქუჩიდან ბახტრიონისკენ შემოსული მანქანების ნაკადი. ქვემოთ ვიღაც ეძახდა სოფოს და სხვადასხვა მხრიდან მოდიოდა „კურიერის“ ახალი ამბების ქუდის ხმა.

მოჰიტო მოვწრუპე, ალკოჰოლის „ლაითი პრიხოდით“ აღტყინებულმა ბიჭებს გადავხედე და ღიმილით გავაკეთე უკვე მეორე სტეიტმენტი: კერძოდ კი, ვუთხარი, რომ ისევე, როგორც თბილისში გასულ საუკუნეში მცხოვრები ყველა თაობა, ჩვენც აშკარად ვხდებოდით ქალაქის ზრდის მოწმენი; შემდეგ, პატარა პაუზის მერე დავამატე: „მეგობრებო, ასეა თუ ისე, სახეზეა თბილისის თვალსა და ხელს შუა გარდასახვის ცალსახა ფაქტი“; ამ სიტყვებით ჭიქები ერთმანეთს მივუკაკუნეთ და ბოლო მოვუღეთ უფასო მოჰიტოს უკანასკნელ ნარჩენებს.

თბილისის საერთაშორისო

თეატრალური ფესტივალი

3 – 16 ოქტომბერი

საერთაშორისო პროგრამა

TBS International

ინოვაცია
მსოფლიო შედევრები
ტენდენციები
სიახლე
თეატრი მარადიული
თეატრი თანამედროვე
თეატრი დღევანდელი
ცხოვრების საიდუმლო თეატრშია

WWW.TBILISIINTERNATIONAL.COM

4 და 5 ოქტომბერი

სერია "მე- 20 საუკუნის შედევრები"

პიკოლო თეატრი იტალია, მილანი

ლეგენდარული სპექტაკლით
ორი ბატონის მსახური
ჯორჯო სტრელერი

4 ოქტომბერი

"პატარა მთვარის" თეატრი

"ქორწილი"

7 ოქტომბერი

Pärnu Theatre Endla , ესტონეთი



"წყურვილი"

9 და 10 ოქტომბერი

ციცინო, ანუ პოლიტიკური პიესა

საფრანგეთი

10 ოქტომბერი

HKD Theatre Rijeka, ხორვატია



"მენეჯერი"

6 ოქტომბერი

ნაციათა თეატრი, მოსკოვი



"წერილები ფელიციასადმი"

8 ოქტომბერი

ეიმუნტას ნეკროშიუსის თეატრი, ლიტვა

"ჰამლეტი"

12 ოქტომბერი

" Kibbutz Dance Company ", ისრაელი



"როცა მიწვდები მზეს"

15 ოქტომბერი

სანკტ – პეტერბურგის
დიდი დრამატული თეატრი



"კოპენჰაგენი"

რეჟისორი თემურ ჩხეიძე

16 ოქტომბერი

ლეგენდარული რობერტ ვილსონი სპექტაკლში

"კრაპის ბოლო გზავნილი"
აშშ - იტალია

„მარტინესიდან“ ფესტივალების სასახლემდე

კანი –2010

ავტორი: გიორგი გვახარია

აეროპორტებში, სასაზღვრო პუნქტებთან ყოველთვის ვიძაბები ხოლმე. რაღაც საბჭოთა კომპლექსია, რომელიც თავის დროზე ბრწყინვალედ აღწერა იშტვან საბომ, ფილმში „შეხვედრა ვენერასთან“.

თუმცა საბოს მთავარ გმირს პოსტკომუნისტური უნგრეთიდან საფრანგეთში მოუხდა გამგზავრება. პარიზის აეროპორტში მუსიკალურ ინსტრუმენტებზე ჰკითხეს მხოლოდ, – რა არისო.

აი, გერმანელი მესაზღვრეები კი, ჩემი დაკვირვებით, ბევრად უფრო აუტანლები არიან. სრულიად განსაკუთრებული უნდობლობით გათვალიერებენ და არ შეუძლიათ, რომ არ გკითხონ, რა მიზნით შედიხართ შენგენის ზონაში. არ ვიცი, ვინ მისცა მათ ასეთი მითითება. შეიძლება მაინცდამაინც მე მხვდებიან ასეთები; ფაქტია – გერმანიის საზღვრის გადაკვეთა ყოველთვის ტანჯვაა ჩემთვის. მით უმეტეს, რომ ინგლისურად მეკითხებიან, მე კი... ამ ენაზე როცა მომმართავენ, ეგრევე ოფლი მასხამს ხოლმე.

კანის ფესტივალის გზაზე, მიუნხენის აეროპორტში ისევ მკაცრი და ეჭვიანი მესაზღვრე შემხვდა; კანში რა გინდაო, – მკითხა. „ფესტივალ, ფესტივალ!“ – რამდენჯერმე გავუმეორე. მაინც არ მომეშვა, – სად უნდა იცხოვროო.

„ოტელ მარტინეს!“ – ვუთხარი ამაყად. მახსოვდა, რომ ბინა, რომელიც თბილისიდან დიდი გაჭირვებით ვიქირავეთ, სადღაც „მარტინესთან“ იყო ახლოს... კი ვიფიქრე, ახლა სასტუმროს დაჯავშნის საბუთი არ მომთხოვოს-მეთქი, მაგრამ გადავრჩი – ეტყობა, ეს „მარტინეს“ მართლაც დამაჯერებლად იყო ნათქვამი!

ჩემი ერთი წლის ოცნება როცა ასრულდა, როცა, ვულკანების, წყალდიდობების, ქარიშხალის მიუხედავად, მაინც ჩავაღწიეთ კანში, აღმოჩნდა, რომ ოროთახიანი ბინა, რომელშიც მე, ნინიას, თეოს და ნენეს უნდა გვეცხოვრა, მართლაც გადაჰყურებდა „მარტინესის“ უკანა ფასადს. ჰო, ამ სასტუმროსთან დგება სწორედ კინოვარსკვლავების თაყვანისმცემელთა გრძელი რიგები ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე. წელს ეს ხალხი უზარმაზარი დურბინდებით იყო შეიარაღებული, რათა როგორმე მოეკრათ თვალი საცვლებში გამოწყობილი ბენისიო დელ ტოროსთვის (იგი ტიმ ბარტონის ჟიურის წევრი იყო), ხავიერ ბარდემისთვის, ნაომი ვოტსისთვის, ან, თუნდაც ფესტივალის პოსტერზე აღბეჭდილი ჟულიეტ ბინოშისთვის.

ასეა, „ალხანას ჩალხანა არ დაელევაო“, – ნათქვამია.

ვაკვირდებოდი ხოლმე მათ დილაობით, როცა სირბილ-სირბილით მივუყვებოდით კრუაზეტის სანაპიროს პირველ სეანსზე მოსახვედრად. ვაკვირდებოდი და ვფიქრობდი, ნეტავ რა ხდებოდა მათ სხეულში, როცა ტრუსებსა თუ ღამის პერანგში აივანზე გამოსული კერპი ხელს უქნევდათ... იღგზნებოდნენ? რატომ იღგზნებოდნენ? კანში ჩამოვიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ საყვარელი ვარსკვლავი ენახათ „რეალში“?

ამ ფესტივალზე, სადაც, იგივე „ბერლინალესგან“ განსხვავებით, ბილეთები არ იყიდება, უბრალო მოკვდავთ შანსი არ აქვთ დარბაზში მოსაწვევის ან აკრედიტაციის გარეშე მოხვდნენ. მათ შეუძლიათ მხოლოდ „მარტინესთან“, ან „კარლტონთან“ გაათენონ ღამე და იხილონ საყვარელი მსახიობის სხეულის ნაწილი, ანდა წითელ ხალიჩასთან დაიკავონ რიგი და იქიდან უჭვრიტონ კერპს. მათთვის კი არა, კინოკრიტიკოსებისთვისაც ძნელად იღება კანის ფესტივალის კარი. ახლახან სამი ფერის აკრედიტაციას (ვარდისფერი, ცისფერი, ყვითელი), კიდევ ერთი, სუპერპრესტიჟული „თეთრი“ დაემატა; წელს, მაგალითად, მხოლოდ „თეთრები“ შეუშვეს ფესტივალის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე საკონკურსო პროგრამაში სასწრაფოდ დამატებულ კენ ლოუჩის ფილმის, „ირლანდიური მარშრუტის“ პრემიერაზე. დანარჩენებს მოგვცეს უფლება, ფილმი ოფიციალურ ჩვენებაზე, ჟიურისთან ერთად გვენახა. ამით დაირღვა კანის ფესტივალების რეგლამენტი – პრემიერაზე სმოკინგებსა და საღამოს კაბებში გამოწყობილ პუბლიკას შეერივნენ შორტებიანი ჟურნალისტები („შლიოპონცებით“). აირია მონასტერი!

„წითელ-ვარდისფერ-თეთრ“ ჟურნალისტებს კანის ფესტივალზე მკაცრად აკონტროლებენ. პრესისთვის განკუთვნილ ჩვენებაზე მათ რამდენჯერმე უწევთ დაცვის გავლა. წელს, რაშიდ ბუშარების ფილმის, „კანონს მიღმა ყოფნის“ პრემიერაზე, დილის 8 საათზე ფესტივალის სასახლე მთლად პოლიციის რაზმით იყო გარშემორტყმული. ხანგრძლივი ჩხრეკის შემდეგ გარეთ წყლის ბოთლებიც კი დაგვატოვებინეს. ვიცოდით, რომ ფილმი ალჟირის ომის ამბებს ასახავდა და ისიც ვიცოდით, რომ ავტორს ისტორიული სინამდვილის გაყალბებას აბრალებდნენ (რეჟისორი ამტკიცებს, რომ 1945 წლის 8 მაისს ფრანგულმა არმიამ ერთდროულად 10 000 მშვიდობიანი ალჟირელი დახოცა), მაგრამ იმას მაინც ვერ მივხვდით, ვისგან იცავდა პოლიცია ფესტივალის სასახლეს – ლე პენის პარტიის ათასამდე აქტივისტისგან? ეს „ფრანგი მმკ-ელები“ სასახლემდე არც მიუშვეს. იქვე, მიმდებარე ქუჩებში იდგნენ და გაჰყვიროდნენ: „რატომ უნდა აფინანსებდეს საფრანგე-



**ON VEUT VOUS VOLER VOTRE HISTOIRE,
EN SALISSANT VOTRE MÉMOIRE !**

La première loi de l'histoire est de ne rien dire de faux
La seconde loi est d'oser dire ce qui est vrai

Cicéron

თი ანტიფრანგულ ფილმს?“ „გაუშვით ბუშარები ალჟირში!..“ ჩვენც დაგვირიგეს საპროტესტო ფურცლები. ეგ იყო და ეგ. როგორც მოსალოდნელი იყო, ფილმი ძალიან ცუდი გამოდგა. პირადად მე ფინალამდე ვეღარ გავძელი.

კანის ფესტივალის დირექცია იმასაც კი აკონტროლებს, რამდენი ფილმი ნახა ფესტივალის დღეებში აკრედიტებულმა ჟურნალისტმა (დარბაზის შესასვლელში აკრედიტაციის „შტრიხ-კოდებზე“ რაღაცას აფიქსირებენ), მაგრამ აქაური ტექნიკა ჯერ ისე არ დახვეწილა, რომ შეიტყონ, რამდენჯერ დატოვა კინოკრიტიკოსმა დარბაზი და რამდენი ფილმი არ ნახა ბოლომდე. კანის კინოფორუმი, დავუშვათ, ნიონის ფესტივალი არაა, სადაც ერთხელ ჟიურის წევრად მომიხდა მუშაობა და სადაც ფილმის მსვლელობის დროს ტუალეტში გასვლის საშუალებასაც არ გვაძლევდა დირექტორი – ყველა სეანსზე კართან იჯდა და ჟურნალისტებს დარბაზში დაბრუნებისკენ მიუთითებდა.

წელს კანის ფესტივალზე 20 000 ადამიანი იყო აკრედიტებული. მიდი და შეამოწმე ახლა, ვინ გადის დარბაზიდან! ვინ ტუალეტში შედის მხოლოდ, და ვის კიდევ პლაჟზე გაუწევია!

არადა, როგორი პრაქტიკულია, იცით? დაითვლი, რამდენ ფილმს უყურე ბოლომდე, რამდენ ფილმზე დატოვე დარბაზი და მიხვდები, როგორი ფესტივალი იყო. შარშანდელზე, შარშანწინდელზე უკეთესი თუ უარესი. ბერლინის ფესტივალზე უკეთესი თუ უარესი. თბილისში ჩამოხვალ და კითხვაზე „კარგი ფილმები იყო?“ (მე არავინ მეკითხება, – „ზვიოზდები ნახე?“), უპასუხებ „შარშანდელზე უკეთესი“, ან „უარესი“. მერე რა, რომ შეიძლება შეცდე. რომელიმე ფილმი, რომლის ჩვენების დროს დარბაზიდან გამოხვედი, შეიძლება მოგვიანებით ნახო და დააფასო. ანდა, მაინც არ დააფასო, მაგრამ ინანო, რომ არ ნახე.. მე, მაგალითად, ძალიან ვნანობ წლევანდელი „ბერლინალეს“ გამარჯვებული თურქული სურათი რომ არ ვნახე მხოლოდ იმიტომ, რომ ამ რეჟისორის სხვა ფილმები არ მომწონდა და იმიტომაც, რომ ოლიმპიადას ვუყურებდი მთელი ღამე. მაგრამ ძალიან მეეჭვება ოდესმე ვინანო იმის გამო, რომ დარბაზი დავტოვე კანის წლევანდელი ფესტივალის „ოქროს პალმით“ აღნიშნული აპიჩატპონგ ვერასეტაკულის „ძია ბუნზე“ – უსაშველოდ „გაპიარებულ“ პრიმიტივიზმზე მხოლოდ იმიტომ, რომ ასე ისურვა კანის ფესტივალის დირექციამ და მის მიერვე შერჩეულმა ჟიურის თავმჯდომარემ, ტიმ ბარტონმა.

ვერ გეტყვით, რატომ გათამამდა ასე კანის კინოფორუმის „ადმინისტრაცია“. ჯერ იყო და, შარშან იზაბელ იუპერი აირჩია ჟიურის შეფად და დაუშვა აშკარა ნეპოტიზმი, როცა კონკურსში ჩართო მიჰაელ ჰანეკეს ფილმი „თეთრი ბაფთა“ (ფრანგული ყვითელი პრესა დღემდე ამტკიცებს, რომ ჰანეკეს მეტისმეტად „თბილი“ ურთიერთობა აქვს თავის მუზასთან). წელს კი ჟიურის თავმჯდომარის როლი მიაკუთვნა კინობლოგბასტერების ოსტატს, რომლის ფილმების წარმატება ყოველთვის სურათის ბიუჯეტზე იყო დამოკიდებული. ახლაც, გაქანებული ეკონომიკური კრიზისის დროს, როცა რეჟისორების უმრავლესობამ ვერ მოასწრო კანის ფესტივალისთვის ფილმის დამთავრება, ცვალებადი და შემცირებული ბიუჯეტის გამო: არ ვიცი, როდის იყო ბოლოს ასეთი შემთხვევა – წლევანდელი ფესტივალის კონკურსში შეერთებული შტატები მხოლოდ ერთი სურათით იყო წარმოდგენილი, დუგ ლიმანის „დევნის ობიექტით“, ტერორისტებთან მებრძოლებზე გადაღებული იმდენად ცუდი ფილმით, რომ მთავარი როლის შემსრულებელმა, შონ პენმა უარი განაცხადა კანში ჩამოსვლაზე (თუმცა, სულ სხვა მიზეზი დაასახელა). სამაგიეროდ, სამხრეთი კორეიდან, რომლის კინემატოგრაფს ეკონომიკური კრიზისი არ შეხებია, ერთდროულად ორი ფილმი ჩართეს. თანაც, სურათები, რომლებსაც პირადად მე დიდი სიამოვნებით აღვნიშნავდი კანის 63-ე კინოფესტივალის მთავარი პრიზებით.

ასევეა სხვათა შორის ტაილანდზეც. აქაც კინემატოგრაფის ბუმია. ცხადია, პუბლიკას ისეთი კინო არ მოსწონს, როგორიც „ძია ბუნია“. ვიღაცამ იხუმრა, – მთელ მსოფლიოში აპიჩატპონგ ვერასეტაკულს რამდენიმე ათასი თაყვანისმცემელი ჰყავს და ყველანი კანში იყვნენო. ანუ ყველამ, ვისაც შეიძლებოდა მოსწონებოდა, უკვე ნახა კანის 63-ე კინოფესტივალის გამარჯვებული. ახლა რაღა იქნება? თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სნობს, რომელიც ტაილანდურ ფილმს მხოლოდ იმიტომ მოიწონებს, რომ „ოქროს პალმით“ აღინიშნა, ასევე უკიდურეს ესთეტებს, პრიმიტივიზმის თაყვანისმცემლებს და ტიმ ბარტონის იმ ფანებს, ვისთვისაც „კერპის სიტყვა კანონია“, „ძია ბუნს“ არანაირი შანსი არა აქვს დაინტერესოს მაყურებელი. ეს უსაშველოდ გაწელილი სურათი „აჩრდილების“ გამოძახებაზე (ფილმის გმირს ერთდროულად გამოეცხადებიან თავისი ოჯახის წევრების სულები) შეიძლება მხოლოდ პარიზის ან ლონდონის ერთი პატარა კინოდარბაზის რეპერტუარში ჩართონ.

დიდი კინოთეატრების ეკრანები დაკავებულია – აქ ტიმ ბარტონის „ალისას“ უჩვენებენ... და როგორც უნდა მოინდომოს კანის ფესტივალის დირექციამ და მის მიერვე არჩეულმა ჟიურის თავმჯდომარემ, ადამიანები კინოში ისევ სანახაობისთვის ივლიან. ასე იყო ყოველთვის, და ასე იქნება კანის 63-ე ფესტივალის დასრულების შემდეგ!

არ არის გამორიცხული, აპიჩატპონგ ვერასეტაკულს (რომელიც, სხვათა შორის, სთხოვს ყველას, დაუძახონ „უბრალოდ ჯო“) ჰოლივუდის რომელიმე კომპანიამ დიდი ფული მისცეს, როგორც კანის კინოფესტივალის გამარჯვებულს. ახალი ფილმი გადააღებინოს... ფილმი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ნათელს მოჰფენს ყველაფერს და იმ კრიტიკოსებს, რომლებიც აღფრთოვანებულები არიან კანის 63-ე კინოფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით, აღიარებინებს, რომ „ძია ბუნი“ სხვა არაფერია, თუ არა გროშებად გადაღებული „ავატარი“... „ავატარი“ ჯუნგლებში! აღიარებინებს

კადრი ფილმიდან „ლეოპარდი“

კადრი ფილმიდან „კანონს მიღმა ყოფნა“

კადრი ფილმიდან „შანტრაპა“

კადრი ფილმიდან „კანონს მიღმა ყოფნა“

ამას და გაახსენებს, რომ სიურრეალისტური ფანტაზია, „ფილმი-სიზმარი“, კინოფეერია, რასაც ტაილანდელ რეჟისორს მიაწერენ (უფრო მეტიც, იმასაც ამბობენ, ესაა 21-ე საუკუნის კინოო), ჯერ კიდევ 60-იან წლებში ითვლებოდა მოძველებულად, როცა ლუის ბუნუელმა – ასეთი ფანტაზიების დიდოსტატმა თავისი „ტრისტანა“ გადაიღო.

სხვათა შორის, კანის წლევანდელ ფესტივალზე სექცია „კან-კლასიკ“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო. მარტინ სკორსეზემ აქ ვისკონტის „ლეოპარდი“ წარმოადგინა. „ტრისტანას“ წარდგენის პატივი კი პედრო ალმოდოვარს ერგო. ბუნუელის ახლად აღდგენილი შედევრის პრემიერაზე ესპანეთის დელეგაციამ ლამის მთელი დარბაზი შეავსო. მოვიდნენ კატრინ დენევი, როზი დი პალმა, საფრანგეთისა და ესპანეთის კულტურის მინისტრები. პედრო ალმოდოვარმა თქვა, – ბუნუელისთვის კინო მაგია იყო, მაგრამ მისი „ჯადოქრობა“ არასდროს იგებოდა წარსულის სახეებზე; უფრო პირიქით, ბუნუელი მუდმივად დასცინოდა წარსულს, ამიტომაც არ დაბერებულაო.

მერე კინო დაიწყო; „ტრისტანა“ ყრუ-მუნჯი ბავშვების ფეხბურთით დაიწყო!

ბუნუელმა არ იცოდა, რას ნიშნავს „პოლიტკორექტულობა“. ჯუჯები, უსინათლოები, ყრუ-მუნჯები – მისი ახირებული სახეები იყო. ამ მხრივ ველასკესს ჰგავდა, თუმცა კატეგორიულად უარყოფდა რაიმე კავშირს ესპანურ ფერწერასთან, საერთოდ, წარსულთან. ალბათ იმიტომ, რომ სიცოცხლე უყვარდა.

აქ კი, რა მივიღეთ 2010 წლის კანის კინოფესტივალზე? „ოქროს პალმა“ გადასცეს „პრიმიტივისტ-სიურრეალისტს“ (ძირითადად, ასე მონათლეს ტაილანდური ფილმის ჟანრი), რომელიც აღიარებს, რომ აინტერესებს ყველაფერი, რაც იკარგება, ქრება... რომ სწამს სულების მიგრაციის ადამიანებს, ცხოველებს და მცენარეებს შორის და ცდილობს, გადაიღოს ფილმი – მედიტაცია, რომელიც ამავე დროს „რეინკარნაციის რეპეტიცია“ იქნება

რა ვიცი... მე მეცინება ასეთ რაღაცეებზე და რაღა დაგიმალოთ, ცოტა ვბრაზდები კიდეც დასავლელ ინტელექტუალებზე, რომლებიც დასცინიან, დავუშვათ, ნიკიტა მიხალკოვს ისტორიის „მართლმადიდებლური რაკურსით“ წაკითხვის გამო, და ამ ტაილანდელ ყმაწვილს, მეტსახელად „ჯოს“, „მომავალი კინოს მეტრს“ უწოდებენ. არადა რა განსხვავებაა? მიხალკოვი თავის ფილმში „მზით გათანგულნი 2“ ამტკიცებს, რომ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მთავარი მიზეზი რუსული მართლმადიდებლობაა... მისი ფილმის ფინალში გერმანელები აფეთქებენ ტაძარს, მაგრამ გადარჩება ღვთისმშობლის ხატი (მგონი, მაინც ღვთისმშობლისაა), „ძია ბუნში“ სიკვდილს მარადიული „სულები“ დაამარცხებენ – ცხოველები, ადამიანები და მცენარეები ერთად დაუვლიან დავლურს ჩრდილოეთ ტაივანის ჯუნგლებში...

რითია, ვითომ, უარესი მიხალკოვის ფილმი თუნდაც ოთარ იოსელიანის „შანტრაპაზე“? ქართული (და ახლა უკვე ფრანგული) კინოს კლასიკოსი გვარწმუნებს, რომ საბჭოთა ცენზურა და ფრანგულ-კაპიტალისტური ცენზურა აბსოლუტურად ერთნაირი ბოროტებაა... უფრო მეტიც, „იმ კარგ დროში“ სულიერება ჯერ კიდევ არ იყო შებღალული – ქალი ქალს ჰგავდა, ჯიშიანი – ჯიშიანს, ცისფერსისხლიანი – ცისფერსისხლიანს... ამაში გვარწმუნებს თავისი ძველი ფილმების კლიშეების მოზაიკით, რომელიც უკვე გადაბმულიც კი არაა ოსტატურად, იოსელიანისებურად.

დღევანდელი დღით უკმაყოფილება, წარსულის გაიდეალების „ხარჯზე“, ფესტივალის კონკურსში ჩართული კიდევ ერთი კლასიკოსის, აბას ქიოროსთამის ფილმშიც იგრძნობა. ირანელი რეჟისორის ფრანგულ-იტალიურ სურათში „დამოწმებული ასლი“ ტოსკანაში დასახლებული ფრანგი ხელოვნებათმცოდნე ქალი, გალერეის მფლობელი იმას განიცდის, რომ თანამედროვე ტექნიკამ ფაქტობრივად სრულიად გააუქმა განსხვავება ორიგინალსა და ასლს შორის. შეიძლება ითქვას, იმეორებს ვალტერ ბენიამინის ჯერ კიდევ 20-იან წლებში გამოთქმულ მოსაზრებებს. მაგრამ სად ბენიამინი რომ იტყვის ამას, და სად – ჟულიეტ ბინოში?! თანაც, სად ირანში რომ იტყვიან ამას, და სად – ტოსკანაში, სადაც პეიზაჟიც კი „კულტურით“ სუნთქავს?

ლოცვა? რაღა მიხალკოვს მიახტნენ? აგერ ჟიურის გრან-პრით აღნიშნული ფილმის ნახევარზე მეტი ლოცვის სცენებს უკავია. ერთი საშუალო ფრანგი რეჟისორის, ქსავიე ბონუას სურათში „ადამიანები და ღმერთები“ 90-იანი წლების დასაწყისში, ალჟირში, ტერორისტების მიერ მძევლად აყვანილი კათოლიკე ბერები ლოცულობენ სიკვდილის წინ, ფილმის რეჟისორი კი ამტკიცებს, რომ გადამტერებული ხალხების შემრიგებლის როლი შეიძლება რელიგიებმა აიღონ თავიანთ თავზე. რა თქმა უნდა, თუკი დასავლური საზოგადოება ეკლესიას დაუბრუნდება.

ახლა ვიხსენებ „ნოსტალგიურ“ ფილმებს და ვხვდები, რომ ამ სიაში „მზით გათანგულნი 2“ ერთადერთია, რომელსაც თავიდან ბოლომდე ვუყურე! ცხადია, არა იმიტომ, რომ „ერთმორწმუნე მიხალკოვის“ სენტიმენტებმა უფრო ამაღელვა. მიზეზი ძალიან ბანალური იყო – გავრცელდა ხმა, რომ რუსმა რეჟისორმა მოისყიდა ფესტივალი; მიხალკოვმა კანის კინოფორუმის დირექციას 60 წლის წინ დამტკიცებული რეგლამენტი დაარღვევინა და ფილმი, რომლის საერთაშორისო პრემიერა უკვე შედგა („მზით გათანგულნი 2“ ბალტიის ქვეყნებში უჩვენეს), ფესტივალის კონკურსში ჩაართვევინა. ისიც თქვეს, პუტინის დიდმა მეგობარმა პროსტალინური ფილმი გადაიღოო. ფრანგულ და ინგლისურ ენაზე საგანგებოდ ითარგმნა ჟურნალ „რუსკი რეპორტიორისთვის“ მიცემული ინტერვიუ, რომელშიც მიხალკოვი ამტკიცებს, სტალინმა მართლმადიდებლობის რეაბილიტაცია მოახერხა, სიტყვა „ტოვარიშჩ“ ისევ შეცვალა „ბრატია ი სიოსტრით“, ათასობით სასულიერო მოღვაწე გადასახლებიდან დააბრუნაო.

>>> გაგრძელება გვ. 96

კადრი ფილმიდან „ძია ბენი"

კადრი ფილმიდან „პოეზია"

კადრი ფილმიდან „კიდევ ერთი ნეიტი"

კადრი ფილმიდან „მზით გათანგულნი 2"

„კაზიმირი და კაროლინა“

ბურჟუაზიის პროლეტარული ხიბლი

ფესტივალი Theatertreffen ბერლინში: როგორ გავაკეთოთ ეკონომიკური კრიზისისგან მძაფრი, თანამედროვე და სოციალური თეატრი

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

...არც მუდამ თანამედროვე, „ენერჯაიზერის“ ბატარეასავით ყოჩაღი შექსპირი, არც პოლიტიკური ზონგებით მდიდარი ბრეხტი და არც ფსიქოლოგიური ნიუანსებით სავსე ჩეხოვი!!! წელს ბერლინის ცნობილი თეატრალური ფესტივალი სახელწოდებით Theatertreffen (ითარგმნება როგორც „თეატრალური შეხვედრები“) კლასიკოსებს არ სწყალობდა. ჟურნალისტების ბანალურ შეკითხვაზე „რატომ“, ფესტივალის დირექტორი, იოჰანეს სარტორიუსი უცნაური იუმორით პასუხობდა: „უმჯობესია, კლასიკოსები ცოტა ხნით აკლდამებში მოვასვენოთ“.

ვინ იცის, იქნებ ეკონომიკური კრიზისის ჟამს, სიახლისა თუ თვითგადარჩენის მიზნით, უხილავი არტ-რეფლექსები ამუშავდება, რაც კრიტიკოსებს (ძირითადად ისინი არჩევენ ბერლინის საფესტივალო პროგრამას), თეატრის მენეჯერებს თუ ფესტივალების დირექტორებს აიძულებთ, გარდასული დროისა თუ ავტორების მნიშვნელობა გადააფასონ, ხოლო საკუთრივ თეატრი სოციალურ-პოლიტიკურ ტრიბუნად გადააქციონ.

ბერლინის საერთაშორისო, გერმანულენოვანი თეატრალური ფესტივალი 1964 წელს დაარსდა. ბრეხტი ცოცხალი აღარ იყო, ხოლო მისი პირმშო – „ბერლინერ ანსამბლი“ საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ აღმოსავლურ ზონაში აღმოჩნდა. ორად გაყოფილი ქალაქის დრამა ყველგან აშკარად და ხილულად იგრძნობოდა. დაწყებული ნახევრად განადგურებული „ბერლინერ დომითა“ და „პერგამონ მუზეუმით“, დამთავრებული „ანჰალტერ ბანჰოფის“ (ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რკინიგზის სადგური) ნანგრევებით, რომლის დიდების ნაშთი მხოლოდ ბერლინის მუზეუმებშია შემორჩენილი.

ქალაქის დასავლეთი ნაწილი პრაქტიკულად თეატრალური შენობის გარეშე დარჩა, აღმოსავლეთი ბერლინი კი ერთგვარად განებივრებული აღმოჩნდა. „ბერლინერ ანსამბლის“ გარდა, მაყურებელს შეეძლო ამოერჩია „დოიჩე თეატრი“, „ჰებელთეატრი“, „დოიჩე კამერშპილე“, „ფოლკსბიუნე“... ამდენად, 60-იან წლებში, დასავლეთ ბერლინში აგებული „ფესტივალჰაუზი“, სადაც ფესტივალის დირექციამ

„ოჯროს დრაკონი"

„ოტელო"

დაიდო ბინა, ერთგვარი ისტორიულ-კულტურული კომპენსაციაა. სწორედ იმ დროს გადაწყდა, რომ ფესტივალი მაყურებელს გერმანიის, შვეიცარიის და ავსტრიის საუკეთესო თეატრების დადგმებს შესთავაზებდა.

ტრადიცია დღემდე უცვლელია: ყოველი წლის მაისში, მყუდრო „შაპერშტრასეზე" მდებარე გიგანტური დარბაზი სიახლის მომლოდინე თეატრალებით, ახალგაზრდა რეჟისორებით, ცნობილი მსახიობებით, აბეზარი ჟურნალისტებით და ლამის ყოვლისმცოდნე, სნობი პუბლიკით ივსება. პრეზიდენტ კენედის საკრალური შინაარსის პოლიტიკური ფრაზა – „მე ბერლინელი ვარ", გარკვეულ მნიშვნელობას დღემდე ინარჩუნებს. უბრალოდ, ფესტივალის გახსნაზე მიწვეულმა საფრანგეთის კულტურის ყოფილმა მინისტრმა ჟაკ ლანგმა, რომელიც ფრანსუა მიტერანის ხელისუფლების ჟამს ინოვაციური იდეებითა და რადიკალური მემარცხენე შეხედულებებით გამოირჩეოდა, აქცენტი ოდნავ შეცვალა: „მე ბერლინელი ვარ, მაგრამ ევროპელიც". ფრანგი ინტელექტუალის დაპატიჟება ფესტივალზე, ისევე როგორც მისი დახვეწილი, ცოტათი მგზნებარე და უფრო პუბლიცისტური „სპიჩი", ლამაზ, მაგრამ დიპლომატიურ ჟესტს უფრო ჰგავდა.

ევროპული „კულტურული სივრცის" დასაპყრობად შემართული საფრანგეთი და გერმანია სინამდვილეში კონკურენტები უფრო არიან, ვიდრე პარტნიორები. არადა, ერთმანეთის გარეშე, ქედმაღალ და მყარ ბრიტანელებს წინააღმდეგობას მაინც ვერ გაუწევენ. ამდენად, კულტურა ორი დიდი ქვეყნისათვის საერთო იდეების თავშესაფარიცაა და კულტურულ-პოლიტიკური ალიანსიც... თუმცა, ეს უკვე აშკარა გეოპოლიტიკაა და არა საფესტივალო დისკურსი.

ყოვლისგამძლე კლასიკოსების ნაცვლად, ფესტივალის ყურადღების ცენტრში თანამედროვე ავსტრიელი მწერლები და დრამატურგები აღმოჩნდნენ: ერთ დროს მივიწყებული და ამჟამად ევროპაში მოდური ოდონ ფონ ჰორვატი (სწორედ მისი პიესით „კაზიმირი და კაროლინა" გაიხსნა ფესტივალი), მინიმალიზმითა და დახვეწილი ირონიით ცნობილი პეტერ ჰანდკე (მისი მოთხრობის მიხედვით გრაცის თეატრმა წარმოადგინა სოციალური დრამა „დრო, როცა ერთმანეთის შესახებ არაფერი ვიცოდით") და სკანდალებით მდიდარი ელფრიდე იელინეკი (მისი პიესა „კომერსანტის კონტრაქტი", ჰამბურგის „ტალია თეატრის" ინტერპრეტაციით, ფესტივალის ფინალში ნამდვილ ანტიბურჟუაზიულ მანიფესტად იქცა).

პროგრამის მრავალფეროვნებას ამტკიცებდა ვენის „ბურგთეატრში" დადგმული თეატრალური ექსპერიმენტი „ცხოვრება და დროება". რეჟისორების – კელი კუპერისა და პავოლ ლისკას ერთობლივი ნაღვაწი; ისევე, როგორც თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგის დენის კელის პიესა „ფული და სიყვარული", რომელიც

„ფული და სიყვარული"

„აწ რაღასა იქმ, პატარა კაცო?"

„დრო, როცა ერთმანეთის შესახებ არაფერი ვიცოდით"

შტეფან კიმიგმა ჰამბურგის „ტალია თეატრში" განახორციელა. ცნობილი იტალიელი კინორეჟისორის, ეტორე სკოლას სცენარის მიხედვით წარმოდგენილი სპექტაკლი „ბინძურები, ცუდები, ბოროტები" (კიოლნის „შაუშპილჰაუზი") მხოლოდ ადასტურებდა კარინ ბაიერის უსიტყვო რეჟისურის უპირატესობას.

და მაინც, კრიტიკოსთა ყურადღების ცენტრში ორი გამორჩეული რეჟისორული ნამუშევარი მოექცა: სახელოვანი შვეიცარიელი რეჟისორის, კრისტოფ მარტალერის უცნაური სახელწოდების Reisenbutzbach (დამოუკიდებელი თეატრალური პროექტი, რომელიც ვენისა და ავინიონის თეატრალური ფესტივალების კოპროდუქციაა) და ბოლო დროს დრამატულ თუ საოპერო სცენებზე ერთობ წარმატებული ბელგიელი რეჟისორის ლუკ პერსევალის „აწ რაღასა იქმ, პატარა კაცო"? (ჰანს ფალადას ცნობილი რომანის ეპიკური ვერსია მიუნხენის თეატრში „კამერშპილე").

იმისთვის, რომ მარტალერის სპექტაკლი გვენახა, ბერლინის გაუქმებულ აეროპორტში, „ტემპელჰოფში" მოგვიწია გამგზავრება. ეს ერთადერთი გამონაკლისია, რომელიც ფესტივალის დირექციამ სცენოგრაფისა თუ რეჟისორის „ახირების" გამო დაუშვა. საქმე ისაა, რომ უზარმაზარი სივრცე, და მასშტაბი რაც სპექტაკლს სჭირდება, მოქცეულია 30-იანი წლების არქიტექტურულ გარემოში. ამდენად, საგანგებოდ აგებული სცენა ჰიტლერის დროინდელ აეროპორტის ტერიტორიაზე (სადაც, სხვათა შორის, დიდი ვნებათაღელვის შემდეგ ქალაქის პარკი გააშენეს), კრიტიკოსების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა.

მარტალერი მისთვის ჩვეული, ელეგანტური ირონიით ასახავს სასაცილო, ძველმოდური და უცნაური ადამიანების დრამას გასული საუკუნის 50-იანი წლების ავეჯისა და ძველმანების ფონზე. შტეფანი კარპის ტექსტში თითქოს, ჩეხოვი და ბეკეტი შეაჯვარესო... სპექტაკლის მსვლელობისას ხვდებით, რომ ეს რითმა მოულოდნელი სულაც არ არის და უსარგებლო ადამიანები ძველმანი ავეჯის ბედს იზიარებენ: ფინალში, ფინანსური კრიზისის გამო, ისინი ბინებიდან პატარა საავტომობილო ფარეხებში გადასახლდებიან და, „Bee Gees"-ის მუსიკალური კომპოზიციის ფონზე, თავდავიწყებით თუ თავგანწირვით ეძლევიან ცეკვას. მარტალერის პერსონაჟები თითქოს ჩებუტიკინის ფრაზას ეხმიანებიან ჩეხოვის პიესიდან „სამი და", – „ყველაფერი სულერთია!"

რაღაც თვალსაზრისით, მარტალერის სპექტაკლი მწერებზე დაკვირვებას ჰგავს, რაც უფრო რეჟისორის „მეცნიერული" ინტერესითაა გამოწვეული, ვიდრე განსაკუთრებული ფლექსიდურობით ან თანაგრძნობით. მარტალერის თანამოაზრეები – სცენოგრაფი ანა ფიბროკი და დრამატურგი შტეფანი კარპი ქმნიან სამყაროს, რომელშიც რეჟისორის სტილს შეუცდომლად ამოიცნობთ. ისევე, როგორც არასოდეს აგერევათ, ვთქვათ, სტურუას

„ბინძურები, ცუდები და ბოროტები“

„კაზიმირი და კაროლინა“

„ფული და სიყვარული“

სპექტაკლის ნებისმიერი ფრაგმენტი უილსონის ლეთარგიულ რიტმსა და განათებაში, ან პეტერ შტაინის პოეტური რეალიზმი კრისტიან ლუპას ფხიზელ აბსურდში.

მთელ ფესტივალს წითელ ზოლად გასდევდა სოციალური თეატრის კონტექსტი, მაგალითად – რეჟისორ იოჰან სიმონსის სპექტაკლში „კაზიმირი და კაროლინა“. პიესის ავტორი, ბუდაპეშტში დაბადებული და შემდგომ ავსტრიასა და საფრანგეთში მცხოვრები ებრაელი დრამატურგი, ოდონ ფონ ჰორვატი დღეს თითქმის საკულტო ფიგურაა ევროპულ თეატრში. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიესა „კაზიმირი და კაროლინა“ 30-იანი წლების დასაწყისში დაიწერა, როცა ნაცისტები ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადებოდნენ და ავტორი ამ ყველაფერს საკუთარ ტყავზე გრძნობდა.

ამავე პერიოდში წერს ანტიფაშისტურ პიესა-ალეგორიას „ვენის ტყის სიზმრები“, რის გამოც იძულებული გახდა, ვენიდან პარიზში გადახვეწილიყო. მალე მისი წიგნები ნაცისტებმა კოცონებზე დაწვეს, ხოლო დიდი ხნის განმავლობაში დრამატურგის გვარი საერთოდ არ ჩანდა თეატრების აფიშებზე. იგი ორმოცი წლისაც არ იყო, როცა გარდაიცვალა. დღეს, პოლიტიკური კატაკლიზმების ჟამს, როცა ეკონომიკური კრიზისი დამცინავად არყევს სტაბილური ევროპული საზოგადოების კეთილდღეობას, „კაზიმირი და კაროლინა“ თითქოს წინასწარმეტყველებას ჰგავს; ხოლო 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს პიესა გერმანიაში, უნგრეთსა და ავსტრიაში პოპულარობით შექსპირსა და ბრეხტსაც კი უსწრებს.

პიესის მოქმედება ბავარიაში ლუდის ფესტივალ „ოკტობერფესტის“ დროს მიმდინარეობს. მოკრძალებული მეძავები და სტაჟიანი ქურდები, შემთხვევით გამდიდრებული და შემთხვევით გაღარიბებული მილიონერები, დაცემულები და აღზევებულები, ლუმპენები და დამწყები ნაცისტები... – მთელი ეს სოციალური გალერეა რეჟისორს, ნაბახუსევზე, ლუდის ფესტივალის შემდეგ აქვს წარმოდგენილი. როცა ირკვევა, რომ პოლიტიკური ვითარება სიმთვრალემდე და სიმთვრალის შემდეგ საზოგადოებაში შეიცვალა და რომ ყველაფერს „ყავისფერი ჭირის“ ელფერი დაედო.

ბრჭყვიალა საავტომობილო რეკლამების ფონზე, ერთ დღეში ადამიანმა შეიძლება ყველაფერი დაკარგოს ან იყიდოს. სოციალური სიშლეგე გადამდებია და ნათელი ხდება, რომ წესრიგის დამყარება აუცილებელია; რომ ლუდის სმისა და ღრეობის შემდეგ ცარიელი და ჭუჭყიანი მაგიდები ვიღაცამ უნდა აალაგოს; და ეს „ვიღაც“ გუშინდელი ჩამშვებები, ანუ დღევანდელი ნაცისტები არიან. მაყურებელი ყოველგვარი ღირებულებების მსხვრევის მოწმეა და ხედავს, თუ რა მოკლე დროა საჭირო იმისთვის, რომ „პატარა ადამიანი“ ურჩხულად იქცეს.

>>> გაგრძელება გვ. 98

მთავარია ცნობისმოყვარეობა

საუბარი ლევან გიგინეიშვილთან

ავტორი: თამარ ბაბუაძე
ფოტო: დავით მესხი, ლევან გიგინეიშვილის პირადი არქივი

ლევან, თქვენთან საუბარი განათლებაზე ერთი რამის გამოა მნიშვნელოვანი – საკუთარ თავზე გაქვთ გამოცდილი საბჭოთა განათლების სისტემა, გახსოვთ განათლების რეფორმის პირველი ცდები დამოუკიდებელ საქართველოში და, უკვე წლებია, ამერიკულ აკადემიაში ასწავლით, ანუ საქართველოში – ამერიკული მეთოდებით. დღეს, როდესაც წარსულში დარჩა განათლების საბჭოთა სისტემა, როგორ აფასებთ მას?

თუ სწავლა-განათლება საბჭოთა სისტემაში დავიწყე, შემიძლია ვთქვა, რომ ამით მხოლოდ გამიმართლა, რადგან ახლა სრული სპექტრი მაქვს შექმნილი; შემდეგ გამოვიარე განათლების გარდამავალი პერიოდიც და ვიცი თანამედროვე განათლების სისტემაც. საბჭოთა განათლება მარტივად შეიძლება შეფასდეს – გვაძლევდნენ ბევრ და ფუჭ ცოდნას. ამ სისტემაში ძალიან ბუნდოვანი იყო კავშირი სკოლასა და ცხოვრებას შორის, ის, რასაც დასავლურ განათლების სისტემებში ერქვა კონკრეტული, პრაქტიკული განათლება, ჩვენთან არ არსებობდა.

ჩემი მშობლები იმ ფენას ეკუთვნოდნენ, რომელსაც საბჭოთა დროს ტექნიკურ ინტელიგენციას ეძახდნენ და ხელფასით ცხოვრობდნენ. ვთამაშობდი ჩოგბურთს და ეს მომწონდა, მაგრამ ეს ვერ გახდებოდა ჩემი პროფესია, რადგან ჩოგბურთი, როგორც პროფესიონალური სპორტი, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო, ამიტომ მეც იმ წრეში უნდა ჩავწერილიყავი, რომელსაც მშობლები წარმოადგენდნენ. ვიზუთხავდი საგნებს, რომლებიც ნაკლებად მაინტერესებდა და გული ვერაფრით დავუდე – ფიზიკას, ქიმიას, მათემატიკას. ვიცოდი, რომ ყველა საგანი უნდა მესწავლა, თან ოჯახშიც ყველა ტექნიკური განათლებით მყავდა და არცოდნა სირცხვილი იყო. საკონტროლომდე ვიზეპირებდი წესებს, როგორ ამომეხსნა განტოლება, როგორ გამომეყენებინა ფიზიკის ესა თუ ის ფორმულა, დავწერდი საკონტროლოს, შეიძლება ოთხიანზეც, მაგრამ მერე ყველაფერი მავიწყდებოდა, არც ვიცოდი რაში გამომადგებოდა.

რისთვის სჭირდებოდა სახელმწიფოს ადამიანი ასეთი განათლებით? ფორმა გასაგებია, მაგრამ რა იდო ამ სისტემის ჩანაფიქრში – როგორი სახელმწიფო უნდა აეშენებინა ამ განათლების მქონე მოქალაქეს?

თვითონ სახელმწიფო იყო სტაგნაციურ მოდელზე შექმნილი. ეს იყო გარემო, სადაც თითქმის არ რჩებოდა სივრცე მოქალაქის პირადი ინიციატივისთვის. იდეა ასეთი იყო – როცა ამთავრებდი რაღაც ფაკულტეტს, ვთქვათ საინჟინროს, სახელმწიფო თვითონ განაწილებდა შესაბამის სამსახურში – უნდა წასულიყავი იქ, სადაც ის ჩათვლიდა საჭიროდ. როგორც მო-

ქალაქე მეტად პასიური იყავი, მაგრამ გქონდა უფრო მეტი უსაფრთხოების განცდა, ვიდრე დღესაა – ხელფასი მექნება, შიმშილით არ მოვკვდები, ესეც საკმარისია. ვისაც უნდოდა, ფული ეშოვა, რამდენიმე გზა ჰქონდა, გამხდარიყო საქმოსანი, რაც თავის მხრივ, დასაძრახი სოციალური სტატუსი იყო. მაშინ ბიზნესმენობას ერქვა სპეკულანტობა და ეს ერთგვარი იარლიყივით იყო.

ეს უსაფრთხოების განცდა, როცა სახელმწიფო გაძლევს მინიმალური კმაყოფილების გარანტიას, მთავარი კომფორტი იყო იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც საბჭოთა საგანმანათლებლო დაწესებულებები ზრდიდა. კომფორტს ქმნიდა კონკურენციის არარსებობა და მდგომარეობა, როცა არ არის ციებ-ცხელება, ვაითუ წარმატებას ვერ მივაღწიო, ვაითუ გავირიყო ცხოვრებიდან. ჩემთვის ყველაზე კარგად ამ განათლების მქონე ადამიანების ცხოვრებას „ცისფერი მთები“ აღწერს – გაურკვეველი დანიშნულების ორგანიზაცია, რომელსაც არ აქვს არანაირი ხედვა, რომელიც დაკომპლექტებულია მაშინ განათლებამიღებული ადამიანებით, რომლებიც პრინციპში არაფერს აკეთებენ და ხელფასს კი მაინც იღებენ.

ხელფასზე არც მე ვფიქრობდი, მით უმეტეს – მაშინ, როცა სკოლას ვამთავრებდი. რატომღაც მეგონა, რომ საბჭოთა კავშირი არის და იქნება, მთელი თავისი გარანტიებით. არ მეგონა, რომ დაიშლებოდა. ეს რაღაც უცბად მოხდა. პროფესიის არჩევის დროს გავითვალისწინე ის, რაც მიყვარდა და მიზიდავდა – კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტი, რომელსაც, ჩემი წარმოდგენით, ძალიან საინტერესო სამყაროში უნდა შევეყვანე. ვოცნებობდი, ორიგინალში წამეკითხა ჰომეროსი და გამევლო კავშირი ძველ სამყაროებსა და თანამედროვეობას შორის.

თუკი თქვენთვის საბჭოთა კავშირის დასასრული არ იყო ასეთი ცხადი, იქნებ, ისიც ამის ბრალი იყო, რომ საგანმანათლებლო სისტემა კვლავ ძველებურად იდეოლოგიზირებული რჩებოდა, ისეთი, როგორიც – საბჭოთა კავშირის შუა პერიოდში?

არა, ჩემ დროს უკვე ჩანდა, რომ ეს იდეოლოგია მოიცვითა, უბრალოდ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასე მალე მოეღებოდა ბოლო. საბჭოთა იდეები რომ მოძველდა, ეს ყოველდღიურობაშიც შესამჩნევი იყო – მაგალითად, სოლჟენიცინი იბეჭდებოდა და სახლში გვქონდა, თითქოს საბჭოთა მძლავრი იდეოლოგია მხოლოდ პროპაგანდისტულ პლაკატებზე რჩებოდა. ეს ხილული იყო სკოლაშიც – ისტორიის მასწავლებელი გვაძლევდა კლასგარეშე მასალას, რომელშიც ანტისაბჭოთა ქვეტექსტები იკითხებოდა. გვიკითხავდნენ აკაკის იმ ლექსებს, მანამდე რომ აკრძალული იყო. ამიტომ, შემიძლია ვთქვა, რომ 1980-იანი წლების ბოლოს მასწავლებლები გაცილებით უფრო თავისუფლები იყვნენ. ჩემი ქართულის მასწავლებელი ცისანა კანკავა, მაგალითად, ძალიან რელიგიური ქალი იყო. ჰაგიოგრაფიას არა ათეისტური არამედ ძალიან რელიგიური პერსპექტივით გვასწავლიდა.

თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იდეოლოგიური მანქანა ბოლომდე გამოსული იყო მწყობრიდან – მაშინ ხომ ჯერ კიდევ გვასწავლიდნენ იმას, რომ, ვთქვათ, პლატონი რეაქციონერია. ჰაგიოგრაფიის რელიგიური პერსპექტივით წაკითხვას კი ამ ფონზე, ნამდვილად ჰქონდა თავისი რომანტიზმი და აკრძალული ხილის ხიბლი... თუმცა, შეიძლება ჩემს ასეთ მოგონებებს 1980-იანი წლების ქართული სკოლის შესახებ ისიც განაპირობებს, რომ ჩემი სკოლა შალვა ამონაშვილის ექსპერიმენტში იყო ჩართული. მახსოვს, ექსპერიმენტულ პროექტში ისე ჩავერთე, მშობლებისთვის არ მიკითხავს და, რა თქმა უნდა, ჰუმანიტარული პროფილი ავირჩიე. შეიძლება ამ პროექტის დამსახურებაცაა ის, რომ ჩემი წარმოდგენით, 1980-იანი წლების ბოლოს სკოლის მასწავლებლები ცდილობდნენ, გაკვეთილებზე თავისუფალი სააზროვნო სივრცე შეექმნათ. მაგალითად, მახსოვს, ერთხელ ქართულის მასწავლებელმა ძალიან ექსტრავაგანტული ავტორი დამისახელა, – რუდოლფ შტაინერი, წაიკითხეო. ამიტომ ასე შემიძლია, ვთქვა – მასწავლებლები არა, მაგრამ სახელმძღვანელოები კი ნამდვილად ბოლომდე იდეოლოგიზირებული იყო. თითოეული პარაგრაფი იმდენად სწორხაზოვნად იყო დაწერილი, ვალდებული იყავი, მხოლოდ ერთი მიმართულებით გეფიქრა. ამიტომ, რაც

უნდა კარგი მასწავლებელი გყოლოდა, ასეთი სახელმძღვანელო მაინც ასვამდა დაღს მოსწავლეს; გეშინოდა, წიგნში თუ ამდენმა ავტორმა დაწერა ასე და შენ სხვანაირი აზრი გაგიჩნდა, ეს არ შეიძლება.

ამავე სახელმძღვანელოებში ჯერ კიდევ აქტიური იყო მტრის ხატის იდეა? ჰქონდა თუ არა ამას თქვენზე გავლენა?

შეუძლებელია, ასე კარგად ჩამოყალიბებული იდეოლოგიური მანქანა დაღს არ გასვამდეს. ის სტერეოტიპი, რომ გერმანელები ცუდები არიან, რომ გერმანელი და ფაშისტი იდენტური ცნებებია, კარგა ხანს გამყვა. ვიდრე გოეთეს და თომას მანს არ წაიკითხავდი, სხვაობას ამ ცნებებს შორის ვერ გაიგებდი. იდეოლოგიურ წნეხს მაშინ ყველანი განვიცდიდით, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დასასრულამდე სულ ცოტა იყო დარჩენილი. ჯერ კიდევ გვაზეპირებინებდნენ სქემებს, რომ კაპიტალისტური ფორმაცია აუცილებლად შეიცვლება სოციალიზმით. ამიტომ ჩვენ უფრო წინ ვართ, რადგან ჩვენ უკვე ვაშენებთ სოციალიზმს. ამ მარტივ იდეოლოგიურ სქემებს რომ დაპირისპირებოდი და სხვაგვარი წარმოდგენა შეგქმნოდა სამყაროზე, საკმაო გამბედაობა იყო საჭირო და მრავალფეროვანი მასალის კითხვაც. მე ეს მშველოდა. ბოლო პერიოდში გამოჩნდა ისეთი პერიოდიკაც, სადაც ალტერნატიული აზრები იწერებოდა. 1987-88 წლებში სულ ვკითხულობდი „ლიტერატურნაია გაზეტას“, „ოგონიოკს“ – ვყლაპავდით ყველაფერ ალტერნატიულს, რაც კი იწერებოდა. აკაკი ბაქრაძის ლექციებს ვესწრებოდი და საბჭოთა მოქალაქედ ნამდვილად ველარ ვხედავდი თავს.

> მასწავლებელს თვითონ უნდა აინტერესებდეს ის, რასაც ასწავლის და უნდა ჰქონდეს უნარი, თავისი ცნობისმოყვარეობა გადასდოს სტუდენტს. მასწავლებლობა ნიშნავს იმას, რომ შენც მუდმივად სწავლობ. ამ პროცესის გავლის გარეშე, მასწავლებელი არ უნდა იყო.

მეათე კლასში ვიყავი, როცა თენგიზ აბულაძის „მონანიება“ გამოვიდა. მახსოვს, პრემიერის შემდეგ კლასში როგორი დებატები გაიმართა. გულუბრყვილოდ ვმსჯელობდით, მაგრამ ცხარედ. ემოციურად ვამტკიცებდით, რომ საბჭოთა კავშირი არ იყო კეთილი ქვეყანა და სხვადასხვა ბოროტებებიც ჰქონდა ჩადენილი. ისტორიის მასწავლებელი და ერთი ბიჭი იცავდა მხოლოდ საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა პატრიოტიზმი თითქმის არც ერთ ჩემს თანატოლს არ ჰქონდა, ეს უფრო ნაციონალური, ქართული პატრიოტიზმი იყო. მახსოვს, ჩემი სკოლა კ.დ. უშინსკის სახელობის იყო. ჩვენ, მოსწავლეებმა კი, მოვითხოვეთ, გრიგოლ ხანძთელის სახელი დაგვერქმია. ხოლო, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრები ეთამაშებოდა ჰოლანდიის ნაკრებს, მთელი ჩემი ოჯახი ჰოლანდიას გულშემატკივრობდა, ეს 1988 წელს ხდებოდა, ევროპის ჩემპიონატის ფინალში – ვან ბასტენმა რომ დასაევს გოლი გაუტანა, დღესასწაული იდგა ჩემს ოჯახში.

როგორ შეაფასებთ ამონაშვილის ექსპერიმენტს ამ იდეოლოგიზირებულ კონტექსტში, რა მოვლენა იყო ქართულ საბჭოთა სკოლაში ეს და რა შედეგი დატოვა?

მისი დადებითი შედეგი საკუთარ თავზე გამოვცადე. შეგვეძლო, აგვერჩია ან გადავსულიყავით ექსპერიმენტულ კლასში, ან ჩვეულებრივში გაგვეგრძელებინა სწავლა. ჩემი კლასელები, ვინც არ გადმოვიდნენ პროფილურ კლასებში, ბიოლოგიის სქელტანიან წიგნს სწავლობდნენ ორი წლის განმავლობაში. მათ უამრავი დრო დახარჯეს იმაში, რაც არ აინტერესებდათ, მე კი მომეცა შანსი, იგივე წიგნი მოკლე დროში გამევლო, სამაგიეროდ მეტი დრო დამეთმო ჩემთვის საინტერესო საგნების სწავლისთვის.

ერთი ფრაზა მახსოვს ბიოლოგიის წიგნიდან „ატფ-ის სინთეზი ხდება მიტოქონდრიების კრესტებზე“ – რას ნიშნავს, დღემდე არ ვიცი, მაგრამ ეს ფრაზა გამოდგება, როგორც მაშინდელი სასკოლო სისტემის შეფასება: საზეპირო თუ იცოდი, ესე იგი გაკვეთილიც იცოდი, საზეპიროს ცოდნას გვთხოვდნენ მათემატიკაშიც კი. ამონაშვილის პროექტი კი სწორედ ამის საპირისპირო გახლდათ – მისი მიზანი იყო, გონება გახსნოდა ბავშვს და ის ესწავლა, რაშიც თავისი თავი და მომავალი წარმოედგინა. ჩემი პირადი გამოცდილებით, ეს მიდგომა კარგი იყო, განსაკუთრებით საერთო ფონზე, მაგრამ მერე გული დამწყდა იმაზეც, რომ სხვა საგნები ვერ ვისწავლე სათანადოდ.

როდის ჩაერთეთ განათლების სისტემის ცვლილებებში და როდის გაჩნდა წყალგამყოფი საბჭოთასა და ახლანდელ სისტემებს შორის?

პერიოდი, რომელსაც შეიძლება სისტემებს შორის გარდამავალი დრო ვუწოდოთ, მე საზღვარგარეთ გავატარე. ფაქტობრივად, შვიდი წელი ვიცხოვრე უცხოეთში, ჯერ – ევროპაში, შემდეგ ამერიკაში და მათი განათლების სისტემებს შორის შედარების საშუალებაც მომეცა. მაგალითად, ბელგიაში, სადაც ერთი წელი ვსწავლობდი, ე.წ. გერმანული სისტემა იყო, როცა ლექტორი ბოლომდე კითხულობს ლექციას და მერე გიტოვებს რამდენიმე წუთს, რომ შეკითხვები დაუსვა; ასეთი სისტემა ძალიან განსხვავდებოდა იმ მეთოდიკისგან, რაც ჰარვარდში ვნახე, სადაც ლექციები ძალიან ცოცხლად და ინტერაქტიულად ტარდებოდა.

ჩვენს სასწავლებლებში არჩევითი საგნები მას შემდეგ დაინერგა, რაც საქართველოში დავბრუნდი. ეს დიდი ძვრა იყო, რადგან მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საშუალება, აირჩიოს რაში სურს დროის დახარჯვა, მას უნდა მისცე გარემო, რომ რაციონალურად მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი მომავალი პროფესიის შესახებ. ბოლონიის პროცესის იდეაც ეს არის, რომ განათლება გახადოს პრაქტიკული და ბაზარზე ორიენტირებული. თუმცა, ჩვენთან ბოლონიის პროცესში რეალური ჩაწერა არ ხდება, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ დიდი წყვეტაა მიღებულ განათლებასა და რეალურ ბაზარს შორის.

>>> გაგრძელება გვ. 99



შალვა ფანცულაია და ეფემერა პროდუქციის წინაალმდეგ

ავტორი: დავით ჩიხლაძე
ფოტო: გურამ წიბახაშვილი

1989 წელს თბილისში გამართულ „დე მუსიკის“ კონცერტზე ვენტილატორები და გიტარები ერთად უკრავდნენ. ეკრანზე კი რომელიღაც საბჭოთა მულტფილმის კურდღელი დაუღლელად იმეორებდა ერთსა და იმავე წრეს საკუთარი მოტოციკლეტით. საბჭოთა კავშირი დასასრულისკენ მიექანებოდა და მასში შემავალი ერთი ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებლობისთვის ერთიანად იბრძოდა, იქ, იმ დარბაზში უდარდელი და უკვე მთლიანად თავისუფალი ჩანდა. თუმცა, თავისუფლების ხორცშესხმა ცხოვრებაში ისე ადვილად არ ხდება, მეოცნებე სულს რომ წარმოუდგენია. ამ წერილში ერთი მათგანი მინდა გავიხსენოთ, ვინც მართლაც სულივით თუ ეფემერასავით გადაუფრინა ქალაქს და საკუთარი უდარდელობით ახალი ცხოვრების მოულოდნელობები გვამცნო.

80-იანი წლების მეორე ნახევარი საქართველოსთვის გარდასახვებისა და ცვლილებების დასაწყისი აღმოჩნდა. თუნდაც ის, რომ საქართველოში, მგონი, პირველად შემოვიდა ე.წ. „მშრალი კანონი“ – კვირაობით მაღაზიაში სპირტიან სასმელს ვეღარ შეიძენდით, ხოლო დანარჩენ დღეებში ლუდის საყიდლად დილის 11 საათს უნდა დალოდებოდით. საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო – 3-4-საათიანი რიგები იდგა ვაშლის ღვინის „ბელი აისტის“ ან სიდრის საყიდლად, სადაც არც ადამიანის გაჭყლეტა იყო იშვიათი მოვლენა. იყო პერიოდები, როცა უფილტრო სიგარეტიც დეფიციტი გახდებოდა ხოლმე, მერე კი უცბად ჩეხური ან პოლონური ლუდის პარტია შემოვიდოდა და თბილისში ყველამ იცოდა, რომ გასტრონომებისა და სასურსათო მაღაზიების დახლქვეშ აუცილებლად ექნებოდათ გადამალული.

ადამიანი, ვისი ისტორიის გახსენებაც დღეს გადავწყვიტეთ, სწორედ ამ კანონთან არის ყველაზე მეტად

დაკავშირებული. არა, მას ეს კანონი არ შემოუღია. არც მისი მსხვერპლი გამხდარა. მან ეს კანონი და მასთან დაკავშირებული ეიფორია შემოქმედებითად გამოიყენა, და შექმნა თავშესაფარი ადამიანებისთვის, ვისაც მომავალი ჯერ კიდევ ახალი კულტურისა და ცნობიერების თავისუფლების ეპოქად ესახებოდა.

არ ვიცი, ამ ყველაფერს იგივე ხიბლი ჰქონდა თუ არა, როგორც გახმაურებული „მშრალი კანონის“ პერიოდს ამერიკაში, მაგრამ 80-იანი წლების თბილისში ცხოვრება გაცილებით დაუგეგმავი, სპონტანური და საინტერესო გახდა. თბილისი ადრეც იყო „სტილიაგური“, ნებისმიერი ჯგუფის ვინილებს შეიძენდით 50 მანეთად, „რეროს“ ბას-გიტარისტს სოსო კომალოვს რიკენბეკერის ბას გიტარა ჰქონდა, ბაჩი ქიტიაშვილი 70-იან წლებში ჰარდ როკს უკრავდა ქარხნებისა და ფაბრიკების კლუბებში. თბილისში მოეწყო ჯაზის და როკის პირველი ფესტივალები, ხოლო ევგენი მაჭავარიანმა საკუთარ სატელევიზიო გადაცემაში „ეს ესტრადაა“ (სახელწოდება შესანიღბად იყო საჭირო) დასავლეთის პოპ სცენის ბევრი ვარსკვლავი პირველად გვაჩვენა.

მაგრამ ამჯერად რაღაც კიდევ უფრო გაბედულის და ახლის მოლოდინი იგრძნობოდა. 1985-ში ბობ დილანი და ალენ გინზბერგი ჩამოვიდნენ თბილისში. საპატიო სტუმრები მწერალთა კავშირის შენობაში წაიყვანეს. მათ სანახავად გარეთ შეკრებილ ხალხს მილიცია აკავებდა. შენობაში მარტო ნომენკლატურას შეეძლო შესვლა. მართალია, ეს დაუგეგმავი ვიზიტი ჩვენს პრესაში არც კი აღნიშნულა, მაგრამ ერთი მეგობარი ჟურნალისტი, რომელიც მაშინ „ტასს“-ის კორესპონდენტი იყო, ამ ჩაკეტილ შეხვედრაზე მოხვდა და გინზბერგისგან ინტერვიუს აღებაც გადაწყვიტა. ინტერვიუ ჩაიშალა, იმ მიზეზით, რომ გინზბერგმა, როდესაც ჰკითხეს, თუ როგორ მოეწონა თბილისი, უპასუხა, – მე ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მათ შორის ეგზოტიკურ ქვეყნებში, ბევრი უფრო ეგზოტიკურია, თუ ამას გულისხმობთო. მერე კი, თურმე მობრუნებია და უკვე თვითონ უკითხავს ჟურნალისტისთვის, – თქვენთან ჰომოსექსუალები თუ არიანო? ამაზე კორესპონდენტი დაიბნა, კომუნისტების დრო იყო, ალბათ „კაგებე“-ს წარმომადგენელიც იქვე იქნებოდა და რა უნდა ეთქვა. მაშინ, – განაგრძო ისევ გინზბერგმა, – არ არსებობს ქვეყანა, სადაც ისინი არ არიან, და თუ ამაზე ვერ ლაპარაკობთ, თქვენთან დემოკრატია არ არის და მე ინტერვიუს გაგრძელებას აღარ ვაპირებო.

ეს ამბავი იმ მიზეზის გამო გავიხსენე, რომ თუ ბიტნიკების ან პოსტ-ბიტნიკების კულტურაზე საქართველოში შეგვიძლია ვილაპარაკოთ, მაშინ პირველ რიგში შალვა ფანცულაია გაგვახსენდება. რუსულენოვანი პოეტი შალვა ფანცულაია მერეც, თითქმის სიცოცხლის ბოლომდე იხსენებდა ამ შემთხვევას და თავისი მეგობრების უცვლელ წრეში, სუფრაზე იმ ჟურნალისტთან ერთად გულიანად იცინოდა ხოლმე. ზოგჯერ კი სამართლიანად წყრებოდა, იმიტომ, რომ მას ეზარებოდა ამერიკაში წასვლა და უნდოდა, რომ ამერიკა აქაც ყოფილიყო.

ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ – ეს იყო ბიტნიკების დევიზი, როდესაც ისეთი საგნები, როგორიცაა კარიერა და პრაგმატიზმი, საფუძველშივე მიუღებელი ცნებებია. ყველაფერი კი, გარკვეულწილად, დაკავშირებული იყო რელიგიურ-მისტიკურ იდეოლოგიასთან, უფრო აღმოსავლურთან, ვთქვათ, ოშოსთან ან ტრანსცენდენტურ მედიტაციასთან, რაც იმ დროს გავრცელდა და რაც ასევე ყოველგვარი ქონებისა და ე.წ. მიწიერი საუნჯის წინააღმდეგი იყო. ეს მოწოდებები არა მხოლოდ მატერიალურსა და მიწიერს შეეხებოდა – თვით სულიერი ღირებულებებიც სპონტანური და თავისუფალი უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად, ასეთი სულიერებაც და რელიგიურობაც უარეს ტვირთად და ამპარტავნულ ქონებად გამოჩნდებოდა. იმ დროს გამოჩენილმა ტიბეტელმა გურუმ, ჩოგიამ ტრუნგპამ ტერმინებიც კი შექმნა – „სულიერი მატერიალიზმი“ და „სულიერი ტურიზმი“ – ანუ როდესაც ადამიანი საკუთარი სულიერებით ამაყობს ანდა სხვადასხვა რელიგიების გარეგნულ ცვლაში ეძებს უპირატესობას.

არა, შალვა ფანცულაია ოშოისტი არ ყოფილა. არ ვიცი, რამდენად იციან დღევანდელმა ქართველმა ახალგაზრდა ჰიპსტერებმა ოშოსა და, ზოგადად, მედიტაციის შესახებ რამე. შეიძლება ეს ყველაფერი მათ სულაც დიზაინისთვის სჭირდებათ. შალვა ფანცულაიასთვის კი თავისუფლება დიზაინად არასოდეს ქცეულა, არც ეგზოტიკური მიმდინარეობები სჭირდებოდა. მისთვის ცოცხალი პოეზია და თავისუფლება იყო მთავარი.

შალვასთვის მშვენიერება პოეტურ ნადიმში იყო, სწორედ ისეთ პოეტურ ლხინში, პლატონმა საუკუნეების წინ მიუღებლად რომ მიიჩნია კეთილშობილი საზოგადოებისთვის. მაგრამ პლატონს ტყუილად მიაჩნდა პოეტები თავისუფლებისთვის საშიშ ანგელოზებად. განა ისინი ნაკლებად აგროვებენ ქონებას?! – შეიძლება, უფრო უხილავს და შეუმჩნეველსაც კი – ისინი ხომ საუკეთესო, დახვეწილი, პატრიოტული და ამაღლებული ადამიანები არიან. შალვა ფანცულაიას



სახლში, ბაქოს ქუჩაზე, ისევე როგორც მე-17 საუკუნის იაპონური ჰაიკუს კოლექტიურ პოეტურ სესიაზე, ყველას შეეძლო პოეტი ყოფილიყო, თუნდაც მხოლოდ 2 სიტყვა ეთქვა, არაპოლიტიკური თავისუფლებისა და სიყვარულისკენ მიმართული. რუსი ვენედიქტ ეროფეევის მსგავსად, შალვა დისიდენტი ან მისტიკოსი არ ყოფილა, ის ალკოჰოლიკი იყო. ყოველ შემთხვევაში, თავიდან თამაშობდა და მერე კი მართლა იქცა ასეთად. საერთოდ, რასაც თამაშობ, ის ხდები და შალვა ფანცულაიამაც ალკოჰოლური ჯადოქრობის ნათელი, მაგრამ სევდიანი მაგალითი გვიჩვენა – ის 41 წლის გარდაიცვალა.

პლატონი ერთ რამეში არ ცდებოდა – თუ საერთოდ ბოჰემაზე, უფრო კი კულტურულ ანდერგრაუნდზეა საუბარი, ეს აუცილებლად პოეზიას და პოეტებს ეხებათ. წარმოუდგენელია მუსიკის, მხატვრობის ან ქორეოგრაფიის ანდერგრაუნდი, როდესაც არსებობს გუგენჰაიმის მუზეუმი ან გაგოსიანის თუ ტეიტ გალერეები. ამ სფეროებში თუ დღეს ანდერგრაუნდში ხარ, დაუწერელი კანონებით მაინც ნაკლებად წარმატებულად ითვლები. პოეტების შემთხვევაში კი, ანდერგრაუნდი ყოველთვის გასაგებია – ისინი ყოველთვის ბოჰემას წარმოადგენენ და უტოპიას ქმნიან, რომელიც სადღაც, რომელიღაც განზომილებაში არსებობს. და როდესაც პოეზიაში ისტაბლიშმენტის ინსტიტუტები არ არის, პოეტს ან გამორჩეული რედაქტორი ადგენს, ანდა ადამიანური განდიდების წყურვილისაგან მისი თავისუფლების ხარისხი.

შალვა ფანცულაია პოეტი სწორედ ამ მეორე თვისების გამო გახდა. ამიტომაც, ვიღაც ყოველთვის იტყვის, რომ შალვა ფანცულაია არც პოეტი იყო, და ის რაღაც თვალსაზრისით „მართალიც“ იქნება. შალვას პოეტობა აინტერესებდა, მაგრამ თან ეს მისთვის სულერთიც იყო. მან პოეზიით დაიწყო და მერე სამუდამოდ დარჩა ბოჰემაში. მან სულ რამდენიმე რითმიანი ლექსი დაბეჭდა „ვეჩერნი ტბილისში“ და გამომცემლობა „მერანში“, იმდროინდელი რუსულენოვანი ალმანახის „დომ პოდ ჩინარამი“ ერთ-ერთ ნომერში, 80-იანების შუა პერიოდში. შემდეგ მუსიკამ გაიტაცა, რაც ბოლოს ჰარდ როკის ლეგენდარული ქართული ჯგუფის „ბერმუხას“ ვოკალისტობით დაგვირგვინდა.

შალვა ფანცულაიას სახელი სუბკულტურაში დღეს ბევრმა იცის, ბევრს კი არც გაუგია, ან უკვე დაავიწყდა. ვიღას ახსოვს 1980 წელს სასწრაფო დახმარების სადგურში გამართული საახალწლო კონცერტი, სადაც ის მაშინ ჯგუფ „ლალეში“ მღეროდა და იქ „გრანდ ფანკ რეილროუდის“ ჰიტს „ჰარტბრეიკერს“ ასრულებდა, ანდა სანზონაში, მგონი, ტექსტლის ფაბრიკაში გამართული კონცერტი.

>>> გაგრძელება გვ. 101

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტატია ქვეყნდება პროექტის „განსაბჭოება“ ფარგლებში. პროექტის მხარდამჭერია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“.

ავტორის მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ამხანაგი როტენბერგი

ავტორი: მიხაილ ზოშჩენკო
რუსულიდან თარგმნა ანა კორძაია-სამადაშვილმა

მიხაილ ზოშჩენკო



ეს ამბავი ამოვიკითხე წიგნში, რომელსაც „სტალინის სახელობის არხი“ ჰქვია. წიგნი გამოცემულია 1934 წელს. მისი რედაქტორები არიან მ. გორკი, ლ. ლ. ავერბახი და ს. გ. ფირინი. წიგნი 36 მწერლის კოლექტიური შრომის ნაყოფია. პირველსავე გვერდზე ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ „წიგნის ტექსტზე ყველა ავტორი აგებს პასუხს“.

ამან მომხიბლა.

მოვიხიბლე იმითაც, რომ ქვემოთ მოყვანილ ტექსტს ავტორი მაინც ჰყავს, თუმცა, ნახევრად უსახელო – მ. ზოშჩენკო.

ტექსტის სახელწოდება მთლად წარმტაცია: „ერთი...“

აი, აქ ვიჭედები, რადგან თარგმნა სიტყვისა перековка არ ხერხდება.

გადაჭედვა?

ვითომ, მოგწონთ?

მე – არა.

ამიტომ „ამხანაგი როტენბერგი“ დავარქვი, ავტორისეული შესავალი ნაწილის სახელი. მაინცდამაინც ესეც არ მომწონს, მაგრამ „გადაჭედვას“ ხომ მაინც ჯობია.

ტექსტი კი მომწონს და ამიტომაც ვთარგმნე. დიდი სერიალის მასალაა, მე მგონი, ძალიან დინამიური და სულშიჩამწვდომი. ერთადერთი... აი, ისევ გავიჭედე, რადგან ეს პროპაგანდისტული ნაწარმოები თავისი ცინიზმით ყოველგვარ ზღვარს სცილდება და მაინც შესანიშნავია.

ავტორი, მ. ზოშჩენკო – აი, ის მ. ზოშჩენკო, მე რომ საბჭოეთის მსხვერპლი და ერთი საწყალი, ნიჭიერი კაცი მეგონა – ჰყვება, რომ არაფერი გამოუგონია, რომ ეს ისტორია თავად მთავარმა გმირმა დაწერა და მან, ანუ მ. ზოშჩენკომ, სტილი სრულად შეუნარჩუნა, გრამატიკული შეცდომები გაუსწორა მხოლოდ. რა გითხრათ, რაც არ ვიცი, არ ვიცი. მე ეს ***История одной перековки*** *მხოლოდ იმის გამო ვთარგმნე, რომ მგონია, რომ გადაჭედვა ყველაზე ცუდი რამაა, რაც ვინმემ ვინმეს შეიძლება გაუკეთოს, და გადამჭედველები ყველაზე ცუდი ხალხია და ისინი, ვისაც გადაჭედავენ, ვერასოდეს გაიხარებენ, და მეტსაც მოგახსენებთ – არ მჯერა, რომ ვინმეს ვინმეს გადაჭედვა შეუძლია. დამტვრევა – კი, გადაჭედვა – არა.*

არ ვიცი, რამდენად შევძელი იმის ახსნა, რაც ამ ტექსტმა დამმართა. ეგებ, რომ წაიკითხავთ, უკეთ გამიგოთ.

პატივისცემით,
ანა კორძაია-სამადაშვილი

ბავშვობა

მე, აბრამ ისააკის ძე როტენბერგი, ტიფლისში დავიბადე. ახლა 40 წლისა ვარ. მამაჩემი თავის ძმასთან მუშად მსახურობდა. ძმა მდიდარი კაცი იყო, მამას კი არაფერი ებადა და თავის უმცროს ძმას მოწიწებით მიმართავდა.

მამას კი ხუთი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდა. მე ყველაზე უფროსი ვიყავი.

დედამ ებრაულ საქველმოქმედო საზოგადოებას მიმაბარა, სადაც უფასოდ ასწავლიდნენ. თავისებურად დიდებული სასწავლებელი იყო, სადაც საუზმედ ღვეზელებს, ადუღებულ რძეს და ფუნთუშებს გვაძლევდნენ.

ხოლო სახლში როცა მივდიოდი, ხშირად არანაირი საჭმელი არ მხვდებოდა.

მამაჩემი ბუნებით მოთამაშე იყო, მთელი დღე დომინოს თამაშობდა და ბოლომდე აგებდა. დედას კი პატარა ბავშვები ჰყავდა, ცხოვრება უჭირდა და ზოგჯერ ასეთი ყოფისგან იტანჯებოდა კიდეც.

მამის ძმა კი, ანუ ბიძაჩემი, უდარდელად და უზრუნველად ცხოვრობდა და მისი შვილები ყოველდღე ყურძენს და ვაშლებს ხეთქავდნენ.

მე მხოლოდ ვუყურებდი და ნერწყვებს ვყლაპავდი.

ჰოდა, ბედზე გავნაწყენდი, სკოლიდან წიგნების და სახელმძღვანელოების მოპარვა დავიწყე, რომ ბუკინისტისთვის მიმეყიდა.

ამ ფულით ჩემთვისაც ვყიდულობდი ნუგბარებს. და ამას როცა ვაკეთებდი, ვფიქრობდი: მე ჩემსას მაინც მივაღწევ.

მაგრამ ამ ულამაზო საქმეზე ჩამავლეს. დაუძახეს დედაჩემს და უთხრეს:

– თქვენი ვაჟი ცუდ საქმეებს აკეთებს. წაიყვანეთ ჩვენი სკოლიდან.

ამის მერე მამამ ჯოხით მცემა, დედა კი ყვიროდა: „აღარ იზამს“.

აი, სკოლაში სიარულიც შევწყვიტე. ბაზრებში სიარული დავიწყე. იქ ყველაფერს ვხედავდი, რისი დანახვაც შეიძლებოდა: როგორ იტყუებიან, როგორ ყიდიან მოპარულ ნივთებს, და რას აკეთებს ხალხი, რომ საჭმლის და უკეთესი ცხოვრების ფული გააკეთოს.

პირველი ნაბიჯები

მაშინ მე, თოთხმეტი წლის ბიჭი, ამ ძნელ გზას დავადექი.

იქ, ბაზარში, ერთ კაცს დავუახლოვდი. მას აკოპი ერქვა. მან მოოქროვილი საათი და ასეთივე სამაჯური მომცა და მითხრა, ისე გაყიდე, ვითომ ნაქურდალიაო. თვითონ ისე იქცეოდა, თითქოს მასაც უნდოდა ყიდვა, მაგრამ მევაჭრებოდა. ეს ვიღაც ხარბმა ბრიყვმა დაინახა, ჩემგან საათი იყიდა და ძალიან გაიხარა.

ამ წარმატების მერე ასეთივე საქმეებს მავალებდნენ. მეც ვაკეთებდი, მაგრამ ჯილდოდ წვრილმანებს მაძლევდნენ. მეუბნებოდნენ: ჩუმად იყავი, თორემ გცემთ, ან სულაც მოგკლავთ. ერთხელ დამაპატიმრეს, მაგრამ ხომ იცოდნენ ბიძაჩემის ფირმის ამბავი,

ამიტომ არავინ დაიჯერა, რომ ასეთ საქმეებს ვაკეთებდი. მომრიგებელმა მოსამართლემ, თავადმა წერეთელმა, მგონი, დაიჯერა, მაგრამ დამცინა, თქვა, როგორი პატარაა და უკვე როგორ თავხედურად და მამაცურად ატყუებს ადამიანებსო. მაშინ გამიშვეს.

მაგრამ მალე სხვა საქმეზე დამიჭირეს.

ერთ პოლკოვნიკს „ოქროს“ საათი ორმოც მანეთად მივყიდე. იმან მითხრა: „თუ კიდევ გექნება, მომიტანე ხოლმე“.

მაგრამ როცა დაინახა, რა საათი იყო, საშინლად გაბრაზდა და პოლიციაში განაცხადა.

მაშინ კი დამიჭირეს და თვე-ნახევრით დამაპატიმრეს.

მამაჩემი ჩემს სანახავად არ მოსულა, დედა კი დადიოდა. მას ძალიან ვუყვარდი და იტანჯებოდა, რომ ციხეში ვიჯექი.

ხოლო როცა გამომიშვეს, ისე მოხდა, რომ მაშინათვე ასეთივე საქმეზე ჩავვარდი. ისევ თვე-ნახევარი მომცეს.

ხოლო როცა გამოვედი და მესამედ ჩავვარდი, მე, როგორც რეციდივისტი, საოლქო სასამართლოში გამიშვეს.

იქ ექვსი თვე მომცეს. მე მეგონა, რომ არ გამიმართლა, რომ ასე ხშირად მიჭერდნენ, მაგრამ მითხრეს, ეს ნორმალური მოვლენაა.

პირველი სიყვარული

მე ძალიან მკვირცხლი ვიყავი და ყოველთვის ბევრს მოვწონდი, და ციხეში აფთიაქში ამიყვანეს, წამლებს ვარიგებდი.

და როცა საკნებში წამლები დამქონდა, ერთი საინტერესო გოგო გავიცანი, ულამაზესი.

იმავე ციხეში იჯდა, დაახლოებით ჩემნაირი საქმეების გამო.

ის ქურდი იყო. მაღაზიებში მუშაობდა.

მას ერთი ნახვით შევუყვარდი და თავისი სიყვარულის შესახებ ბარათი მომწერა.

კაზაკი იყო. ყუბანელი. მას მარია კორნიენკო ერქვა. ის ისეთი ლამაზი იყო, რომ ყველა უყურებდა და ყველას უკვირდა, რომ ასეთი ქალები არსებობენ.

ჩვენ რომანი გავაჩაღეთ, მაგრამ მე გამოსვლამდე ერთი თვე მქონდა დარჩენილი, მას კი – ოთხი თვე.

ჩვენ შევთანხმდით, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, დაველოდებოდი.

აი, გამოვედი და ისევ იმ საქმეებს მოვკიდე ხელი.

მე ძალიან მიყვარდა მარია. მეტ ფულს ვაკეთებდი, ვიდრე ყოველთვის. მისთვის ოცი და ოცდაათი მანეთისას ისეთ საჩუქრებს ვყიდულობდი, რომ ციხეში ფაეტონით მიმქონდა ხოლმე. და ყველას უკვირდა, ამდენი რა მიაქვსო.

ძალიან კარგად ვიცვამდი, კარგი შესახედი ვიყავი, ბევრი ფული მქონდა და ისეთი საჩუქრები მიმქონდა, რომ მარიამ ვერც შეამჩნია, ისე გაგიჟდა ჩემზე, და საშინლად ეშინოდა, რომ მოვატყუებ და არ დაველოდები.

მაგრამ მე ისე მიყვარდა, რომ სამი თვე ველოდი. და აი, ისიც გამოუშვეს, გათავისუფლდა და ჩვენ ცოლ-ქმარივით დავიწყეთ ცხოვრება.

საზღაური

მე კი მაშინ სამხედრო სამსახურს ვემალებოდი (გერმანიასთან ომი იყო) და „არალეგალურად“ ვცხოვრობდი.

მამაჩემი კი, ეს უცნაური კაცი, თავისი შვილის წინააღმდეგ წავიდა და პოლიციაში განაცხადა, სად ვარ.

დამიჭირეს, მაგრამ გავექეცი. მარიასთან ერთად ვცხოვრობდი და უზარმაზარ ფულს ვიხდიდი იმაში, რომ დავემალეთ.

მიუხედავად ამისა, მე და მარია იმავე საქმეებს ვაკეთებდით, რასაც უწინ.

საქმეზე ჩამავლეს და ქუთაისში გამამწესეს. მაგრამ მე ისევ გავიქეცი.

მე და მარიამ გასტროლებზე დავიწყეთ სიარული და დიდ ფულს ვაკეთებდით.

მე მაშინ ჯარისკაცულ ფარაჯაში დავდიოდი და ყველას ეგონა, რომ თუ ვყიდი, ნაქურდალს ვყიდი. ყველა

ყიდულობდა და მე და მარია ძალიან კარგად ვცხოვრობდით. დედაჩემს ვეხმარებოდი. დედაჩემს არაფერს ვაკლებდი. და მარიასაც არაფერს ვაკლებდი.

მაგრამ სისულელეზე დამიჭირეს. ჯარისკაცის ფორმით დავდიოდი და ერთ ფელდფებელს სალამი არ მივეცი. იმან სიფათში ისეთი გამიქანა, რომ შემაქანავა.

მერე მან დამაპატიმრა და კომენდანტთან გამიშვა. იქ ყველაფერი გაირკვა, ვინ ვარ, და ფორმა რატომ მაცვია, და რა საქმეებს ვაკეთებ.

სამხედრო-საველე სასამართლოს გადამცეს.

და სასამართლომდე თერთმეტი თვე დაპატიმრებული ვიყავი.

მარია ჩემ გამო იტანჯებოდა და რომ გაიხსენა, რას ვუკეთებდი, თვითონაც დაიწყო ჩემთან საჩუქრების მოტანა. ბევრი რამე მომიტანა. არა, ჩემზე მეტი ვერ შეძლო, მაგრამ მე მისი ღირსება დავაფასე.

ის მაღაზიებში ქურდობდა ხოლმე. ახლა კი ჩემი სიყვარულით ყველანაირ დანაშაულს ჩადიოდა, ოღონდ მე არაფერი მომკლებოდა.

მაგრამ აი, სასამართლო შედგა. მე რვა წლით კატორღა მომისაჯეს.

დედაჩემს სასამართლოში გული წაუვიდა, მარია კი ისე ქვითინებდა, რომ გული მიჩერდებოდა.

ცალკე ოთახში შემიყვანეს და ეს

ორი ქალბატონი იქ მოიყვანეს, რომ უკანასკნელად დავმშვიდობებოდი.

რატომღაც იქ მღვდელიც მოვიდა და დედაჩემს ლაპარაკი დაუწყო, ნუ ტირიო, და მე რამდენიმე ბუტერბროტი მომცა, რომ წამეხემსა. მაგრამ ამ ბუტერბროტებისთვის ხელი არ მიხლია, იმიტომ რომ ასეთ დროს რა ბუტერბროტებზეა საუბარი.

ხსნა

მაშინ მარია, რომელიც თავის სილამაზეში დარწმუნებული იყო, კავალერიის გენერალთან მივიდა. მარია მის წინაშე მუხლებზე დადგა და უთხრა, თვითონ ვინ იყო, მე ვინ ვიყავი, და რის სათხოვნელად იყო მისული.

მარიამ თქვა:

– პოზიციებზე წავა და თავის ბრალს გამოისყიდის. ის თავის ღირსებას კვლავ დაიბრუნებს.

გენერალმა კი უთხრა:

– შენი გამკვირვებია. კაზაკი ქალი ხარ და ასე გასაოცრად იხვეწები ურიას გამო. კარგი, ვეცდები, რამე მოგიხერხო.

მაგრამ მან არაფერი გააკეთა, მე კი ხუნდები დამადეს, და მეც გამგზავრების და ჩემი მწარე ხვედრის ცდა დავიწყე.

მაგრამ უცებ გადატრიალება მოხდა. ჩვენი თებერვლის რევოლუცია დაიწყო.

უცებ მესმის – ჯაჭვებს ამსხვრევენ და ყველა ყვირის. ყველანი ეზოში გამოგვიშვეს. და ყველა ყვიროდა და ჯაჭვებს ღობიდან ისროდა.

მაშინ ნაჯახი ავიღე, ჩემი ხუნდები დავჩეხე და მეც ღობეზე გადავკიდე.

მაშინ ვიღაც ფორმიანი მოვიდა და თქვა:

– რას აკეთებთ? აქ რას სხედხართ? ისინიც კი წავიდნენ, ვინც ქალაქის ციხეში ისხდნენ ოც-ოცი წელი. და თქვენსავით არაფერს დალოდებიან.

წასვლა დავაპირეთ, მაგრამ უცებ აღმასკომის თავმჯდომარე მოვიდა და თქვა:

– დაიცადეთ. მე კერენსკის გავუგზავნე დეპეშა. პასუხს ხვალ გაგვცემს, თქვენ რა უნდა გიქნათ.

მაშინ ჩვენ მიტინგი გავმართეთ და დროებით მთავრობას დავპირდით, რომ ამ საქმეებს აღარ გავაკეთებდით.

და ისევ, თითქოს საგანგებოდ, ისევ აღმასკომის თავმჯდომარე მოვიდა და თქვა:

– აი, კერენსკის დეპეშა. შეგიძლიათ წახვიდეთ. მე კი თქვენი მჯერა.

ჩვენ მას ვუთხარით: ვეცდებით.

ხოლო სახლში რომ მივედი, ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიხარული იყო. დედაჩემს ბედნიერებისგან გული წაუვიდა და შემეშინდა, რომ მოკვდებოდა. მარია და ყველა მეგობარი კი ისე შეიკრიბნენ, თითქოს ქორწილი ყოფილიყო. ტკბილ სიტყვებს ამბობდნენ. მაგიდაზე სამოვარი იდგა. და ჩვენ ვისხედით და გვიკვირდა, რა უცნაურად წარიმართება ხოლმე ცხოვრება.

ძველებურად

არა, რევოლუციას ჩემზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. და არც ჩემი საქმის მიმართ გავციებულვარ.

კი, დროებით მთავრობას დავპირდი, რომ ძველ საქმეს აღარ დავუბრუნდებოდი, მაგრამ მერე რა. მე ჩემს თავზე თვითონ უნდა მეზრუნა. და მე კვლავ ვასაღებდი ქვებს ბრილიანტებად და სპილენძს – ოქროდ.

ამ საქმის დიდოსტატი გავხდი და თავადაც მიკვირდა, რა მაგრად გამომდიოდა და რა სუფთად ვმუშაობდი.

დიდი ფული გამიჩნდა, ცოტ-ცოტა ბანქოს თამაში დავიწყე და ასე შემდეგ, ზოგჯერ ვსვამდი და არანაირ სიამოვნებაზე არ ვამბობდი უარს. ჩემი ცოლი მარია კი მაინც მთვრალივით იყო – ისე ვუყვარდი, რომ ვერაფერს ამჩნევდა.

ამ დროს საქართველოში მენშევიკები გვყავდნენ.

ჩემი ცოლი არაჩვეულებრივად იცვამდა, ჩვენ სომხურ ბაზარზე ვცხოვრობდით. ჰოდა, მარია ერთ ეროვნულ გვარდიელს, ვასოს შეუყვარდა.

ვასომ უთხრა:

– იცი, გადავწყვიტე, რადაც არ უნდა

დამიჯდეს, შენს აფერისტს მოვკლავ. მაშინ აუცილებლად ჩემი გახდები. შენს ძველ ცხოვრებას ბოლოს მოვუღებ...

ერთხელაც ვზივარ რესტორანში და უცებ მარიამ მოირბინა. ვხედავ – ძალიან აღელვებულია. ღელავს და მეუბნება:

– ჩქარა წამოდი, ჩემო სიცოცხლე. დღეს ვასოს შენი მოკვლა აქვს გადაწყვეტილი. გეძებს. ფიცი მომცა, რომ გესვრის და მოგკლავს.

მე ვუთხარი:

– წადი სახლში, მეც ახლავე მოვალ.

და უცებ ვასო შემოვიდა. აქ თოფი აქვს, აქ – მაუზერი და აქ – ცივი იარაღი. და ისეთი უსიამოვნო სახე აქვს, რომ ჩემმა ხვედრმა შემაძრწუნა.

ჩემ წინ დაჯდა. მაუზერი მაგიდაზე დადო. თოფი სკამის ზურგზე გადაკიდა. ჰოდა, მეუბნება:

– გუშინ შენიანები ვხვრიტეთ და ვხვრიტეთ.

მაშინ მივხვდი, რომ უკვე სულ ერთია. ცოტა ნასვამი ვიყავი. შეზარხოშებული ვიყავი. უცებ მისი სიტყვები გულზე მომხვდა. მე მუშტი დავარტყი მაგიდას და ვუპასუხე:

– თქვენ ხართ ეშმაკები და ჯალათები, აი, ვინ ხართ. ადამიანების ხოცვა გიყვართ. თქვენ თქვენი ქვეყნის და თქვენი დროის ქვემძრომები ხართ.

>>> გაგრძელება გვ. 104

საუბარი ჯასთინ დი ჩიოჩიოსთან

ავტორი: კახა თოლორდავა
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ეს ალბათ ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ინტერვიუა და მგონია, რომ ის ყველამ, ვისაც თუნდაც მცირეოდენი ახლის გაგება უნდა ჯაზზე ან ზოგადად მუსიკაზე, აუცილებლად უნდა წაიკითხოს. ამას ასე უტიფრად იმიტომ ვაცხადებ, რომ ვიცი, ჯასთინ დი ჩიოჩიოს სახელი საქართველოში შეიძლება ბევრმა არ იცოდეს. შესაბამისად, ეს ინტერვიუც შეიძლება მუსიკის მოყვარულთა ყურადღების მიღმა დარჩეს, ეს კი გულდასაწყვეტი იქნება, რადგანაც დი ჩიოჩიო არა მარტო დიდებული განმანათლებელი და მუსიკოსია, არამედ ბრწყინვალე მოსაუბრეც. ბოლოს და ბოლოს ის ხომ მანჰეთენის მუსიკალური სკოლის, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური სასწავლებლის, ჯაზის ფაკულტეტის დეკანია. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს იმის გარანტიას არ მაძლევდა, რომ საუბარი საინტერესო გამოვიდოდა, მაგრამ დი ჩიოჩიომ ჩემს ყველა მოლოდინს გადააჭარბა და საშუალება მომცა, მისი თვალით დანახული ჯაზის თავგადასავალი მომეწოდებინა თქვენთვის. ჩვენი საუბარი სასტუმრო „რედისონის“ ბოლო სართულზე შედგა. ის დაახლოებით ორ საათამდე გრძელდებოდა, ამიტომაც ბუნებრივია, რომ „ცხელი შოკოლადის“ ამ ნომერში მას მთლიანად ვერ შემოგთავაზებთ. მიუხედავად ამისა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ტექსტის შეკვეცილი, საჟურნალე ვარიანტი, მაინც სრულად გადმოცემს ჩვენი საუბრის სულს. იმედი მაქვს, რომ ის თქვენთვისაც ისეთივე საინტერესო იქნება, როგორც ეს ჩვენთვის, მუსიკაში უზომოდ შეყვარებული ორი ადამიანისთვის აღმოჩნდა მაისის ერთ მზიან დღეს.

> ნამდვილ ხელოვნებას მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა მიჰყვე ფეხდაფეხ და ყოველ შემდეგ მიახლოებაზე ის ახლებურად გეხსნება. ჭეშმარიტი ხელოვნება მომავალში არსებობს.

მანჰეთენის მუსიკალური სკოლა ლამის ერთადერთია შეერთებულ შტატებში, ჯაზის შესასწავლ პროგრამებს რომ სთავაზობს ქვეყნის მასშტაბით არა მარტო უმაღლეს, არამედ პირველდაწყებით სასწავლებლებსაც. თქვენ ამ სკოლის ჯაზის ფაკულტეტის თავმჯდომარედ, უკვე ათი წელია, მოღვაწეობთ და ყველასათვის ცნობილია, რომ სწორედ თქვენი ინიციატივა იყო ჯაზის ფაკულტეტის და სწავლების პროგრამის რესტრუქტურიზაცია. რატომ გახდა ეს საჭირო და რა მიზნებს ისახავდით ამ თანამდებობაზე მოსვლისას?

მანჰეთენის მუსიკალური კოლეჯის ჯაზის განყოფილების თავმჯდომარეობაზე რომ დავთანხმდი (მანამდე, 1984 წლიდან მე იმავე ფაკულტეტზე ვასწავლიდი პერკუსიულ ინსტრუმენტებზე დაკვრას), იმ დროისთვის სკოლას უკვე ჰქონდა საკუთარი ჯაზის პროგრამა, მაგრამ სულ ვგრძნობდი, რომ ეს პროგრამა მოწყვეტილი იყო დღევანდელობას. ის არააქტუალური და ხისტი იყო – არა ზოგადად ჯაზსა და მის ესთეტიკაზე, არამედ ჯაზის ცალკეულ ელემენტზე, მაგალითად ბიგ ბენდზე ორიენტირებული. ბიგ ბენდის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თვითონ ვუკრავ და ვდირიჟორობ ასეთ ბენდებს, მაგრამ თანამდებობაზე მოსვლისთანავე შევეცადე, პროგრამის ძირითადი აქცენტები ჯაზის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტზე, იმპროვიზაციაზე გადამეტანა. აქედან დაწყებული, სწავლების მთელი პროგრამის რესტრუქტურიზაციაც მოვახერხე – იმპროვიზაციის კურსები ოთხი წლით გაიზარდა და, შესაბამისად, ყველა მიმართულებით გავფართოვდით, რადგანაც ჯაზის ისტორია, მისი თავგადასავალი სრულად უნდა მოგვეყოლა სტუდენტებისთვის. აი, გახედეთ თბილისის ამ შესანიშნავ ხედს ჩვენი სასტუმროს ფანჯრიდან, დააკვირდით ამ ფერებს, არქიტექტურას, ადამიანებს. შესაბამის ტექნიკას თუ ფლობ ინსტრუმენტზე, შენ ამ პეიზაჟის დაკვრა, მის გარშემო იმპროვიზირება უნდა შეგეძლოს, სურათში ახალი ფერების შეტანა. ჯაზი სხვა არაფერია, თუ არა მოვლენებზე მყისიერი რეაგირება. სწორედ ამითაა ის უნიკალური როგორც მუსიკალური ფორმა; ამიტომაც მისი თავგადასავლის თხრობა მარტო საბაკალავროსა თუ მაგისტრატურის დონეზე კი არ მინდოდა, არამედ ვოცნებობდი იმაზეც, რომ ეს უნიკალური ტრადიცია მოზარდებისათვისაც მიგვეწოდებინა. ადრე დაწყებით სკოლებში ჯაზი არ ისწავლებოდა. ყველაფერი ჩემი იქ მისვლის შემდეგ, 1999 წელს დაიწყო და დღეს ნამდვილად შემიძლია იმის თქმა, რომ მეამაყება ჩემი მეშვეობით მანჰეთენის მუსიკალურმა სკოლამ ჯაზის მდიდარი ისტორიის მოზარდებამდე მიტანა რომ მოახერხა. ადამიანების დიდ ნაწილს ჯაზი კომერციული მუსიკა ჰგონია, მაგრამ ეს ასე არაა. ჯაზი სერიოზული მუსიკაა და რატომ და როგორაა ეს ასე, აუცილებლად უნდა იცოდნენ შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა მოზარდებმა. ხელოვნებას უამრავი ფარული შრე აქვს და მათი წვდომა ხშირად ძალიან ძნელია. მახსოვს ერთხელ ბილ ევანსთან, ჯაზის დიდ პიანისტთან ერთად ვატარებდი დროს. ის ჩემგან რამდენიმე კვარტალის მოშორებით ცხოვრობდა და ჩვენ ხშირად ვხვდებოდით და ვსაუბრობდით ხოლმე. ერთხელ მას ვკითხე: „ბილ, რატომ უკრავ სულ ერთსა და იმავე სტანდარტულ თემებს?“ მან კი მიპასუხა: „მინდა, ამ თემების ღრმა აზრს ჩავწვდე!“ მაშინ გავიფიქრე: „ჰო, ის მართალია, ნამდვილი ხელოვნება სწორედ მასში ჩადებული სიღრმეების წვდომა და მერე მათი ახალი სიღრმეებითვე გამდიდრების მცდელობა უნდა იყოს“. მოდი, კიდევ ერთხელ გადავიხედოთ ფანჯრიდან და, ჩვენდა მოულოდნელად, დავინახავთ იმას, რაც აქამდე არ შეგვიმჩნევია. როდესაც ჩარლი ფარქერს ან ჯონ ქოლთრეინს ვუსმენ, ყოველ ახალ მოსმენაზე ვიჭერ რაღაც ისეთს, რაც აქამდე მისხლტებოდა. ჩვენ ვიზრდებით როგორც ადამიანები და ჭეშმარიტი ხელოვნება სწორედ ისაა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ის ისევ ისევე სავსეა მნიშვნელობით, როგორც ადრე, და თუ ყურადღებით ვიქნებით, მოვახერხებთ მის „დაწევას“. ნამდვილ ხელოვნებას მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა მიჰყვე ფეხდაფეხ და ყოველ შემდეგ მიახლოებაზე ის ახლებურად გეხსნება. ჭეშმარიტი ხელოვნება მომავალში არსებობს. აი, ასეთ პრინციპებზე ორიენტირებით გავხდით ჩვენ ერთადერთი მუსიკალური სასწავლებელი მთელ ამერიკაში, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება ადამიანებს მოზარდობიდან პროფესიონალობამდე.

რამდენადაც მესმის, მუსიკოსის მხრიდან ჯაზის, როგორც მუსიკალური ფორმისადმი, პატივისცემის გამოხატვის ერთადერთი გზა არსებობს – დარჩე ან გახდე ის, ვინც ხარ. თქვენ მოვალეობაში ამის სწავლებაც შედის და ეს ალბათ ყველაზე რთული უნდა იყოს. ადამიანებს შეიძლება ინსტრუმენტებზე დაკვრა შეასწავლო, მაგრამ როგორ უნდა დაეხმარო მათ საკუთარი თავის შემეცნებაში?

მესმის, რასაც მეკითხებით და გიპასუხებთ, რომ მანჰეთენის მუსიკალურ სკოლაში მარტო თეორიას და პრაქტიკას კი არ ვასწავლით, არამედ იმასაც, რომ როდესაც სცენაზე დასაკრავად ადიხარ, მნიშვნელოვანი ხარ

იმით, თუ ვინ ხარ და იმითაც, თუ რის თქმას აპირებ. თუ ოთახში რამდენიმე ადამიანი ზის და ერთ-ერთი მათგანი ოთახს ტოვებს, ოთახში ენერგეტიკა იცვლება. აი, ამდენად მნიშვნელოვანია შენი სამყაროში ყოფნა და ეს სწორედ ისაა, რაც ჯაზში უნდა შეიტანო. სხვანაირად ჯაზი არ არსებობს. ასეთია ამ მუსიკის მოთხოვნა – ის შენ სულს და გულს გთხოვს, შენს „მე“-ს, შენს სიტყვას. ჯაზში ყველაზე კარგი ისაა, რომ, დაკვრის გარდა, სწავლობ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ხარ, როგორც სულიერი არსება. თუ შენ უკრავ, მაგალითად ბიგ ბენდში, როდესაც ფეხზე დგები სოლირებისთვის, ყველას გასაგონად ამბობ, – „ეს მე ვარ და აი, ესაა ჩემი სათქმელი!“ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან – გახსნილობის დონით, ხასიათით, შინაგანი სამყაროთი და უმრავლესობისთვის თვითგამოხატვა ადვილი საქმე არაა. აი, ამას გასწავლის ჯაზი – იმას, რომ რისი თქმაც უნდა გსურდეს, რა სათქმელიც უნდა გქონდეს, ყველაფერი მნიშვნელოვანია. მერე კი, როდესაც სათქმელს იტყვი, ადამიანები შეიძლება დაგეთანხმონ ან არ დაგეთანხმონ, მაგრამ ეს უკვე ცალკე თემაა. ჯაზი მარტო მუსიკალური ფორმა კი არაა, ის მუსიკის მიღმა არსებული ხელოვნებაა, ის ადამიანურია, ის ადამიანებზეა; ის გასწავლის, რომ ეს სამყარო არ იქნებოდა ისეთი, როგორიცაა, შენ რომ არ დაბადებულიყავი. შენი არსებობა განაპირობებს ამ სამყაროს არსებობას. ჯაზი თავისუფლება და ამ თავისუფლებაში გამუდმებული სწავლის და ზრდის მოთხოვნაა. მაგალითად, მე ბევრს ვსწავლობ თბილისში. აქ ყოფნისას ვურთიერთობდი ახალგაზრდა მუსიკოსებთან საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან. ამ სამეულიდან ორი ქვეყანა ერთმანეთს მტრობს და მათ შორის დიალოგი არ მიმდინარეობს; გეტყვით, რომ პოლიტიკოსებს და ბიზნესმენებს უამრავი რამის სწავლა შეუძლიათ ჯაზისგან. ჰო, ადამიანები შეიძლება არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ აქ, თბილისში ისინი მუსიკის მეშვეობით საუბრობენ ერთმანეთთან. თვალი ტყუის, სიტყვა

ამ მუსიკის მოყვარულთა წრე უფრო და უფრო ვიწროვდებოდა და ჩვენ რაღაცნაირად ამის შემობრუნება უნდა მოვახერხოთ. ხშირად გაიგონებთ, რომ ადამიანი მასიდან ბრიყვი და გაუნათლებელია, მაგრამ ეს ისაა, რაც დღეს ჩვენ გვაქვს და გვყავს. რას ველოდებით? ინტელიგენციის ახალი ფენის გაჩენას?

ტყუის, გული კი – არასდროს. შემიძლია, შემოგხედო და გითხრა, თუ როგორ მიყვარხარ იმ დროს, როდესაც მეზიზღები, მაგრამ გულს ვერ უბრძანებ. გული არ იტყუება; შენ შეგიძლია ვინმე მოატყუო, მაგრამ სახლში რომ დაბრუნდები დასაძინებლად და თავს ბალიშზე მიდებ, აი, ეს პატარა გული აუცილებლად გეტყვის, რომ მატყუარა ხარ. ჩვენ ყველა ველით ისეთ რაღაცას, რაც შეგვძრავს, და მუსიკა, ჯაზი, ამას ახერხებს. ამიტომაც შეიკრიბნენ ეს ახალგაზრდები თბილისში. წარმოდგენაც კი არა აქვთ პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს, ოფისების კლერკებს, და სხვებსაც, თუ რამდენი რამის სწავლა შეუძლიათ ხელოვნებისგან – მთავარია შეიგრძნონ ერთმანეთი და ლაპარაკი დაიწყონ, დანარჩენი თვითონ მოვა.

უინთონ მარსალისი ხშირად იმეორებს, რომ ჯაზს შეუძლია დღევანდელი კულტურის ფუნდამენტურ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. უდავოა ის, რომ ჯაზს, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამერიკულ კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ მაინტერესებს რამდენადაა ის დღესაც იქაური კულტურული სურათის მაჩვენებელი ბარომეტრი?

ეს საინტერესოა. ეს შეკითხვა გვაიძულებს შიგ ჯაზის გულში ჩავიხედოთ და მის ესთეტიკას შევეხოთ. როდესაც ჯაზი პოპულარული მუსიკა იყო, ის გასართობ მუსიკად აღიქმებოდა. ჯაზზე ცეკვავდნენ. გარკვეული მიზეზების გამო, ის უკვე აღარაა ჩვენი დროის პოპულარული მუსიკა, დრო შეიცვალა, ადამიანები შეიცვალნენ, მუსიკა შეიცვალა; როქენდ-როლმა თავისი დაღი დაასვა ყველაფერს, ჯაზის ჩათვლით. ახალგაზრდებს უყვართ ახალი თავგადასავლები, არა? ისინი დღეს ჰიფ-ჰოფს უფრო უსმენენ, ვიდრე ჯაზს. თავის მხრივ ჯაზს ყოველთვის შეეძლო სხვა კულტურების, სხვა მუსიკალური ფორმების გათავისება და ის დღესაც ახერხებს ამას. ისევ კავკასიურ შეხვედრას დავუბრუნდები. ამ შეხვედრას ამერიკული ელფერი დაჰკრავდა ჩემი სახით, მაგრამ, ამავე დროს – თითოეული იმ ქვეყნის ელფერიც, ვისი წარმომადგენლებიც ამ შეხვედრაში იღებდნენ მონაწილეობას. კულტურების ასეთი აღრევით ჩვენ სხვა სახის ჯაზი შევქმენით. ჩვენ მიერ დაკრულ მუსიკას ქართული, სომხური და აზერბაიჯანული კულტურების „გემო“ ჰქონდა. მუსიკისადმი, კერძოდ კი ჯაზისადმი ასეთი მიდგომა გვესაჭიროება ჩვენ, ამერიკელებს, მაგრამ ეს ისე უნდა გავაკეთოთ, თვით ჯაზის ესთეტიკა რომ არ დავაზიანოთ და მისი თავისუფლება არ შევზღუდოთ. ამით იმის თქმა მსურს, რომ ჯაზს არ უნდა ეშინოდეს დღევანდელობასთან და მის მოთხოვნებთან შეხების, თანამედროვე მუსიკალურ ფორმებთან შეხვედრის, პოპ-მუსიკასთანაც კი. სონი როლინზს და მაილზ დევისს არ ეხამუშებოდათ ასეთი მუსიკის დაკვრა. როდესაც მაილზმა ფიუჟენის დაკვრა დაიწყო, ის პოპ და როკ თემებსაც უკრავდა, მაგალითად სინდი ლოფერის Time After Time შეიძლება მოვიყვანოთ. რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებ იმას, რომ ჯაზმენებმა მაინცდამაინც ჰიფ-ჰოფი უნდა დაუკრან, უბრალოდ, ისინი დროს არ უნდა გაექცნენ. ჯაზი არც თანამედროვე მედია ტექნოლოგიებს უნდა შეუშინდეს. დიუქ ელინგთონი, ლუის არმსტრონგი და ბენი გუდმენი თავისი დროის შვილები იყვნენ. ისინი არ თაკილობდნენ რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლას, ფილმებშიც თამაშობდნენ. გასული საუკუნის ოცდაათიან, ორმოციან და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ჯაზმენები კინოვარსკვლავებიც კი იყვნენ. მერე კი, როდესაც როქენდ-როლი მოგვევლინა, ჯაზი უფრო და უფრო მოსცილდა თანამედროვე კონტექსტს, თანამედროვე მედიას. ჯაზმენებს ხშირად ვეღარ მოუსმენდი რადიოთი, ვერც ტელევიზიით ნახავდი მათ გამოსვლებს. ისინი პოპულარული კულტურის მიღმა დარჩნენ. ამ მუსიკის მოყვარულთა წრე უფრო და უფრო ვიწროვდებოდა და ჩვენ რაღაცნაირად ამის შემობრუნება უნდა მოვახერხოთ. ხშირად გაიგონებთ, რომ ადამიანი მასიდან ბრიყვი და გაუნათლებელია, მაგრამ ეს ისაა, რაც დღეს ჩვენ გვაქვს და გვყავს. რას ველოდებით? ინტელიგენციის ახალი ფენის გაჩენას? თუ არადა, ამ შემთხვევაში, გინდა არ გინდა, სწორედ ამ ადამიანებს უნდა ესაუბრო მუსიკის ენაზე, დაუკრა და იმღერო მათთვის. უაზრო ლაპარაკს იმაზე ფიქრი ჯობს, თუ როგორ შემოვაბრუნოთ ისინი სერიოზული მუსიკისკენ.

ეს აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ბევრისთვის ჯაზი ერთგვარ იდეად გადაიქცა, მითად. დღეს მას ისე არ აფასებენ, როგორც ის იმსახურებს. რა მოხდა?

მართალია. ამიტომაც ყველაფერთან ერთად, რაც ახლა ვთქვი, უდიდესი მნიშვნელობა განათლებასაც ენიჭება, არა მარტო მუსიკალურ განათლებას, არამედ ხელოვნების შესახებ ზოგად განათლებასაც. ამერიკამ ბევრი დაკარგა იმ წუთიდან, როდესაც უარი თქვა ხელოვნების ზოგად სწავლებაზე დაწყებით სკოლებში.

>>> გაგრძელება გვ. 112

სპეცპროექტი
ბოლო ზარი 2010

ავტორი: ლიკა ზაკაშვილი
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

ერთ მშვენიერ დღეს, რადიო „თავისუფლების“ დილის ეთერში წამყვანმა სტუმრად მისული ახალგაზრდა მსმენელს წარუდგინა. სტუმარი ჩემი ყოფილი კლასელი აღმოჩნდა. გამახსენდა სკოლა, ჩვენი კლასი და ჩემი უცნაური, ცოტა სასაცილო კლასელი. ადამიანები ერთმანეთს ხანდახან წლების მანძილზე იცნობენ, ან საერთოდ ცხოვრობენ ერთად, მაგრამ ერთმანეთის ბევრი არაფერი იციან.

ჩემმა კლასელმა აკადემიაში ჩააბარა. გამიხარდა, მაშინ ვიფიქრე – იქ მოხვდა, სადაც უნდა ყოფილიყო-მეთქი. მერე გავიდა წლები და ჩემს სტუდენტურ რუტინაში ყველა და ყველაფერი დავივიწყე. რამდენიმე წლის მერე კი, ქუჩაში შემთხვევით შევხვდი. ერთმანეთი როგორც წესი და რიგია მოვიკითხეთ. მერე ამბებს მოვყევით. გავიგე, რომ სწავლას ამთავრებს, ფერწერა მისი საქმე არ არის, ახლა ქანდაკებაზე აბარებს, სახლიდან წამოსულია და მარტო ცხოვრობს ქირით. მოკლედ, იწყებს თავიდან.

ასე იყო. ჩემს თაობაშიც კი, ხშირად პროფესიას მშობლების ხათრით ირჩევდნენ ხოლმე, ფაკულტეტს კი, პრესტიჟულობის ხარისხით. ჩემს კლასელსაც ეს ისტორია გადახდა თავს. აბიტურიენტი ექვსი წლის წინ ვიყავი და მგონია, რომ მას მერე მაინც ბევრი რამ შეიცვალა.

თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლის მოსწავლეს, ახლა უკვე აბიტურიენტებს, შევხვდი და მათაც ის ვკითხე, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებდა: როგორ ირჩევენ დღეს საკუთარ მომავალს, რამდენად დამოუკიდებლად და გააზრებულად იღებენ გადაწყვეტილებას პროფესიის არჩევის დროს? რამდენად ფიქრობენ იმაზე, რა შესაძლებლობას აძლევს მათ ცხოვრება და რას ნიშნავს, საერთოდ, მათთვის წარმატება?

გვანცა ქიქავა

პირველი მენეჯმენტის ფაკულტეტი მიწერია. არ მინდოდა, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ჩამეწერა, მეუბნებიან, რომ მენეჯმენტი კარგად გამომდის და ამიტომ გადავწყვიტე ჩავაბარო. საერთოდ ყოველთვის მინდოდა საერთაშორისოზე ჩაბარება, მაგრამ რატომ გადავიფიქრე, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. არასდროს ვიცი ბოლომდე, რა მინდა.

უმაღლესში ჩაბარების შანსი თითქოს ყველასთვის თანაბარია, თუ კარგად მოემზადებიან. მაგრამ ყველა ოჯახს ხომ არ აქვს საშუალება რეპეტიტორთან მოამზადოს ბავშვი. სისტემა შეიძლება გაუმჯობესდა, მაგრამ მომზადება ძვირი ჯდება. მეგობარი მყავს, რომელიც თავიდან ემზადებოდა ინგლისურში, მერე გამოვიდა, ახლა ჩემს ტესტებს ვაძლევ ხოლმე. სახლში ჯდომით არაფერი არ კეთდება, განათლება რაღაც დონეზე ყველას უნდა ჰქონდეს. მგონია, რომ ამბიციურებიც ვართ, უბრალოდ ცოტა ორგანიზებულობა და პრინციპულობა გვაკლია. რამდენადაც ოცნებები გვაქვს ძალიან დიდი, იმდენად ზარმაცები ვართ. წასვლა მინდა, თბილისი მომბეზრდა. სხვა ცხოვრება მინდა რომ ვნახო. რაღაც პროგრამებში მივიღე რამდენჯერმე მონაწილეობა, მაგრამ ვერ გავედი. რომ ჩავაბარებ, კიდევ ვცდი, იქნებ გაცვლითი პროგრამით წავიდე სადმე.

სანდრო ღაღანიძე

ძალიან მიხარია სკოლის დამთავრება. სასკოლო პროცესი უკვე ყელში მაქვს.

ვაბარებ სამხატვრო აკადემიაში, რადგან იქ არის ისეთი ფაკულტეტი, რომელიც მე მაინტერესებს. კერძოდ: მედიახელოვნების ფაკულტეტი, სადაც ისწავლება კომპიუტერული გრაფიკა. კომპიუტერულ გრაფიკას დღეს საქართველოში საკმაოდ დიდი პერსპექტივა აქვს, ვფიქრობ, რომ მაქვს ანიმატორული ნიჭი. არის პროგრამები, რომელსაც იქაც ასწავლიან და ცოტა რაღაც მეც ვიცი. მშობლები დათანხმდნენ ჩემს გადაწყვეტილებას, რადგან ეს ფაკულტეტი პერსპექტიულია.

მუსიკაც მიყვარს. ხუთწლედი მაქვს დამთავრებული გიტარაზე. მაგრამ მუსიკით ცხოვრება ძნელია. მინდოდა და შემეძლო კონსერვატორიაში ჩამებარებინა, ამიტომ მგონია, რომ მაინც შეცდომას ვუშვებ. შვედეთში ძალიან კარგი მუსიკა კეთდება. იქ ნიჭი ყოველთვის კარგად ფასდება. საქართველოშიც შეიმჩნევა ბოლო დროს აქტივობები, სხვადასხვა ტიპის კონცერტები იმართება. არსებობენ ჯგუფები საქართველოში, რომლებიც 6 -7 წელია უკრავენ. მიუხედავად იმისა, რომ თავდაუზოგავად შრომობენ, მაინც იშლებიან. მუდმივად ახალი პროექტების დაწყების მცდელობაში არიან.

მეტი ინტერესია ჩემი აზრით საჭირო, ცხოვრება ძალიან მრავალფეროვანია და შეცდომაა ამის არგამოყენება. ჩემ გარშემო არ უყვართ ხელოვნება, არ აფასებენ მას. ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, რომელმაც არ იცის ხელოვნების ფასი. არ აქვთ იმის განცდა, რომ რაღაც ახალი შეითვისონ და განახორციელონ, თავის ცნობიერებას დაუმატონ ახალი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს ძალიან ცუდად მოქმედებს ჩემზე.

ჩემზე უმცროსებს ვურჩევ, 2 წლით ადრე მოიფიქრონ რა უნდათ. უბრალოდ უნდა დაჯდე და გადახედო, სად რას და როგორ ასწავლიან. და კიდევ, გინდა რწმენა იმის, რომ შეძლებ!

მარი თოფურიძე

იურიდიულზე ჩაბარება დიდი ხნის წინ გადავწყვიტე. ძალიან პატარა ვიყავი, მე-6 კლასში ავიკვიატე, იურისტი უნდა გამოვიდე-თქო. ალბათ, ამ პროფესიაში შევძლებ ჩემი შესაძლებლობების გამოვლენას. მშობლები გადაწყვეტილების მიღებაში არ ჩარეულან. მამაჩემს თავის დროზე იძულებით ჩააბარებინეს იმ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა. ამიტომ ჩვენ, შვილებს, აბსოლუტური თავისუფლება მოგვცა. რეგისტრაცია რომ გავიარე ბოლოს მკითხა: რა ჩაწერეო? როგორც ვიცით, ხუბუა, თსუ-ს რექტორი, იურისტია. ამის გამო, ვიცი, იურიდიულ ფაკულტეტს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. იურისტები ყველაზე დაფასებულები არიან. მეტ-ნაკლებად შემოსავლიანიც არის, ოღონდ გააჩნია რამდენად გაგიმართლებს.

ქართული რეალობა უფრო ბრძოლის უნარიანს მხდის, თუ არ მიდგები-მოდგები, ისე ვერაფერს ვერ მიაღწევ. მთავარია გავიაზრო ის რეალობა, რომელშიც ვარ და სწორად დავგეგმო ნაბიჯები, რომელიც დამეხმარება საკუთარი თავის უკეთესად წარმოჩენასა და უკეთესი ცხოვრების შექმნაში.

ფოტო: დავით ბესსი

ერეკლე სოლოღაშვილი

თეატრალურ უნივერსიტეტში ვაბარებ ტელე-საოპერატოროზე. კონსულტაციები გვქონდა, გუშინ შევიტანე საბუთები. ეროვნულებში 2 თვე ვემზადებოდი, მერე წამოვედი. ფოტოგრაფიაში არ მოვმზადებულვარ. შემეძლო, მევლო რეპეტიტორთან, მამაჩემისთვის მეთხოვა და უპრობლემოდ მომამზადებდა, მაგრამ ჩემთვის არ იქნებოდა კარგი. თეატრალურში ათას ხუთას ლარს იხდიან ფოტოგრაფიის პროგრამის მომზადებაში. კონსულტაციებზე შეხვედრების დროს კარგად იგრძნობა ვინ ემზადება და ვინ – არა. თეატრალურში „მომზადებულებს“ ძალიან ზრდილობიანად ექცევიან: „დაბრძანდით, დაბრძანდით“, ხოლო ჩვენ, სხვები თუ ვაგვიანებთ, ლექტორი ყვირის: „აა, ახლა გადაღებაზე რომ იყო? მე დასასრულის გადაღება კი არ მინდა“... და ა.შ.

ვერ ვიტყვი, რომ სკოლამ რაღაც განათლება მომცა. ჩემი ბრალიც არის ალბათ, არ ვსწავლობდი, მაგრამ მასწავლებლებზეც ხომ არის დამოკიდებული, როგორ მაწვდიდნენ პროგრამას. ჩემს სკოლაში სწავლა და დისციპლინა არ ვარგოდა. მე-12 კლასში ერთი კვირა არ მივლია, უბრალოდ ოცი ლარი უნდა გადავრიცხო, რომ ატესტატი მომცენ. წინა კლასებშიც დავდიოდი, მაგრამ მასწავლებელს სულ არ აინტერესებდა, შემოვიდოდა, დაჯდებოდა, სულ სხვა თემებზე ვსაუბრობდით. უბრალოდ ვერთობოდით.

ჩემი თაობიდან საზღვარგარეთ წასვლა, რომ ჰკითხო, ბევრს უნდა. მაგრამ არაფერს აკეთებენ ამისთვის და როგორ უნდა წავიდნენ? ამიტომ ისევ აქ რჩებიან და დგანან ბირჟებზე. ჩემს მეგობრებს სწავლა უნდათ. მაღიზიანებს ეს ბირჟები, უსაქმურობა, დადიან და ბუზღუნებენ: საქმე არ არის, სამსახური არ არის, რა გავაკეთოთ? თუ ტვინი არ გაანძრიე, ვერაფერსაც ვერ იშოვი. ყოველ მეორეს დანები უდევს. ჩხუბის დროს დაუფიქრებლად იღებენ და ურტყამენ. ეს დანებიც იმიტომ დააქვთ, რომ „აი, სხვას თუ აქვს, მეც ხომ უნდა მქონდეს“, და პირველი ესენი იღებენ და ურტყამენ.

კრიმინალური პოლიცია მომწონს, ძაან ბევრჯერ გავუჩხრეკივარ, მაგრამ მაინც ძალიან მომწონს, იმიტომ, რომ იარაღით ბევრი დადის. სკოლებში აკონტროლებენ ბავშვებს. ატყდა ერთხელ ამბავი, წავედით, მეორე სკოლას ვეჩხუბებით, მაგრამ მე არ მაინტერესებდა, რატომ უნდა წავსულიყავი ვიღაცის გამო სხვა სკოლაში საჩხუბრად. მეორე დღეს მოვიდნენ – ერთს ხელი ჰქონდა შეხვეული, მეორეს თვალი ჩალურჯებული. დიდი უაზრობა იყო.

მგონი, ცოტა გამოფხიზლება უნდა ხალხს. ჩემთვის ის ადამიანი, რომელმაც არ იცის, რას აკეთებს და უაზროდ ცხოვრობს, ცოცხალი არ არის. ისინი ალბათ, პირიქით, მე მთვლიან უაზროდ. ასეთ ადამიანებს სჭირდებათ ცოტა აზრზე მოყვანა, რომ იცოდნენ – არსებობს რაღაც კარგიც, ჩხუბის და ბირჟაობის გარდა.

ნიკა კუპრაშვილი

პირველ კლასში ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, ისეთი, როგორიც ყველა პირველკლასელი: საყვარელი, ბუნჩულა, უპრობლემო. 13 წლის რომ გავხდი, მივხვდი, რომ ჩემს თანატოლებთან საერთო ბევრი არაფერი მქონდა, არ მომწონდა მათი საუბრის თემები: ქაუნთერი, ინტერნეტი. კერპად ვიღაც „გეიმერი“ ჰყავდათ, რომელზეც გაუთავებლად საუბრობდნენ. ამან დამაფიქრა და მივხვდი, რომ რაღაცით მე უფრო მაგარი ტიპი ვარ, და რადგან კლასს ვერ გამოვიცვლიდი, გადავწყვიტე, მეგობრები ამერჩია. მეგობრებს სხვადასხვა ადგილას ვპოულობდი: სარეპეტიციოში, „მზიურში“. ახლა მყავს ჩემი წრე, ვისაც ვეთანხმები იდეოლოგიურად, მაგრამ არა სწავლით და ქაუნთერით. ჩემი კლასელები კარგი ბავშვები არიან, რას ვერჩი, უბრალოდ საერთო ენა ვერ გამოვნახეთ.

სკოლაში საერთოდ არ მივლია, არც მთხოვდნენ, რომ მევლო. დავდიოდი დახეული ჯინსით, „ნირვანას“ გახუნებული მაიკით, გრძელი თმით; ბავშვებს რაღაცებს ვატყუებდი ხოლმე და ასე გავრცელდა ჭორი, რომ მე თითქოს სასაფლაოზე დავდიოდი და ვკლავდი კატებს. ბოლოს ბანკეტზე შევხვდი კლასელებს. ბიჭები სოლიდურად ჩაცმულები, გოგონები ბანტებით მორთულები მოვიდნენ. 18 წლის ბიჭი ასე სოლიდურად ჩაცმული რატომ უნდა დადიოდეს, თუნდაც ბანკეტზე?!

თეატრალურზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ მშობლებმა მთხოვეს და როცა დავფიქრდი, მეც მივხვდი, მსახიობი რომ გამოხვიდე, მაინცდამაინც თეატრალურში სწავლა არ არის საჭირო. აი, მაგალითად: ირაკლი ჩხეიძე „შუა ქალაქში“ ექიმია, მაგრამ ხომ მსახიობობს?! გადავწყვიტე, ჩავაბარო ბიზნესის ფაკულტეტზე. მინდა, ბევრი ფული მქონდეს, ვიყო მისაბაძი. აი, მამებმა უთხრან შვილებს, – ხედავთ, ნიკა კუპრაშვილმა იმდენი იშრომა, რომ ახლა მილიონერია და მას უნდა მიბაძოთო. უფულოდ დიდი ადამიანი ვერ გახდები.

ბოლო წელია, ვემზადები მისაღები გამოცდებისთვის. მასწავლებლებთან ინტენსიურად არ მივლია, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჩავაბარებ. ერთი სული მაქვს, როდის გაივლის ეს გამოცდები. ყოველი დაგვიანებული წუთის გამო მშობლებისგან საყვედურების მოსმენა მაინც აღარ მომიწევს, – მალე მოდი, მასწავლებელმა დარეკა, სამეცადინო გაქვს და ა.შ.

ჩემი სამეგობროს ძირითადი შეკრების ადგილია „მზიური“. ვუკრავთ, ვსვამთ, უამრავი გართობის საშუალებაა. მიყვარს მუსიკა, ბასი. მყავდა ჯგუფი. ერთ დროს ვუკრავდით კიდეც, მაგრამ არ გვქონდა სარეპეტიციოს ფული და დავიშალეთ. ჩემი თანატოლების უმრავლესობა სახლში მშობლების მითითებით სავალდებულო წიგნებს კითხულობს. საღამოს ჩადიან უბანში, აბირჟავებენ, დაჭრიან ვინმეს, აახევენ ფულს და ქრისტიან ძველ ბიჭებად მოაქვთ თავი. წარმატების მიღწევის ერთადერთი შანსი მიზანდასახულობაა. აღარ ვცხოვრობთ მე-20 საუკუნის კომუნისტურ რეჟიმში, რომ ვიღაცის ხელის წაკვრით გეშველოს რამე. შენით უნდა ისწავლო და უნდა იყო მიზანდასახული. ჩემ გარშემო მიზანდასახულები ნაკლებად არიან, ამიტომ არა აქვთ საქმე კარგად. საზღვარგარეთ წასვლა მინდა, იქ უფრო ჯანსაღად ერთობიან, ჯანსაღად აზროვნებენ და რელიგიური გარჩევებიც არ ჩვევიათ. ისეთი კარგი ჭორები მომდის უცხოეთიდან, რომ ძალიან მინდა, ეს ყველაფერი თავად ვიხილო.

ნუგზარ ტატიშვილი

სულ ვოცნებობდი სკოლის დამთავრებას. მეთორმეტე კლასს ვამთავრებ და ახლა უკვე აღარ მინდა სკოლის დამთავრება. დაბალ კლასებში ბავშვებს ურთიერთობები ცოტა სხვაგვარი გვქონდა, იყო პატარა, დღევანდელი გადასახედიდან ძალიან ბავშვური კონფლიქტები, წყენა, გათიშულობა, მაგრამ ბოლო კლასებში, განსაკუთრებით კი მე-12 კლასში, ძალიან შევიკარით. ჩვენს სკოლაში სწავლა ისეთივე იყო, როგორიც სხვა საჯარო სკოლებში. მომენატრება ის მერხი, სადაც ვიჯექი.

სწავლის გაგრძელება მინდა, სამსახური ხომ მინდა? გარშემო ჩემი ყველა თანატოლი მოტივირებულია, ისწავლოს. წელიწად-ნახევრის წინ გადავწყვიტე, იურიდიულზე ჩამებარებინა. აქ ან ეკონომიკურზე უნდა წახვიდე, ან იურიდიულზე, სხვა „პრასვეტი“ არ არის. ჩემს სამეგობროში გადაწყვეტილება, თუ სად ჩააბარონ, ბევრმა სპონტანურად მიიღო. ზოგი იქ აბარებს, სადაც კონკურსი ნაკლებია, ზოგი მშობლების ხათრით აბარებს, ზოგი საერთოდ არ აბარებს.

ოქტომბრიდან 2 საგანში ვემზადები. ცოტა დატვირთული ვარ. საკმარისია, სახლში თავისუფალი დამინახონ, ეგრევე იმის შეხსენებას იწყებენ, რომ მეცადინეობა უნდა გავაგრძელო. ეს ცოტა მაბრაზებს. არ მიყვარს, როცა მითითებენ, რა უნდა გავაკეთო.

მანქანა მინდა მყავდეს. საკუთარი ფული მინდა მქონდეს. მშობლებზე დამოკიდებული ნაკლებად ვიქნები. სხვაა, როცა შენი შრომით შოულობ ფულს. მეტ გამოცდილებას იძენ. ჩვენი თაობის ბავშვებს კი ცოტა გვაკლია ასეთი გამოცდილება. უცხოეთში ჩემი თანატოლები მუშაობენ, ჩვენთან კი ეგრე არ არის. როცა მუშაობას იწყებ, დამოუკიდებელი ხდები. გამოცდილებას სხვადასხვა კუთხით იძენ. სხვადასხვა ასაკის ადამიანებთან ურთიერთობას სწავლობ. მე ჩემი ასაკის ბავშვებთან ურთიერთობა უფრო მიადვილდება. ზოგიერთი ჩემი თანატოლისთვის კარგი გასართობი მარტო ონლაინ თამაშია. ერთი ჩემი მეგობარი რეალურ სამყაროსაა მოწყვეტილი. ქაუნთერის თამაში, ჩემი აზრით, დროის ცუდად გამოყენებაა და სხვა არაფერი. მეც ვერთობი კომპიუტერით, მაგრამ ყველაზე ჯანსაღი და აზარტული გართობა ჩემთვის სპორტია. ახლა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს ვუყურებ. გერმანიას ვგულშემატკივრობ, წინასაგამოცდო ღელვას ფეხბურთის ყურებით ვიკლავ.

ისლამიზმი-ზმი

როგორ უნდა უპასუხონ დასავლელმა ინტელექტუალებმა მუსლიმ სწავლულებს?

ავტორი: პანკაჯ მიშრა
ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ

სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიუ-იორკერში“, 7 ივნისი 2010

მუჰამედ წინასწარმეტყველი გარყვნილი და ულმობელი ტირანი იყო? ისლამი ტერორიზმს აღვივებს და ქალებს მონებად აქცევს? ისლამი ავალდებულებს მის მიმდევრებს, ჯიჰადი გამოუცხადონ დასავლელებს, რომელთა სეკულარული იდეებიც განმანათლებლობის ეპოქაში გაჩნდა? უნდა იფიქრონ თუ არა მუსლიმებმა გაქრისტიანებაზე? სომალიში დაბადებული მწერლის, აიაან ჰირსი ალის პასუხი ამ შეკითხვებზე ასეთია: „დიახ!“ 30 წელს გადაცილებულმა ჰირსი ალიმ უარი თქვა ისლამის რწმენაზე, ახლა კი იმ ფანატიზმსა და შეუწყნარებლობაზე საუბრობს, რომელიც ამ რელიგიის მიმდევართა შორის სუფევს. ბავშვობაში სომალიში მას სასქესო ორგანო დაუზიანეს, კენიაში მცირე ხნით ერთმა ჯიჰადის მქადაგებელმა აიყოლია, მერე თითქმის იძულებით გათხოვდა, ჰოლანდიაში კი მასთან ერთად ფილმზე მომუშავე რეჟისორის, თეო ვან გოგის მუსლიმი მკვლელი ფიზიკური განადგურებით დაემუქრა. ამ ქალზე ახლაც ნადირობენ სისხლისმსმელი ფანატიკოსები მის ახალ სამშობლოში, ამერიკაში. ბოლო წიგნში „მომთაბარე: ისლამიდან ამერიკაში“ ის მკითხველებს საეკლესიო პირთა ტირანიის წინააღმდეგ ინტელექტუალთა ამბოხის დასავლურ ტრადიციას ახსენებს და აფრთხილებს: თქვენ შორის ძალიან ცბიერი, მოურჯულებელი მტრები არიანო. „დღეს მუსლიმებს თავში მხოლოდ ჯიჰადი უტრიალებთ“, – წერს ის.

ჰირსი ალის იმედი არ აქვს, რომ ამერიკელები მის გაფრთხილებას ყურად იღებენ. როცა შეერთებულ შტატებში სამსახურს ეძებდა, თავიდან გასაუბრებებზე ბევრ უსიამოვნებას გადააწყდა: მაგალითად, ბრუკინსის ინსტიტუტში იმის გამო შეწუხდნენ, რომ შეიძლებოდა მას არაბი მუსლიმები გაეღიზიანებინა (მიუხედავად ამისა, კონსერვატიული მიმართულების მქონე AEI-მ (American Enterprise Institute) ის მაშინვე აიყვანა სტიპენდიანტ-მკვლევრად). საერთო საცხოვრებელში მუსლიმი სტუდენტები ჰირსი ალის იმაში ადანაშაულებდნენ, რომ მას ისლამის განადგურება სურდა. ამ დროს დასავლელ ფემინისტებს, რომლებსაც ეჭვი არ ეპარებათ, რომ „მთავარ მჩაგვრელებს“ თეთრი კაცები წარმოადგენენ, „გამბედაობა თუ თვალსაწიერი“ არ ჰყოფნიდათ და ამის გამო არ შეეძლოთ დახმარებოდნენ აღმოსავლური „მენტალური ყამირის“ გატეხვაში. ის გასულ ნოემბერს ტექსასში მაიორ ნიდალ მალიკ ჰასანის მიერ მოწყობილ სისხლისღვრას იხსენებს და წუხილით მიანიშნებს „შეთქმულებაზე: ამ მკვლელობების რელიგიურ მოტივაციაზე ყველა თვალს ხუჭავს“ ამერიკაში.

ჰირსი ალის რწმენით, დღეს მუსლიმებს ძალდატანებით უნდა გააკეთებინონ არჩევანი ისლამურ სიბნელესა და თანამედროვე სეკულარული დასავლეთის სინათლეს შორის. ახალ წიგნში, რომლის ქვესათაურია: „მოგზაურობა ცივილიზაციების შეჯახების ადგილას“, ის უკომპრომისოდ უპირისპირდება იმ ნათესავებს, რომლებიც ბნელი რელიგიის ერთგულები რჩებიან. წიგნი იმით

იწყება, თუ როგორ ესტუმრა ქალი მომაკვდავ მამას უაითჩეპელში, ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში, 2008 წელს. მამამისი, რომელიც ღირსეული პოლიტიკური ოპონენტი გახლდათ იმ დიქტატორისა, ვისაც ზურგს საბჭოთა კავშირი უმაგრებდა, დევნილობის წლებში, სიბერის მოახლოებისას, უფრო მეტად მორწმუნე გახდა. მას ქალიშვილთან 2004 წლის შემდეგ არ ესაუბრა, როცა ჰირსი ალიმ ვან გოგთან ერთად გადაიღო ფილმი „მორჩილება“, მუსლიმი ქალების ჩაგვრის შესახებ. შვილმა მხოლოდ მამის გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე გაიგო, რომ ის უკურნებელი სენით იყო ავად. მას არ უნდოდა, სახლში მოენახულებინა მოხუცი, რადგან იცოდა: „ემიგრანტებით დასახლებული ტერიტორია, მთლიანად მუსლიმური გარემო“ დახვდებოდა. ამიტომ პოლიციელების თანხლებით მივიდა იმ საავადმყოფოში, სადაც მამა იწვა. მოკლე, გულისამაჩუყებელ სცენაში ის კარგად გადმოგვცემს, თუ როგორ უნდოდა მამას მასთან საუბარი, მაგრამ ეს ფიზიკურად აღარ შეეძლო.

იმ წამს შემოწოლილი სევდა ჰირსი ალის თითქმის საავადმყოფოდან გამოსვლისთანავე გაეფანტა. შინ მცველებთან ერთად ბრუნდებოდა, როცა უაითჩეპელ როუდზე თვალი მოჰკრა ტროტუარზე მიმავალ თავშებურულ მუსლიმ ქალებს და დიდი მეჩეთის წინ გამოფენილ წვეროსან კაცებს. „იმავე წამს პანიკურმა შიშმა“ აიტანა, „სული შეეხუთა“, თავი „ერთადერთ ნამდვილ მომთაბარედ“ იგრძნო. მუსლიმებს უაითჩეპელშიც ჩამოეტანათ და ფართოდ გაეშალათ „ტრადიციული ღირებულებების ბადე“ – იმ კულტურის ღირებულებებით, რომლებიც მან უკან მოიტოვა... ჰირსი ალის მართლაც ძალიან აწუხებს „საკუთარ თავთან დაპირისპირებული“ ნახევარ-დის, სარას ბედი, რომელსაც ლონდონში ფსიქოლოგიის შესწავლა და ამავე დროს სანიმუშო მუსლიმად დარჩენა უნდა. მას ერთი შემაწუხებელი ჩვევა აქვს: ყოველ წინადადებას Inshallah-ით („ღმერთმა ინებოს“) ამთავრებს. „როდემდე აიტანს დასავლური საზოგადოება სარას ცხოვრების წესს?“ – შეკითხვას სვამს ჰირსი ალი. როდესაც თვითკმაყოფილ, ღარიბ-ღატაკ ძმაზე საუბრობს, მწარედ მოთქვამს: „ეს თავის ტომს მიჯაჭვული მუსლიმი კაცების ტრაგედიაა“. გარდაცვლილ ბებიასაც სწერს წერილს აფრიკაში და უხსნის, როგორ შესაშურად ცხოვრობს დასავლელი „ურწმუნო“: „შეიძლება მშობლებზე ზრუნავდეს, მაგრამ მას არაფერში არგია, რომ თავი წინაპართა სახელებით ჰქონდეს სავსე. საკუთარი შრომის ნაყოფს მხოლოდ შვილებს უნაწილებს და არა ძმებისა თუ ბიძების ოჯახებს“.

„ჩემსა და ჩემს ნათესავებს შორის ის განსხვავებაა, რომ მე გონება გამეხსნა“, – წერს ჰირსი ალი. წიგნი იმ წერილით მთავრდება, რომელიც მან გამოგონილ, არდაბადებულ ქალიშვილს მისწერა. ამავე დროს ის ორიანა ფალაჩისაც ეძღვნება – იტალიელ მწერალს, ვინც მასთან ერთად ანტი-ისლამურ აგიტაციას ეწეოდა. სწორედ ამ უკანასკნელს ეკუთვნის სიტყვები, რომლებსაც დღემდე ვერ ივიწყებენ: „მუსლიმები ვირთხებივით მრავლდებიან ევროპაში“. ჰირსი ალი იმის გამო წუხს, რომ მის ქალიშვილს „არანაირი გამოწვევა არ ექნება ცხოვრებაში“, „პოსტ-რაღაცების ამერიკაში: პოსტ-სამოქალაქო უფლებების, პოსტ-ფემინიზმის, პოსტ-ცივი ომის ქვეყანაში“. ის გაკვირვებული ეკითხება მას: „რას უნდა ებრძოლო? რისთვის უნდა იბრძოლო?“ რა თქმა უნდა, უამრავი საფრთხე რჩება, რომელთა შესახებაც ქალი საკუთარ ქალიშვილს აფრთხილებს: მაგალითად, „ალაჰისა და მისი მიმდევრების მიერ ტვინის გამორეცხვის“ საშიშროება, აგრეთვე, „მრავალი იზმი“, რასაც ამერიკაში თავს მოახვევენ: „სოციალიზმი, კომუნიზმი, სხვადასხვა კულტის თაყვანისცემა, კოლექტივიზმის ნაირსახეობები“.

სავარაუდოდ, ჰირსი ალის „მომთაბარე“ ცოტა მუსლიმს თუ აღაფრთოვანებს. ავტორს არც იმას მოუწონებენ, ცოტა ხნის წინ საფრანგეთში ჩადრის აკრძალვას და შვეიცარიაში მინარეთების აკრძალვის თაობაზე რეფერენდუმის ჩატარებას რომ დაუჭირა მხარი. ისლამის ერთმნიშვნელოვნად განსჯისას ის ვოლტერის მაგალითზე მიუთითებს. თუმცა, მეთვრამეტე საუკუნის კათოლიკური ეკლესიის შოლტიან წარმომადგენლებს მეტად დააბნევდათ მისი წინადადება მუსლიმების მიერ „ქრისტიანობის – სიყვარულისა და შემწყნარებლობის რელიგიის“ მიღების შესახებ. მეორე მხრივ, ვოლტერის ხსენება იმაზე უფრო დროულია, ვიდრე ჰირსი ალის წარმოუდგენია. ვოლტერს სძულდა ევროპის მკვიდრი რელიგიური უმცირესობის – ებრაელების რწმენა და მათი განმასხვავებელი თავისებურებები. ის აცხადებდა, რომ „ყველა ებრაელის გულში დაბადებიდანვე ფანატიზმი ბობოქრობს“, რომ მათ „ყველა ერს აჯობეს უაზრო ზღაპრების გამოგონებაში, უხამს საქციელსა და ბარბაროსობაში“ და ისინი „დასჯას იმსახურებენ“. ვოლტერის მუქარა შეგვახსენებს: განმანათლებლობა ბევრად უფრო რთული და მრავალმხრივი მოვლენა იყო, ვიდრე ჰირსი ალის მიერ ნახსენები საღი აზრისა და თავისუფლების გამარჯვების გარიჟრაჟი. ვოლტერის მსგავსად, ბევრი მიიჩნევდა ებრაელებს ჩამორჩენილებად, მათ ერთობას კი – ევროპის გულში გაჩენილ აღმოსავლურ წყლულად. როდესაც ჰირსი ალი უაითჩეპე-

ჰირსი ალის მართლაც ძალიან აწუხებს „საკუთარ თავთან დაპირისპირებული“ ნახევარ-დის, სარას ბედი, რომელსაც ლონდონში ფსიქოლოგიის შესწავლა და ამავე დროს სანიმუშო მუსლიმად დარჩენა უნდა. მას ერთი შემაწუხებელი ჩვევა აქვს: ყოველ წინადადებას Inshallah-ით („ღმერთმა ინებოს“) ამთავრებს. როდემდე აიტანს დასავლური საზოგადოება სარას ცხოვრების წესს?

ლის მუსლიმური გეტოს საშინელებაზე მოგვითხრობს, ვერ აცნობიერებს, რომ ეთნოწმენდის დროს გამოქცეული და ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილს შეფარებული ებრაელი ლტოლვილებიც ასეთივე ზიზღით საუბრობენ.

უაითჩეპელმა ბევრი რამ უკან მოიტოვა: ჩაგვრა, სიღატაკე, ფანატიზმი, რადიკალიზმი – ეს კი ჰირსი ალის იმაში უნდა დაეხმაროს, რომ უკეთ გაუგოს არა მხოლოდ იქაურობის ახალ ბინადრებს, არამედ – საკუთარ ოჯახსაც. თუმცა, როგორც „მომთაბარე“ გვიჩვენებს, მისი ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მას ისტორიის განცდა გაუჩნდეს. მწარე სიმართლე კი აი, რა არის: პრობლემები, რომელთა გაჩენასაც ის ისლამს მიაწერს – სექსუალობის შიში, ქალების ჩაგვრა, ომის გზით მშვიდობის დამყარების სურვილი – ყველგან გვხვდება, სადაც ტრადიციების მიმდევარი ხალხები თანამედროვე ურბანული კულტურის ინდივიდუალიზმს უპირისპირდებიან. ბევრად მეტ ახალგაზრდა ქალს კლავენ ინდოეთში იმის გამო, რომ მათ საჭირო რაოდენობის მზითევი არ აღმოაჩნდათ, ვიდრე მუსლიმურ სამყაროში „ღირსების შესანარჩუნებლად“ განხორციელებული მკვლელობებია. ასეთი სოციალური პათოლოგიები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ინდუიზმი და ისლამი ბარბაროსული რელიგიებია, ისევე როგორც ევროპასა და ამერიკაში მომხდარი ოჯახური ძალადობის ფაქტები არ განსაზღვრავს ქრისტიანობისა და განმანათლებლობის მორალურ სახეს.

მუსლიმ ფუნდამენტალისტთა ჯგუფები დიდი ხნის მანძილზე ატერორებდნენ ახლო აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანას, განსაკუთრებით – პაკისტანსა და ავღანეთს, სადაც ცივი ომის დასრულებამ და ტერორიზმთან ბრძოლამ ყველაფერი გაანადგურა. ამ ექსტრემისტებს, რომლებიც ახლა დასავლეთსაც უტევენ, ყოველთვის აკლდათ ხალხის მხარდაჭერა საკუთარ ქვეყნებში. თანამედროვე მუსლიმური საზოგადოებების ანარქიული გამოცოცხლება, ისეთი ფიგურების წინა პლანზე გამოსვლა, როგორიც არის პაკისტანელი ტრანსვესტიტი ტელეწამყვანი ალი სალიმი და ჰიჯაბით შემოსილი ქაიროელი სექსოლოგი ჰება ქოთბი, რომლის თოქ-შოუსაც მთელი არაბული სამყარო უყურებს – ეს ყველაფერი ნაკლებად შეესაბამება ჰირსი ალის მიერ აღწერილ, შუა საუკუნეებში უნუგეშოდ ჩარჩენილ ხალხს, რომელიც სულ უფრო მკაცრ კანონებს უწესებს საკუთარ თავს და ურწმუნოთა დაუძლურების გეგმებს აწყობს. ბოლო წლებში ისლამურმა მოძრაობებმა, აქტივისტი ქალების ხელმძღვანელობითა თუ მათი მონაწილეობით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ინდონეზიისა და თურქეთის დემოკრატიზაციის საქმეში. უამრავი მუსლიმი, მათ შორის პაკისტანელი ასმა ჯაჰანგირი და ირანელი შირინ ებადი, ქალთა უფლებების დასაცავად ებრძვის, ერთი მხრივ – მუსლიმ ფუნდამენტალისტებს, და მეორე მხრივ – სეკულარული სამყაროს ავტოკრატებს.

>>> გაგრძელება გვ. 115

ფოტო: ლევან ხარაბეულიძე

ძაღლის გაზაფხული

ავტორი: პაატა ქურდაძე
ფოტო: თეიმო ბარძიმაშვილი

გასაოცარი რამ არის უსამართლოდ განაწყენებული კაცის ზურგი, რომელიც სამუდამოდ გცილდება. მასში რაღაც ადამიანური უძლურებაა, რაღაც საცოდავი სისუსტე, რომელიც შებრალებას გთხოვს, თავისკენ გექაჩება. ადამიანის ზურგში, რომელიც გშორდება, არის რაღაც, რაც იმ უსამართლობებსა და წყენებს გახსენებს, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ საჭიროა ლაპარაკი, კიდევ ერთხელ ბოდიშის მოხდა. და ეს რაც შეიძლება სწრაფად არის გასაკეთებელი, რადგან ადამიანი სამუდამოდ მიდის, და თავის შესახებ ტოვებს ბევრ ტკივილს, რომელიც დიდხანს გაგტანჯავს, და შესაძლოა, სიბერეში ძილის საშუალებაც არ მოგცეს.

„რომანი კოკაინით“. მიხეილ აგეევი.

მეტრო თავისუფლების მოედანზე, ტროტუარის წინ, მანქანების სავალ ნაწილზე ჭუჭყიანი და ძალიან გამხდარი წითური ძაღლი იწვა ზურგზე და მზეს ეფიცხებოდა. ოთხივე თათი მაქსიმალურად ჰქონდა გაფარჩხული. თვალებდახუჭული თითქოს იღიმებოდა. 8 აპრილი იყო. პირველი მცხუნვარე მზიანი, ნამდვილი გაზაფხულის დღე.

თბილისელების ნაცრისფერი უნდობლობა მზისა და გაზაფხულის მიმართ ისევ ისეთი დარჩენილა, როგორც ოცი წლის წინათ – ჩემს უკანასკნელ თბილისურ გაზაფხულზე – პირველი იასამნების გაფურჩქვნამდე ყველა თბილად შეფუთული დადის და ოფლად იღვრება. თითქოს ყოველ წამს თოვლის წამოსვლას, ქარბუქს, წყალდიდობას და ათას სხვა სტიქიურ უბედურებას ელოდებიან. მზის პირველ გამოჩენას ირონიულად აღიქვამენ. გამუდმებით ნასესხებზე და სუბსარქისზე საუბრობენ. განწყობაც შესაბამისად ცივია, კაფეების ტერასები ისევ ცარიელია, პარკებშიც საჩუქარივით მოვლენილ მზეს არავინ ეფიცხება, არც შეყვარებულები, და არც მოხუცები... ეს უკანასკნელნი საერთოდ, არანაირ ამინდში არ ჩანან, თითქოს საერთოდ სადღაც გაქრნენ, ან ყველანი ერთად გარდაიცვალა. ახალი თაობის მოხუცები კი ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან... ან იქნებ ისევე, როგორც თბილისელ ინვალიდებს, გამხეცებული ავტომობილების მძღოლების ეშინიათ და ქუჩაში ვერ გამოდიან. ძალიან სევდიანი შესახედია ქალაქი, სადაც გაზაფხულზე მოხუცები მზეს არ ეფიცხებიან.

ჭუჭყიანი ტროტუარის წინ მზეს მიფიცხებული მაწანწალა ძაღლი, გულწრფელად გეტყვით, ერთადერთი ბედნიერი არსება იყო, რომელიც ამ ადრიან გაზაფხულს ჩამოსვლის დღიდან ორი კვირის განმავლობაში ვნახე თბილისში. ეტყობოდა, საკუთარი ბედნიერება მთლიანად გააზრებული ჰქონდა, მის ყოველ წამს, ყოველ მილიმეტრს აფასებდა, უფრთხილდებოდა: ტროტუარსა და მანქანების სავალ ნაწილს შორის ერთი ციცქნა „მკვდარი მონაკვეთი“ ჰქონდა არჩეული, რომ

ხელი არავისთვის შეეშალა, ფეხებში ან ბორბლებში არ წამოსდებოდა ვინმეს – მანქანებს, გამვლელებს ან ყვითელჟილეტიან „სტაიანშიკებს“, იწვა თავისთვის, ბედნიერი მხოლოდ იმით, რომ კიდევ ერთ ცივ და მშიერ ზამთარს ცოცხალი გადაურჩა. თვალებდახუჭული თავისებურად, ძაღლურად უღიმოდა მზეს მადლიერი.

რაღაც სულელური ტურისტული ინსტინქტის გავლენით, ჯიბეებში პატარა ფოტოაპარატის ძებნა დავიწყე. ძლივს მივაგენი. ამასობაში სამი უსაქმური მუწუკებიანი ახალგაზრდა მოგვიახლოვდა მზესუმზირის ფურთხებით. ჩემს მზერას თვალი კინოკამერასავით გააყოლეს ბედნიერი ძაღლამდე. ერთ-ერთი მათგანი, უფრო გაბედული – რუსთაველზე მოხეტიალე სოფლის ბირჟის წითური კლოუნი – ძმაკაცებს გამოეყო და ძაღლისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

მივხვდი, რაღაც სისაძაგლეს ჩაიდენდა, მაგრამ დავიბენი, ხმის ამოღება ვერ მოვასწარი.

წითურმა ჭუჭყიან ასფალტს ფეხი დაჰკრა და რაღაცნაირად ტეტიურად დაუცაცხანა ძაღლს, დაახლოებით ასეთ სტილში – რას წამოწოლილხარ აქა, შენი დედა კი... ძაღლი ზანტად წამოდგა და აუჩქარებლად, კოჭლობით დაუყვა დიდი პოეტის გამზირს ტროტუარის გასწვრივ – უკანა მარჯვენა ფეხი უფუნქციოდ ჰქონდა ჩამოკონწიალებული. დაახლოებით ხუთი მეტრის გავლის შემდეგ უკან მოიხედა წამით, გულგრილად შეხედა ბირჟავიკებს, მხრები რომ ჰქონოდა, ალბათ აიჩეჩავდა.

წითურმა კმაყოფილი სახით შემომხედა, ალბათ თანამოაზრის ღიმილს ელოდა ჩემგან. თავისი მეგობრების ხითხითი ეტყობა საკმარისად არ ჩათვალა და საერთაშორისო აღიარება მოინდომა – მე აშკარად ფოტოაპარატიანი უცხოელი ვეგონე.

– რას ერჩოდი? ვკითხე, – რამე დაგიშავა? – ჩემი ქართულის გაგონებაზე გაკვირვებულმა შემომხედა, მერე თავის ძმაკაცებთან ერთად მორიგი თავგადასავლების საძებნელად ქაშუეთისკენ გასწია.

ნუ გიკვირს, – მითხრა საღამოს ერთმა ნაცნობმა, – მაგ ბიჭს მთელი ცხოვრება ზუსტად ასეთივე ცინიზმით ექცევიან, ასე აგდებენ თბილი ადგილებიდან. სხვა მან არაფერი იცის.

მას შემდეგ კიდევ ერთი თვე გავიდა. გაგდებული კოჭლი ძაღლის ზურგი დროდადრო მახსენდება. თბილისში შეუძლებელია მისი დავიწყება, ისევე, როგორც ჩემი ნაცნობის აბსოლუტურად მართალი სიტყვები ქართული საყოფაცხოვრებო ცინიზმის შესახებ, რომელიც პრიმიტიულ დაუნდობლობასთან ერთად ჩვენი პროგრესირებადი დეფექტია და ასევე სწრაფად პროგრესირებად პროვინციალიზმთან შერევისას ტრანსფორმირდება ნამდვილ სიძულვილის ბომბად, რომელსაც გაფუჭებული მექანიზმი აქვს და არავინ იცის, როდის აფეთქდება დენთის საწყობში, რომელიც საქართველოა, გაფუჭებული მექანიზმი კი – მისი კულტურა.

ეს მექანიზმი ბევრს დღემდე მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილის მიერ შავ-თეთრი ფოტოგრაფიის, საავტორო კინოსა და იტალიური ოპერის სიყვარული ჰგონია; მეორე ნაწილს კი – შოთა რუსთაველის, ვაჟასი და რუსთაველის თეატრის. ქვეყნის კულტურულ კატასტროფასთან სიახლოვე სწორედ იმ „საყოფაცხოვრებო ცინიზმში“ ჩანს, რომელიც მუქთად განაწყენებულ, ჩვენგან შებრუნებული ადამიანების ზურგებს ისე დასთამაშებს, როგორც ჩაბნელებულ კინოდარბაზში ეკრანის წინ გასასვლელისაკენ მიმავალ უკმაყოფილო მაყურებლის სხეულზე შემთხვევით გამოსახული რამდენიმე დეგრადირებული კადრი.

ეროვნული ხედვის წერტილიდან, კულტურა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ესა თუ ის ხელოვნების დარგი ან მათი ერთობლიობა. ეს, სულ ცოტა, კოლექტიური ცხოვრების წესია და არა საზოგადოების გამორჩეულად ნიჭიერი წევრების მიერ უმისამართოდ სათრევი მძიმე, უშნო ჯვარი გზაზე, რომელიც გოლგოთასკენაც კი არ მიდის, მსხვერპლშეწირვის პრიმიტიული პერფორმანსის დასადგმელად.

დემოკრატია, რომლის დამყარებისკენაც ქართული პოლიტიკური ელიტა ასე თავგამოდებით მიილტვის ცეცხლითა და მახვილით, შეუძლებელია შესაბამისი კულტურული მხარდაჭერის გარეშე. კულტურა სხვა არაფერია, თუ არა პიროვნული ღირსება, დემოკრატია კი პიროვნული ღირსება აყვანილი ეროვნულ, შემდეგ კი სახელმწიფოებრივ ხარისხში.

განსხვავება კულტურებს შორის პიროვნული ღირსების გამოვლენის, ან არგამოვლენის ფორმასა და ხარისხში ჩნდება. ყველაფერი დანარჩენი მხოლოდ დეტალებია – დიდი ხელოვნებაც კი: კალამს, ფუნჯს ან კინოკამერას ხელში პირველ რიგში პიროვნული ღირსების დასაცავად იღებენ, ისევე, როგორც უნიფორმიანი კაცუნები – კალაშნიკოვს. უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელთა როლი არც ისე პატარაა კულტურის განვითარებაში. თუმცა, ჩემი აზრით, ისინი ჩვენს სევდიან 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე უფრო და უფრო პაროდიულად გამოიყურებიან თავიანთი გაპრიალებული თოფებით, ჩაფხუტებით და ყოვლად იდიოტური პატრიოტულ- გამამხნევებელი სიმღერა-შეძახილებით. განსაკუთრებით ისეთ პატარა და კულტურული კატასტროფის ზღვარზე მყოფ ქვეყანაში, როგორიც ჩვენი ქრონიკულად მოწყენილი სამშობლოა, თავისი ტრაგიკული წარსულით, უიმედო აწმყოდ გადაქცეული ილიას მომავლით, რომელშიც ვცხოვრობთ, და ეროვნული პესიმისტური ოპტიმიზმით...

მიუხედავად ჩვენი ისტორიული ამბიციისა, საქართველო დღეს თავის კულტურულ თვითგამორკვევის ეპოქაში ცხოვრობს. პირველად ცდილობს, გაერკვეს საკუთარ რელიგიურ, გეოპოლიტიკურ, სექსუალურ და სხვა ორიენტაციებში. ოღონდ სამწუხაროდ, ამას უიმედოდ, ფიქრისა და დისკუსიის გარეშე, მახვილით ხელში, ფაქტობრივად, პირდაპირ კულტურული სამოქალაქო ომით აკეთებს და ნელ-ნელა ყველაზე ფუნდამენტალისტ ერებს ემსგავსება; ერებს, სადაც კულტურაზე არ დავობენ, არ კამათობენ – პირდაპირ სჯიან, როზგავენ, ხელებს აჭრიან, სახრჩობელაზე კიდებენ. ჩვენ არასდროს არ ვყოფილვართ ისე ახლოს, სულ ერთი ნაბიჯის მანძილზე დასავლეთთან, ან აღმოსავლეთთან, როგორც დღეს – სწორედ იმ ერთადერთი ნაბიჯის, რომელსაც უკან ვეღარ გადმოდგამ და

ან დასავლეთში დარჩები, ან – აღმოსავლეთში.

სინათლის გავრცელების სისწრაფე სიბნელის გავრცელების სისწრაფეს უდრის – ამის შემოწმება ყოველ ჩვენგანს შეუძლია საკუთარ ოთახში, ნათურის ჩამრთველ ღილაკზე თითის დაჭერით. უფრო მარტივად კი ეს ირანის მაგალითზე ჩანს – თუ როგორ გადართო 1979 წელს აიათოლამ თითის ერთი მარტივი მოძრაობით სინათლიდან სიბნელეში მთელი ქვეყანა.

საქართველოში დღეს ნამდვილი კულტურული დაპირისპირება, თითქმის სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. გასაკვირი თითქოს არაფერია – თუ გავითვალისწინებთ ჯერ 70-წლიან წითელ კულტურულ, შემდეგ კი პოსტსაბჭოთა უკულტურობის დიქტატურას. ბოლო წლების იმპორტ-ექსპორტზე ორიენტირებულ კულტურულ დეკადანსს, უცხოელი არტისტების ქედმაღალ უბრალოებასა და გულმოწყალებას, მათთან ასისტენტებად მომუშავე ქართველ თანამოძმეების „შემოქმედებით“ ბოღმას, მლიქვნელობას, სულიერ კორუფციას... ამ ომს თავისი „ბეიბი-ბუმები“ ჰყავს, კულტურული ვიტამინების გარეშე გაზრდილი მთელი თაობა, აგრეთვე თავისი კულტურის უნიფორმიანი და მედლებიანი გმირები, ხეიბრები, ბანდიტები, ოპორტუნისტები და მეძავები...

– როგორი გეჩვენებათ საქართველო 4 წლის შემდეგ? ამჩნევთ ცვლილებებს? მოგწონთ?... ეს არის კითხვები, რომლებსაც ყველაზე ხშირად მისვამენ თბილისში მას შემდეგ, რაც ოთხი წლის თავზე პირველად ჩამოვედი ორი თვით, ჩემი წიგნის – „ფსიქოდელიური ქრონიკა 2009“-ს გამოსაცემად. საშინელი კითხვაა... განსაკუთრებით, როდესაც თვალებში გიყურებენ პროკურორებივით. პრინციპში პასუხის გაცემა არც ისე ძნელია – ორი სიტყვა განათებულ ქუჩებზე უნდა თქვა, სამი – გზებზე, ხუთი – პოლიციაზე... მთავარია, არ დაგცდეს, რომ „არა პურითა ერთითა (რომელიც ბევრს არა აქვს) ცხოვრობს (ცხონდება) ადამიანი“...

ამ დღეებში ერთმა ჩემმა მეგობარმა – ქალბატონს, რომელმაც კითხვების ეს სერია დამაყარა, ჩემ მაგივრად უპასუხა, აუხსნა, რომ ჩემნაირ კაცს საერთოდ არ უნდა ჰკითხო ასეთი რამ, რადგან მე საქართველოს განვიცდი და უფრო ღრმად ვიქექები, ვიდრე საჭიროა. ჩემზე უკეთ ცვლილებებს ის უცხოელები ამჩნევენ, ვინც წარმოშობით ქართველები არ არიან... და ის აბსოლუტურად მართალი იყო. აბანოთუბნით, ახალი ხიდით და ასისტენტი ქართველების უბრალო და კეთილი გულით აღფრთოვანებული ფრანგების კულტურული „დესანტი“ ამ დღეებშიც ჩამოიყვანა თბილისში „აირზენას“ თვითმფრინავმა პარიზიდან. მას რამდენიმე პროფესიონალი და უამრავი მოყვარული ფოტოგრაფი, აგრეთვე, უბრალოდ ხაჭაპურისა და ეგზოტიკურ ქვეყნებში მოგზაურობის მოყვარული, ფოტოგრაფიისაგან ძალიან შორს მდგარი ადამიანი ჩამოჰყვა. მათი აზრი ორგანიზატორებისაგან კარგად კადრირებული თბილისის შესახებ, რომელშიც კულტურული ცხოვრება „ჩქეფს“, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო სასიამოვნო მოსასმენია, ვიდრე ჩემისთანა ზედმეტად მგრძნობიარე „უცხოელისა“.

ფოტოგრაფიის ფესტივალი „Tbilisi Open Air Photo Fest-ი“ მართლაც ძალიან საინტერესო იყო. თბილისის „ინტურისტ“ უბანში დიდ მონიტორებზე სხვადასხვა ფოტოსააგენტო თავის ფოტოგრაფების ნამუშევრებს წარმოადგენდა. შარდენის ქუჩაზე ერთი პატარა ეკრანი ქართველ ფოტოგრაფებსაც ჰქონდათ დათმობილი. გაიმართა დებატებიც. იქიდან გამოსულმა ფრანგმა ფოტო-ტურისტებმა ჩემთან საუბრისას სხვათა შორის აღნიშნეს, დებატებზე განსხვავებული აზრის არარსებობა. რაც პრინციპში არ გაჰკვირვებიათ არც მათ და არც მე.

მთლიანობაში, ჩემი აზრით, ფრანგმა სტუმრებმა შესანიშნავი უიკენდი გაატარეს თბილისში და პარიზს ჩურჩხელებით და ხევსურული ქუდებით დასაჩუქრებულნი დაუბრუნდნენ. ახლა ალბათ საზაფხულო არდადეგებისათვის ემზადებიან, სადაც საღამოობით აპერიტივზე, ცივი ვარდისფერი ღვინით ხელში სიამოვნებით მოუყვებიან ახალგაცნობილ „საზაფხულო“ ამხანაგებს, როგორ გაატარეს შარმიანი უიკენდი ერთ ძალიან სტუმართმოყვარე, მაგრამ რუსებისაგან გაწამებულ ქვეყანაში.

უცხოელი ტურისტებითა და მათი მასპინძლებით გადავსებულ კაფეების ტერასებს შორის მოსეირნე თბილისელები ცნობისმოყვარედ ადევნებდნენ თვალს მონიტორებს, უფრო მეტი ინტერესით კი – თავად ტერასებს. ძალიან შთამბეჭდავი იყო, კონტექსტის თვალსაზრისით, გუდიაშვილის ბაღში ნაჩვენები ტრანსსექსუალის ფოტოისტორია, რომელიც მთელი ღამე ტრიალებდა. საოცარია, რომ ფილმი ქართველ ენთუზიასტ-ინკვიზიტორთა მხედველობის არეში არ მოხვდა და გუდიაშვილის მოედნის ნაზი ფოტო-ნოქტიურნი მართლმადიდებელ მორალისტთა მუშტმოღერებულმა „მამაო ჩვენომ“ არ დაარღვია...

ფესტივალის გეოგრაფია „ინტურისტ უბნით“ შემოიფარგლა. დასაწყისისთვის ესეც კარგია. თუმცა, ჩემი აზრით, იგივე დიაპორამის გაშვება გლდანისა და ვაზისუბნის უშნო კორპუსების კედლებს გაცილებით უფრო მოუხდებოდა – ისევე, როგორც შუშით გადახურული საცალფეხო ხიდი – რომელიმე გარეუბანს, ან ქართულ

ამ ომს თავისი „ბეიბი-ბუმები“ ჰყავს, კულტურული ვიტამინების გარეშე გაზრდილი მთელი თაობა, აგრეთვე თავისი კულტურის უნიფორმიანი და მედლებიანი გმირები, ხეიბრები, ბანდიტები, ოპორტუნისტები და მეძავები...

უსახურ პროვინციას.

ჩემს ბავშვობისდროინდელ წარმოსახვას თბილისი რატომღაც მხოლოდ მთაწმინდის ფერდობით შემორჩა, რომელიც ხანდახან ლაღიძის „თბილისოს“ პლასტმასის შიშინით ამომიტივტივდება ხოლმე დაღლილ მეხსიერებაში – ანძით, დიდი რესტორნით, საბაგირო გზით, ტრამვაით... აგრეთვე ყველაფერი დანარჩენით – ჩემს ვირტუალურ „საფოსტო ბარათში“ ქართლის დედა მამა დავითის გვერდით დგას, იქვეა ინდიელივით ხელაწეული ვახტანგ გორგასალი, მეტეხი, ნარიყალა, ფილარმონია, მუზა, „დინამოს“ სტადიონი, ურიკიანი ნაყინის გამყიდველი და სასტუმრო „ივერია“ თავისი სახინკლით... დღევანდელი ბავშვების ობიექტივში კი გაჭედილ კადრად, რა თქმა უნდა, აბანოთუბანი დარჩება – ხაჩიძის „მიშა მაგარიას“ ციფრული აკომპანიმენტით. ამ თბილისს, რომელიც შუშის ხიდთან იწყება და რესტორან „მასპინძელოსთან“ მთავრდება, მხოლოდ ისტერიული ტელეანძა აკლია, რომელიც ღამღამობით უზნეო ბავშვივით ჭირვეულობს, ხტუნაობს და ათასნაირად აბრიალებს უთვალავ თვალს...

საზოგადოების ნაწილისთვის ფოტოგრაფიის ფესტივალი ხელისუფლების მორიგი „პიარ აქცია“ იყო, ამიტომ გამოფენებსა და დებატებზე თითქმის არ ჩანდა თბილისელების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი. როგორც ჩანს, ასეთი პოპ-მანიფესტაციაც კი ვერ აერთიანებს პოლიტიკურად ანგაჟირებულ ანტაგონისტ მხარეებსა და საზოგადოებას. ეს, ჩემი აზრით, ბევრისმეტყველი ფაქტია.

ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ფოტომოყვარულთა ნადიმი იყო ღია ცის ქვეშ, აბანოთუბანში, „სამეფო“ და „ჭრელ“ აბანოებს შორის რამდენიმე რიგად ოსტატურად გაშლილ გრძელ სუფრას, რომელსაც ქართული კულტურის მფარველი ფრანგი სულიწმიდა თამადობდა, ფოტოხელოვნებისა და ქართული ექსტრავაგანტულ-ისტერიული მასპინძლობის თაყვანისმცემელთა დიდი არმია უსხდა. ვის არ შეხვდებოდით – ხელისუფლების წარმომადგენლებს, დიპლომატიურ კორპუსს, უცხოელ სტუმრებს – ძირითადად ფრანგებს, რომლებმაც აირზენას თვითმფრინავიდან ევროპის სახლში აზერბაიჯანელი ფოტოგრაფის გამოფენის გახსნის შემდეგ პირდაპირ ადგილობრივ წითელ ხალიჩიან გალაპურმარილზე ამოყვეს თავი.

ზემოდან გაკაშკაშებული მეტეხი, ნარიყალა და პრეზიდენტის მაგიური სასახლე დაგვცქეროდა. ქვემოდან – მკვდარი აყროლებული მტკვრის სანაპიროდან და ალიევის სკვერიდან კი ცნობისმოყვარე თბილისელები სინანულით უყურებდნენ მწვადებით პირგამოტენილ ფოტომოყვარულებს და პოლიტ ვარსკვლავებს. ჩაქაფულის ჩამოტარებისას ავტომატიანი და რაციებიანი „პიტბულები“ შემოვარდნენ, იქაურობა დასუნეს. მათ საქართველოს პრეზიდენტი მოჰყვა, ფრანგი სტუმრები თვალებს არ უჯერებდნენ. ზოგიერთს პოლიფონიური სიმღერების შემდეგ შემოსული გაღიმებული სააკაშვილი ვარიეტეს მონაწილე, გადაცმული მსახიობი ეგონა, მაგრამ როდესაც „პიტბულებმა“ ფოტოფესტივალის მონაწილე პროფესიონალ ფოტოგრაფებს თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულება აუკრძალეს და გადაღებული ფოტოები წააშლევინეს, იძულებულნი გახდნენ, დაეჯერებინათ – მართლაც საოცარი, ჯადოსნური საღამო იყო.

ფოტო: თეიმურ ბარამიაშვილი

>>> გაგრძელება გვ. 119

რუსოფობია, როგორც კულტურული მექანიზმი

ავტორი: ზაალ ანდრონიკაშვილი

„შიში შეიქმს სიყვარულსა“
რუსთაველი

ეს წერილი თავისუფლად შეიძლებოდა მიზოგინიისთვის ან ჰომოფობიისთვის მიმეძღვნა. რუსოფობიაზე იმიტომ შევჩერდი, რომ თუ ჰომოფობი საქართველოში ასე თუ ისე ექსტრემისტთან (გნებავთ რელიგიურთან, გნებავთ პოლიტიკურთან) არის გაიგივებული, რუსოფობს გულანთებული პატრიოტის ნიღაბი აქვს მორგებული. რუსოფობს ჰგონია, რომ თუ ყველაფერ რუსულს შეებრძოლება, სასარგებლო საქმეს გააკეთებს. სინამდვილეში, აზროვნების და აზროვნების შედეგების თვალსაზრისით, რუსოფობს და ჰომოფობს შორის არანაირი განსხვავება არ არის.

„მაქვს უფლება, ვიყო რუსოფობი! რა დროს კორექტულობაა, როდესაც ტანკები ჩემი სახლიდან 40 კილომეტრში დგანან“, – ამბობს რუსოფობი. ამ ფრაზაში უხერხულობაც ჩანს, რომელსაც რუსოფობი გრძნობს, რადგანაც თავისი ფობიის გამართლებას ცდილობს. სხვა დროს და სხვა სივრცეში რუსოფობი არ იქნებოდა რუსოფობი და კორექტულობის (ან თუნდაც გულგრილობის) დროც ექნებოდა, რომელიც ახლა არ აქვს. საქართველოში რუსოფობიის მიზეზები ძნელად ასახსნელი არ არის. დღეს რუსეთი საქართველოს მტერი და არაკეთილმოსურნეა. ეს კი არა მარტო პოლიტიკურ სივრცეზე, არამედ საზოგადოებრივ ცნობიერებაზეც ახდენს გავლენას. რუსეთთან ომგადახდილ და ომწაგებულ ქვეყანაში არ არის გასაკვირი, რომ ადამიანს რუსეთის მიმართ აგრესიის, სიძულვილის ან თუნდაც ზიზღის გრძნობა გაუჩნდეს. არ ვაპირებ რუსოფობებთან პოლემიკას და იმის დასაბუთებას, რატომ არ არის, ვთქვათ, მანდელშტამი ან რახმანინოვი დამნაშავე პუტინის პოლიტიკაში და რატომ არის სისულელე ყველაფერი რუსულის მიუღებლობა მხოლოდ იმიტომ, რომ ის რუსულია. ჩემთვის საინტერესოა, რამდენად ადეკვატურად პასუხობს რუსოფობი რუსეთის პოლიტიკურ მტრობას.

ენერგიების (მათ შორის ნეგატიური ენერგიების: სიძულვილის ან ზიზღის) ტრანსფორმაციის, მათი კულტურალიზაციის მექანიზმები ახალი აღმოჩენილი არ არის. არისტოტელე „პოეტიკაში“ ტრაგედიის კატარტულ ეფექტზე საუბრობს: ტრაგედიის მაყურებელი (და მონაწილე) უარყოფითი ემოციებისგან (მათ შორის შიშისაგანაც) თავისუფლდება. ენერგიების ტრანსფორმაციის ყველაზე ცნობილი მექანიზმი ალბათ სუბლიმაციაა. სუბლიმაცია თავდაცვითი მექანიზმია და ფსიქიკის კონფლიქტური ტენდენციების დაძლევას ან კომპენსირებას ემსახურება. სუბლიმაციას (ამაღლებას) ზიგმუნდ ფროიდი განმარტავს როგორც ინსტინქტური სურვილების კულტურულ (ხელოვნების, რელიგიის, მეცნიერების) ფორმებად ტრანსფორმაციას.

ემოციების ან აფექტებისაგან არც პოლიტიკური სივრცეა თავისუფალი. მტრისა და მოყვარის განსხვავება (ორივე ცნება აფექტურად დატვირთულია) არა მარტო პოლიტიკის, არამედ ზოგადად კულტურის პრინციპიცაა. მტრობა, პოლემიკა, დაპირისპირება კულტურული ფორმების გენერატორია: მოსეს კანონები ეგვიპტური კანონების საპირისპიროდ იქმნება, XVII საუკუნეში ფრანგი მწერლები ლათინურის გავლენას უპირისპირდებიან, ერთი საუკუნით გვიან კი ჰერდერი ფრანგულ ლიტერატურას გაემიჯნება და ხალხურ პოეზიას და გერმანულ მითოლოგიას „აღმოაჩენს“. ოღონდ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთი გამიჯვნის შემთხვევაში, ის, რასაც შენ ემიჯნები, შენში უხილავ ათვლის წერტილად, იმ სახელდაუდებელ სიცარიელედ იქცევა, რომლის გარშემოც ტრიალებს შენი კულტურა.

ამ მექანიზმს კულტურული სუბლიმაცია შეიძლება ვუწოდოთ – როდესაც „სხვისაგან“ გამიჯვნა (რომელიც ყოველთვის აფექტურია), „შენს“ კულტურულ სივრცეს ქმნის. ასეთი გამიჯვნის მექანიზმისგან განსხვავდება ფობია, როგორც უსაფუძვლო შიში, რომელიც ვლინდება გადაჭარბებულ და გადამეტებულ სურვილში, თავი აარიდო შიშის წყაროს. განსხვავებით სხვა ფობიებისაგან, ქსენოფობია და მისი ნაირსახეობები არა მარტო და არა იმდენად ფსიქოლოგიური ფენომენებია, რამდენადაც – კულტურული. ქსენოფობია არაფერს გვეტყვის უცხოს შესახებ (ისევე, როგორც არაქნოფობია ვერაფერს გვეტყვის ობობებზე ან აგორაფობია ვერაფერს გვეტყვის ღია სივრცეებზე), სამაგიეროდ შეიძლება ბევრი რამ გვითხრას ჩვენს საზოგადოებაზე. თუ საზღვრის გავლება, გამიჯვნა, სუბლიმაცია კულტურული მექანიზმია, რომელიც კულტურული ფორმების გამომუშავებას უწყობს ხელს, ფობიის შემთხვევაში, ერთი მხრივ, ვერ ხერხდება შიშის და აგრესიის ნაზავის ადეკვატური ტრანსფორმაცია და, შესაბამისად, ფობიის წყაროსაგან გათავისუფლება. „გავთავისუფლდეთ რუსეთისაგან“, – ამბობს რუსოფობი, მაგრამ ფობიის ლოგიკა მას გამუდმებით ფობიის წყაროსთან აბრუნებს. მეორე მხრივ კი, ფობიისაგან გათავისუფლება იმიტომ ვერ ხერხდება, რომ ფობიით შეპყრობილს არ შესწევს კულტურული ფორმის

შექმნის ძალა. ფობიით შეპყრობილი ყოველთვის უძლურია.

სუბლიმაციისგან განსხვავებით, იმ მექანიზმს, რომელსაც ფობია ამუშავებს, პირობითად დესუბლიმაცია, დამდაბლება, ტრივიალიზაცია შეიძლება ვუწოდოთ. დესუბლიმაციის (ტრივიალიზაციის) აღსაწერად ცოტა ხნით ფობიას მოვეშვები და (რუსოფობების გასახარად) რუსულ ლიტერატურას მოვიშველიებ. დესუბლიმაციის რუსული შესატყვისი არის სიტყვა „опошлить". ესეში „ნიკოლაი გოგოლი" ვლადიმირ ნაბოკოვი пошлость-ს (Posh-lust ან Poshlost) განმარტავს როგორც „ყალბად მნიშვნელოვანს, ყალბად ლამაზს, ყალბად ჭკვიანს, ყალბად მიმზიდველს". ესეში „Philistines and Philistiny" („ფილისტერები და ფილისტერობა") ნაბოკოვი წერს: „რამისათვის „პოშლიზმის" (poshlism) მომაკვდინებელი იარლიყის მიკერება არა მარტო ესთეტიკურ, არამედ მორალურ ბრალდებასაც ნიშნავს". ნაბოკოვისგან განსხვავებით, ტრივიალიზაციას არც ესთეტიკური, არც მორალური თვალსაზრისით არ განვიხილავ. ტრივიალიზაციის მექანიზმის გამოსავლენად კი იმ მწერალს მივაკითხავ, რომელიც ერთნაირად (თუმცა განსხვავებული მიზეზებით) არ უყვართ ნაბოკოვს და ქართველ რუსოფობებს. დოსტოევსკის რომანში „ეშმაკნი" მთხრობელი კაპიტან ლებიადკინს ასე ახასიათებს: „Есть люди, которым чистое бельё даже неприлично-с". (ჩემი აზრით, ეს „пошлость"-ის საუკეთესო განმარტებაა). რომ დავფიქრდეთ, რატომ შეიძლება იყოს უხერხული ზოგიერთი ადამიანისთვის სუფთა საცვლის ტარება, მივხვდებით, რომ ამ უხერხულობის (ან გნებავთ ნაბოკოვისეული სიყალბის) შეგრძნების მიზეზი შეუსაბამობაა ფორმასა და შინაარსს შორის (ეს უხერხულობა იმავდროულად ის უხერხულობაცაა, რომელსაც რუსოფობი გრძნობს). გარეგნული არაადეკვატურობა ლებიადკინსა და მის ჩაცმულობას შორის ეკვივალენტურია ზოგადად გამოხატვის უუნაროობისა: ლებიადკინი ვერ ახერხებს „ბუნებრივის" – ემოციების და სურვილების კულტურულ ტრანსფორმაციას – ანუ სუბლიმაციას. „Признак этих людей — совершенное бессилие сдержать в себе свои желания; напротив, неудержимое стремление тотчас же их обнаружить, со всею даже неопрятностью, чуть только они зародятся". – გვიხასიათებს ლებიადკინს მთხრობელი. ემოციების ნაკლებობას ლებიადკინი არ განიცდის: „– здесь, в этом сердце, накипело столько, столько, что удивится сам бог, когда обнаружится на Страшном суде!" მისი გასაჭირი ის არის, რომ არ შესწევს კულტურული ფორმის შექმნის ძალა. ძალიანაც უნდა, მაგრამ არ გამოსდის. ემოციის გამოხატვას ლებიადკინი პოეტური ფორმით ცდილობს და ასეთ იგავ-არაკს თხზავს:

Жил на свете таракан,
Таракан от детства,
И потом попал в стакан,
Полный мухоедства...
Место занял таракан,
Мухи возроптали.
«Полон очень наш стакан», —
К Юпитеру закричали.
Но пока у них шел крик,
Подошел Никифор,
Бла-го-роднейший старик...

ლებიადკინი იგავ-არაკის ლექსად დამთავრებას ვერ ახერხებს და პროზაზე გადადის. ნიკიფორი ბუზებიანტარაკნიან ჭიქას გადაღვრის. ეს ნიკიფორი ბუნებას განასახიერებსო, – ასე ამთავრებს კაპიტანი თავის ოპუსს. იქ, სადაც კულტურული ფორმის შექმნა ვერ ხდება, თითქოს ბუნებრივ მდგომარეობაში დაბრუნება უნდა მოხდეს, თუმცა „ფორმა", რომელიც ლებიადკინს გამოსდის, „ბუნებრივიც" არ არის. პროდუქტი, რომელსაც ლებიადკინი ქმნის, „неопрятность" – „ფეთხუმობა" – ადეკვატურად ვერგამოხატული და შესაბამისად დარღვეული კულტურული ფორმის ეკვივალენტია.

მიუხედავად არაადეკვატური გამოხატვის გროტესკული ფორმისა, ის არც გროტესკულია არც პაროდიული, რადგანაც გროტესკიც და პაროდიაც მიზანმიმართულია და ყოველთვის კულტურულ სივრცეში რჩება. ამ უხეირო იგავ-არაკში ლებიადკინი ცდილობს თავისი (ტარაკანის) და გუბერნიის ქალაქის საზოგადოების („стакан полный мухоедства") ურთიერთობა აღწეროს. ბუნება, რომელიც კაპიტანი-ტარაკანის იგავ-არაკში მასაც და გუბერნიის ქალაქის საზოგადოებასაც ანადგურებს, მიგვანიშნებს, რომ ლებიადკინი ვერ ახერხებს ისეთი კულტურული სივრცის წარმოდგენას, რომელიც რაიმე აზრის მატარებელი იქნებოდა. სივრცე, რომელსაც დესუბლიმაცია ქმნის, კულტურული არ არის, მაგრამ არც ბუნებრივია.

მაშ როგორია ლებიადკინის (და ზოგადად დესუბლიმაციის) სივრცე? რა ხდება იქ, სადაც ვერ ხერხდება კულტურული ფორმების და აზრის მატარებელი კულტურული სივრცის შექმნა? ამ შეკითხვას რომ ვუპასუხო, ისევ კულტურულ ფობიას უნდა დავუბრუნდე. კულტურული ფობია დესტრუქციულია. არ არის აუცილებელი ეს დესტრუქცია სხვის (გნებავთ მტრის ან უცხოს) წინააღმდეგ იყოს მიმართული. პირიქით, ფობიის მიერ ამოქმედებული დესუბლიმაცია არათუ ვერ ქმნის აზრის მატარებელ კულტურულ სივრცეს, არამედ არსებულ კულტურულ სივრცესაც შლის. საილუსტრაციოდ ორ მაგალითს მოვიყვან:

ლეგენდა გვიამბობს, რომ ირანის კასტრატ შაჰს, აღა მაჰმად ხანს, თბილისის გოგირდის აბანოების სამკურნალო ძალის იმდენად სჯეროდა, რომ ეგონა, მის უძლურებასაც განკურნავდა. გოგირდის აბანომ თბილისს დაპატრონებულ აღა მაჰმად ხანს, რაღა თქმა უნდა, ვერ უშველა. განრისხებულ შაჰს აბანოების დანგრევა უბრძანებია. ამ შემთხვევაში უმნიშვნელოა, ნამდვილია თუ არა ლეგენდა. მნიშვნელოვანი შაჰის რეაქციაა, უძლურების დესტრუქციაში ტრანსფორმაცია.

მეორე მაგალითი უფრო კარგად ახასიათებს ფენომენს, რომლის აღწერაც მინდა. XX საუკუნის სამოციან თუ სამოცდაათიან წლებში ქართველ ისტორიკოსთა თუ არქეოლოგთა ჯგუფი სამარყანდში მოხვდა. ისტორიული სამართლიანობის აღსრულების ჟინი ურაპატრიოტმა ქართველებმა თავისებურად მოიკლეს: ღამით გურ-ე-ამირის მავზოლეუმში შეიპარნენ და თემურლენგის საფლავს დააფსეს. თემურლენგმა საქართველო რვაჯერ ააოხრა. მისი სისასტიკე და დაუნდობლობა ქართველების ისტორიული მეხსიერების

ნაწილი გახდა. მაგრამ ქართველი ისტორიკოსების (თუ არქეოლოგების) საქციელს ეს სისასტიკე ვერ ახსნის. ამ შემთხვევაში, ნეგატიური ენერგია (ისტორიულ მეხსიერებაში ჩადებული შურისძიების აფექტი) უქმ სვლაში (idling, холостой ход) ტრანსფორმირდება. მოქმედება რამე კონკრეტულ შინაარსს კი არ იძენს, მისი სემანტიკური პოტენცია უქმდება. მოქმედება უქმი-უმაქნისი-ქმედუუნარო-იმპოტენტური ხდება და ამ უქმი მოქმედების ჩამდენის დესუბლიმაციას, დამდაბლებას ახდენს, შლის მის კულტურულ სივრცეს. სუბლიმაცია და დესუბლიმაცია ასიმეტრიული პროცესებია: თუ სუბლიმაცია „ბუნებრივს“ – ინსტინქტს კულტურულ ფორმად აქცევს, დესუბლიმაციას არ შეუძლია კულტურული კვლავ ბუნებრივად აქციოს. ის ქმნის განსაკუთრებულ სივრცეს, რომელიც ბუნებრივი არ არის, მაგრამ აღარც კულტურულია, თუმცა გარეგნულად ჰგავს კულტურულს (იგივე ნიშანთა სისტემით სარგებლობს). დესუბლიმაციის არაადეკვატურობა ონტოლოგიურია. ამ სხვა ონტოლოგიური სტატუსის სივრცე ის სივრცეა, რომელსაც მერაბ მამარდაშვილი „მესამე მდგომარეობას“, ანუ აღუწერელ, სარკის მიღმა სივრცეს უწოდებდა. (იხ. „მესამე მდგომარეობა“ და „ცნობიერება და ცივილიზაცია“. – მამარდაშვილი ფიქრობდა, რომ საბჭოთა კავშირი სწორედ ასეთი სივრცე იყო, რომელიც მხოლოდ გროტესკის ენით შეიძლებოდა აღწერილიყო). „ეს სიტუაციები ცუდი სიზმრის კოშმარს ჰგავს, – ამბობს მამარდაშვილი, – სადაც ყოველი ცდა, გაიაზრო და შეიმეცნო შენი თავი, ისეთივე უაზროა, როგორც საპირფარეშოს ძიება. ძიება (ასეთი ადამიანისთვის) მექანიკური გამოსავალია. არ შეიძლება სერიოზულად მიიღო სიტუაცია, როდესაც ადამიანი ჭეშმარიტებას ისე ეძებს, როგორც საპირფარეშოს, ან პირიქით, საპირფარეშოს ეძებს და ჰგონია, რომ ჭეშმარიტებას მიაგნო“. დესუბლიმაციის, დამდაბლების, დეტრივიალიზიციის მექანიზმს სწორედ ამ ონტოლოგიურად განსხვავებულ, აღუწერელ, კულტურისგარეთა სივრცეში გადავყავართ.

აფხაზეთის და ოსეთის ოკუპაციის პასუხად, ქართველი რუსოფობი დესუბლიმაციის მექანიზმს რთავს. რუსოფობია მას შესაძლო მოქმედებებიდან ყველაზე არაადეკვატურს არჩევინებს. რუსოფობს სურს, თავისი ფობია შურისძიების აქტით დაძლიოს, შური იძიოს რუსეთზე, ოღონდ ამას ისე აკეთებს, როგორც აღა მაჰმად ხანი – აბანოებზე, ან ქართველი ისტორიკოსი (თუ არქეოლოგი) – თემურლენგზე. მისი შურისძიების აფექტი უაზრო და უქმია და მიმართულია იმისკენ, რაზეც ხელი მიუწვდება: ის მოითხოვს პუშკინის ძეგლის აღებას, უარს იტყვის პელმენების ჭამაზე, ანდა მანდელშტამის ან დოსტოევსკის წიგნს დახევს.

რუსოფობიის პრობლემა არც ესთეტიკური ბუნებისაა („უგემოვნოა“), არც ეთიკურისა („არაპოლიტკორექტულია“). რუსოფობიის პრობლემა ონტოლოგიურია: ის ნეგატიური აფექტის უქმ ტრანსფორმაციას ახდენს და დესუბლიმაციის მექანიზმს რთავს, რომელიც რუსულ საფრთხეებზე ადეკვატური პასუხის გაცემას ვერ ახერხებს. რუსოფობი უძლურია, შექმნას გააზრებული კულტურული სივრცე, რომელიც, მაგალითად, რუსულს დაუპირისპირდებოდა. პირიქით, რუსოფობი საკუთარ კულტურულ სივრცეს შლის და მამარდაშვილისეულ ანტიკულტურულ, აღუწერელ სივრცედ აქცევს.

არათბილისური თარო

ავტორი: აკა მორჩილაძე

რა გამახსენდა და ზაფხულის წიგნის თაროები. არა მაინცდამაინც თბილისში, თუმცა, თბილისშიაც კი წიგნის თაროები სხვანაირი იყო ზაფხულში, არამედ სადმე პატარა ქალაქში, უფრო დასავლეთ საქართველოში, იმიტომ, რომ პატარაობისას ხშირად მოვხვდებოდი ხოლმე იქით.

ამ პატარა ქალაქების უცნაურობა ის გახლდათ, რომ იქ თბილისისგან სრულიად განსხვავებული წიგნის მაღაზიები იყო. რატომ იყო ასე, არ ვიცი, მაგრამ ასე კი იყო და შესაბამისად, ისეთი წიგნები, იქ რომ იყიდებოდა, თბილისში არასდროს მინახავს. არც ისეთი მწერლები გამეგონა, სიმართლე რომ ითქვას და ამდენი ქართულად დაწერილი, თუ გადმოთარგმნილი წიგნიც ერთად, ძნელად რომ მეპოვნა თბილისის მაღაზიებში.

მგონი, ის დრო იყო, რომ თბილისსგარეთ ჯერ ისევ არსებობდა რაღაცნაირი სამყაროები და იმ სამყაროებს თავიანთი მწერლები ჰყავდა, რომლებსაც თბილისთან ნაკლები სიახლოვე ჰქონდათ და თავიანთ, იქაურ გამომცემლობებში უფრო ბეჭდავდნენ წიგნებს. რაღა პატარა ქალაქები, აბა, ბათუმში მე სახლი არ მინახავს, პარმენ ლორიას წიგნები რომ არ ყოფილიყო თაროზე. უფრო ძველები, 50-იანი, 60-იანი წლებისა. არ მინახავს ასეთი სახლი, საერთოდ რომ არ ჰქონოდათ წიგნები. არც ქუთაისში მინახავს სახლი, თაროზე დავით კვიცარიძის ორი სქელი რომანი მაინც რომ არ დებულიყო. შეიძლება ბევრგან არსად ვყოფილვარ, მაგრამ სადაც ვყოფილვარ ასე იყო.

ასე რომ, მოულოდნელ რამეებს იყიდდი პროვინციულ წიგნის მაღაზიაში. ის, რასაც შენ რუსულად კითხულობდი, კითხულობდი თბილისში, იქ ქართულად ძნელად შეგხვდებოდა. ნახავდი რუსი მწერლების თარგმანებს და ეგ იყო. ხოლო იმ დროის საკითხავები და სახელგავარდნილი რამეები, რაც რუსულად გვქონდა, ცხადია, არ არსებობდა.

ისეთი წიგნები, იმ მაღაზიებში რომ იყო, ალბათ თბილისშიც მოიძებნებოდა, ოღონდ თბილისში ნაკლებად აქცევდი ყურადღებას ასეთ წიგნებს. იქ კიდევ ჩანდა. უცებ ნახავდი პუშკინს და ტოლსტოის ქართულად. „ევგენი ონეგინი“ ქართულად.

რასაკვირველია იმ მაღაზიებში რუსულ ენაზე არაფერი იყიდებოდა. საკითხავი რუსული იქ არავინ იცოდა. ეგეც იყო, რომ თბილისში სხვა წიგნებს ეძებდი და ლიტერატურას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე იქ. იქ წიგნი ის იყო, რაც მაღაზიაში ან სახლში დაგიხვდებოდა და მორჩა. თბილისში კი წიგნი უნდა გეშოვნა, კითხვა მარად განახლებადი რამ იყო.

თბილისში წიგნი იოლადაც ქრებოდა. ახლაც ასეა, რაღაც წიგნი ხომ სულ გაქვს და უცებ არა გაქვს და ისედაც, წიგნები იმ პატარა ადგილების პატარა თაროებზე თითქოს სამუდამოდ ეწყო, თბილისში კი – არა.

ჰოდა, ის თაროები საინტერესო იყო იმ ზაფხულის სიცხეში და მოულოდნელიც.

იქ, რა თქმა უნდა, იყო კომუნისტური რომანებიც და თუ პატრონი წიგნების მადევარი იყო, ბიბლიოთეკაც გვარიანად დიდი გამოდიოდა. იმათში უმეტესი ადგილი ქართულ ლიტერატურას ეჭირა, რაც გასაკვირი არ არის, მაგრამ უცხოურიც მრავლად იყო, ოღონდაც, რაღაცნაირი, ბესტსელერი იერისა, თუ იმას ბესტსელერი დაერქმეოდა.

იმ ბიბლიოთეკით მიხვდებოდი, როდიდან დაიწყეს ადამიანებმა წიგნების ყიდვა პატარა ქალაქებში. ჩემი ანგარიშით, ეს ომის მერე იყო, უფრო კი ორმოცდაათიანი წლების შუიდან, მერე კი 60-იანებში გახურდა და გახურდა, იმიტომ რომ იმ თაროებზე იშვიათად მინახავს ომამდელი, ან თუნდაც ომისშემდგომი წიგნები, რომ-

ლებსაც ეწერა სრულიად მოულოდნელი სახელები, „სახელგამი“ და „საბლიტ-გამი“, ისეთი წიგნები, რაღაცნაირ, მუქ ქაღალდზე რომ იყო დაბეჭდილი. ასეთები რამდენიმე შემორჩა ჩვენთან, სახლში და იქიდან ვიცი. გახურებული ომის დროს გამოცემული ინგლისური ბალადები, გივი გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილი, და კიდევ „რობინზონ კრუზო“.

ჰოდა, იქ ასეთები იშვიათი იყო. ოთხ-თაგან ერთი, რაც მახსოვს, ალექსან-დრე ყაზბეგის სქელი თეთრი ტომი იყო, ომის მერე გამოცემული. დანარჩენი ყველაფერი გვიანდელი იყო.

დასავლეთში უყვარდათ გალექსვა და წიგნს ეწერა, შვილო ნოდარ, წიგნს გიგ-ზავნი, დიდი მწერლის დანაწერსა, ისწავ-ლე და იმ გზას გაჰყევ, რაც სტალინმა დააწესა.

ნოდარი ვინ იყო, არ ვიცი. რომ მი-ვყვეთ, ეგებ მამიდამ გამოუგზავნა პა-ტარა ქალაქში.

ან სულაც მამამ. ხელწერა ქალისა არ იყო, ასე მახსოვს. ლექსებს საერთოდ ვერ ვიმახსოვრებ. რატომღაც სწორედ ეს დამ-ამახსოვრდა.

ასეთ თაროებზე განსაკუთრებით ბევრი იყო სამოციანი წლების წიგნები და თარგ-მანები. საქართველოში წიგნების თარგმნა იმის მეასედიც არ იქნებოდა, რაც რუსეთ-ში, მაგრამ რაც ითარგმნებოდა, ითარგმ-ნებოდა. ძველიც და აქა-იქ ახალიც.

აბატი პრევო, „მანონ ლესკო“. აი, რა მახსოვს. რატომ იყო ეს „მანონ ლესკო“ ასე ყველგან, არ ვიცი. ანდა რატომ იყო ასე საკითხავი, ესეც არ ვიცი. მე, როგორც იტყვიან, გული ვერ დავუდე. ყდა კი ჰქონ-და იდუმალი, ღამის ვიწრო ქუჩაზე მიმა-ვალი ცხენოსანი, მთვარის შუქი, ამბავი. მაგრამ იმას იქით მიჭირდა. გვარიანად ნაკითხი წიგნიც იყო, რადგან თხელი ყდა და ყუა სულ ერთიანად მოცვეთილი ჰქონ-და ხოლმე, სადაც არ გადააწყდებოდი.

საერთოდ, ნახავდი ისეთ ბიბ-ლიოთეკებს, სადაც სრულიად ხელუხ-ლებელი წიგნები იყო, რაღაცნაირად ნესტიანი, დარბილებული ფურცლებით. ასეთი ბიბლიოთეკების არსი ის იყო, რომ ადამიანს ესმის წიგნის მნიშვნელობა, ოღონდ კი მისი კითხვა არ ძალუძს.

მერე რომ ამბობდნენ, წიგნები იმიტომ აქვთ სახლშიო, რომ თავი მოიწონონო და ასეთებს, თორემ არ კითხულობენო, რაღაც ამის მსგავსი ამბავი გახლდათ, ოღონდ სრულიადაც არა ურყოფითი, უბრალოდ, წიგნების ყიდვა თაროების გასალამაზებლად სრულიადაც არ ჩანდა აუცილებელი. ეგ უფრო მდიდრების ამ-ბავი იყო. თანაც, არის ხოლმე, რომ წიგნებს იმიტომ ყიდულობ, რომ უნდა იყიდო. თორემ, აბა რომელი თავისმოსა-წონებელი ადგილი პირადი ბიბლიოთეკა შეიძლება იყოს პატარა ქალაქის ჩვეუ-ლებრივი მცხოვრებისთვის. ტონი შეი-ძლება ყოფილიყო, კარგი ტონი, რაღაც ეპოქაში, რომელიც მერე გადავარდა და წიგნების ფურცლებიც ამიტომ ჩარბილდა და ჩანესტიანდა. თორემ, იქ რა იყო გას-აპრანჭი, ანდა იმ წიგნებს რა „ზალატოი ტისნენიის“ ყდები ჰქონდა, ოქროს ვა-რაყებს რომ ეტყვიან, რომ იმით მტრისთ-ვის დაგებნელებინა თავი.

იყო და მორჩა.

ბევრგან მსოფლიო ლიტერატურის ქა-რთული ოთხმოცტომეულის სქელსქელი წიგნებიც შეგხვდებოდა. ეს უფრო გვი-ანდელი ამბავი იყო, ცხადია. 70-იანების ბოლო. რუსული ხომ ორასტომეული იყო ასეთი და ქართული კი ოთხმოც-ტომეული. ეტყობა, ქართული გამომცემ-ლობა ვერ გასწვდებოდა ორასს. ჰოდა, მსოფლიო ლიტერატურა დაპატარავდა. ის რუსული ძალიან მაგარი გამოცემა იყო თავის დროზე.

მაგრამ იმ თაროებს რომ მივუბრუნ-დეთ, აღმოაჩენდი სრულიად მოულოდ-ნელ რაღაცას, მაგალითად, ჭეიშვილის „ლელოს“. მერე გავიგე, რომ ჭეიშვილი ერთადერთი მწერალი იყო რობაქიძის შემდეგ, საზღვარგარეთ რომ წავიდა და იქ დარჩა. ჩვეულებრივი საბჭოთა მწერა-ლი და უცებ, ბახ! არაფერი დისიდენტური მის წიგნებში არ იყო. ის „ლელოც“ ვერ წავიკითხე. ძალიან კოლმეურნეობისა იყო.

რახან კოლმეურნეობა ვახსენე და ასეთი თარო, ასეთ ადგილებში არ არ-სებობდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარის“ გარეშე. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რატომ ერქვა წიგნს „კოლხ-ეთის ცისკარი“, როცა იქ იმერეთის ამ-ბები იყო აღწერილი. სხვათა შორის იმავე თაროებზე არსებობდა ამ წიგნის უფრო ძველი გამოცემებიც, „იმერეთის ცისკარი“ და „ძირს სიმინდის რესპუბ-ლიკა“. ეს უკანსკნელი სათაური ძალიან მომწონდა, ბაბუაჩემი მეუბნებოდა, რომ საქართველო რომ დამოუკიდებელი გახ-დაო, რუსები დასცინოდნენო, კუკურუ-ზნაია რესპუბლიკა არისო, სიმინდის მეტი არაფერი აქვსო. ჰოდა, მომწონდა, რა ვიცი, კარგად დარქმეული სახელი იყო. საერთოდ, სხვა საკოლმეურნეო წიგნები-სგან განსხვავებით „კოლხეთის ცისკარი“ წაკითხული მქონდა, სწორედაც რომ ზაფხულში. თან მეუბნებოდნენ, ყველა გამოცემას არა მხოლოდ განსხვავე-ბული სათაური, არამედ განსხვავებული ბოლოც აქვსო, მაგრამ ამგვარი შესწავ-ლა არ მიცდია. მახსოვს, რომ იკითხებო-და კარგად და კომუნისტურიც ისე იყო, რა. თან რომ იყო, მაგრამ თან ვითომ ბევრი სხვა რამეც რომ არის გარეული. ნამდვილი საგის ტიპის ბესტსელერი გახლდათ იმ გარემოში, რომლისთვი-საც შეიქმნა. ეროტიკაც კი იყო შიგა, თალიკოს მუხლისთავები და მთელი ამ-ბავი,. ერთი სცენა იყო, მთვრალი საბჭოს თავმჯდომარე, თუ რაღაც ასეთი, ტუჩა დაშნიანი(!!!) ამ თალიკოს მუხლისთავებს უყურებს და ფიქრობს საფიქრალებს. პერსონაჟებს ისეთი სახელები ერქვათ, რომ აუცილებლად დაგამახსოვრდე-ბოდა. ახლაც მახსოვს ყველას სახელი. ეს სახელები და გვარები დღეს ძალიან მოულოდნელად გაისმებოდა, ვინმეს რომ წარმოეთქვა. მაინცდამაინც ერთი სახელი დამავიწყდა, ყაჩაღია იქ ერთი და ასეთ ამბავს ყვება, ქეიფშიო, თეფში მესროლესო, გამოფრინდა და ყელში მომხვდა და იმის მერე ხმა დავკარგეო. ახლა რომ ვხვდები, ამ წიგნის სქემა ნამ-დვილად ისეთი იყო, 30-იან წლებში რომ მოითხოვდნენ მწერლებისგან როგორც ნამდვილ სოციალისტურს, მაგრამ სხვა ასეთი წიგნებისგან განსხვავებით კარგად იყო დაწერილი. ანუ ავტორმა კაი წერა იცოდა, იმერული იუმორიცა ჰქონდა და კიდევ რაღაცა.

ეს მოულოდნელი წიგნები იყო-მეთქი, თბილისში ასეთები არ გვქონდა. იქ ბევ-რი იყო აკაკი ბელიაშვილის წიგნებიც, რომლებიდანაც რაღაცეებს წავიკითხ-ავდი ხოლმე. სასაცილო მოთხრობები იყო რაჭველებზე და ოსებზე და კიდევ იყო ნარკვევების ერთი წიგნი, საიდანაც ძველი ჭაითურის აღწერილობა მახსოვს. ისეთი იყო, ვესტერნებში რომ ქალაქები შენდება საბადოს გარშემო. მაშინ, საბ-ჭოთა კავშირში სულ ერთი ვესტერნი არ-

სებობდა, „შესანიშნავი შვიდეული“, თუ გოიკო მიტიჩებს არ ჩავთვლით და ამიტომ, ჭიათურას ნამდვილად ვერ შევადარებდი სილვერადოებს და დედვუდებს, მაგრამ კი მიკვირდა. საქართველოში რატომღაც ყველაფერი ძალიან ძველი მეგონა. ალბათ იმიტომ, რომ გარშემო ბევრი ისტორია იყო და მთავარი, რაც სულ ისმოდა, ის გახლდათ, რომ ეს ყველაფერი ძალიან ძველია და მთავარი რამ, ჩვენი განუმეორებელი სიძველეა. ჰოდა, აგერ, კაცი ყვებოდა, რომ ბევრი ამბავი მხოლოდ ასი წლის წინათ დაიწყო.

საერთოდ, იმ პატარა ქალაქის პატარა სახლის წიგნის თაროებზე იყვნენ დღეს დავიწყებული პერსონაჟები, მექი ვაშაკიძეს და ერემო პირტახიას რომ თავი დავანებოთ, იქ ისხდნენ ლავროსი (თუ ლევარსი?) როხროხაძე და ყარამან ყანთელაძე. და, რა თქმა უნდა, კიმოთე ლახუნდარელი! ასეთი წინადადება მახსოვს:

და ოთახში კი არ შემოვიდა, შემოფრინდა აზნაური კიმოთე ლახუნდარელი!

ეს ლახუნდარელობა რაღაცას ძალიან კომიკურს თუ ნიშნავდა ძველი დროის იმერულ გონებაში. აკაკისთან ამნაირი სიტყვა არ შემხვედრია, მაგრამ „კოლხეთის ცისკარშიც“, მთავარ კომიკურ გმირს დახუნდარა ჰქვია. ისეთი სიტყვაა, სვანები და ბასკები გაგახსენდება კაცს.

ლახუნდარელი, მიუნჰაუზენის ქართული იერი იყო. სერგო კლდიაშვილის წიგნები, ცხადია, იყო იმ თაროებზე, უმაგრესი სვანური მოთხრობებით. მართლა მაგარი რამეებით.

დევლეთ ყიფიანი მთებში გარბოდა. ოჰ! იმათი კითხვა ძაან რამე იყო. მთებში ხეტიალი ჩვევად გადაექცა არკადი ადოლინს. რუს ოფიცერზეა, სვანეთის აჯანყების წინ რომ იქ მსახურობს.

იმ მოთხრობებიდან რამდენიმეს ბაბელიც მოაწერდა ხელს. მაგრამ ეს ლახუნდარელი მაინც განსხვავებული რამ იყო. აი, ეგ „ლახუნდარელის თავგადასავალი“, „ძირს სიმინდის რესპუბლიკასთან“ და კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადის“ პირველ წიგნთან ერთად იყო ყველაზე ძველი წიგნი იმ ბიბლიოთეკებში.

რა ვიცი, ალბათ ბევრი რამე იყო კიდევ, გზადაგზა გაგახსენდება კაცს. ისტორიული რომანები, ქართული ისტორიული რომანები. არა კონსტანტინე გამსახურდიასი და არა ლევან გოთუასი, არც გრიგოლ აბაშიძისა.

არა, ცხადია, ესენი იყო. „ლაშარელას“ სულ ფერადილუსტრაციებიანი დიდი გამოცემა.

მე სხვებზე ვამბობ. სხვა, ნაკლებად სახელგანთქმული წიგნები. „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებლები“. იყო ასეთი წიგნი. რამდენი კიდევ. და, რაღა თქმა უნდა, „იყალთოელი ბიჭები“. ბუჩუკურთელის რგოლი. სანდრო ბუჩუკურთელი. ქართული თინ ფიქშენი. სანდრო ბუჩუკურთელი. რა სახელები, როდინდელი. ოროსანი ბიჭი, მეტსახელად სნაიპერი, რომელსაც სკოლიდან გარიცხავენ.

ასე მგონია, რომ რაღაც ძალიან შორეული მახსენდება. არ ვიცი, ეგებ შორეულია.

ლახუნდარელი, მიუნჰაუზენის ქართული იერი იყო. სერგო კლდიაშვილის წიგნები, ცხადია, იყო იმ თაროებზე, უმაგრესი სვანური მოთხრობებით. მართლა მაგარი რამეებით. დევლეთ ყიფიანი მთებში გარბოდა. ოჰ! იმათი კითხვა ძაან რამე იყო.

ეს წიგნები კი ნამდვილად იყო და ახლაც იქნება იქ, სადაც ოდესღაც დავტოვე.

აბატი პრევო, ერკმან-შატრიანი, „გრაფ მონტე-კრისტოს“ თამაბაქოსფერი ტომები და, რა თქმა უნდა, ბლასკო იბანიესი, „სისხლი და ქვიშა“. და სპარსული რომანები, ანდა აზიზ ნესინის წიგნი ქართულად. სპარსული რომანები, აბა, წარმოიდგინეთ. იცით, რა მაგარი საკითხავი იყო? და საინტერესო. და რაღაც წიგნი, „ეჭვიანი და მოღალატე ცოლები“, რომელიც სათაურის გამო თუ დამამახსოვრდა. აბა, როგორ არ იყო საოცარი თაროები. „სისხლი და ქვიშა“ ხომ საერთოდაც ისეთი წიგნია, წარამარა რომ წაიკითხავ. ტორეროს ცხოვრება. ისეთი კი არა, ჰამინგუეის კარგ წიგნებში რომ წაგიკითხავს, ანდა მომავალში რომ წაიკითხავ, არამედ ესპანელის დაწერილი, ნამდვილესპანურად მოთხრობილი. მთელს წიგნში ისეთი სიცხე იყო, როგორიც ჩვენთან იცის ივლის-აგვისტოში. არ ვიცი, ზაფხულში რომ ვკითხულობდი იმიტომ, თუ წიგნშიც ნამდვილად იყო სიცხე, მაგრამ რაც იქიდან გამომყვა, მართლა ქვიშა, სისხლი და ლამის მუდმივი მზე იყო. ცხვრების მოჭრილი თავები თეირანის სახაშის ვიტრინაში, აი, ასეთი სურათიც მახსოვს რომელიღაც წიგნიდან.

რას არ ნახავდი, მოკლედ. ლადო ავალიანის რომანი ამირანის შესახებ. ეგეც თინ ფიქშენ.

მისივე მოთხრობების პაწაწინა კრებული, სადაც შეყვარებულები ფეხბურთზე ლაპარაკობენ. კევანის თამაშს აფასებენ. ჰარი კევანი ისე იყო მაშინ, როგორც დღეს ვეინ რუნია, ჰოდა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ რომ იყო თბილისში და „დინამოს“ 3-0 მოუგო, იმათში იყო კევანი. რა არ გაგახსენდება.

ვააჰ, მთავარი დამავიწყდა. მთავარი კი არა, ყველაზე დიდი. მოცულობით, რა თქმა უნდა. რამდენი ტომი იყო, ექვსი? შვიდი? „დიდი მოურავი“. ანა ანტონოვსკაია. სიმართლე გითხრათ, არასდროს წამიკითხავს. მიკვირდა კი გვარიანად, ავტორი ქართველი არ იყო, და ამსისქე რაღაცა მაინცდამაინც ქართველებზე რატომ დაწერა-თქო. რამხელა რაღაცა იყო, თუმც, შრიფტი მაინცდამაინც პატარა არ მახსოვს და გვერდებიც ვიწრო ჰქონდა, ასე რომ, ის ექვსი ტომი ოთხშიც ჩაეტეოდა.

ეჰ რამდენი რამე იყო. მოლა ნასრედინზე უფრო რა გამოგიკეთებს ხასიათს? პუშკინს უწერია, გულს სევდა რომ შემოგაწვებაო, ან შამპანური გახსენიო, ანდა გადაიკითხე „ფიგაროს ქორწინებაო“. ჩემს გემოზე, მოლა ნასრედინის გადაკითხვა აჯობებს. იყო ასეთი კარგა სქელი წიგნიც, „მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი“. იმ საწყალს ხმარებისგან ყდა სულ შემოხეოდა, პირველი გვერდები იყო მისი ყდა. ბევრი სევდა კი ყოფილა მოგროვილი, რომ მოლას ნათქვამებს ასე ხშირად კითხულობდნენ.

ეგეთი ამბები იყო, ახლა სულ მეტი და მეტი მახსენდება იმ არათბილისური თაროებისა და მეტი კი სხვა დროს იყოს. ცოტა სევდისმომგვრელია და მოლა ნასრედინის წიგნი კი თან არა მაქვს.

ორშ-პარ

მისმინე

08:00-11:00

101.9 FM

დილა რადიოქალაქში ბექა ონიანთან და ნინი ბუკიასთან ერთად

101.9 FM

დისკუსია
არჩევნების შემდეგ

ავტორი: ნინო ბექიშვილი

ფოტო: თეიმურ ბარქინაშვილი

მონაწილეები:

მერაბ ქათამაძე
რესპუბლიკური პარტიის წევრი

ბაკურ კვაშილავა
პოლიტოლოგი

სანდრო თარხან-მოურავი
მედიამენეჯერი, პუბლიცისტი

ნინო ციხისთავი
ადამიანის უფლებათა დამცველი

ლელა გაფრინდაშვილი
ფილოსოფოსი

ადგილობრივი თვთმმართველობის არჩევნებმა მმართველ გუნდს კიდევ ერთი გამარჯვება მოუტანა. თბილისის 25-კა-ციან საკრებულოში უმრავლესობა ისევ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოიპოვა და 14 ადგილი მიიღო. რეგიონებში კი ოპოზიციამ მთელი ქვეყნის მასშტაბით ვერც ერთი მაჟორიტარის გაყვანა ვერ მოახერხა.
ეუთო-ს წინასწარი დასკვნის მიხედვით, არჩევნები ძირითადად გამჭვირვალედ ჩატარდა, თუმცა სადამკვირვებლო მისია წინასაარჩევნო გარემოს და ხმების დათვლის პროცესს ნეგატიურად აფასებს.
რა პოლიტიკური პროცესები უძღოდა წინ არჩევნებს, როგორი იყო საარჩევნო გარემო, რას სთავაზობდნენ პოლიტიკური პარტიები ამომრჩეველს და რატომ დამარცხდა ოპოზიცია – ამ საკითხებზე საუბრობდნენ ჩვენი დისკუსიის სტუმრები.

ნინო ბექიშვილი: რა არჩევნის წინაშე იდგა ქართული საზოგადოება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, რას სთავაზობდნენ მას პოლიტიკური პარტიები – ხელისუფლება ან ოპოზიცია?

ბაკურ კვაშილავა: იმ სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, რომელიც ბოლო სამი თვის განმავლობაში ტარდებოდა, არჩევნების შედეგები მოულოდნელი არ ყოფილა. მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ჩვენმა საზოგადოებამ აბსოლუტურად თავისუფალი არჩევანი გააკეთა. ეუთო-ს წინასწარ დასკვნაში დადებითად არის შეფასებული თვითონ ხმის მიცემის პროცესი, მაგრამ ნათქვამია, რომ სათამაშო მოედანი მთელი არჩევნების განმავლობაში თანასწორი არ იყო და ამ გამარჯვების მოსაპოვებლად მმართველმა პარტიამ უზარმაზარი ადმინისტრაციული რესურსი დახარჯა. იმავდროულად დასკვნაში აღნიშნულია, რომ უბნების 20%-ში ხმები დარღვევებით დაითვალეს. საინტერესოა, რომ მიუხედავად ეუთო-ს ასეთი შეფასებისა, ოპოზიციის მხრიდან პროტესტის ტალღა არ ყოფილა, რაც ტიპურად ახასიათებს ქართულ პოლიტიკას და ყველა იმ არჩევნებს, რომელიც აქამდე ჩატარებულა. როგორც ჩანს, ოპოზიციის სიჩუმის ძირითადი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ეს დარღვევები ძირითადად სწორედ საქმის უცოდინარობამ გამოიწვია.

ჩემთვის, როგორც გარეშე დამკვირვებლისთვის, საკმაოდ მოულოდნელი იყო, რომ, თუ ფეხბურთის ტერმინოლოგიას ვიხმართ, ოპოზიციის ლიდერები მმართველი პარტიის მესამე ნაკრებთან დამარცხდნენ. მაგრამ მქონდა შესაძლებლობა, კონკრეტულ ოლქზე შემეგროვებინა ინფორმაცია და გაირკვა, რომ „მესამე კლასის“ ნაკრების წევრები მოსახლეობას ყოველდღე ხვდებოდნენ, თითოეულ კორპუსში დადიოდნენ, მაგალითად, საბურთალოზე „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს ამომრჩევლები „შენობით“ ესაუბრებოდნენ და ის ასრულებდა ისეთ დავალებებს, რაც, წესით, კანდიდატმა ვერ უნდა შეასრულოს. მაგალითად, ერთ-ერთ ეზოში სულ რაღაც ერთ კვირაში ახალი ასფალტი დააგეს. შეიძლება ამგვარი ქმედება კანონდარღვევა არც იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივრები იქნებოდა, მაგრამ ერთია ლეგალური ჩარჩო და მეორე – დაუწერელი კანონები, რომელიც თავისუფალ არჩევნებს ახასიათებს. ზოგადად, თავისუფალი არჩევანი მატერიალური თანასწორობის გარეშე ძნელი მისაღწევია. არჩევნების შემდეგ უკვე კარგად ჩანს ტენდენცია – სათამაშო მოედანი თანასწორი არ ყოფილა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ოპოზიცია ამ არჩევნებზე ძალიან სუსტი პლატფორმით და დაუსაბუთებელი მოსაზრებებით წარდგა, რასაც ამომრჩეველი არ ენდო. მათი დიდი ნაწილი სახლში დარჩა და ხმის მისაცემად, უბრალოდ, არ გამოვიდა.

ლელა გაფრინდაშვილი: ამომრჩეველი არ ენდო არა ოპოზიციას, არამედ – არჩევნებს, როგორც პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესს. ეს ორი სხვადასხვა რამ არის. ამომრჩეველი მიხვდა, რომ ეს არ იყო ის პროცესი, რომელიც მის მონაწილეობის უფლებას დააკმაყოფილებდა. მიხვდა, კიდევაც რომ წასულიყო არჩევნებზე, ბევრს ვერაფერს შეცვლიდა და ამიტომ, არჩია სახლში დარჩენილიყო. ბოლო ოთხ არჩევნებს ვაკვირდები და შემიძლია ვთქვა, რომ 30 მაისს კატასტროფულად დაბალი იყო ამომრჩევლის აქტიურობა. ასეთი დაბალი აქტიურობა არც ერთ სხვა არჩევნებზე არ მახსოვს. ადრე ამომრჩეველი ასეთი იმედგაცრუებული არ ყოფილა.

ნინო ბექიშვილი: როგორ ფიქრობთ, რა იყო ამ იმედგაცრუების მიზეზი?

მერაბ ქათამაძე: 30 მაისს ამომრჩეველთა 49% გამოცხადდა საარჩევნო ყუთებთან. ადგილობრივი ლოკალური თვითმმართველობის არჩევნებისთვის ეს საკმაოდ მაღალი შედეგია. მაგრამ ამ პროცენტის ძირითადი ხვედრითი წილი თბილისზე მოდის. მგონია, რომ ამ არჩევნებით გარკვეული ზღვარი გაევლო თბილისსა და დანარჩენ საქართველოს შორის და იმ ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებმაც ვერ იმუშავეს საქართველოს რეგიონებში, სათანადო შედეგი მიიღეს.

ზოგადად რომ შევაფასოთ ეს არჩევნები, ვფიქრობ, რომ ამომრჩევლის ნება გამოიხატა და ამაზე ვერ ვიდავებთ. სადავო შეიძლება მხოლოდ გარკვეული მანდატების რაოდენობა იყოს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არჩევნები თავისუფალი ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ამომრჩევლის ნება კონტროლდებოდა. ამასთანავე, თავისუფლების არარსებობას კიდევ რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა: არათანაბარი პირობები მედიაში, ადმინისტრაციული რესურსი, საკანონმდებლო ბაზა, როდესაც ძნელი იყო მკაფიოდ გეთქვა, სად მთავრდება ზღვარი გარკვეული ადმინისტრაციული რესურსის კანონიერ გამოყენებასა და აკრძალვას შორის. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ ეს არჩევნები უსამართლო და, მეტსაც ვიტყვი, უკანონოც იყო. საარჩევნო კოდექსის მერვე მუხლის მიხედვით, „აკრძალულია კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე“. მიმაჩნია, რომ ეგრეთ წოდებული კოორდინატორი ქალბატონების ოცეულების ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე. შესაძლებელია, ოპონენტმა თქვას, რომ ისინი უბრალოდ რაღაცას აღრიცხავდნენ და არ აკონტროლებდნენ, მოქალაქემ ხმა ვის მისცა. მაგრამ ამომრჩევლის ნება არ არის მხოლოდ ის, თუ ვის აირჩევს, ისიც მისი ნება გახლავთ, რომ უნდა წავა არჩევნებზე, უნდა – არა. აი, ეს ნება პირდაპირ კონტროლდებოდა.

ნინო ბექიშვილი: ოპოზიციურმა პარტიებმა რატომ არ შეიტანეს საჩივარი კოორდინატორების ქმედებებზე?

მერაბ ქათამაძე: პოლიტიკოსები ორი მიზეზის გამო არ ასაჩივრებენ ამ მოვლენას. ჯერ ერთი, აქ შეიძლება დადგეს ინტერ-

ბაკურ კვაშილავა

ჩემთვის, როგორც გარეშე დამკვირვებლისთვის, საკმაოდ მოულოდნელი იყო, რომ, თუ ფეხბურთის ტერმინოლოგიას ვიხმართ, ოპოზიციის ლიდერები მმართველი პარტიის მესამე ნაკრებთან დამარცხდნენ.

პრეტაციის საკითხი და მეორე – სად უნდა იჩივლოთ? რომელ სასამართლოში? რომელმა სასამართლომ უნდა დაადასტუროს, მართლა იყო თუ არა კანონდარღვევა? მიმაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სამი ხელისუფლებიდან სწორედ ეს – მესამე, ანუ სასამართლო ხელისუფლებაა, და სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ეს ხელისუფლება უბრალოდ არ არსებობს, იგი მთლიანად კონტროლდება.

სანდრო თარხან-მოურავი: საინტერესო თემაა, რატომ არ შევიდა საჩივრები, ან იყო თუ არა საჩივრის საფუძველი. რამდენადაც მე ვიცი, ბევრი ორგანიზაცია აკვირდებოდა ამ არჩევნებს და მათი პირველი მოვალეობა დარღვევების იურიდიულად გაანალიზებაა, იმის ცალსახად დადგენა, არის თუ არა დარღვევა ესა თუ ის ქმედება. ჩვენ თუ მხოლოდ ვილაპარაკებთ რაღაც მოვლენაზე, რომ ის ალბათ დარღვევის ზღვარზეა, მაგრამ ეს იურიდიულად არ გაფორმდება, მაინც არაფერი შეიცვლება.

ლელა გაფრინდაშვილი

ამომრჩეველი არ ენდო არა ოპოზიციას, არამედ – არჩევნებს, როგორც პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესს. ეს ორი სხვადასხვა რამ არის. მიხვდა, კიდევაც რომ წასულიყო არჩევნებზე, ბევრს ვერაფერს შეცვლიდა და ამიტომ, არჩია სახლში დარჩენილიყო.

ნინო ბექიშვილი: არჩევანი გვაქვს ამ სასამართლოს პირობებში?

სანდრო თარხან-მოურავი: თუნდაც მიგვაჩნდეს, რომ სასამართლოში შანსი არ არსებობს, საჩივარი მაინც უნდა შევიდეს და იურისტებმა უნდა თქვან და დაასაბუთონ, რატომაა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კანონდარღვევა, ან რა არის კანონმდებლობაში შესაცვლელი.

ნინო ბექიშვილი: ჩემთვის მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ოპოზიციამ ვერც ერთი მაჟორიტარი ვერ გაიყვანა. ხალხი არ ენდო პოლიტიკოსებს, რომლებსაც ყოველდღე ტელეეკრანიდან ხედავს და ენდო სრულიად უცნობ ადამიანებს, ანუ, შეიძლება ითქვას, ენდო „ნაციონალურ მოძრაობას“. რატომ მოხდა ასე?

სანდრო თარხან-მოურავი: მიუხედავად იმისა, საარჩევნო გარემო უმჯობესდება თუ უარესდება, აშკარაა, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი ვერ ვითარდება. რომც იყოს იდეალური საარჩევნო გარემო, არ მგონია, დამაკმაყოფილებელი იყოს პოლიტიკური დისკურსის ის დონე, რასაც ჩვენ პოლიტიკური ძალები გვთავაზობენ. რა ხდება ამ პოლიტიკურ სპექტრში? ერთი მხრივ, ხდება ის, რომ პარტიები ვერ ახერხებენ გაერთიანებას, ვერ ახერხებენ კონსოლიდაციას. ვფიქრობ, მათ ან ზედმეტი წამოდგენა აქვთ საკუთარ მოღვაწეობაზე, ან არ აქვთ ინტერესი, გაერთიანდნენ, რომ უფრო დიდ მიღწევებამდე მივიდნენ.

საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში არაერთი ალიანსი, გაერთიანება, დროებითი კოალიცია ყოფილა, მაგრამ ეს არ მიდის პარტიების გამსხვილებამდე და თვისობრივად არაფერი იცვლება. პარტიები დროებით ერთიანდებიან, მერე ისევ შორდებიან და ამის ნათელი მაგალითი იყო გუშინდელი ფაქტი: „ალიანსი საქართველოსთვის“ ერთწლიანი არსებობის შემდეგ დაიშალა, მანამდე დაიშალა სხვა პარტიების სხვა კოალიციებიც.

ნინო ბექიშვილი: ფიქრობთ, რომ პარტიების მთავარი პრობლემა სწორედ ისაა, რომ გაერთიანებას ვერ ახერხებენ?

სანდრო თარხან-მოურავი: ეს გაუერთიანებელი პარტიები რჩებიან იმავე დაბალ დონეზე, როგორზეც წლების მანძილზე იყვნენ. ვეცდები ავხსნა, რას ვგულისხმობ. პარტიები ვერ ასოცირდებიან რაღაც კონკრეტულ სტილთან. შეკითხვა რომ დავუსვათ „ალიანსის“ წევრებს, რას ელოდება კონკრეტულად მათგან ამომრჩეველი, დარწმუნებული ვარ, გაუჭირდებათ პასუხის გაცემა, გარდა რაღაც ზოგადი საუბრისა დემოკრატიაზე; იმაზე, რომ გვინდა დემოკრატიის მაღალი ხარისხი. რა არის „ალიანსის“ იქით? არიან რესპუბლიკელები, რომლებიც ლიბერალურ ღირებულებებთან ასოცირდებიან, არიან „ახალი მემარჯვენეები“, რომლებსაც კონსერვატიული რიტორიკა ახასიათებთ; მათ მხარს უჭერს ქართული აკადემია, რომელიც, ჩემი აზრით, დიამეტრალურად საპირისპირო პლატფორმაზე დგას, ვიდრე რესპუბლიკელები და ერთადერთი მოტივაცია, რის გამოც შეიძლება ეს პარტიები გაერთიანებულიყვნენ, ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლაა. დანარჩენ პოლიტიკურ სპექტრზეც ვისაუბროთ. ზვიად ძიძიგურსა და კონსერვატორებს ერთადერთი პოლიტიკური მესიჯი ჰქონდათ – რუსეთთან დაახლოება. მათ კლიპში ჩანდა პატრიარქი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პარტიარქს 95%-იანი ნდობა აქვს, ეს მათ შედეგებზე არ ასახულა, რაც მაფიქრებინებს, რომ ის კონსერვატიული რიტორიკა, რომელიც ქართველი ამომრჩევლების გარკვეულ სიმპათიებს იწვევს, მაინც არ არის საკმარისი მიზეზი, რამაც შეიძლება მათ ხმები მოუტანოს. არც პატრიარქის კლიპში გამოჩენა იძლევა მხარდაჭერის გარანტიას. პრობლემა ისაა, რომ არ ჩანს, კონსერვატიული რიტორიკის გარდა, კონკრეტულად რასთან ასოცირდება ეს ძალები. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება კი ასოცირდება რაღაც კონკრეტულ მიმართულებასთან, შეიძლება ვისაუბროთ ადმინისტრაციულ რესურსზე და ათას სხვა ფაქტორზე, მაგრამ მაინც, ადამიანებს „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკაზე წარმოდგენა აქვთ. ვიღაცას ეს უკიდურესად ნეგატიურ ასოციაციებს უჩენს, ვიღაც კი სტაბილურად უჭერს მათ მხარს. ჩემი დაკვირვებით, ეს არის ელექტორატის სულ 20-25%. მაგრამ, გამოუცხადებლობის პირობებში, ეს მხარდაჭერა უკვე 40-50%-ზე ადის. ხელისუფლების სტრატეგია, თუ მესიჯები თითქმის იდენტურია წლების მანძილზე, იგივეა, რაც 2003 და მომდევნო წლებში იყო, არ იცვლება და არ ვითარდება. ვფიქრობ, ხელისუფლებას სტაბილური შედეგის მიღწევის საშუალებას მათი ოპონენტების განუვითარებლობა და გასული საუკუნის 90-იანი წლების პოლიტიკური დისკუსიის

მერაბ ქათამაძე

1995 წელს საქართველომ ხელისუფლების სათავეში დატოვა ის პოლიტიკური ძალა და ის მთავარსარდალი, რომელმაც წააგო აფხაზეთის ომი. ახლაც, მართლია ლოკალურ არჩევნებში, მაგრამ მაინც, საქართველოს მოსახლეობამ ის მთავარსარდალი დატოვა, რომელმაც ასევე მნიშვნელოვანი ომი წააგო.

დონეზე ჩარჩენაც აძლევს, როდესაც პოლიტიკოსებისთვის ტელევიზორში გამოჩენისას მთავარი პრიორიტეტი აბსტრაქტულ ფასეულობებზე საუბარი იყო.

ნინო ციხისთავი: გასული არჩევნები იმის ნათელი მაგალითია, რა დიდი და მოუგვარებელი, გადაუჭრელი პრობლემები გვაქვს საქართველოში. დარწმუნებული ვარ, მმართველმა პარტიამ სრულად გამოიყენა სახელისუფლებო ბერკეტი, შედარებით წინა არჩევნებისგან, ინოვაციურად და კიდევ უფრო ენერგიულად. ჩემი დასკვნებით, 49%-იდან, ვინც არჩევნებზე მოვიდა, 30% სახელისუფლებო რესურსისა იყო. საარჩევნო ტექნოლოგიების მცოდნე ექსპერტები ამბობენ, რომ თუ სახელისუფლებო ბერკეტი და რესურსი გამოყენებულია, მაშინ მათი მომხრეების რაოდენობა დაახლოებით 30%-ზე გადის. დანარჩენი 19%-დან, ჩემი პირადი შეფასებით, 7-8% პარტიების წილია და საბოლოოდ გამოდის, რომ ამომრჩეველთა მხოლოდ მცირე რაოდენობამ, 10%-მა გადაწყვიტა, საკუთარი თავისთვის კიდევ ერთხელ მიეცა შანსი და არჩევნებზე გამოსულიყო. ეს მოზაიკა ჩემი მხრიდან იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ამ თემაზე არ ილაპარაკა და დღემდე არ ლაპარაკობს.

საქართველოს მოსახლეობამ ომი და ომის შემდგომი, ძალიან მძიმე პერიოდი გადაიტანა და დღეს, მსუბუქად რომ ვთქვა, პოლიტიკური პროცესები დაავადებულია. ბევრი დაავადება გვჭირს, იქნება ეს გაზრდილი მოლოდინები, თუ პოლიტიკური სპექტრის შეუსაბამო ქმედებები – როგორც წესი, მათი ნაბიჯები მოსახლეობის გაზრდილ მოლოდინებს არ მიესადაგება. ადამიანებმა ამ ეტაპზე ვერ ნახეს ვერაფერი, რაც მათ გააააქტიურებდა და საარჩევნო ყუთამდე მიიყვანდა. ეს ფაქტი მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო, რაც დასკვნის გაკეთების საშუალებას მოგვცემდა და გააჯანსაღებდა საზოგადოებაში გაჩენილ ძალიან ბევრ დაავადებას, როგორიცაა – მოუგვარებელი სოციალური ყოფა, რეპოლარიზაცია, ნიჰილიზმი; ნიჰილიზმიდან აგრესიამდე კი ერთი ნაბიჯია. დღეს ვამბობთ, რომ ხელისუფლებამ ადმინისტრაციული ბერკეტი გამოიყენა. მინდა გკითხოთ, ჩვენ ეს არ ვიცოდით? თუნდაც 2008 წლის ომის შემდეგ ან საპარლამენტო არჩევნების შემდეგ? ვამბობდით, რომ წინა არჩევნებზე იყო დამკვირვებლების პრობლემა – პარტიებს არა ჰყავდათ შესაბამისად მომზადებული დამკვირვებლები. ახლა ვამბობთ, რომ თურმე საარჩევნო გარემო არ იყო ჯანსაღი. ამ ერთ გრძელ რელსზე დაწყობილ პრობლემებზე ყველანი თანაბრად ვართ პასუხისმგებელნი. ხელისუფლება რომ გამოიყენებდა ახალ მექანიზმებს, რომ გააყალბებდა, ამაში, მგონი, არავის ეპარებოდა ეჭვი. რით დავხვდით? მოუმზადებელი, დაქსაქსული ოპოზიციით და დადუმებული ადამიანებით. ჩვენ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. აღმოჩნდა, რომ არ გვაქვს გავლენა არა მარტო ხელსუფლებაზე, თვით პოლიტიკურ ოპოზიციაზეც კი.

ნინო ბექიშვილი: რატომ ვერ მოახერხა ოპოზიციამ მობილიზება?

ლელა გაფრინდაშვილი: მთელი მედიასაშუალებები ხელისუფლებას უჭირავს, არის მხოლოდ „კავკასია“ და „მაესტრო“, რასაც თბილისშიც კი ყველა ვერ უყურებს და რეგიონებში – მით უმეტეს. გაზეთს ბევრი უსახსრობის გამო ვერ ყიდულობს და ვერ კითხულობს, ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა რეკომენდაციაში აქცენტი მედიის თავისუფლებაზე კეთდება. დღეს ჩვენი საზოგადოების განვითარებისთვის თავისუფალი მედია აუცილებელია. რომ გადავავლოთ თვალი, რას სთავაზობენ „რუსთავი 2“, საზოგადოებრივი მაუწყებელი და „იმედი“ მაყურებელს, ვნახავთ, რომ ეს დაუმთავრებელი შოუების ეპოპეაა, რასაც არ ვიკვლევთ და არ ვაანალიზებთ.

ბაკურ კვაშილავა: უხეში დარღვევები, რაც წინა საპრეზიდენტო არჩევნების დროს ხდებოდა, ამ არჩევნებზე არ მომხდარა. მაშინ პრეზიდენტმა საპრეზიდენტო არჩევნები ქალაქ თბილისში წააგო. დღეს კი მისმა მესამე ნაკრებმა ოპოზიციის პირველ ნაკრებს პირწმინდად მოუგო. ოპოზიციის ყველა ძირითადი პარტიის მთავარი წინასაარჩევნო მესიჯი იყო: „ჩვენ შევცვლით“, „ბრძოლა დღესვე“, „ამ ხელისუფლების დრო დამთავრებულია“. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ ადამიანები სახლში დარჩნენ. ოპოზიციას ხალხი არ ენდო, მან თავისი მომხრეები ვერ დაჯერა, რომ რაღაცას შეცვლიდა.

ნინო ბექიშვილი: როგორ პირობებში უწევდა ოპოზიციას ბრძოლა?

მერაბ ქათამაძე: ამ არჩევნებზე მხოლოდ თბილისში იყო ბრძოლა, რეგიონები თავიდანვე უბრძოლველად ჩააბარა ოპოზიციამ. თბილისში პროპორციული არჩევნების შედეგები ასეთი იყო: 52-48%-ზე, თითქმის ნახევარი ნახევარზე, და ეს მაშინ, როცა არჩევნებში რამდენიმე ოპოზიციური ძალა არ მონაწილეობდა, ასე რომ არ ყოფილიყო, ოპოზიცია პროპორციულ არჩევნებს მოიგებდა. ახლა რატომ ჩამოდის ეს პროცენტი 22-მდე? იმიტომ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველგან გაიმარჯვა მაჟორიტარულ არჩევნებში. მაჟორიტარულ არჩევნებს ასეთი სპეციფიკა აქვს, ერთი ხმითაც რომ მოიგო, მოგებული ხარ. ამ მონოლითური ხელისუფლების ხელში თავიდანვე განწირული იყო ოპოზიცია: თუ პროპორციულში თითქმის გაიყო ხმები, მაჟორიტარულის შემდეგ მხოლოდ 22% დარჩა ოპოზიციას და 78% წაიღო ხელისუფლებამ. ასე რომ, საარჩევნო სისტემამაც შეუწყო ხელი „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვებას. მინდა ვთქვა ისიც, თუ რა შეეშალათ

ოპოზიციურ ძალებს. ყველას ერთ ქვაბში ვერ მოვხარშავთ, მაგრამ „ალიანსის“ ყოფილმა ლიდერმა აღიარა თავისი შეცდომა. მან თქვა, რომ მხოლოდ ბოლო თვე-ნახევარი კი არ უნდა ევლო ამომრჩეველთან, არამედ ის 5-6 თვეც სწორედ ამ საქმისთვის უნდა მოეხმარებინა, რაც ოპოზიციურ ძალებთან კონსულტაციებისას დაკარგა. მართლაც, დიდი დრო დაიკარგა ოპოზიციის შიდა კონსულტაციებზე. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია დაფინანსების საკითხიც. ეუთო-ს წინასწარ დასკვნაში პირდაპირ წერია: „საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ სხვადასხვა წყაროსგან მიიღო ინფორმაცია, რომ ბიზნესმენებს არ სურდათ ოპოზიციური პარტიებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა“.

ბაკურ კვაშილავა: რომელი თქვენგანი იტყვის, რომ რომელიმე ოპოზიციიური პარტიის პროგრამა შინაარსით სავსე იყო?

მერაბ ქათამაძე: „ალიანსის“ დასაქმების პროგრამა ძალიან კარგი იყო, მაგრამ ვერ მოხდა მისი სათანადოდ წარდგენა.

სანდრო თარხან-მოურავი

ხელისუფლება ყოველთვის იმდენადაა კორუმპირებული, რამდენადაც ამის უფლებას გარემო აძლევს. უმთავრესი, რაც ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს აქვს სასწავლი, ფაქტების ერთგულებაა. მან ფაქტებზე ორიენტირებით უნდა იბრძოლოს და აქცენტი იმაზე გააკეთოს, რომ ვიღაცამ მოიპარა ვთქვათ 100 000, და არა იმაზე, რომ ვიღაც სისხლისმსმელია.

ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ საერთოდ არ ჰქონია საარჩევნო პროგრამა, თუნდაც უხეირო პროგრამა, რომელსაც გავაკრიტიკებდით თქვენც და მეც. ეს პარადოქსია.

ბაკურ კვაშილავა: იმ დებატებისას, რაც ტელევიზიით გადაიცა, ვერ დავინახე, რომ რომელიმე ოპოზიციურ პარტიას შინაარსიანად წარმოედგინა პროგრამა. ეს იყო შეჯიბრება ილუზიებსა და ფანტაზიებში. ეჯიბრებოდნენ, ვინ შესთავაზებდა უკეთეს ოცნებას ამომრჩეველს. არც ერთი ფაქტი არ თქმულა იმის თაობაზე, რამდენად ვყიდულობთ გაზს, რამდენი გამოდის თითოეულ მოსახლეზე და ა.შ. ერთადერთი, გიგი უგულავას ჰქონდა კონკრეტული ციფრები. მან თქვა, – თუ გაზი გახდება 10 თეთრი, ამას 400 მლნ ლარი დასჭირდებაო. ოპოზიციას ეგონა, რომ ილუზიების მოყოლით გამოიყვანდა ხალხს, რომელიც აპათიაშია იმის გამო, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე ქვეყანაში ხელისუფლება არჩევნებით არ იცვლება.

მერაბ ქათამაძე: 22 მაჟორიტარი კანდიდატი ჰყავდა „ალიანსს“ და აქედან რვამ უფრო მეტი პროცენტული ხმა მიიღო, ვიდრე მთლიანად „ალიანსმა“ და მისმა ლიდერმა. რვავე ცნობილი ფიგურაა: შალვა შავგულიძე, დათო საგანელიძე, თინა ხიდაშელი, მამუკა კაციტაძე, ფიქრია ჩიხრაძე, მანანა ნაჭყებია, სოფო ხორგუანი. ეს რვა ადამიანი ადეკვატურად შეაფასა ამომრჩეველმა. მაგრამ, ხელისუფლების შემთხვევაში, ეს მესამე ნაკრები ჰგონიათ პირველი. ერთი მხრივ, ამას თვითონ სისტემაც განაპირობებს, როცა ოპოზიცია ბევრ კანდიდატურას აყენებს და, მეორე მხრივ, კიდევ ის, რომ ძალიან გაიაფდა ხმა! კიდევ ერთი რამ მეჩვენება ძალიან მნიშვნელოვნად. 1995 წელს საქართველომ ხელისუფლების სათავეში დატოვა ის პოლიტიკური ძალა და ის მთავარსარდალი, რომელმაც წააგო აფხაზეთის ომი. ახლაც, მართლია ლოკალურ არჩევნებში, მაგრამ მაინც, საქართველოს მოსახლეობამ ის მთავარსარდალი დატოვა, რომელმაც ასევე მნიშვნელოვანი ომი წააგო.

ლელა გაფრინდაშვილი: ეს ადამიანები ხელისუფლებაში ხალხმა დატოვა ან 1995 წელს ან ახლა? ჩემთვის ეს ფუნდამენტური შეკითხვაა. არც შევარდნაძე და არც სააკაშვილი ხელისუფლებაში ხალხს არ დაუტოვებია. სოფლებში ფული ტომრებით დაარიგეს ამ არჩევნებზე. უბრალოდ ოპოზიციასაც და ხელისუფლებას ჰგონია, რომ ხალხი ბნელია. ვისაც ოდნავი კავშირი აქვს რეგიონებში ხალხთან, დამეთანხმება, რომ ხალხი ხვდება იმ კომპოზიციებს, რასაც ოპოზიცია და ხელისუფლება ერთად აკეთებენ. ამ არჩევნებმა დაადასტურა, რომ ეს იყო შეთანხმებული ქმედება. ყველამ წინასწარ იცოდა, რაც მოხდებოდა.

ნინო ბექიშვილი: როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა უკანასკნელ წლებში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში?

მერაბ ქათამაძე: სიახლე ისაა, რომ გაჩნდა რუსეთის ფაქტორი, რომელიც აქამდე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არ მონაწილეობდა. როცა „ეროვნული საბჭოს“ ხმები გავაანალიზე, აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი ხმა მათ კახეთსა და აჭარაში მიიღეს. საინტერესოა, რომ 2008 წელს ყველაზე მეტი ხმა სწორედ ამ რეგიონებიდან მიიღო ბადრი პატარკაციშვილმაც. კახეთში, როგორც ჩანს, რუსეთის ბაზრის გახსნას მოელოდნენ ღვინისთვის, აჭარაში კი – ციტრუსისათვის. თბილისში და სხვა რეგიონებშიც არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ თუ რუსეთთან კარგი ურთიერთობა იქნება, ის დაგვიბრუნებს აფხაზეთს და ა. შ. დაუსაქმებელ ადამიანებს აქვთ იმ დროის ნოსტალგია, როცა მათ ღვინო და ციტრუსი რუსეთში გაჰქონდათ. თუკი გამოჩნდება უფრო რესპექტაბელური ლიდერი, და მე ვფიქრობ, რომ გამოჩნდება, ეს სეგმენტი ზრდას დაიწყებს.

ლელა გაფრინდაშვილი: ვფიქრობ, როგორც თავის დროზე შევარდნაძე იყენებდა ასლანის ფაქტორს ამომრჩევლების დასაშინებლად, ასევეა ახლა რუსეთი. მგონია, რომ არანაირი პრობლემა ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობაში არა აქვს; პირიქით, ყველა სტრატეგიული ობიექტი, იქნება ეს „ენგურჰესი“, „ბილაინი“ თუ „წყალკანალი“, რუსეთის ხელშია.

ნინო ციხისთავი: შემთხვევით არ მიხსენებია ომი. ომის შემდეგ ხალხმა მიიღო ძალიან უცნაური გზავნილები პარტიებისაგან, როცა ისინი გაუთავებელად ხვდებოდნენ ერთმანეთს და ვერაფერში თანხმდებოდნენ. ერთი თემა არ აღმოჩნდა ისეთი, რის

ნინო ციხისთავი

ვამბობდით, რომ წინა არჩევნებზე იყო დამკვირვებლების პრობლემა – პარტიებს არა ჰყავდათ შესაბამისად მომზადებული დამკვირვებლები. ახლა ვამბობთ, რომ თურმე საარჩევნო გარემო არ იყო ჯანსაღი. ამ ერთ გრძელ რელსზე დაწყობილ პრობლემებზე ყველანი თანაბრად ვართ პასუხისმგებელნი.

გარშემოც ერთსულოვნები იქნებოდნენ. ოპოზიცია გაუთავებლად მსჯელობდა იმაზე, რუსეთი არის თუ არა მთავარი დიდი პრობლემა საქართველოს პოლიტიკური სივრცისთვის და წყალგამყოფი პოლიტიკური სპექტრისათვის. ჩემთვის გასაგები იქნებოდა, რომ ეთქვათ – ვერთიანდებით ყველა ერთის წინააღმდეგ და ეს ერთი ხელისუფლებაა. ამომრჩეველმა ვერ მიიღო თავისი მოლოდინებიდან გამომდინარე მკაფიო და მიზანმიმართული პოლიტიკური ხაზი, რომელსაც გაჰყვებოდა.

სანდრო თარხან-მოურავი: ვერ ვხედავ პარტიების გამსხვილების პროცესს, რაზედაც ხშირად ისმის კონტრარგუმენტი, რომ გაერთიანება არაა დემოკრატიულობის მაჩვენებელი და სწორედ მრავალპარტიულობა განაპირობებს დემოკრატიას. მაგრამ გაერთიანების შედეგად შეიქმნება პარტიები, რომელთაც საიმისო ინტელექტუალური რესურსი ექნებათ, რომ ხელისუფლების კრიტიკა და სერიოზული მოქმედების სტრატეგია მომზადდეს. დღეს გვაქვს წარსულში ათას სკანდალში გახვეული პოლიტიკური ლიდერების პარტიები – ჯონდის პარტია, დავითაშვილის პარტია, კუკავა-ძიძიგურის პარტია, რომელთა გარშემოც არ ჩანს ის რესურსი, რამაც შეიძლება საზოგადოების რომელიმე ფენაში ნდობა გამოიწვიოს. ასევე, ისმის სრულიად საპირისპირო არგუმენტიც, რომ ყველა ერთად უნდა დამდგარიყო, რასაც ასევე არ გააჩნია პერსპექტივა, რადგან წარმოუდგენელია ლეიბორისტების, ქრისტიან-დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ერთ ქვაბში მოხარშვა. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის თემა პირველად ახლა არ შემოსულა ჩვენთან. 1990-იან წლებში არსებობდა „აღორძინება“ და მოგვიანებით – ბადრი პატარკაციშვილი. მიუხედავად იმისა, რომ პატარკაციშვილი ღიად გამოდიოდა ანტირუსული ლოზუნგებით, ამომრჩეველი მას პრორუსულ და რუსეთთან დაახლოების მსურველ პოლიტიკურ ძალად აღიქვამდა. იმის პროგნოზირება, თუ დღეს რა ძალით შემოვა რუსეთი პოლიტიკურ სპექტრში, ძალიან რთულია.

ჩემი დაკვირვებით, რევოლუციიდან დღემდე ჩვენი ოპოზიციური სპექტრი ეძებდა იდეოლოგიურ დასაყრდენს საზოგადოების იმ ფენაში, რომელიც, რაღაც სტატუსიდან გამომდინარე, მართალია, სარგებლობს ავტორიტეტით, მაგრამ მათი რეალური პროფესიონალიზმი და ქმედითუნარიანობა საეჭვოა. თუკი რამემ მოუტანა ძალა ოპოზიციურ მოძრაობას, ეს იყო პატარკაციშვილის „იმედი“, რომელიც მუშაობდა თანამედროვე ტექნოლოგიებით და, მართალია, კონსერვატიულ რიტორიკას იყენებდა, მაგრამ ეს მაინც თანამედროვე ტექნოლოგიებით ბრძოლა იყო.

ამ ხელისუფლების დამარცხება უფრო ქმედითი, უფრო კონსტრუქციული და უფრო ინტელექტუალური შემადგენლობით შეიძლება, გნებავთ – იდეოლოგიურად, გნებავთ საჯარო პოლიტიკური გამოსვლების დონეზე. რა ხელისუფლებაც უნდა მოვიდეს, ოპოზიციის წინააღმდეგობა უნდა იყოს, უნდა მუშაობდეს კონტროლის მექანიზმები. დღეს არანაირი ძალა არ აიძულებს მმართველ პარტიას, რიტორიკა და ქმედებები დახვეწოს. მათი მოწინააღმდეგეები კვლავ ეროვნული მოძრაობის ეპოქაში რჩებიან. ხელისუფლება ყოველთვის იმდენადაა კორუმპირებული, რამდენადაც ამის უფლებას გარემო აძლევს. უმთავრესი, რაც ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს აქვს სასწავლი, ფაქტების ერთგულებაა. მან ფაქტებზე ორიენტირებით უნდა იბრძოლოს და აქცენტი იმაზე გააკეთოს, რომ ვიღაცამ მოიპარა ვთქვათ 100 000, და არა იმაზე, რომ ვიღაც სისხლისმსმელია.

ნინო ციხისთავი: არ ვიცი, თქვენ რას ეყრდნობით, და მედიაში რამდენად ადეკვატურადაა ასახული, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ძალიან კონკრეტული დანაშაულებების ტომებია დადებული, ზოგადად, ადამიანის უფლებებში, იქნება ეს კანონშემოქმედებით სფეროში, თუ კანონის აღსრულების სფეროში. ადამიანებს აქვთ იმის მოლოდინი, რომ: ერთი – წავიდეს არჩევნებზე, რათა მოსთხოვოს ხელისუფლებას კონკრეტული პასუხი, ან მეორე – გააგზავნოს საჩივარი სტრასბურგში.

სანდრო თარხან-მოურავი: მნიშვნელოვანია, რა მიდის ამომრჩევლამდე. შეგიძლიათ ჰკითხოთ ამომრჩეველს, რა კონკრეტული მესიჯები მივიდა მათთან. შესაძლოა, ვიღაცამ რაღაც ფაქტები ახსენა, მაგრამ მაინც, მათთან კონკრეტული იდეოლოგიური, ქმედითი მესიჯები არ მისულა. ან აქცენტები არ დასვეს სწორად, ან არ არსებობდნენ კარგი შემსრულებლები, რომლებიც ეფექტურად მიიტანდნენ ამას ამომრჩევლამდე.

ლელა გაფრინდაშვილი: აქ არ იყო მესიჯები, არ იყო ჯანსაღი პოლიტიკური დისკუსია, აქ იყო ხალხის დაშინება, მოსყიდვა და ყიდვა.

სანდრო თარხან-მოურავი: უნდა შეგეკამათოთ, არ ვეთანხმები იმას, რომ ამომრჩევლის ხმა შეიძლება 50 ლარად იყიდო. მჯერა, თუ ვინმეს გულით უნდა, რომელიმე კონკრეტულ ძალას დაუჭიროს მხარი და აქვს ამისთვის რაციონალური მოტივაცია, ის ამას გააკეთებს და არ მგონია, რომ ადმინისტრაციული რესურსი ყველაფერს წყვეტს. ვიცნობ ბევრ ადამიანს, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობს და ხმას ოპოზიციურ ძალებს აძლევს.

ლელა გაფრინდაშვილი: რეგიონებში ამომრჩევლის ყიდვა შესაძლებელია. შეგიძლიათ ჩახვიდეთ და გამოიკითხოთ, რა და როგორ მოხდა. სოციალურად შეჭირვებული ამომრჩეველი ხვდება, რომ ეს არ არის პოლიტიკური პროცესი, რომ მისი არჩევანი არაფერს შეცვლის. ასეთ დროს ის პრაგმატულ ნაბიჯს დგამს და ირჩევს ერთ ტომარა ფქვილს.

ანადენკო

ავტორი: ლევან ბერძენიშვილი
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი

მისი დავიწყება შეუძლებელია. შეიძლება მისი სიყვარული, სიძულვილი, პატივისცემა, შეურაცხყოფა, იგნორირება, დაცინვა, განდიდება, გაზვიადება, გაღმერთება, მიწაზე დანარცხება, გასრესა, გაბითურება, განადგურება, მოკლედ, ყველაფერი, რაც კი აზრად მოგივა. არ შეიძლება მხოლოდ მისი დავიწყება. ვლადიმირ ვისოცკი თავის ერთ-ერთ შედევრში, სპორტულ სახუმარო სიმღერაში ჭადრაკში არც ისე კარგად გარკვეული საბჭოთა სპორტსმენის სახელით (ეს იყო ჭადრაკის მსოფლიოს მეათე ჩემპიონის, ბორის სპასკის შარჟი, რომელზეც, რამდენადაც ვიცით, მაშინ რუსი და შემდგომში ფრანგი დიდოსტატი ნაწყენი არ დარჩენილა) მღეროდა: «говорят, что Фишер очень ярок» („ამბობენ, ფიშერი მეტად გამორჩეულიაო“), სწორედ ასეთი яркий, როგორც ინგლისელები იტყოდნენ, bright ანუ ნათელი კაცი იყო ანადენკო. ბობი ფიშერი შემთხვევით არ მიხსენებია, ჭადრაკში მსოფლიოს მეთერთმეტე და ყველაზე ელვარე ჩემპიონისა არ იყოს, ანადენკოც მეტად უცნაური და ფხუკიანი კაცი გახლდათ, თანაც პოლიტიკური ბანაკის ЖХ 385/3-5-ის დაუმარცხებელი ჩემპიონი ბრძანდებოდა ჭადრაკში და ბანაკის ჩემპიონობის მუდმივ პრეტენდენტებს, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ მოსკოველი არნოლდ ანდერსონი, ბაქოელი ახპერ რაჯაბოვი და პეტერბურგელი ბორია მანილოვიჩი (დააკვირდით, სულ საჭადრაკო დედაქალაქებია), არანაირი შანსი არ გააჩნდათ ამ პიედესტალიდან მისი ჩამოგდებისა.

ჩვენ რომ გავიცანით, ფრიდრიხ ანუ ფრედ ფილიპეს ძე ანადენკო ორმოცდაათს იყო მიღწეული. შორეულ აღმოსავლეთში, ხაბაროვსკის მხარის ამურის ოლქის ყურე დე-კასტრიში (Бухта де-Кастри) იყო დაბადებული, სადაც მამამისი სამხედრო სამსახურს გადიოდა. პასპორტის მიხედვით ფრედი რუსი იყო, თუმცა, როგორც თვითონ ამბობდა, უკრაინული, ბელორუსული და ცოტაოდენი ბოშური სისხლიც ერია. იოლი მისახვედრია, ამ საერთო-სლავური სისხლის კაცს მშობლებმა ფრიდრიხი როგორ დაარქვეს, ეს მათ, რა თქმა უნდა, ფრიდრიხ ენგელსის საპატივცემულოდ გააკეთეს (უფროს ძმას, სხვათა შორის, კარლი ერქვა და უმცროსი ძმები რომ შესძენოდა, აუცილებლად ვლადიმერი და იოსები ექმეოდათ). შესაბამისად, ჩვენი ანადენკო, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაბადებით მარქსისტი იყო, თანაც სწორედ ენგელსური აქცენტით, ანუ კლასიკური ცენტრისტი მარქსისტი ლიბერალიზმის იშვიათი ელემენტებით.

რუსი საბჭოთა ახალგაზრდობისთვის საოცნებო და უმეტესობისთვის მიუწვდომელი სევასტოპოლის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი დაამთავრა 1960 წელს და, როგორც სარაკეტო ჯარების ინჟინერი, სამუშაოდ გაგზავნეს კოსმოდრომზე, საიდანაც ერთი წლის შემდეგ კოსმოსში იური გაგარინი გაფრინდა. ახალგაზრდა ანადენკო მაშინ რაკეტების გამოცდაში იღებდა მონაწილეობას და ასე პირდაპირ და უშუალოდ ჩაერთო მსოფლიო ისტორიაში.

სულაც 19 წლისა ყოფილა, როცა კომუნიზმის არსით დაინტერესებულა და დამოუკიდებლად დაუწყია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გულმოდგინე შესწავლა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ საქმეში მართლა დამოუკიდებელი ყოფილა, რადგან ოფიციალურად ნებადართული მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის გარდა, საფუძვლიანად გაეცნო სრულიად აკრძალული კარლ კაუცკის, ლევ ტროცკისა და თავმჯდომარე მაოს შემოქმედებას. გულწრფელად სწამდა რა თავისი არჩეული გზისა, გახდა კომუნისტური პარტიის წევრი, ძალიან მალე მიიღო მაიორის სამხედრო წოდება და ერთი შეხედვით, მის წინაშე შესანიშნავი სამხედრო კარიერა გადაიშალა. ეს ყველაფერი დასრულდა 1968 წელს ჩეხოსლოვაკიის მოვლენების შემდეგ, როდესაც „მოკავშირეთა“ (ოპერაციაში საბჭოთა კავშირის გარდა მონაწილეობდნენ ე.წ. ვარშავის ხელშეკრულების სხვა ქვეყნების არმიებიც, რუმინეთის გარდა) ტანკებმა სახელგანთქმული Pražské jaro „პრაღის გაზაფხულის“ ყვავილები ქალებისა და ბავშვების სისხლით მორწყეს. იმავე წლის ოქტომბერში მაიორმა ანადენკომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, პროტესტის ნიშნად უყოყმანოდ დაეტოვებინა კომუნისტების რიგები და საკუთარი ნებით მიეტოვებინა მაშინ ასე პრესტიჟული სამხედრო სამსახური ელიტურ სარაკეტო ჯარებში.

თავიდან დაიწყო ცხოვრება. თორმეტი წელი მუშაობდა მუშად ჯერ მეტროპოლიტენში და შემდეგ კიევის ქაღალდის ფაბრიკაში, ამაზე დახარჯა ცხოვრების 12 წელი ყოფილმა მაიორმა და სამხედრო რაკეტების გამომცდელმა. მისივე თქმით, დრო ფუჭად არ დაუკარგავს: გამალებით მუშაობდა თავის პირველ პოლიტიკურ წიგნზე „ნორმალური სვლა“, რომელმაც ბოლოს და ბოლოს 1982 წლის 2 აპრილს განსასჯელის სკამზე დასვა. კიევის საქალაქო სასამართლომ უკრაინის უშიშროების მაშინდელი სისხლისმსმელი ხელმძღვანელის, სტეპან მუხას მოთხოვნით, 1982 წლის 29 ოქტომბერს ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის სასჯელის მაქსიმუმი, სახელგანთქმული „შვიდს პლუს ხუთი“ მიუსაჯა. დამახასიათებელია, რომ საბრალდებო დასკვნაში, რომელიც ფრედმა პირველი მოთხოვნისთანავე მოგვაწოდა ზონაში ახალჩასულ ქართველებს, ანადენკოს წიგნის ქვესათაური: «От Ленина до Брежнева» (ლენინიდან ბრეჟნევამდე) ჩეკისტური დელიკატურობით ასე იყო შეცვლილი „От [имя руководителя] до [имя руководителя]», როგორც ჩანს, ისეთ „წმინდა წერილში“, როგორც ზონაში ხუმრობით მოიხსენიებდნენ „კაგებეს“ წერილობითი

შემოქმედების ამ შედევრს, ანუ ისეთ დოკუმენტში, როგორიც განსასჯელის საბრალდებო დასკვნაა, ლენინისა და ბრეჟნევის უმწიკვლო სახელების უბრალო ხსენებაც კი, უკრაინელი ჩეკისტების აზრით, წარმოუდგენელ ჩირქს ცხებდა მსოფლიო პროლეტარიატის ამ დიდ ბელადებს.

როდესაც ზონაში ჩასულ ახალბედებს „ადგილობრივებმა“ თბილი შეხვედრა მოგვიწყვეს, დამხვედრ კომისიაში ქართველებთან, ჯონი ლაშქარაშვილთან და ჟორა ხომიზურთან და земляк ანუ თანაკავკასიელ რაფაელ პაპაიანთან ერთად რუსები ვადიმ იანკოვი და ფრიდრიხ ანადენკოც შედიოდნენ. ფრედმა დაწვრილებით გამოგვკითხა ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული რესპუბლიკური პარტიის შესახებ და სიამოვნებით აღნიშნა, რომ ჩვენი ეკონომიკური პროგრამა (ჩვენ, რა თქმა უნდა, ეკონომიკური პროგრამაც გვქონდა) მის ეკონომიკურ თეორიებს ემთხვეოდა (პატიოსნად უნდა ვაღიარო, რომ ეკონომიკის სფეროში ჩვენი მაშინდელი „პროგრამა“ დღეს სპეციალისტების ღიმილს თუ გამოიწვევს და ნებისმიერი ნორმალური უმაღლესი სასწავლებლის პირველი კურსის სტუდენტებს სასაცილოდაც არ ეყოფათ, უფრო სწორად, არ ეყოფოდათ, მართლა მრავლად რომ გვქონოდა ასეთი სასწავლებლები და გვყოლოდნენ ასეთი სტუდენტები).

ანადენკო, როგორც თვითონ ამბობდა, სოციალ-დემოკრატი და „უსისხლო“ მარქსისტი იყო. ლენინის, სტალინისა და მაოს პრაქტიკას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ანტონიო გრამშის, პალმირო ტოლიატის, მორის ტორეზის, ჟორჟ მარშეს, ალექსანდრ დუბჩეკის და, განსაკუთრებით, იტალიის კომუნისტური პარტიის მაშინ ახლად გარდაცვლილი ლიდერის, ენრიკო ბერლინგუერის ცუდად ხსენება მასთან არ შეიძლებოდა. ამ უკანასკნელის მთავარი დამსახურება, ფრედის აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ მან იტალიის ტრადიციულად ძალიან ძლიერი და გავლენიანი კომპარტია მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციიდან ევროკომუნიზმის პოზიციებზე გადაიყვანა, სხვა მსოფლმხედველობის პოლიტიკოსებთან დაახლოება დაიწყო და 1980 წელს საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეყვანის გამო მკვეთრი პროტესტი გამოთქვა, რის გამოც საბჭოთა კავშირისა და იტალიის კომპარტიებს შორის განხეთქილება მოხდა და ინტურისტის ქსელის სასტუმროების კიოსკებიდან სამუდამოდ გაქრა იტალიელი კომუნისტების ორგანო, გაზეთი „უნიტა“, რომლის

ბოლო გვერდები ფეხბურთის მოყვარულთათვის ნამდვილი ილუსტრირებული ბიბლია იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბერლინგუერის პოპულარობა უზომოდ გაიზარდა საბჭოთა კავშირის კრიტიკის შემდეგ, იტალიის კომპარტიამ მაინც ვერ შეძლო ვერც დამოუკიდებლად და ვერც კოალიციურად ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებაში მოსვლა, თუმცა იტალიის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები კომუნისტებით გაივსო.

თითქმის ყოველი დილა იწყებოდა ხომიზურ-ანადენკოს ხანმოკლე, მაგრამ გაუთავებელი კამათით „კეთილშობილი“ კომუნიზმის შესაძლებლობა-შეუძლებლობის შესახებ. ხანმოკლე კამათი იმიტომ იყო, რომ „პლაცზე“ ანუ მოედანზე მოწყობა-დათვლისას იწყებოდა, სასადილოში გრძელდებოდა, მაგრამ სამუშაო საამქროში შესვლის წინ მთავრდებოდა – იქ საკერავი ელექტრომანქანებისგან ისეთი ხმაური იდგა, რომ სამეცნიერო ან პოლიტიკური კამათი შეუძლებელი ხდებოდა, თითო-ოროლა სიტყვას თუ გადავძახებდით ერთმანეთს. ამ დილის შერკინებებში ანადენკო გაუთავებლად „მღეროდა“ ცნობილ სიმღერას სოციალიზმზე „ადამიანური სახით“, ხოლო ჟორა ამტკიცებდა, რომ სოციალიზმს საერთოდ არ შეიძლება არათუ ადამიანური, არამედ საერთოდ რამენაირი სახე ჰქონდეს, რადგან მას მუდმივად ჰქონდა, აქვს და ექნება მგლის оскал ანუ „სიფათი“. ანადენკო ამტკიცებდა, რომ კომუნიზმს არაფერი აქვს საერთო არც ლენინის ავადმყოფურ იდეებთან (ნებისმიერი მზარეული რომ უნდა მართავდეს ქვეყანას), არც ტროცკის პერმანენტული რევოლუციის იდეასთან, არც სტალინის სისასტიკესთან და გულაგთან და არც მრავალი კომპარტიის მიერ აღიარებულ პროლეტარიატის დიქტატურასთან (რაც მართალია მართალია, ამ მარქსისტ კაცს პროლეტარიატი მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა). ხანდახან კამათში სტალინისტი რაზლაცკიც ერთვებოდა და საბრალო ანადენკოს მარჯვნივ და მარცხნივ, ორ ფრონტზე უწევდა ბრძოლა და მაინც ყველა კამათს ადამიანური სახით ამთავრებდა, არავის შეურაცხყოფდა და რომელიმე უპასუხოდ დარჩენილ არგუმენტზე ამბობდა, – აუცილებლად ვიფიქრებ მაგაზეო. რაღაცას მართლა მოიფიქრებდა და ისევ იწყებოდა ენრიკო ბერლინგუერი, ანტონიო გრამში, პაბლო პიკასო და პოლ ელუარი.

საღამოს, მუშაობის დამთავრების შემდეგ კამათის ხასიათი იცვლებოდა და პოლიტიკური სფეროდან უფრო აკადემიურში გადადიოდა – ახლა ანადენკო და იანკოვი კამათობდნენ მარქსზე, ენგელსზე, ტროცკიზე, ფროიდზე, ლაკანსა თუ პოპერზე. განსაკუთრებით მწვავე კამათის საგანი იყო სწორედ კარლ რაიმუნდ პოპერის შემოქმედება, რადგან პოპერი იანკოვისთვის ისეთივე შეუვალი ავტორიტეტი იყო, როგორც ანადენკოსთვის მარქსი. სხვათა შორის, ამ კამათში პირველად გავიგე პოპერის არსებობის შესახებ და პირველად გავიგონე მომავალი საქართველოსთვის ასე საბედისწერო ტერმინი „ღია საზოგადოება“.

ანადენკოსა და იანკოვის, ჩვენი პოლიტიკური ბანაკის ამ ორი კორიფეს კამათი ხშირად იღებდა საჯარო სოკრატული დიალოგის სახეს, რომელსაც, როგორც წესი, „ათენელი ხალხი“, ანუ ჩვენი იქაური ელიტა ესწრებოდა.

– ათენელო ხალხო, – მოგვმართავდა ვადიმ ანატოლის ძე სოკრატე, – ჩემთან კამათი ისურვა კარლ მარქსმა, უკაცრავად აბდერელმა დემოკრიტემ, ატომისტიკის ფუძემდებელმა.

– დიახაც, ვიქნები თუნდაც დემოკრიტე, – აღიარებდა აბდერელობას ფრედ ანადენკო, – როგორც ცნობილია, მარქსის სადოქტორო დისერტაცია იყო „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“. ასე რომ, დემოკრიტე მთლიანად ჩვენიანია.

– მოგესალმები, ჩემო დემოკრიტე. ვინაიდან შენ ძვ.წ. 460 წელს დაიბადე და 370 წ. გარდაიცვალე, ხოლო მე შენზე ცხრა წლით უფროსი ვარ, მაგრამ ჩემი საყვარელი ათენელების „დახმარებით“ 399 წელს ავირჩიე სიკვდილი, ჩვენ მართლა შეიძლებოდა შევხვედროდით ერთმანეთს. თუმცა შევხვდით თუ არა, არ ვიცი; როგორ იყო, ათენელო კაცო, ლევან, შევხვედრივართ მე და დემოკრიტე ერთმანეთს?

– არაერთგზის, ჩემო სოკრატე. შენი და სოფისტ ფილოლაოსის მოსასმენად დემოკრიტე სპეციალურად ჩამოვიდა ათენში, – დიდი ენთუზიაზმით ჩავერთე დიდი ათენელების საუბარში როგორც ჩვენს პოლიტიკურ ბანაკში ძველი ბერძნების საქმეთა საუკეთესო ექსპერტად აღიარებული კაცი.

– მაშ ასე, კარგად შეხედე ამ გარემოს, ჩემო დემოკრიტე, – დაიწყო სოკრატემ. ყურადღება მიაქციე მავთულხლართებს, უკაცრავად, ზეთისხილის ხეებს და მაღალ ანძებს, უკაცრავად, ტაძრებს, საიდანაც შინაგან საქმეთა სამინისტროს საყვარელი ჩაფრები, უკაცრავად, ან-

ტიკური ხანის ქურუმები ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, მიხეილ ტიმოთეს ძე კალაშნიკოვის მსოფლიოში სახელმოხვეჭილ ავტომატურ იარაღს გვიმიზნებენ, უკაცრავად, მე მინდოდა მეთქვა, რომ ზეთისხილის შტოებით გვლოცავენ, როგორც შავი ჭირით გატანჯული თებელები, Cádmu tú palái neá trophé „ძველი კადმოსის ახალი მოდგმა“, ლოცავენ თავის მეფე ოიდიპოსს გენიალური სოფოკლეს უკვდავი „ოიდიპუს ტიურანოსის“ პროლოგში.

– როგორ ვერ ვხედავ, ჩემო სოკრატე, ზეთისხილის ხეებსაც ვხედავ და ქურუმებსაც, მავთულხლართებსაც და მსოფლიოში საუკეთესო ავტომატებსაც, ოღონდ ვერ გამიგია, რა შუაშია ეს ყველაფერი, ეს ზეთისხილის შტოები და წარმართული ქურუმები ჩვენს დღევანდელ კამათთან.

– იმ შუაშია, ჩემო დემოკრიტე, რომ ჩემი საყვარელი პითაგორას მოძღვრების მიხედვით, როდესაც ჩემი სული მეტემფსიქოზის წესით კარლ პოპერის სხეულში განთავსდება, 1945 წელს მე ჩემი ამჟამინდელი ჩვეულების საწინააღმდეგოდ დავწერ სოციოლოგიის სფეროში აღიარებულ შედევრს, „ღია საზოგადოება და მისი მტრები“, რომელშიც წარმოვჩნდები, როგორც ტოტალიტარიზმის ყველაზე დაუნდობელი მტერი, გამოვალ დემოკრატიისა და ისეთი ღია საზოგადოების დასაცავად, რომელშიც წინამავალი პოლიტიკური ელიტის ხელისუფლებიდან ჩამოშორება შეიძლება სისხლისღვრისა და რევოლუციების გარეშე. მე დავამტკიცებ, რომ რაკი ადამიანური ცოდნის დაგროვების პროცესის წინასწარმეტყველება შეუძლებელია, ამიტომ სახელმწიფო მართვის იდეალური თეორია არ არსებობს, ამდენად პოლიტიკური სისტემა უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რომ მთავრობას შეეძლოს თანდათან ცვალოს თავისი პოლიტიკა. ამის გამო საზოგადოება ღია უნდა იყოს თვალსაზრისთა და სუბკულტურათა სიმრავლისათვის (ამას, ჩემო საყვარელო ათენელებო, ეწოდება პლურალიზმი და მულტიკულტურულობა). ხოლო შენ, ჩემო დემოკრიტე, შენი კარლ მარქსად რეინკარნაციის შემდეგ „დაადგინე“, რომ არსებობს განვითარების ერთადერთი მექანიზმი, კლასთა ბრძოლა წარმოების საშუალებათა დასაუფლებლად და რომ არ არსებობს პოლიტიკური პლურალიზმი, რომ კაცობრიობის მთავარი მონაპოვარია კაცისკვლა და რევოლუცია და საბოლო ჯამში მიგვიყვანე ამ ზეთისხილის მავთულხლართებამდე და კალაშნიკოვის ქურუმებამდე.

– ნება მიბოძე, არ დაგეთანხმო, ჩემო სოკრატე. ჩემს სულიერ შვილს, კარლ მარქსს არსად უთქვამს, ამხანაგმა სტალინმა ნახევარი მოსახლეობა გულაგად წოდებულ საღორეში დაამწყვდიოს, პერიმეტრზე ზეთისხილის ხეები დაურგოს და ტაძრებზე მოთვალთვალე ქურუმები დაუნიშნოსო. როგორც ყველა გენიოსს, მარქსსაც ჰყავდა კარგი და ცუდი მოსწავლეები, კაუცკი – კარგი მოსწავლე იყო, ლენინი – ცუდი, კარგი მოსწავლის მოსწავლეები, მაგალითად ანტონიო გრამში და ენრიკო ბერლინგუერი კარგი იყო და ცუდი მოსწავლის მოსწავლეები, ლევ დავითის ძე ბრონშტეინი, იუდუშკა ტროცკი და დიდი ჯო, იოსებ ბესარიონის ძე სტალინი – მასწავლებელზე უარესი და მოსწავლის მოსწავლის მოსწავლე მაო ძედუნი – უსაშინლესი.

– მე, ჩემო დემოკრიტე, სახელი საყვარელმა მოსწავლეებმა, პლატონმა და ქსენოფონტმა გამითქვეს და შენს მარქსსაც საეჭვო მსოფლიო დიდება სწორედ საუკეთესო მოსწავლეებმა, ლენინმა და სტალინმა მოუტანეს და არა „რევიზიონისტებად“ მონათლულმა ბერნშტეინმა და კაუცკიმ.

– ჩემო სოკრატე, შენი საუკეთესო მოსწავლე პლატონიც სტიქიური მარქსისტი იყო, რაკი კერძო საკუთრებას ეჭვის თვალით უყურებდა.

– ვიცი, ვიცი ეს უსაფუძვლო ბრალდებები, პლატონი რომ კომუნისტი იყო და ჰერაკლიტე დიამატის ფუძემდებელი ანუ მარქსისტი. პლატონის ბოლო თხზულებები, საიდანაც ეს დასკვნა გამოაქვთ, ძალიან ზედაპირულად გაქვთ წაკითხული, თანაც არ ითვალისწინებთ, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ მასზე დიდი გავლენა არ მქონია, მაგრამ კარლ პოპერად რეინკარნაციის შემდეგ ჩემი მთავარი სათქმელი მაინც მოვუტანე კაცობრიობას: პლურალისტული იდეები მართავენ ისტორიას და არა ეკონომიკის ხისტი მარქსისტული სქემები და კლასთა ბრძოლა ჰეგემონიისთვის.

– არ გამოგვდის საუბარი, ჩემო სოკრატე-პოპერ-იანკოვო. შენ ჩემი სისხლიანი კლასთა ბრძოლის არ გჯერა და მე შენი ჰაეროვანი პლურალიზმის. ისტორიამ განგვსაჯოს. სიტყვას გაძლევ, თუ ოდესმე თავისუფლება მეღირსა, კარლ პოპერს ჩავუჯდები და მარქსისტული პოზიციიდან ერთ კარგ ნარკვევსაც მივუძღვნი.

ჩვენი პოლიტიკური ბანაკის მნიშვნელოვან ნაწილს სამხედრო დამნაშავე მოხუცები შეადგენდნენ. რაოდენობით ისინი მეორენი იყვნენ „დემოკრატების“ ანუ ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისთვის რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის სამოცდამეათე მუხლით გასამართლებულების შემდეგ. მიუხედავად ამისა, „დემოკრატები“ მაინც უმცირესობაში ვიყავით, რადგან უმრავლესობასა და ადმინისტრაციის სიამაყეს სამშობლოს მოღალატეები, ჯაშუშები, ტერორისტები და სამხედრო დამნაშავეები შეადგენდნენ. ჩვენი სამხედრო დამნაშავე ბერიკაცების უმეტესობა ომის დასრულებიდან კარგა ხნის გასვლის შემდეგ აღმოაჩინეს ენთუზიასტმა პიონერებმა, თავდადებულმა კომკავშირელებმა და მუდმივად მღვიძარე (დაუძინებელმა) ჩეკისტებმა. აღმოაჩინეს და გულაგის გზას დაგვიანებით გაუყენეს, თანაც დასცინეს, ხომ გაგიგიათ, – სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო.

ბარაშევოს ზონის ერთ-ერთი სამხედრო დამნაშავე, უკრაინელი ბერიკაცი

მიკოლა ვერხოვენსკი ომის დროს გერმანელთა პოლიცაი ყოფილა, ომის შემდეგ გვარი გადაუკეთებია, ვერხოვინი გამხდარა, დონბასის ერთ-ერთ მაღაროში ჩამძვრალა, უწვალია, უშრომია და იმდენი ნახშირი მიუწოდებია საყვარელი სამშობლოსთვის, რომ სოციალისტური შრომის გმირის წოდებისთვის გამოუკრავს ხელი. როდესაც სკკპ გენერალურმა მდივანმა, ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, თავადაც მედლებით უხვად მკერდდამშვენებულმა ვერხოვინს სოციალისტური შრომის გმირის მედალი გადასცა, ეს ფაქტი საბჭოთა კინოქრონიკამ ასახა, ქრონიკა კი „ჟურნალის“ სახით წინ უძღოდა მხატვრული ფილმების დემონსტრირებას კინოთეატრებში. როდესაც რომელიღაც მხატვრული ფილმი ვერხოვენსკ-ვერხოვინის მშობლიურ სოფელში ჩაუტანიათ, ძველ მეზობლებს „ჟურნალში“ თანასოფლელი პოლიცაი უცვნიათ, ეს ამბავი პიონერი следопыт-ების, სანადირო მეკვლეების ანუ კვალმაძიებლების ხელში ჩავარდნილა, უძებნიათ, უპოვნიათ და უკრაინის სახელგანთქმულ უშიშროებას ვერხოვინი ომის დასრულებიდან 25 წლის შემდეგ დაუპატიმრებია. იმ დღის შემდეგ ვერხოვინს ეზიზღებოდა კვალისმაძიებელი პიონერებიც, უბრალო პიონერებიც, ბავშვებიც, ახალგაზრდებიც და, საერთოდ, ადამიანებიც და მათ მიმართ დამოკიდებულებას მხოლოდ უმდიდრესი რუსული ენის ღრმა წიაღიდან ამოღებული სიტყვების, წარმოუდგენელი მახვილგონიერების ხალხური იდიომებისა და ურთულესი სექსუალური მეტაფორების მეშვეობით გამოხატავდა. უკრაინის უზენაესმა სასამართლომ, რა თქმა უნდა, სოციალისტური შრომის გმირობის წოდებაც ჩამოართვა და დახვრეტაც მიუსაჯა; ეს ყველაფერი კინოქრონიკას კვლავ აუსახავს, ქრონიკას „ჟურნალის“ სახით ისევ ჩაუღწევია ვერხოვენსკის მშობლიურ სოფელში და უკვე დაფრთიანებული ანუ დაკომკავშირელებული ყოფილი პიონერების უზომო და ღრმა კმაყოფილებაც გამოუწვევია. ცალკე საკანში დახვრეტის მოლოდინში გატარებული ექვსი თვის შემდეგ ვერხოვინი სსრკ უზენაესმა საბჭომ შეიწყალა (შრომის გმირობამ თუ უშველა) და სასჯელის უმაღლესი ზომა იმდროინდელი მაქსიმუმით, თხუთმეტწლიანი პატიმრობით შეუცვალა; სწორედ ეს თხუთმეტი წელი გაასრულა ვერხოვინმა ჩვენს პოლიტიკურ ბანაკში მზარეულის საპატიო თანამდებობაზე (სოციალისტური შრომის გმირობის უფლება არ ჰქონდა, თორემ მზარეულობის უფლებას ვინ წაართმევდა, თუკი სწორედ კუჭის სახსნელად და სიმაძღრისათვის იმ ოკუპანტებთან მივიდა, რომლებმაც მანამდე მშობლები და უფროსი ძმა დაუხოცეს; მივიდა, გერმანელი პოლიცაის ფორმაც ჩაიცვა და საკუთარი სოფელიც ააწიოკა). ზონიდან გასვლის წინ სოციალისტური შრომის ყოფილმა გმირმა სიტყვა დააგდო, – ამ ქვეყანას ახალგაზრდები დაღუპავენო (სკკპ გენერალური მდივნის პოსტზე „ახალგაზრდა“ ანუ 54 წლის გორბაჩოვის დანიშვნას აპროტესტებდა), მონობათავისუფლების საზღვარი გადაკვეთა და მცირე ზონიდან დიდ ზონაში გადავიდა.

ვერხოვინი ჩვენი ბანაკიდან გავიდა თუ არა, ფრედ ფილიპეს ძე ანადენკო უცნაური წინადადებით მომადგა. კიეველ რუს ანადენკოს უკრაინული მანერები ახასიათებდა. ერთ-ერთ ასეთ უკრაინულ და თანდაყოლილ ჩვეულებად ჰქონდა მიმართვისას მამის სახელის არმოშლა მეგობრობისა და სიახლოვის მიუხედავად; ამიტომ მე მისთვის მუდმივად სხვა რუსებივით „ლივანი“ კი არა Ле́ван Валерьянович-ი ვიყავი, ძალიან მკვეთრი მახვილით სახელის პირველ მარცვალზე და აუცილებელი მამის სახელით. „კურილკაში“ ვიდექით მწეველები და ვერხოვინს ბანაკიდან უკანასკნელი პატიმრული მზერით ვაცილებდით. მე „იზვესტიის“ ქაღალდში გახვეულ წეკოს უზარმაზარ самокрутка-ს ანუ თვითნაკეთ სიგარეტს ვეწეოდი, რომელსაც ჯონი ლაშქარაშვილი ქართული ენის მომავალი აღიარებული მეტრის, გურამ პეტრიაშვილის გავლენით, თუმცა ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ არ იცნობდა და მისი ენათმეცნიერული შტუდიები არც ჯონისთვის და არც ქართული საზოგადოებისთვის ჯერ არ იყო ცნობილი, „თვითხვეულას“ უწოდებდა.

აცივდა, ჰაერის ტემპერატურა 30 გრადუსამდე დაეცა. ანადენკომ სეირნობა და მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა შემომთავაზა. სეირნობა ჩვენს ბანაკში შიზოდან ალაყაფის კარამდე წინ და უკან სწრაფ სიარულს ნიშნავდა: როცა ორი კაცი ამ მარშრუტზე მოძრაობდა, ყველამ იცოდა, რომ ისინი სერიოზულ საკითხს განიხილავდნენ.

პირველი გზა რომ უსიტყვოდ გავიარეთ და ალაყაფის კარიდან უკან მოვბრუნდით, ფრედ ფილიპეს ძემ მკითხა, – ლევან ვალერიანის ძევ, ვერხოვინის განთავისუფლების შემდეგ სამზარეულოში ვაკანსია გაჩნდა და მზარეულის ადგილს ხომ არ დაიკავებდი, თუკი მთელი სამო-

ცდამეათე მუხლით გასამართლებული დემოკრატები მხარს დაგიჭერდნენო.

წინადადება ერთდროულად მოულოდნელიც იყო და, კაცმა რომ თქვას, შეურაცხმყოფელიც, რადგან სამზარეულო „ჩვენი“ არ იყო და იქ მხოლოდ ადმინისტრაციასთან დაახლოებული ჯაშუშები, სამშობლოს მოღალატეები, ტერორისტები და სამხედრო დამნაშავეები მოღვაწეობდნენ – ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კუჭს ივსებდნენ. მეორე მხრივ, აშკარა იყო, რომ ანადენკოს რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული და ჩემ შეურაცხყოფას ან შემოწმებას არ აპირებდა.

თქვენ ხომ იცით, ფრედ ფილიპეს ძევ (ვუკრაინელობდი მეც), სამზარეულო რომ ჩვენი ადგილი არ არის. მე თბილისში სამძებრო იზოლატორის უფროსმა, პოლკოვნიკმა ტარიელ დილიბაზაშვილმა (მომიტევეთ, ფრედ ფილიპეს ძევ, მისი მამის სახელი არ ვიცი) და მისმა „კეთილმა ხალხმა“ ვერ შემომკადრა обслуга-ში ანუ მომსახურებაში მუშაობა და ამოდენა გზა იმიტომ გამოვიარე, რომ კუჭის მონობისთვის თავი მორდოვეთის ასსრ, ტენგუშევოს რაიონის დასახლება ბარაშევოში გამეფუჭებინა?

ტყუილად ნერვიულობთ, ლევან ვალერიანის ძევ, თავის გაფუჭებას არავინ გაიძულებთ. მე უბრალოდ მაინტერესებს, რატომ არ შეიძლება ამათი მრავალწლიანი ტრადიცია დავარღვიოთ და პატიოსანი ხალხი შევუშვათ სამზარეულოში? ისეთი ხალხი, რომელიც ჩვენს წილ ულუფას არ მოიპარავს და არც სხვას მისცემს ამის უფლებას?

თუკი პატიოსანი კაცი გჭირდებათ სამზარეულოში, აგერ არ ბრძანდებით? თქვენს პატიოსნებაში ეჭვი არავის ეპარება და კოსმოსურ რაკეტებში თუ გაერკვიეთ, რამენაირად სამზარეულოშიც დაამყარებთ წესრიგს.

აი, რას ნიშნავს ახალგაზრდა და გამოუცდელი რომ ხართ, ლევან ვალერიანის ძევ! აკი გითხარით, თქვენს კანდიდატურას სამოცდამეათე მუხლით გასამართლებული ყველა პატიმარი დაუჭერს-მეთქი მხარს. მე ასეთ ფუფუნებას ვინ მაღირსებს, როცა ყოველ მეორე პატიმარზე საჩივარი მაქვს დაწერილი და სსრკ გენერალურ პროკურორთან, ამხანაგ ალექსანდრ მიხაილის ძე რეკუნკოვთან დაგზავნილი, ხოლო ასლი თვით ამ პატიმრებისთვის მაქვს ჩაბარებული?

მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ გენპროკურორს წერილობით მიმართეთ, ამხანაგო გენერალურო პროკურორო, გთხოვთ ზომები მიიღოთ, პატიმარმა ფელდმანმა მტრედი შეჭამა და ეს არ შეიძლებოდა, რადგან მტრედი მშვიდობის სიმბოლო გახლავთო.

კიდევ წერილი მივწერე ალექსანდრ მიხაილის ძე რეკუნკოვს, იაპონიის ჯაშუშმა, პატიმარმა კან-ჩან-ხომ ზონაში შემთხვევით შემოსული ყვითელი ძაღლი შეჭამა-მეთქი.

და ყვითელი ძაღლი რისი სიმბოლოა?

ძაღლის ჭამა როგორ შეიძლება, ის ხომ ადამიანის მეგობარია! – ზომაზე მეტად აღელდა საერთოდ მშვიდი ანადენკო.

არ გედავებით, ფრედ ფილიპეს ძევ, მჯერა, რომ ძაღლი ადამიანის მეგობარია და მეგობრების ჭამა ლამაზი არ არის, მაგრამ, ჯერ ერთი, კანი კორეელია და ძაღლის ხორცითაა გაზრდილი, მეორეც, ძაღლის მეგობრობის მჯერა, მაგრამ რეკუნკოვისნაირი ქოფაკებისა და ადამიანების მეგობრობისა რა მოგახსენოთ.

თქვენ შესანიშნავად იცით, ლევან ვალერიანის ძევ, რომ რეკუნკოვი ჩემი მეგობარი არ არის, ასეთი მეგობრები რომ მყოლოდა, შვიდს პლუს ხუთს არავინ მომისჯიდა, რეკუნკოვი კანონის სადარაჯოზე უნდა იდგეს, – ხაზგასმით ცივად და მკაცრად ამიხსნა ანადენკომ.

მერედა კანონი კრძალავს ძაღლის ხორცის ჭამას? – დავიცავი კორეელი პატიმრის ჩემთვისაც საეჭვო კულინარიული მიდრეკილებები მე.

ძაღლის ჭამა უზნეობაა! სხვათა შორის, თქვენი ძმა, დავით ვალერიანის ძე ბორშჩში პურს რომ ანამცეცებს, ისიც უზნეობაა!

ჩვენ, ქართველებმა ეს არ ვიცოდით! ბორშჩი ჩვენში იშვიათად კეთდება და დათოს თავში არ მოსვლია, თქვენს ნაციონალურ გრძნობებს თუ შეურაცხყოფდა ბორშჩში პურის დანამცეცებით, თუ ეს ბორშჩია და თუ ეს პურია! სხვათა შორის, ამაზე ჯერ არ მიგიწერიათ სსრკ გენერალური პროკურორისთვის, ამხანაგ ალექსანდრ მიხაილის ძე რეკუნკოვისთვის? – ჭეშმარიტმა გურულმა იფეთქა

ჩემში და ახალი აღტყინებით განვაგრძე:

სხვათა შორის, ამხანაგო ანადენკო, ფრიდრიხ ფილიპეს ძევ, მე შემიძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამჟამინდელი გენერალური მდივნის, პერუელი არაამხანაგის, ხავიერ პერეს დე კუელიარის მისამართიც გიშოვოთ ნაცნობობით, ეს კაცი 1969-1971 წლებში სსრკ-სა და პოლონეთში პერუს ელჩი იყო, ბორშჩი და მისი მიღების რთული ტექნოლოგიური პროცესი ათვისებული ექნება, – ხმას ავუწიე მე.

– არ გეკადრებათ, ლევან ვალერიანის ძევ, მე მხოლოდ მზარეულობის თეორიულად შემოთავაზება მინდოდა. ქვეყანაში გარდაქმნა მიმდინარეობს და ვიფიქრე, ეს პოსტი ჩვენი ასაღებია-მეთქი, – დაიხია უკან მუდმივად თავაზიანმა ანადენკომ.

– მომავალში, ფრედ ფილიპეს ძევ, სანამ თავმოყვარე ქართველებს მზარეულობას შესთავაზებდეთ, კარგად დაფიქრდით, რადგან ებრაელებს ფრინველები უყვართ, კორეელებს ყვითელი ძაღლები, რუსებს გენერალური პროკურორები, ქართველებს კი კუდი ყავარზე აქვთ გადებული, ამაყები არიან. ძალიან! – У Грузин хвост до крыши достает! То есть они гордые. Очень.

>>> გაგრძელება გვ. 121

"პიდარასტები" და დაძმობილებულები

ავტორი: გიორგი მაისურაძე
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენ დიონოს გააცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს, აწ ბოროტსა არ დაჰბადებს“.
შოთა რუსთაველი

"სუდია – პიდარასტ!" ანუ "პიდარასტების" გენეალოგია

სიტყვა „პიდარასტი“, სულ ცოტა, ადრეული სკოლის ასაკიდან მესმოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, რომ ეს „ცუდი სიტყვა“ იყო, რომელიც სახლში ან უფროსების თანდასწრებით არ უნდა მეთქვა, მას მაინც ერთგვარი პათეტიკური, ლამის ამაღლებული ჟღერადობა ჰქონდა ჩემთვის: ვინაიდან ბავშვობაში ფეხბურთით ვიყავი გატაცებული და 11 წლის ასაკიდან სტადიონზეც დავდიოდი, თბილისის „დინამოს“ სტადიონი და ქართული ფეხბურთი ერთ ფორმულასთან იყო გაიგივებული და ის ამ სიტყვების სახით შემომრჩა მეხსიერებაში: „სუდია – პიდარასტ!“ ეს იყო ქართველი გულშემატკივრების ერთსულოვნების გამოხატულება, როდესაც ათეულობით ათასი ადამიანი ერთხმად აპროტესტებდა საფეხბურთო მსაჯის გადაწყვეტილებას. ეს იყო „ძალა ერთობაშია“-ს ყველაზე მძაფრი ქართული საბჭოთა გამოვლინება. ამასთანავე, ეს ფრაზა ქართული კოლექტიური რესანტიმენტის ჩემს მეხსიერებაში არსებული პირველი ფორმაცაა: თუ „დინამო“ ვერ იგებს, ეს რუსი „სუდიას“ ბრალია.

მსაჯი, მისი მარად თანმდევი განსაზღვრებით – „პიდარასტი“ – უსამართლობის, ჩაგვრისა და „მტრის ხატის“ ქართული საბჭოთა სიმბოლო იყო, ხოლო ქართული აქცენტით რუსულად წარმოთქმული შეძახილი – „სუდია – პიდარასტ!“ – ეროვნული თანხმობისა და პატრიოტული პროტესტის ყველაზე აშკარა გამოხატულება. უფრო მეტიც, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, რომელიც ერთ დროს წარმატებული და საამაყო ქართული ფეხბურთის გაქრობასთან ერთად გაჩნდა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, სწორედ „სუდია-პიდარასტის“ ძახილიდან დაიბადა და „დინამოს“ სტადიონზე ნასწავლი შემართებით მოედო თბილისის ქუჩებს. „დინამოს“ თუ „ლოკომოტივის“ სტადიონები კი, რომლებიც ფეხბურთით უკვე ველარ იზიდავდნენ მაყურებელს, თანდათანობით მიტინგების, ეროვნული აღლუმებისა თუ განსაკუთრებული მნიშვნელობის საპროტესტო-პატრიოტული თავყრილობების ასპარეზად გადაიქცა. თავად „სუდია-პიდარასტმაც“, როგორც ეროვნული აფექტის არქეტიპულმა გამოხატულებამ, ის განიცადა, რასაც დღეს ინტელექტუალები „დეკონსტრუქციას“ ეძახიან: იგი დაიშალა მრავალ სრულიად განსხვავებული შინაარსისა თუ ფორმის ფრაზად, ლოზუნგად, კოლექტიურ შეძახილად თუ ეროვნული იდენტობისა და „მტრისა“ და „მოყვრის“ გამიჯვნის გამომხატველ კრიტერიუმად. მთელი პოსტსაბჭოთა ქართული კოლექტიური ფობიები და სასიყვარულო ვნებები, რომლებიც „ძირს!“ და „-ჯოს!“ ტონალობებში ჟღერს ხოლმე, უკვე ბოლო ორი ათწლეულია, ამ არქე-შეძახილის დეკონსტუქციულ ნაირსახეობებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელთა ობერტონებშიც ისევ ბედისადმი დაუმორჩილებლობის ამაყი ფორმულა – „სუდია – პიდარასტ!“ ცოცხლდება და ეროვნული დაუმორჩილებლობის იდეის გმირული და მოწამეობრივი შარავანდედით იმოსება. რამდენადაც ამ ფორმულის სუბიექტი „მესამე ძალაა“ – ბოროტი და უსამართლო მსაჯის სახით, რომელიც „მეორე ძალასთან“ ჩვენს წარუმატებლობაში მთავარი დამნაშავეა, გვავიწყებს ჩვენს უშუალო ოპონენტს და მასთან ურთიერთობის პირადად მოგვარების აუცილებლობასა და საკუთარი შეცდომებისა თუ ხარვეზების დანახვას. ამის სანაცვლოდ კი, მთელ პოსტსაბჭოთა ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებას სხვადასხვა სახის „მესამე ძალების“ შეთქმულების თეორიები იკავებს, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოს და ქართველ ერს მისი სანუკვარი ოცნების აღსრულებასა და „საქართველოს გაბრწყინებაში“. უკვე 90-იანი წლების დამდეგიდან მოყოლებული, ამგვარი „სუდიების“ სიაში კრემლისა და „სუკის“ გვერდით, მასონები, სოროსელები, იეღოველები, მედასავლეთეები და „ლიბერალები“ ჩნდებიან, რომლებიც ბედნიერებას ჩვენი ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვანი სამშობლოს გარეთ გვაძებნინებენ, ჩვენს სალ კლდეებზე მეტად სხვა ქვეყნის სამოთხეები უყვართ, ეროვნულ ძირებსა და ტრადიციებს ღალატობენ და მოსპობით ემუქრებიან და თავისავით ზნედაცემულები უნდათ გაგვხადონ...

სწორედ 90-იანი წლების შუაში ასეთი შეთქმულების თეორიები შიგადაშიგ სექსუალურ შეფერილობასაც იძენს და საქართველოს პოლიტიკურ არენაზე ჰომოფობური დისკურსიც იბადება. რუსული საბჭოთა წარმომავლობის ქართული სიტყვა „პიდარასტი“, რომელიც ძველი ბერძნული წარმოშობის „პედერასტის“ (ბერძნ. „პაიდერასტია“ – „ყმაწვილის სიყვარული“) დამახინჯებითაა მიღებული, ერთი მხრივ, მამრობითი ჰომოსექსუალობის აღმნიშვნელ ტერმინად, მეორე მხრივ კი უცხოს, სახიფათოს, არატრადიციულისა და მტრულის დემონურ ხატებად გარდაისახება, რომელიც განსაკუთრებული წარმატებით თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ახალი „შეთქმულების თეორიების“ მთავარი კომპონენტია.

ასეთი შინაარსობრივი გამდიდრებით კი კიდევ ერთხელ შეერწყა რუსულ-საბჭოური ფენომენი ქართულსა და ძირძველს: ჰომოსექსუალობასთან დამოკიდებულების მეცნიერულ, ზოგჯერ ლოგიკურ აზროვნებამდელი ტრადიციული სტერეოტიპები თანამედროვე საქართველოში პოლიტიკურ ორიენტაციად გარდაიქმნება, რომელშიც სიტყვა „პიდარასტს“ უკვე ყოველივე უცხოსა და მტრულის, თავადაც გადაგვარებულისა და სხვისი გადაგვარების მოსურნის მნიშვნელობა ენიჭება. ამ კუთხით თუ შევხედავთ, მაშინ შეიძლება თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში საქართველოსთვის მტრულისა და ჰომოსექსუალობის გაიგივების კიდევ ერთი, ისტორიული ასპექტიც დავინახოთ.

ჰომოსექსუალობის მიმართ ტრადიციული ქართული დამოკიდებულება ძირითადად ისეთივე კლიშეებს იმეორებს, როგორებიც ყველა პატრიარქალური და ქრისტიანული საზოგადოებებისათვისაა დამახასიათებელი – ცოდვა, გარყვნილება, გადახრა, ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო ქმედება, ავადმყოფობა და ა.შ. X და XI საუკუნეების ქართულ საეკლესიო ლიტერატურაში პირველად ჩნდება ტერმინი „მამათმავლობა“, რომლის, ავტორი თუ არა, დღემდე შემონახულ ქართულ წერილობით ძეგლებში პირველი მომხსენიებელი მაინც, საეკლესიო მოღვაწე ექვთიმე მთაწმინდელია, რომლის თქმითაც, „რომელმან უშუერებაი იგი მამათმავლობისაი აჩუენოს, ჟამი იგი მემრუშეთა უშჯულოებისაი მისცეს მას სინანულად“. „მამათმავლობის“ ანუ საეკლესიო ენაზე – „სოდომის ცოდვის“ მოხშირების გამო XI საუკუნის ქართული ეკლესია შეშფოთებას გამოთქვამს და მის ჩამდენთა მიმართ ზიარების რამდენიმე წლით (15-დან 18 წლამდე) შეჩერებას მოითხოვს. თავად ქართული ჰომოფობიის პირველი ნარატივი 1103 წელს დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისდების“ (დადგენილების) მოცულობით ყველაზე ვრცელი მე-18 მუხლია, რომელიც სწორედ „მამათმავლობას“ ეძღვნება: „მერმეცა ღმრთის მოძაგებულისა მის და ღმრთის განმამწარებელისა ცოდვათა უბილწესისა საძაგელებისა სოდომელთაისა, რომლისაი არა უწყით, თუ ვითარ შეეთვისა იგი უბადრუკსა ამა ნათესავსა (ანუ ქართველებს – გ.მ.) და სრულიად განაშორნა და უცხო-ყვნა ღმრთისაგან“... როგორც უკვე ამ სიტყვებიდანაც ჩანს, XII საუკუნის დამდეგის საქართველოში „მამათმავლობა“ იმდენად გავრცელებულა საერო თუ სასულიერო პირებში, რომ „ძეგლისდების“ ავტორი განგაშს ტეხს და მკითხველის უკეთ დასარწმუნებლად მსოფლიო ისტორიის თავისებურ ინტერპრეტაციასაც სთავაზობს, რომელიც მთლიანად ჰომოსექსუალთა „შეთქმულების თეორიის“ პირველ ქართულ ნიმუშს წარმოადგენს. მისი აზრით, „ამან უსჯულოებამან“ დააქცია ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორებიც იყო ასურეთი და სპარსეთი, აგრეთვე ქრისტიანი მეზობელი სომხეთიც: „ამან ცოდვამან დიდი იგი და ყოვლით კერძო ყოვლისა ქუეყანისაით ხმაგანსმენილი ნათესავი სომეხთაი მეფობითურთ და მთავრობით მათით არა ოდენ დაამდაბლა და დაამხუა, არამედ სრულიად აღიღო კაცთაგან სახელი მათი“... (ანუ 1045 წელს ბიზანტიის მიერ ანისის სომხური სამეფოს ლიკვიდაციის მიზეზი სომხეთში მამათმავლობის მომძლავრება ყოფილა). „ძეგლისდების“ ავტორის ლოგიკით თუ ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ ისტორიას სექსუალობა ამოძრავებს და თუ ის „მამათმავლობის“ ფაზაში შევიდა, რომელიც, როგორც ჩანს, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების „უმაღლესი და უკანასკნელი სტადიაა“, მაშინ აღსასრულიც ახლოს ყოფილა. ჰომოსექსუალობის პრობლემის მიმართ ასეთი აპოკალიფტური დამოკიდებულება ბუნებრივ ეჭვს ბადებს, რომ მისი მიუღებლობა მხოლოდ ქრისტიანულ მორალთან შეუთავსებლობით აიხსნებოდეს. მასთან მიმართებაში არსებობს ერთი სპეციფიკური ნიშანი ან ტენდენცია, რომელიც საქართველოში უკვე საუკუნეების მანძილზე სტაბილურად უცვლელია და რომელსაც „გაუცხოება“ ან „გასხვისება“ შეიძლება ეწოდოს. ეს ტენდენცია კი აღიარებს საქართველოში ჰომოსექსუალური ურთიერთობების ფაქტების არსებობას, მაგრამ ამასთანავე ხაზს უსვამს მის არაქართულ, ქართველისათვის უცხო, არასაკადრის ბუნებასა და ხასიათს. ამ წარმოდგენის თანახმად, ჰომოსექსუალობა არაქართული წარმომავლობისაა და ყოველთვის გარედან, უცხოეთიდანაა შემოგდებული. ხოლო ჰომოსექსუალობის ასეთი „ინვესტორები“ ძირითადად საქართველოს მტრები ან ეთნიკურად არაქართველები, ანუ „უცხოელები“ არიან. გაუცხოებით კი სექსუალობის ამ ფორმის ადგილი არალეგიტიმური ხდება კულტურულ ტრადიციაში, ანუ ჰომოსექსუალობა კი ყოველთვის იყო საქართველოში, მაგრამ ის „ქართული“ არ ყოფილა. ამიტომაც, მას, როგორც არატრადიციულს, სწორედ ტრადიციის სახელით უნდა ვებრძოლოთ. ასეთი აზროვნების ლოგიკა კი, საბოლოო ჯამში, არაფრით განსხვავდება „სუდია-პიდარასტის“ ლოგიკისაგან: არსებობს ვიღაც სხვა, უცხო ძალა, მტერი, რომელიც ყველაფერში დამნაშავეა და ჩემს უმანკოებას მართმევს. „კარგი“, რომელსაც ღმერთი მოავლინებს და „ბოროტსა არ დაჰბადებს“, მხოლოდ ტრადიციულად „ჩემიანები“, ჩემთან დაძმობილებულები შეიძლება იყვნენ.

"დაძმობილებულები" ანუ "ტრადიციული" ა-სექსუალობა

„რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ“...
ქართული ხალხური ზღაპარი

„დაძმობილებულობა“ უმანკო, ასექსუალური მდგომარეობაა, რომელშიც სექსი ორ დაძმობილებულს შორის ინცესტის აკრძალვის პრინციპით გამოირიცხება. ამას ისიც ემატება, რომ სექსს ქართულში საძრახისის მნიშვნელობა აქვს. ქართულ ენაზე სექსუალური აქტის პირველი განმარტება გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში: „ტყუნა – კაცთაგან ქალის დამდაბლება“. თუ სექსს „დამდაბლებად“ გავიგებთ, მაშინ მისი განხორციელება, რასაკვირველია, ამორალური ქმედება უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, გასაგებია ქართულში სექსუალური აქტის აღმნიშვნელი სიტყვის საგინებელი ფუნქციაც. შესაბამისად, სქესობრივი როლების ღირსეული გადანაწილება ასე უნდა გამოიყურებოდეს: ქალი – კდემამოსილი ქალწული, რომელსაც გმირი მამაკაცი იცავს, არც თავად „ამდაბლებს“ და არც სხვას „ამდაბლებინებს“. ქართველი ქალი კი, როგორც ჩანს, დეფლორაციის შემდეგაც ქალწულად რჩება, ხოლო ქართველი მამაკაცი საკუთარ სე-

ქსუალობას მხოლოდ უცხოთა „დასამდაბლებლად“ იყენებს.

მაგრამ „დაძმობილებულობა“ უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სქესთა შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი პრინციპი: ისაა ოფიციალური ქართული კულტურის ენაც, მისი დისკურსი, რომელიც საკუთარ ენობრივ-დისკურსულ ტრადიციაში „არატრადიციულ“ ელემენტებს არ უშვებს, უფრო სწორად, მათ არსებობას არ აფიქსირებს, არ აღიარებს, განიზიდავს. საქმე ეხება არა იმდენად აკრძალვასა და რეპრესიას, რამდენადაც არდანახვასა და გასხვისებას. სექსი, როგორც მდაბალი და დამამდაბლებელი, სხვისი ისტორიაა, მაგრამ არა საკუთარი, ანუ მისი ადგილი ქართული ტრადიციის დისკურსში არ მოიპოვება. ქართველ მამაკაცს საჯაროდ შეუძლია განაცხადოს, რომ იგი აღიგზნება, მაგალითად სოფია ლორენზე ან პამელა ანდერსონზე, მაგრამ მას აზრადაც არ მოუვა, რომ იგივე გრძნობები საჯაროდ რომელიმე ცნობილი ქართველი ლამაზმანის მისამართითაც გამოთქვას. ქართველი ქართველთან ოფიციალურ დისკურსში მხოლოდ დაძმობილებული შეიძლება იყო, მაგრამ დაძმობილებულზე აღგზნების უფლებას ეს დისკურსი არ იძლევა.

გასხვისების ასეთი ტენდენცია თანაბარად ვრცელდება ოფიციალურ, ანუ ლეგიტიმურ თანამედროვე ქართულ კულტურასა და პოლიტიკაზეც და ახალი ქართული ეროვნული

თვითშეგნების განმსაზღვრელი ფაქტორიცაა. რაც ამ ოფიციალური კულტურის ჩარჩოებში არ თავსდება, მისი ადგილი ქართულში არ მოიპოვება, ანუ ის უცხო ან მარგინალური ელემენტია.

შეძახილები და ლოზუნგები, რომლებმაც ფეხბურთის სტადიონიდან ჯერ მიტინგებზე გადმოინაცვლეს, შემდეგ პარლამენტები დააკომპლექტეს და მედია-სივრცე დაიკავეს, ორ ათწლეულზე მეტია ერთ სტერეოტიპს ამკვიდრებენ: ქართული, „გენეტიკურად ქართული“ არის ის, რაც დისკურსულ ტრადიციასთან, ანუ საჯარო სივრცეში საუბრისა და გამოხატვის საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებთანაა შესაბამისობაში. ეს ტრადიცია კი ყოველივე „არატრადიციულს“, რომელიც უცხოა არა ქვეყნისა და მასში მცხოვრები ხალხისათვის, არამედ სწორედ ტრადიციულობის დისკურსისათვის, ასხვისებს და უცხო, მტრული ძალების მიერ შემოგდებულად აცხადებს.

ამ ტენდენციის აგრესიული გამოვლინების პირველი ფაქტი, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ეროვნული მოძრაობის სტადიონიდან ქუჩაში გადმონაცვლებას, იყო ის დისკუსია, რომელიც სერგო ფარაჯანოვის ფილმების ირგვლივ გაჩაღდა. ფარაჯანოვი, ჩემი აზრით, ის თითქმის ერთადერთი ქართველი ხელოვანია, რომელმაც დისკურსულად ტრადიციული ასექსუალობის გარღვევა მოახერხა, აქამდე უხილავი თუ შეუმჩნეველი სექსუალობა გამოსახა და მისი ქართულ კულტურაში ინტეგრაცია სცადა. ტრადიციულმა ასექსუალურობამ ფარაჯანოვს მისი ქართულთან გაუცხოებით უპასუხა: ფარაჯანოვი ამახინჯებს ქართულ ლიტერატურას (იგულისხმება დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“); ფარაჯანოვის მიერ დახატული საქართველო არ არის საქართველო; ფარაჯანოვი არ არის ქართველი; ფარაჯანოვი სომეხია; დაბოლოს, ფარაჯანოვი ჰომოსექსუალია! 1990 წელს, როდესაც ფარაჯანოვი გარდაიცვალა, ერთადერთი ნეკროლოგი გაზეთმა „ქართულმა ფილმმა“ გამოაქვეყნა. ცოტა ხანში კი ამ ადამიანის ნაკვალევი წაიშალა თბილისიდან, ანუ იმ ქალაქიდან, რომლისადმი მიკუთვნებულობასაც ფარაჯანოვი საკუთარ ეროვნებას უწოდებდა.

ახალი ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო, ქართულ კულტურაში ეთნიკურ წმენდას შეუდგა, რაც მრავალეთნიკური და მულტიკულტურული საქართველოდან მხოლოდ ერთი ეთნო-კულტურული ელემენტის აღიარებას, მის ლეგიტიმაციას და ყველა სხვა ნიშნის უცხოდ, არატრადიციულად, ქართულისადმი მტრულად შერაცხვას გულისხმობდა. მაგრამ, თავდაპირველად თავად ეს შეუბღალავი, სუფთა და ჭეშმარიტი „ქართული“ უნდა გამოგონილიყო, რამდენადაც რეალურ სამყაროში ასეთი რამ არ არსებულა. ქართულის ახალი განსაზღვრება, რომელიც ამ პერიოდში ჩნდება, მთელი თავისი მონოეთნიკურობითა („გენეტიკურად ქართველი“) და ერთ-მორწმუნეობით („გენეტიკურად მართლმადიდებელი“), ეროვნული კულტურის „უმანკო“, „ქალწულებრივი“ მდგომარეობაა, რომელიც „უცხო თესლისგან“ არ შებილწულა. ამ თვალსაზრისით, ქალწულობის კულტი, რომელიც ქართული ტრადიციის საკუთრებადაა წარმოდგენილი, მას საერთო კულტურულ კონტექსტში თუ შევხედავთ, ქსენოფობური სიმბოლოა, რომლის უკანაც ეთნო-კულტურული უმანკოებისა და გენეტიკური სიწმინდის ფანტაზიის დანახვაც შეიძლება. ფაქტობრივად, ესაა ვირტუალური მონო-ეთნიკური ქართველის შექმნა რეალურად არსებული კულტურულად მრავალფეროვანი საქართველოს განადგურების ხარჯზე. ამგვარი კულტურული სელექცია კი ქართველობის განმსაზღვრელი

დისკურსის მეშვეობით ხორციელდება, რომელიც საკუთარ ლეგიტიმურობას ტრადიციაზე აპელაციით ცდილობს. თუმცა კი ის, რაც ტრადიციად გაიგება, მხოლოდ და მხოლოდ დისკურსული პრაქტიკაა, რომელიც ბოლო ოცი წლის მანძილზე დამკვიდრდა და სწორედ რეალურად ტრადიციულ მრავალფეროვნებას დაუპირისპირდა. მონო-ეთნიკური და ერთ-სარწმუნოებიანი საქართველო, საიდანაც ყველა „სხვა“ უცხოსა და მტრულის სტატუსს იძენს, ავტომატურად უცხადებს კულტურულ ომს საკუთარ თავს, რომელიც ბუნებრივად სამოქალაქო ომებში გადაიზრდება.

ერთხმიანობის დისკურსი, ანუ ის, რაც ყველას, ვინც ქართველად შეიძლება ჩაითვალოს, ერთი ხმით ალაპარაკებს, ერთნაირად ააზროვნებს და აცხოვრებს, არის ნორმატიული დისკურსი, ანუ სააზროვნო და ყოფითი ნორმების განმსაზღვრელი. ის ქმნის ქართული ტრადიციებისა და ტრადიციული საქართველოს ფიქციას, რომელიც არა რეალური ფაქტებისაგან, არამედ ისტორიული კონტექსტიდან ამოგლეჯილი და ვერგაგებულ-ვერგააზრებული შუა საუკუნეების ისტორიული ლეგენდებისა და რელიგიური დოგმებისგან შედგება. ამგვარი ანაქრონიზმის თანამედროვე რეალობაში გადმოტანა კი, სწორედ რეალობასთან მისი არაადეკვატურობის გამო, სრულიად პარანოიდულ განწყობას წარმოშობს, რომელიც გაუთავებელი „შეთქმულებების თეორიებისა“ და მტრის ხატების შექმნისკენაა მიმართული, რომელთა მიზანიც დისკურსული სივრცის ქალწულებრივი უმანკოების დაცვაა. თუ ამ სივრცეში სხვა, არატრადიციული კულტურული ელემენტებიც გაჩნდა, თანაც არა როგორც უცხო, არამედ როგორც საკუთარი, მაშინ ამ ტრადიციულობის ერთნიშნიან ფიქციასაც ბოლო მოეღება.

არადა აზროვნება, შემეცნებითი აქტი რომ შედგეს, აზროვნებამ უბიწობა უნდა დაკარგოს. „უმანკო აზროვნება“, სააზროვნო ქალწულობა – შემეცნების უნარის არქონას ნიშნავს. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ თავად ბიბლიის ენაზე სექსუალური აქტი და შემეცნება ერთი და იგივე სიტყვის ფუძიდანაა წარმოებული („ადამმა შეიცნო ცოლი მისი ევა“...). მაგრამ ფიქცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იკავებს რეალობის ადგილს, როდესაც მას არა ფიქციად, არამედ ჭეშმარიტებად აღიქვამენ და როდესაც მისი სწამთ. შემეცნება, რომელიც ფიქციებსა და მითებს ანგრევს, ადამიანებს იმასაც აიძულებს, რომ რეალობას თვალი გაუსწორონ და, ყველაფრის სხვებზე გადაბრალების ნაცვლად, საკუთარი პრობლემები დაინახონ. ასეთი დისკომფორტისგან თავის ასაცილებლად კი უფრო მარტივია მორიგი შეთქმულების თეორიის, შემზარავი მტრის ხატის შექმნა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის თამაში საკუთარ თავსაც მოწამეობრივი ჟანრის გმირად განგვაცდევინებს. ასეთ ვითარებაში დაიბადა შინაური მტრის ახალი სრულყოფილი ხატი, რომელიც ქართულ ენაში საკმაოდ ძირ-ფესვგადგმული სიტყვა „პიდარასტით“ გამოიხატება.

"პიდარასტების" შეთქმულება ანუ პოლიტიკური ჰომოფობია

სიტყვა „პიდარასტი“ ქართულში არა უბრალოდ სალანძღავი ან „არატრადიციული“ სექსუალური ორიენტაციის გამომხატველი სიტყვაა, არამედ გარკვეული ტიპის მენტალობის აღმნიშვნელი. 90-იანი წლების შუაში ერთ თავის სატელევიზიო გამოსვლაში რუსმა პოლიტიკოსმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ ევროპელები და ამერიკელები და მათი რუსი მიმბაძველები пидор-ებად, ანუ, ქართულად რომ ვთარგმნოთ, „პიდარასტებად“ მოიხსენია. „პიდორობას“ რუსი ულტრანაციონალისტი ყველაფერ იმას უწოდებდა, რაც არა რუსული ტრადიციებიდან, არამედ დასავლეთიდან მოდიოდა, თვით „სნიკერსი“ და „მაკდონალდსიც“ კი.

საქართველოშიც იმავე წლებში „პიდარასტობა“ ვიწრო სექსუალურ შინაარსის ფარგლებს არღვევს და „შემოპარული მტრის“, გადაგვარებული ქართველის მნიშვნელობასაც იძენს. ამდენად, პიდარასტი შეიძლება იყოს ქალიც ან ჰეტეროსექსუალი მამაკაციც, ანუ ყველა ადამიანი, დამოუკიდებლად თავისი სქესისა თუ სექსუალური ორიენტაციისაგან (მაგალითად, ვისაც არ უყვარს ქართული სუფრის ტრადიციები, ვინც არ იწერს პირჯვარს ეკლესიის დანახვაზე, არ წამოიჭრება ადგილიდან საქართველოს ჰიმნის გაჟღერებაზე და არ მიიბჯენს მკერდზე მუშტს, არ იგინება, არააგრესიული ხმით მეტყველებს, ყურადღებას აქცევს საკუთარ ჰიგიენურ მდგომარეობას, არ მიაჩნია ქალწულობა ღირებულებად და ა.შ.).

ამასთანავე, შეიძლება ადამიანს სექსი საკუთარი სქესის წარმომადგენლებთან ჰქონდეს, ანუ თავისი სექსუალური გემოვნებით ჰომოსექსუალი იყოს, მაგრამ არა „პიდარასტი“, ანუ თავისი მენტალიტეტითა და თვითგამოსახვის ფორმით მთლიანად ტრადიციულობის დისკურსში იჯდეს. უფრო მეტიც, ასეთი ადამიანები უმეტეს შემთხვევაში, გულწრფელი ჰომოფობები არიან. ისტორიული ფაქტია, რომ ქრისტიანულ შუა საუკუნეებში არსად ჰომოსექსუალობის იმდენი შემთხვევა არაა დაფიქსირებული, რამდენიც ეკლესია-მონასტრებში, ანუ ჰომოფობიის მთავარ ინსტიტუციაში. ჰომოფობი ჰომოსექსუალის ჰომოფობია არა მხოლოდ საკუთარი სექსუალობის დაფარვითა და შენიღბვითაა გამოწვეული, არამედ იმითაც, რომ მას საკუთარი ჰომოსექსუალობა მართლაც ცოდვა და დანაშაული ჰგონია, რის გამოც, იგი უნდა დაისაჯოს, ჯოჯოხეთში მოხვდეს. ამიტომაც ვერ აუტანია მას, რომ ვიღაც შეიძლება საკუთარი არატრადიციული ცხოვრების წესით ბედნიერად გრძნობდეს თავს. ამდენად, ჰომოფობია შურისძიების საკმაოდ ტრადიციული და ბანალური აქტია, რომელიც საკუთარ თავში გონებრივად და ფსიქოლოგიურად ვერრეალიზებულ ჰომოსექსუალს შეგვაცნობინებს.

თუმცა ჰომოფობი ჰომოსექსუალისთვის ტრადიციულობის ქართულ დისკურსში რელიგიური განზომილებაც შეიძლება არსებობდეს: თუ სექსუალური აქტი („ტყუნა“) დამდაბლებაა, რომელსაც იგი საკუთარი სხეულით იცნობს, ეს მისთვის, როგორც მორწმუნესთვის, ამაღლებისა და სასუფეველში შეღწევის გზაც უნდა იყოს, „რამეთუ [...] რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (ლუკა 18, 14). მისი მხრიდან სხვა ჰომოსექსუალის სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა, ანუ „დამდაბლება“ კი სექსუალური აქტის ამაღლებულ ფორმად, მის სუბლიმაციად (ლათინურად: sublimis – „ჰაერში მყოფი“, „ამაღლებული“) შეგვიძლია გავიგოთ. აქედან გამომდინარე, ვინ იცის, ამ სიძულვილში (ფობიაში), რაოდენი სიყვარულია...

რამდენადაც ჰომოსექსუალობა ქართული ტრადიციის დისკურსში ქართულისათვის უცხო და გარედან შემოგდებულია, მაშასადამე ჰომოსექსუალებიც, უფრო სწორად „პიდარასტებიც“ სწორედ ის ხალხია, ვინც საკუთარ ეროვნულ ტრადიციებს უღალატა. ამდენად, სრულიად ბუნებრივი იყო, მაგალითად, მერაბ მამარდაშვილის „მამათმავლად“ შერაცხვა, რომელიც ქართულ წვეულებას „უკანონო მხიარულებას“ უწოდებდა, თავისუფალი სიყვარულის ღიად მხარდამჭერი იყო, გამოთქმა „კაცური კაცი“ უხამს კურიოზად მიაჩნდა და არც სამშობლოს სადღეგრძელოს სვამდა განსხვავებული სასმისით. ეს ყველაფერი საკმარისი საფუძველია მამარდაშვილის „არატრადიციული“ სექსუალობის ადამიანად წარმოსადგენად. აზროვნებისა და ყოფა-ცხოვრების არატრადიციულობა ქართული ტრადიციულობის დისკურსში მხოლოდ ჰომოსექსუალობით შეიძლება აიხსნას. ქართველი, რომელიც არ ქართველობს, ანუ არ განასახიერებს ქართველის ტრადიციულ სტერეოტიპებს, არის „პიდარასტი“. ყველაზე შემაშფოთებელიც სწორედ ისაა, რომ „პიდარასტი“ არა უცხოელია, არამედ გადაგვარებული ქართველი, რომელმაც „აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა“. ამდენად, ქართული ჰომოფობია პოლიტიკური ჰომოფობიაა, რომელშიც ტრადიციულობის დისკურსის სოციალურ და კულტურულ ფობიათა მთელი არსენალია გაერთიანებული არაადეკვატურ რეალობასთან დასაპირისპირებლად. პოლიტიკურ ჰომოფობებს სწორედ რეალობის აღქმა აქვთ დაქვეითებული და შიშნარევი სიძულვილი მათთვის „ბედისადმი დაუმორჩილებლობის“ გმირული იდეაა, ანუ საფეხბურთო მეტაფორით – „სუდია – პიდარასტ!“

პოლიტიკური ჰომოფობია სულ რამდენიმე თვის წინათ თითქმის მთელი საქართველოს პოლიტიკური ძალებისა და საქართველოში მოქმედი რელიგიური ინსტიტუციების კონსენსუსისა და ერთსულოვნების ფაქტორიც კი აღმოჩნდა. მიმდინარე წლის 27 იანვარს სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამუშაო დღის წესრიგში შეტანილი რეზოლუციის პროექტმა – „სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციისა და სქესის იდენტიფიკაციის“ შესახებ, რომელიც სექსუალურ უმცირესობათა თანასწორუფლებიანობის აღიარებას გულისხმობს და ევროპის მასშტაბით მათ დისკრიმინაციას კრძალავს, ჯერ ქვეყნის რელიგიური უმრავლესობა – მართლმადიდებელი ეკლესია და მის მიერ მწვალებლებად წარმოსახული რელიგიური უმცირესობები ერთ მუშტად შეკრა; შემდეგ ღვთის მსახურთა განგაშს, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე ქართველი პოლიტიკოსებიც შეუერთდნენ, რომლებსაც მორიგი შანსი მიეცათ, ერთმანეთისთვისაც და ამომრჩევლისთვისაც კიდევ ერთხელ დაემტკიცებინათ საკუთარი ჭეშმარიტი სექსუალური ორიენტაცია და მორალური თუ გონებრივი უმანკოება. ყველამ თითქმის ერთხმად განაცხადა, რომ საქართველო ამ ინიციატივას მხარს არ დაუჭერს! ამგვარი ერთსულოვნება, რომელიც საქართველოს „სუდია – პიდარასტის“ ძახილის შემდეგ აღარ უნახავს, შეიძლება შანსი იყოს ქართველი ერის გასაერთიანებლად. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ჰომოსექსუალობის იმ აპოკალიფტურ მნიშვნელობას, რომელიც მას რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მიანიჭა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ საქართველოს ახალი სულიერი მისიაც კი აქვს კაცობრიობის წინაშე: წინ აღუდგეს მეორედ მოსვლის ჟამს ანტიქრისტეს ლაშქარს, რომელიც ცისარტყელოვანი დროშით მოისწრაფვის რუსთაველის პროსპექტზე გეი-პარადის ჩასატარებლად.

მტრის ხატება, რომელიც ამჯერად უკვე სტრასბურგიდან გამოჩნდა, ქართველ ერს ტრადიციული ჰეტეროსექსუალობის წართმევითა და საყოველთაო სექსუალური დეზორიენტაციით დაემუქრა. თუკი ეკლესიას, რომელსაც ჰომოფობიასა და, ზოგადად, შეთქმულებათა თეორიებზე საავტორო უფლების სამართლიანი პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს, მორიგი შანსი მიეცა, ჟამის მოახლოების ორიათასწლიანი მოლოდინი კიდევ ერთხელ შეეხსენებინა საქართველოსათვის, ამ ესქატოლოგიური ომის ლაშქარში მოხალისედ ჩაწერა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ანტიქრისტესთან შებრძოლება ქართველმა პოლიტიკოსებმაც გადაწყვიტეს. განსაკუთრებით საინტერესო მმართველი პარტიის წარმომადგენელთა არგუმენტი აღმოჩნდა, რომლის თანახმადაც, სექსუალურ უმცირესობათა უფლებების აღიარება ქართულ ტრადიციებს ეწინააღმდეგება და, ამდენად, უმრავლესობის უფლებებს ლახავს. ამ აზრს თუ ჩავუღრმავდებით, ქართული ტრადიციულობის, თუ ამ ტრადიციულობის დისკურსის არსს დავინახავთ: უმრავლესობის წმიდათაწმიდა უფლება უმცირესობის ჩაგვრაა, მისი არა საკუთარ თავთან გათანაბრება, არამედ არასრულფასოვან არსებად წარმოდგენა, რომელიც თუ არ „დაამდაბლე“, ისე საკუთარ თავს ვერ შეუქმნი გმირისა და ჭეშმარიტებისათვის მებრძოლის ილუზიას. დღევანდელი საქართველო კი, უკვე ორი ათწლეულია, სწორედ ასეთი ილუზიებით ცხოვრობს და პოლიტიკური ჰომოფობიაც მისი თვითმოტყუების საუკეთესო გამოხატულებაა.

„მარტინესიდან“ ფესტივალების სასახლემდე

<<< დასაწყისი გვ. 22

ჰოდა, ვიფიქრეთ, მიხალკოვის სამსაათიანი ფილმი გაგვართობდა ცოტას – სკანდალის მოწმენი გავხდებოდით კანის საფესტივალო სასახლეში.

ასე დაგვტოვა დარბაზში ნიკიტა სერგეევიჩმა ფილმის ბოლომდე. თანაც, ხომ იცით, როგორ ხდება? არსებობს მარაზმი, რომელიც მთელ შენს „პერვერსიებს გამოაცოცხლებს“ და გაიძულებს, დაემორჩილო მანიპულაციებს.

„მზით გათანგულნი 2“ სწორედაც რომ ასეთი მოვლენაა. მიხალკოვი ერთი მხრივ ღმერთს ევედრება, რომ არ იყოს ომი, და მეორე მხრივ ტკბება საომარი, ბატალური სცენებით. ერთი მხრივ მართლმადიდებლობის მისტიკურ შესაძლებლობებს აღწერს (მე თუ მკითხავ, სწორედ ამიტომ ჰგავს პუტინის ეს საყვარელი ფილმი მართლმადიდებლობის კარიკატურას), მეორე მხრივ კი იგივე მტერს – გერმანელებს ისე გამოხატავს, როგორც 40-იანი, 50-იანი წლების ყველაზე პრიმიტიულ საბჭოთა ფილმებში უჩვენებდნენ.

სახალისო იყო. ნამდვილად სახალისო იყო ამის ყურება და მოლოდინი, რომ ფილმის დასრულების შემდეგ დარბაზში სტვენა ატყდებოდა.

არა, არ დაუსტვენიათ. რაღაცებზე იცინოდნენ – უფრო სწორად, დასცინოდნენ. მერე კი ერთმა გერმანელმა კრიტიკოსმა თქვა: „მიხალკოვს ძალიან უნდა იყოს ფედერიკო ფელინი, ან თუნდაც სტივენ სპილბერგი...მაგრამ ტარანტინოს უფრო ემსგავსება, ოღონდ, ტარანტინოს იუმორის გარეშე! დამეთანხმებით ალბათ, რომ „ტარანტინო იუმორის გარეშე“ რაღაც ჯოჯოხეთია!“

ამ გერმანელ კრიტიკოსს ცოტა ზედმეტი მოუვიდა. ჯოჯოხეთი არა ის... კანში „ჯოჯოხეთი“ სულ სხვა რუსულენოვან ფილმში ვიხილეთ – სერგეი ლოზნიცას „ჩემ ბედნიერებაში“, უკრაინული ფულით გადაღებულ სურათში, რომელიც სრულიად სამართლიანად აღიქვეს კანში, როგორც პასუხი მიხალკოვს და მის თანამოაზრეებს; ლოზნიცა რაღაც ზედმიწევნით ზუსტად, ნატურალისტურად აღბეჭდავს თანამედროვე რუსული პროვინციის ყოველდღიურობას, იხსენებს მეორე მსოფლიო ომის სურათებსაც და ამტკიცებს, რომ ომი რუსეთში 1941 წელს არ დაწყებულა და არც 1945 წელს დამთავრებულა – ომი გრძელდება... რადგან სწორედ ომია ის უკანონობა, ძალადობა, ადამიანების დამცირება – ყველაფერი, რაც დღევანდელი რუსეთის სახეს ქმნის.

ლოზნიცას ფილმის დასრულების შემდეგ ისევ ნიკიტა მიხალკოვის სიტყვები შეიძლება გაგახსენდეთ, – რუსეთში კანონს არასდროს იცავდნენ, მაგრამ ყოველთვის იყო თანაგრძნობა („სოსტრადანიე“)... და სწორედ ამ ღვთაებრივმა „სოსტრადანიემ“ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანაო.

„სოსტრადანიეს“ ხსენებაზე რუსები, როგორც წესი, დოსტოევსკის, ჩეხოვს იხსენებენ ხოლმე. თავიანთი მწერლები თითქმის ყოველ წელს აგონდებათ, მაგალითად, კანის კინოფესტივალებზე. აი, წელსაც ფესტივალის საუკეთესო ფილმმა, მაიკ ლის გამჭვირვალეზე გამჭვირვალე ფრესკამ „კიდევ ერთი წელი“ რუსებს ანტონ ჩეხოვის პიესები გაახსენა. არადა, მაიკ ლის ფილმის ღირსება სწორედ ისაა, რომ ამ ლიტერატურულ-თეატრალური „სახე-დიალოგების“ სიჭარბე, მოქმედებისა და რეალური დროის თითქმის დამთხვევა, მაყურებლის დისტანცირება „მიზანსცენასთან“ მხოლოდ ნიღაბია. რეჟისორს გადაღების პროცესში ბიუჯეტი თითქმის გაუნახევრეს; პროექტი კინაღამ ჩაიშალა, რადგანაც სცენარის მიხედვით მოქმედება წელიწადის ოთხ დროს უნდა განვითარებულიყო. შესაბამისად, „ფაქტურაც“ უნდა შეცვლილიყო ეკრანზე. მაგრამ უსახსრობამ შეუძლებელი გახადა დროის გაწელვა. მაიკ ლიმ მსახიობებს სთხოვა, თავად მიეგნოთ გამოსავლისთვის – ე.ი. ისე ეთამაშათ, თითქოს დრო იცვლებოდა; პლასტიკით, მიმიკით „გამოეხატათ“ გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი...

იმაში მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ ტიმ ბარტონი მაიკ ლის მსახიობებს გადასცემდა „პალმებს“! არა. ჯერ იყო და, ხავიერ ბარდემი დაავჯილდოვეს ინარიტუს მორიგ „სოციალურ“ სიყალბეში, „სილამაზეში“ შესრულებული როლისთვის (ძალიან უნდა ამ რეჟისორს გვიჩვენოს, რომ აღელვებს პლანეტაზე გამეფებული სისასტიკე და უსამართლობა... გვიჩვენებს, მაგრამ რამდენი ხანია უკვე, ვეღარ ამტკიცებს, რომ მართლაც აღელვებს ის, რასაც გვიჩვენებს); ცოტა გაგვართეს – გვიჩვენეს დაჯილდოვების ცერემონიალზე ერთმანეთის გვერდით მოკალათებული „რძალ-დედამთილი“ – პენელოპა და ბარდემის დედა. მერე კი ჟულიეტ ბინოში გამოგვიცხადეს ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად... არადა, ბინოშის თაყვანისმცემლებიც კი აღიარებდნენ, რომ ეს პრიზი კორეული კინოს ვარსკვლავს, აქამდე 320 ფილმში გადაღებულ იუნგ იუნგ ჰის ეკუთვნოდა, სამხრეთ კორეის ყოფილი კულტურის მინისტრის, ლი ჩან დონის „პოეზიაში“ განსახიერებული მთავარი როლისთვის.

ძალიან, ძალიან კარგი ფილმია! ნაზი, სახეებით დატვირთული. ისეთივე პოეტური, როგორიც გმირია – 66 წლის, ოდნავ პრანჭია ქალბატონი, რომელსაც ექიმები ალცჰაიმერის დაავადების პირველ სტადიას დაუდგენენ; მას სიტყვები ავიწყდება. ამიტომ აზრის გადმოსაცემად იძულებული ხდება, შეცვალოს ყოველი სიტყვა რაღაც მსგავსით; ასე დაიწყებს მეტაფორებით საუბარს და გაერთიანდება პოეზიის

მოყვარულთა წრეში, რომელიც მძიმე განსაცდელისგან იხსნის. სტილის გრძნობა, რომელიც გამოჩნდა ამ და ფესტივალის კონკურსში ჩართულ კიდევ ერთ კარგ კორეულ ფილმში „მსახური“, ევროპული კინოს ცოცხალ კლასიკოსებსაც კი უმწეო „შკოლნიკებად“ აქცევს; თუნდაც ასევე კონკურსში ჩართულ ბერტრან ტავერნიეს, რომელმაც თავის სურათში „პრინცესა დე მონპასიე“ მე-16 საუკუნის საფრანგეთი აღადგინა, მაგრამ იმას არ მიაქცია ყურადღება, რომ მსახიობ ქალებს „ემჩნევათ“ პლასტიკური ოპერაციები, მთავარი როლის შემსრულებელი კი მეტისმეტად ჰგავს 21-ე საუკუნის სილამაზის კონკურსებში გამარჯვებულ დიაცებს... კორეელების შეიძლებოდა კენ ლოუჩსაც კი შეშურებოდა – თანამედროვე კინოს ცოცხალმა კლასიკოსმა, რომელიც, პრინციპში, ჯერ „არ ჩაჭრილა“ და რომლის საშუალო ფილმიც კი რაღაც ღირსებით გამოირჩევა ხოლმე, ამჯერად ჟანრების აღრევა სცადა „ირლანდიულ მარშრუტში“. მაგრამ ბალანსი ტრილერსა და სოციალურ დრამას შორის მაინცდამაინც ვერ დაიცვა.

კანის ფესტივალზე აკრედიტებული ჟურნალისტები კორეული ფილმების წარმატებას თავად კორეული კინოინდუსტრიის აღმავლობას უკავშირებენ. დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის შემჩნევას, რომ კორეული ფილმები ფირის განსაკუთრებული ხარისხით გამოირჩევა. თუმცა, ცხადია, ტექნიკა არაა ყველაფრის განმსაზღვრელი. ეიზენშტეინი ჯერ კიდევ 1928 წელს ამტკიცებდა, კინოში კრიზისი რომ დაიწყება, მსოფლიო მაშინ დააფასებს აღმოსავლელ კინორეჟისორთა ნამუშევრებსო... და, აი ბატონო, შედეგი; თუკი დასავლელი კინორეჟისორების უმრავლესობა აგრძელებს რაღაცების მტკიცებას, ისევ და ისევ მაყურებლის მანიპულაციითაა დაკავებული (საგულისხმოა ამ მხრივ კანში ნაჩვენები საბინა გუძატის დოკუმენტური ფილმი ბერლუსკონიზე – მაიკლ მურისა არ იყოს, ეს ქალიც ფილმ-კომპრომატს იღებს... შეგროვებულია უამრავი მასალა ბერლუსკონის წინააღმდეგ; თუმცა – იმდენად ცალმხრივად მოწოდებული, რომ შეიძლება ბერლუსკონი შეგიყვარდეთ კიდეც), კორეელი, ჩინელი, იაპონელი რეჟისორები „რწმენის სიმტკიცის“ იდეას ცვლიან ცნობისმოყვარეობის განცდით (იგივე აპიჩატპონგ ვერასეტაკულს უთქვამს კანში გამართულ პრესკონფერენციაზე, – ახლოს დანახვის სურვილი და ცნობისმოყვარეობა ისაა, რაც ბუდიზმს ყველა სხვა რელიგიისგან განასხვავებსო)... მათ ფილმებში პოლიტიკური და სოციალური ფონი ცალკეულ სახეებში გაიელვებს ხოლმე – ყოველგვარი პედალირების გარეშე. უფრო მეტიც, რეჟისორთა უმრავლესობა ერიდება ცალკეულზე ყურადღების კონცენტრაციას; დეტალი თითქმის ყველგან ერთი დიდი მთლიანობის ნაწილია. უფრო სწორად, მთლიანობა დეტალში აისახება. ამიტომაც, როგორც წესი, ასეთი კინო, მაშინაც კი, როცა ძალიან კამერულია, სანახაობრიობით გამოირჩევა.

თუმცა არაა აუცილებელი, ბუდისტი იყო, ცალკეულის და ერთიანის კავშირი რომ დააფასო, ცნობისმოყვარეობა და ღიაობა შემოქმედების პრინციპად რომ აქციო. აგერ სტივენ ფრირზი, რომლის ბოლო ფილმი „ტამარა დრუ“ წლევანდელი კანის ფესტივალის კონკურსში ვერ მოხვდა, რამდენი ხანია უკვე, დასცინის სტანდარტიზაციას და მასკულტურას... მაგრამ არსად, არც ერთ თავის ნამუშევარში არ ამტკიცებს, რომ „ადრე ასე არ იყო“, „ადრე კულტურა იყო“ და ა.შ. მისი თანამემამულე მაიკ ლი კი სტანდარტიზაციას თავად უპირისპირებს სიცოცხლის მრავალფეროვნებას, შეიძლება ითქვას, სიკვდილ-სიცოცხლის მრავალფეროვნებას და ყოველგვარი მისტიკურ-წვინტლიანი პათოსის გარეშე ამკვიდრებს ჰარმონიის ნორმას. ადრე ამას ერიკ რომერი აკეთებდა – ამტკიცებდა, რომ სიცოცხლე მარადიულია, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ვბერდებით და ვკვდებით; და რომ კინოხელოვნება სხვა არაფერია, თუ არა სიკვდილ-სიცოცხლის აღბეჭდვის, „დაფიქსირების“ ხელოვნება... მაიკ ლის ნიჭი და ოსტატობა თითქმის შეუძლებელს აღწევს – მაყურებელს ცრემლი ერევა იმ პერსონაჟის გარდაცვალებაზე, რომელიც საერთოდ არ უნახავს ფილმში... არ ვიცით ვინაა, მაგრამ მისი დაკრძალვა გვატირებს!

თანამედროვე კინოში ჯერ კიდევ არიან რეჟისორები, რომელთაც შეუძლიათ წარმოგვიდგინონ სიცოცხლე, როგორც რიტუალი. რაღაც წესზე, რიტმზე აგებული რიტუალი. განა რიტუალი არაა მაიკ ლის სამყარო? ერთი ადამიანი ბედნიერია მეორის უბედურების ხარჯზე. ერთს მოწყობილი აქვს ცხოვრება, მეორის მარტოობის ხარჯზე. ერთი კვდება მეორე ადამიანის დაბადების ხარჯზე! გაზაფხულს ზაფხული მოსდევს, ზაფხულს შემოდგომა და წრე ისევ იკვრება!

ამის გააზრება ამაოებად აქცევს ამ „კარლტონებსა“ და „მარტინესებს“, ნახევრად გაშიშვლებული კერპის „ნაწილის“ ხილვის ვნებას... მთელ ამ ფესტივალურ ქაოსს და, რაღა თქმა უნდა, ადამიანების მოგონილ საზღვრებს თავიანთი ეჭვიანი მესაზღვრეებით.

ამის გააზრება სასიამოვნოს ხდიდა ამ გზას, დილის 8 საათზე – „მარტინესის“ უკანა ეზოდან კანის საფესტივალო სასახლემდე; ერთკილომეტრიანი მონაკვეთის გავლა კრუაზეტზე ლამის მთელ სამყაროზე „გადარბენას“ ემსგავსებოდა – ვიზუალური სიჭრელით (ამინდი კანში წელს მუდმივად იცვლებოდა, ამიტომ ხალხს უცნაურად განსხვავებულად ეცვა – ზოგს დროზე ადრე „გამოეზაფხულებინა“, ზოგი პალტოსაც კი ვერ ელეოდა) და ჭრელი „ფონოგრამით“ – განსხვავებული ენებით, რომლითაც აქ, კანში, ფესტივალის დროს, როგორც წესი, ბედნიერების გამომხატველ სიტყვებს წარმოთქვამენ... და მართალია, ფესტივალზე ჯანმრთელობამ ცოტა მიღალატა, სისტემატიურად ვერ ვახერხებდი კრუაზეტის ფეხით გავლას, ავტობუსიდანაც კი იქმნებოდა ეს განცდა, „მრავალფეროვნების მთლიანობის“ განცდა, რომელიც პირადად მე ყველაზე ძლიერ აქ, „ლაჟვარდოვან ნაპირზე“, კანში, ნიცაში, მარსელში მაქვს ხოლმე... აქ იმდენად ბედნიერი ხარ, რომ მაშინაც კი, როცა „მარტინესთან“ და „კარლტონთან“ ჩამწკრივებულ ფანებზე დაფიქრდები, იკითხავ, – რა ჯანდაბას აკეთებენ აქ დილაადრიან, რისი დანახვა უნდათ, – გაგეღიმება შენთვის და პასუხსაც მალე მიაგნებ, – ხალხი მარტოა და „ბედნიერ წუთებზე“ ნადირობს, ყველა თავისას ეძებს და თავისი მოსწონს!

„ალხანას ჩალხანა არ დაელევაო“...

ბურჟუაზიის პროლეტარული ხიბლი

<<< დასაწყისი გვ. 28

სწორედ ადამიანის ღირსებას იკვლევს რეჟისორი ლუკ პერსევალი ოთხსაათიან ეპიკურ სპექტაკლში „აწ რაღასა იქმ, პატარა კაცო?“ უბრალო ხერხებით, ძლიერი ემოციითა და შთამბეჭდავი ვიზუალური ფონით შექმნილი ეს სანახაობა მსახიობთა შესანიშნავი თამაშითაც გამახსოვრდებათ. რომანის მთავარ გმირს – იოჰანეს პინებერგს პაულ ჰერვიგი განასახიერებს, ხოლო მის შეყვარებულ ემას – ანეტ პაულმანი, შესანიშნავი დრამატული მონაცემების მსახიობი.

პერსევალის სპექტაკლის წარმატებას სცენოგრაფიულ უბრალოებასთან ერთად (სცენის შუაგულში მდგარი კარადა-ორღანი-მექანიკური მანქანა) განაპირობებს სცენის მთელ სიღრმეზე „წაფენილი“, 30-იანი წლების ბერლინის ამსახველი, უნიკალური დოკუმენტური კადრებიც, რაც წარმოდგენას, სოციალური და პოლიტიკური განზომილების გარდა, ინფორმაციულ შინაარსს სძენს. გარდა ამისა, მსახიობები „ლაივში“ მღერიან გერმანულ შლაგერებს, რაც პუბლიკისთვის ერთგვარი ნოსტალგიის მიზეზიც ხდება. როგორც ცნობილია, ნაცისტებიც კარგი გემოვნებით და მუსიკალური „სმენით“ გამოირჩეოდნენ.

ვიდრე პუბლიკა ნაციზმის ლაბირინთებში გაერკვეოდა, კარინ ბაიერმა, კიოლნის თეატრის მსახიობთა დახმარებით, თითქმის უსიტყვო სპექტაკლში „ბინძურები, ცუდები, ბოროტები“ დასავლური ექს-პროლეტარიატის ყოფაში ჩაგვახედა. დიდი ხნით ადრე, უფრო ზუსტად – 1976 წელს, კანის კინოფესტივალზე ეტორე სკოლას ამავე სახელწოდების ფილმი რეჟისურისათვის შემთხვევით არ დააჯილდოვეს. ფილმი, ისევე როგორც სპექტაკლი, ნეორეალიზმის კინომითს სანიმუშოდ ამსხვრევს. დიდი და ღარიბი ოჯახი, რომელსაც მაჩო-ბატონი მტკიცედ მართავს, ისეთი „მტკიცეა“, რომ ოჯახის წევრები მზად არიან, ფულის გულისათვის ერთმანეთს ყელი გამოღადრონ. საინტერესოა რეჟისორული ხერხი და სცენოგრაფია, რომელიც მთელ სცენაზე აღმართულ გიგანტურ ფანჯრებს უკავშირდება: საკმარისია ფანჯარა გაიღოს, რომ სიტყვებს, ფრაზებს და ხმაურს ვიგებთ, ხოლო დახურულ ფანჯრებს მიღმა რაც ხდება, უსიტყვოდ, მხოლოდ მოქმედებით არის გადმოცემული.

როგორც ყოველთვის, სასტიკი და დაუნდობელია ელფრიდე იელინეკი. მისი ახალი პიესა „კომერსანტის კონტრაქტი“, რომელიც ფესტივალის დახურვისას აჩვენეს, იმის საკმაოდ ზუსტ სურათს ქმნის, თუ რა „დახვეწილ და კაციჭამია“ მეთოდებს მიმართავენ ბანკები დასავლეთში კრიზისის დროს. ნიკოლას შტემანი ჰამბურგის „ტალია თეატრში“ დადგმული სპექტაკლით ბიურგერებს ლამის ნეომარქსისტულ ლექციას უტარებს თემაზე, „როგორ დავიძვრინოთ თავი კრიზისიდან“. იელინეკის ტექსტი პოლიტიკის, ეკონომიკის, ამბოხებისა და ფემინიზმის უცნაური ნაზავია, რომელსაც რეჟისორი როკ-მუსიკითა და პუბლიცისტური პოეზიით ამაგრებს. ფინალში სასოწარკვეთილი, კეთილსინდისიერი და გაკოტრებული კრედიტორები მგლების ნიღბებს ჩამოიცვამენ და ნაჯახებს ხელს წამოავლებენ... ვერაფერს იტყვი, ოპტიმისტური დასასრულია!

მართლაც საოცარია, რა ზუსტად და ოპერატიულად ეხმაურება თეატრი გერმანიაში სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს და, ყველაფრის მიუხედავად, რა დიდი გავლენა აქვს მას საზოგადოებაზე. ბერლინის თეატრალური ფესტივალი Theatertreffen, რომელზეც გასული წლის საუკეთესო გერმანულენოვანი სპექტაკლები იყო წარმოდგენილი, გამონაკლისი არ ყოფილა. უცნაურია, რომ ამდენი სოციალური და პოლიტიკური კატაკლიზმების შემდეგ ჩვენთვის თეატრი ისევ რაღაც ირაციონალურ გასართობსა და კოსტიუმირებულ ტაშ-ფანდურს უკავშირდება; მაშინ, როცა სანაქებო ბურჟუაზიული პუბლიკით გადაჭედილი დარბაზი ბერლინში მძაფრ ან პოლიტიკურ პროცესზე რეჟისორების რეაგირებას ელის; ანუ თანამედროვე დროით სუნთქავს. თანაც ერთგვარ მაზოხისტურ სიამოვნებას იღებს, როცა მას სცენიდან სანიმუშოდ და საფუძვლიანად ლანძღავენ.

იქნებ ეს კომპენსაციის ფორმაა? როცა მდიდრებსა და უზრუნველებს სურთ, დროებით სოციალური პრობლემებით მოგვრილი ადრენალინი იგრძნონ. კარგია, როცა თეატრში მშვიდად ხარ, იმას ხედავ, რაც შენ გვერდითაა, მაგრამ შენ არ გეხება; როცა ბურჟუა ხარ და პროლეტარიატზე ფილმები მოგწონს; როცა შეგიძლია, მსახურებს დროებით სამოსი გაუცვალო და ჩაგრულის როლი და ხიბლი თავად შეიგრძნო.

მომავალ „თეატრალურ შეხვედრამდე“, ბერლინში!

ცნობისმოყვარეობა

<<< დასაწყისი გვ. 32

ჩვენთან სტუდენტი ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული, რომ თუკი კარგად ისწავლის, აუცილებლად მაღალანაზღაურებადი სამსახური ექნება. უმუშევრობის დონე იმდენად მაღალია, სოციალური ფონი იმდენად ნელა იცვლება, რომ მგონი, ბოლონიის პროცესში ჯერ-ჯერობით, უფრო ფორმალურად ვართ ჩაბმულები.

არჩევითი საგნების შემოღების შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა სახელმძღვანელოების შინაარსობრივი ხარისხი. წიგნები, რომელთაც თქვენს ხელში გაუვლიათ, როგორ ფიქრობთ, უწყობენ ხელს თავისუფალი აზროვნების განვითარებას?

რამდენიმე ხნის წინ ქართული ისტორიის სახელმძღვანელოებზე კვლევა ჩავატარე. მაშინ მივხვდი, რომ ახალი სახელმძღვანელოები უფრო კრიტიკულ აზროვნებაზეა ორიენტირებული. ტექსტები ისეა შედგენილი, რომ ბავშვს შეუძლია, თავად გამოიტანოს დასკვნა. აქცენტია ისტორიაზე არა როგორც იდეოლოგიაზე, არამედ როგორც მეცნიერებაზე. ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მახსოვს, რომ დიდგორის ომის შესახებ ქვეთავს სამი სხვადასხვა წყარო ჰქონდა დართული – სომხური, ქართული და არაბული. ასეთი ფართო მიდგომა თემისადმი უცხოა და კარგი. ეს მოსწავლეს ფიქრის საშუალებას აძლევს, მას უბიძგებს სავსე სურათი დაინახოს და არა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ისტორიული ფაქტი.

ბოლონიის პროცესს დავუბრუნდეთ. საინტერესოა, ბავშვებს, რომლებსაც ამერიკულ აკადემიაში ასწავლით, როგორ წარმოუდგენიათ საკუთარი მომავალი?

განათლება ნელა, მაგრამ მაინც ხდება პრაქტიკაზე ორიენტირებული. ამ განწყობას განსაკუთრებით ცხადად აქ, ჩვენს სკოლაში ვხედავ. ერთხელ მოსწავლეებს თემები დავაწერინეთ იმის შესახებ, თუ როგორ ხედავდნენ საკუთარ მომავალს. თითქმის ყველა წერდა, რომ კარგი განათლების მიღება მაღალანაზღაურებადი სამსახურის შოვნისთვის სურდა. მივხვდით, რომ ამ თაობას განათლების პრაქტიკული სარგებელი ბოლომდე აქვს გააზრებული. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ ჩვენი სკოლის დირექტორი შეშფოთდა, – ბავშვები განათლების მიღების პროცესში იდეალიზმს საერთოდ როგორ ვერ ხედავენო და გადაწყვიტა, მაღალი კლასებისთვის განსხვავებული ტიპის კურსი შეექმნა, სათაურით „დიდი იდეები კაცობრიობაში“. სხვადასხვა მასწავლებელი სხვადასხვა ნაწილს ვკითხულობდით – ძველ ბერძნულ კულტურას და ქრისტიანობას, გალილეო გალილეის, აინშტაინს, ფროიდს, ნიუტონს. გვსურდა, ბავშვებისთვის შეგვეხსენებინა, რომ განათლება დიდი იდეებისთვისაა, რომელიც დაგანახებს მთლიანად რეალობას განსხვავებული კუთხით, რაღაც ახალს შეჰმატებს კაცობრიობას. მეცნიერებების საფუძველი ძველ საბერძნეთში ხომ სწორედ ცნობისმოყვარეობა იყო და არა პრაქტიკული ინტერესი. არქიმედეს რცხვენოდა კიდეც, რომ საბრძოლო მანქანებს აკეთებდა, იმიტომ, რომ მისთვის მთავარი თეორიული ცოდნის გაღრმავება იყო, ამ სურვილის საფუძველი კი – ცნობისმოყვარეობა...

უკვე რამდენიმე წელია, ამ კურსის საშუალებით განათლების ამ მაღალ მიზნებზე ვუამბობთ ბავშვებს და წარმატებულიც არის. მეტიც, არ მეგონა, მაგრამ უფროსკლასელებს მოსწონთ ფილოსოფიის ისტორიის შესახებ კურსიც, რომელიც არჩევითია და მეგონა, არავინ აირჩევდა. აი, დასრულდა სასწავლო წელი და ჩვენც მოვედით სოკრატედან ნიცშემდე.

როგორ ახერხებთ სამეცნიერო კურსებით იმ მოსწავლეების დაინტერესებას, რომლებიც ამდენს ფიქრობენ წარმატებული კარიერის გაკეთებაზე?

მთავარია, მათ გააცნობიერონ, რომ მომგებიანი და შემოსავლიანი კარიერის აწყობა არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად ეკონომისტები უნდა გამოვიდნენ. ვეუბნებით, რომ ჰუმანიტარული საგნები, მაგალითად შუასაუკუნეების ქართული კულტურის კვლევა, ეკონომიკურადაც უფრო მომგებიანი შეიძლება იყოს მათთვის, იმიტომ, რომ უცხოურ ბაზარზე ამის მოთხოვნა უფრო მეტად არის. რა უფრო სახარბიელოა, მაგალითად, იყო იოანე მინჩხის საგალობლების მკვლევარი, თუ ეკონომისტი, დაუკავშირდე მეცნიერებს უცხოეთში და დაიცვა დისერტაცია, დაწერო პროექტები და მოიპოვო გრანტები იმის საკვლევად, რაც უპირობო სიამოვნებას განიჭებს. ვეუბნები ხოლმე ბავშვებს, რომ ერთი შეხედვით არაპრაქტიკული, ჰუმანიტარული საგნები გამოუმუშავებთ ფართო აზროვნების, სინთეზისა და ანალიზის უნარს, რაც შემდეგ ნებისმიერ პროფესიაში გამოადგებათ.

იოლია თუ არა ამ პრაქტიკის გადატანა უმაღლესი სასწავლებლის ფორმატში?

აქ, აკადემიაში, ოვალური მაგიდის გარშემო ბავშვებთან უშუალო ურთიერთობას ვარ მიჩვეული, მაგრამ უნივერსიტეტში, როცა ხშირად 120 სტუდენტი ზის ლექციის მოსასმენად, ეს ძნელია. თუმცა, თავისუფალი სამსჯელო გარემოს შექმნას იქაც ვცდილობ. მივცემ „ილიადას“ რამდენიმე თავს წასაკითხად და შემდეგ ვთხოვ, თავიანთი ხედვა დამიწერონ. ამით მსურს, მათთვის ის ტექსტი გაცოცხლდეს, რომელსაც გავდივართ. მათი ნაწერების საშუალებით ვახერხებ, გავიგო, რამდენად თავისუფლად აზროვნებს სტუდენტი. თუკი 8-10-სტუდენტიან სემინარებს ვატარებ, იქ ამის საშუალება უფრო მეტად მეძლევა. ვეუბნები, მოდით, ეს პასაჟი წავიკითხოთ და მერე თქვენ მიამბეთ, რას ფიქრობთ.

იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც სტუდენტებს სკოლაში აზრის ჩამოყალიბების თუ პედაგოგთან ურთიერთობისას უგროვდებათ, უჭირთ თუ არა მალე აგყვნენ თავისუფალ მსჯელობაში?

თითქმის ყოველთვის, სტუდენტები ნელ-ნელა ეჩვევიან მსჯელობას ისეთ ტექსტებზე, რომელთა ხმამაღლა გარჩევა ვერ წარმოედგინათ. ამ მიზანს თითქმის ყოველთვის ვაღწევ ხოლმე, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა ბავშვების გახსნას დიდი დრო წაუღია. ერთხელ, როცა თსუ-ში ვასწავლიდი, რამდენიმე სტუდენტი სულ ხმაამოუღებლად და ბეჯითად მისმენდა, ვგრძნობდი, რომ ლექტორისთვის საუბრისას ხელის შეშლა არ სურდათ. რიდი ჰქონდათ. მე კი სულ ვაქეზებდი, ვეუბნებოდი, – პირიქით, გამაწყვეტინეთ, მაშინვე მკითხეთ, თუკი კითხვა გაგიჩნდათ, თუკი რამე კომენტარი გაქვთ, იმ წუთსვე მითხარით. ნელ-ნელა მიხვდნენ, რომ მე მათი ჩარევა კი არ გამაბრაზებდა, პირიქით, ეს გაკვეთილს უფრო სახალისოსაც ხდიდა. ამიტომ თანდათან მოიხსნა შეზღუდვები და ლექციებიც ცოცხალი დიალოგით გაგრძელდა. ეს უფრო იოლია, გააკეთო სკოლაში, მაგრამ შესაძლებელია უმაღლეს სასწავლებელშიც.

ალბათ განსხვავდებიან ბავშვები, რომლებიც ამერიკულ აკადემიაში სწავლობენ და საჯარო სკოლების მოსწავლეები, რომელთაც თქვენ უკვე უნივერსიტეტში ხვდებით. თუკი, ისინი, ვინც ამერიკულ აკადემიას ამთავრებენ, უკვე მიჩვეულები არიან საკუთარი აზრის ხმამაღლა და ლოგიკურად ჩამოყალიბებას, უჭირთ თუ არა ეს საჯარო სკოლებიდან მოსულ სტუდენტებს?

შარშან ილიას უნივერსიტეტში შუასაუკუნეების ფილოსოფიის ისტორიას ვკითხულობდი. ერთხელ სტუდენტი მოვიდა და დაიწყო აბსოლუტურად ზეპირად მოყოლა იმის, რისი წაკითხვაც ვთხოვე სტუდენტებს. 5 წუთი ვუსმინე და შემდეგ შევაწყვეტინე, რადგან მივხვდი, ასე რომ არ მოვქცეულიყავი, შეეძლო, ბოლომდე წარმატებით ეამბნა ჩემთვის დაზეპირებული ტექსტი. ვთხოვე, ის მითხარი, რა მოგეწონა ყველაზე მეტად, ან რა ეპიზოდში გაიჭედე, ან რა ტერმინი ვერ გაიგე... გაუკვირდა, მაგრამ მსჯელობაში მაინც ამყვა. თვითონვე მიხვდა იმ შემთხვევის შემდეგ განსხვავებას დაზეპირებასა და აზრიანად წაკითხვას შორის. ცხადია, მისთვის იმ დღეს ნიშანი არ დამიწერია, მაგრამ ურთიერთობა ასე ავაწყვეთ და მთავარი ეს იყო. ჩემთვის ყველანაირ კურსს, სასკოლოსაც და საუნივერსიტეტოსაც, საინტერესოს სწორედ აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა ხდის. თან მთავარია ის, რომ რასაც ვასწავლი, ნებისმიერ კურსს, რომელსაც ვუძღვები, მე თვითონ მაინტერესებს. ეს მეხმარება იმაში, რომ ინტერესი შემდეგ მოსწავლეებსაც გავუღვივო.

თუნდაც თქვენს მოსწავლეებს ანდა სტუდენტებს აქვთ თუ არა გააზრებული ის, რომ სამოქალაქო საზოგადოება მათ უნდა შექმნან, აქვთ თუ არა ამ ახალგაზრდებს სრულფასოვანი მოქალაქეობის პოტენციალი, იმისგან დამოუკიდებლად, კერძო სკოლა დაამთავრეს, თუ – საჯარო?

ბავშვებს, რომლებსაც ამერიკულ აკადემიაში ვხვდები, ამას ნამდვილად ვატყობ. მოქალაქეების ჩამოყალიბებას აქ თვითონ სკოლის სტრუქტურა უწყობს ხელს. აქ ბავშვის ინიციატივა მნიშვნელოვანია, თითოეული კლასი ირჩევს თავის პრეზიდენტს, ბავშვები ქმნიან კლუბებს, ითხოვენ ცვლილებებს, ხვდებიან, რომ ეს ძალიან დემოკრატიული გარემოა, და რომ მათ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მათ შეუძლიათ რაღაც შეცვალონ.

უნივერსიტეტში კი, სადაც ძირითადად საჯარო სკოლადამთავრებულები მოდიან, ვფიქრობ, რომ არიან ცოტანი, მაგრამ ძალიან კარგი სტუდენტები, მართლაც მოქალაქეობრივად მომწიფებულები. ამას მათი მსჯელობიდან ვხვდები – როგორ განიხილავენ ძველ ტექსტებს, როგორ ავლებენ პარალელებს თანამედროვეობასთნ. დემოკრატია ხომ მარტო სტრუქტურა არაა, ესაა ღერძული ფასეულობები, რითაც ადამიანი ცხოვრობს. ამიტომ მგონია, რომ თუკი ადამიანი აფასებს საკუთარ აზრს, რომელიც სიჩუმეში ჩამოაყალიბა, მაშინ მას ტოტალიტარული რეჟიმი, დაშტამპული განათლების სისტემა ვერ შეიგუებს; შენ თუ დამოუკიდებლად აზროვნება ისწავლე, მაშინ იქნები კარგი მოქალაქე. ბავშვებს სულ ვეუბნები, რომ მთავარია, გავაცოცხლოთ ტექსტები მათი სიღრმისეული განხილვით. შეიძლება „ვეფხისტყაოსანი“ დადო მუზეუმში, ვიტრინის ქვეშ, მაგრამ ის უნივერსალური ფასეულობები, რაც ყველა დროში მნიშვნელოვანია, აუცილებლად გატეხავს ვიტრინას, თუკი ჩვენ მათზე მსჯელობას დავიწყებთ.

როგორი მოქალაქე იზრდება თანამედროვე ქართული განათლების სისტემის გავლენით?

მგონი, უმუშევრობის ბრალია ის, რომ განათლების მიღების პროცესს ჩვენთან არ ახლავს იმედი, – დავამთავრებ უნივერსიტეტს და მექნება კარგი სამსახური, ვიქნები წარმატებული. ამ განცდას სტუდენტებს შორის მასობრივად ჯერ ვერ ვხედავ. ალბათ, ამიტომაც არის ჩვენთან ბევრი ნარკომანი, ის ბავშვები კი, რომლებიც ჩვენი სკოლიდან უცხოეთში მიდიან სწავლის გასაგრძელებლად, არ ვარ დარწმუნებული, რომ უკან დაბრუნდებიან. იმიტომ კი არა, რომ არ ენატრებათ საქართველო და აქედან გადახვეწა სურთ, აქ უბრალოდ ვერ ხედავენ პერსპექტივას, რომ თავიანთი განათლების ადეკვატურ სამსახურს იპოვიან და მომავალს ასე ააწყობენ. პირიქით, შეიძლება შიშობენ კიდეც, უკან დაბრუნების შემთხვევაში,

სულ არ დაკარგონ ის უნარ-ჩვევები, რაც საზღვარგარეთ შეიძინეს.

როგორი უნდა იყოს მასწავლებელი, რომელიც ბავშვებს იმ უნარ-ჩვევებს განუვითარებს, რაზეც საუბრობდით?

ჩვენ ვსაუბრობდით ცნობისმოყვარეობაზე, როგორც მეცნიერებისა და განათლების საფუძველზე. მეც სულ ამას ვცდილობ, რომ როგორც მასწავლებელს, მუდმივად მქონდეს ეს განცდა. ყოველ წელს ვკითხულობ რუსთაველს, მაგრამ სულ რაღაც ახალი გამოჩნდება ხოლმე. შენ, მასწავლებელს, შეგიძლია ეს ცეცხლი გადასცე მოსწავლეს. თუკი ასე მიუდგები სწავლის პროცესს, მალევე გაიაზრებ, რომ სწავლის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნულ ურთიერთობასაც მასწავლებელსა და სტუდენტს შორის; მით უმეტეს ისეთი ტიპის კლასებში, როგორიც ჩვენ გვაქვს – აქ მაქსიმალურად თავისუფალი გარემოა მსჯელობისა და აზროვნებისთვის და კლასიც ისეა მოწყობილი, რომ თითქოს ოჯახური სიტუაციაც კი უნდა შეიქმნას. ამიტომ, მე, როგორც მასწავლებელი, მუდმივად ზნეობრივ და ინტელექტუალურ დაძაბულობაში ვარ, რადგან ვხვდები, რომ უფრო მეტი ვარ, ვიდრე ცოდნის გადამცემი. საჭიროა თავის მუდმივი კონტროლი – არ გაბრაზდე მოსწავლეზე, არამედ გაბრაზდე მის საქციელზე, თავი შეიკავო შენიშვნისაგან, როცა ვინმეზე ხარ გაბრაზებული, სანამ ბრაზი არ გაივლის. პირველ წლებში ბავშვებზე ვბრაზდებოდი. ერთხელ ასე გაბრაზებული ვიჯექი კაბინეტში, სადაც ფსიქოლოგიის ლექცია დაიწყო, ფსიქოლოგი მასწავლებლებს ჰიპერაქტიურ ბავშვებზე ესაუბრებოდა და უხსნიდა, – როცა ეს ბავშვები ასე იქცევიან, არ განიხილოთ მათი საქციელი ზნეობრივი პარამეტრებით, ეს უბრალოდ ბიოლოგიური მომენტიაო. ძნელია ეს მუდმივი დაძაბულობა, მაგრამ ამის გარეშე ვერც ვხვდები უკვე, როგორ უნდა ვიცხოვრო. ერთადერთი რაც მენანება ხოლმე, ისაა, რომ მეცნიერებას იმდენ დროს ვეღარ ვუთმობ. არადა, იდეალურია, მეცნიერება და მასწავლებლობა შეათავსო. ეს დაგეხმარება ცნობისმოყვარეობის ცეცხლის დანთებაშიც. მასწავლებელს თვითონ უნდა აინტერესებდეს ის, რასაც ასწავლის და უნდა ჰქონდეს უნარი, თავისი ცნობისმოყვარეობა გადასდოს სტუდენტს. მასწავლებლობა ნიშნავს იმას, რომ შენც მუდმივად სწავლობ. ამ პროცესის გავლის გარეშე, მასწავლებელი არ უნდა იყო.

შალვა ფანცულაია და ეფემერა პროდუქციის წინააღმდეგ

<<< დასაწყისი გვ. 36

ერთ დილას შალვამ თავისი 17 წლის ძმა, გივი, აბაზანაში ჯვრით ხელში, თოკზე ჩამოკიდებული აღმოაჩინა. დარდმა ჯერ დედამისი გულიკო, მერე კი მამა გაიოზ ფანცულაია შეიწირა. შალვამ ბინა შეიცვალა, იქ აღარ დაედგომებოდა. მართალია, ის მუდმივად მეგობრებით იყო გარემოცული, მაგრამ თავის ემოციების წინაშე მაინც მარტო და უმწეო აღმოჩნდა. გაყიდა ბინა და პლეხანოვიდან ვერაზე, გოგებაშვილის ქუჩაზე ერთოთახიან ბინაში გადავიდა. ასე დაიშალა პოეტების თავყრილობის პირველი კერა თბილისში, სადაც ნახავდით მთარგმნელ სულხან ჯორჯანელს, პოეტებს ომარ თურმანაულს, ბადრი გუგუშვილს, ლაშა ნადარეიშვილს, სიმონ ბალახაძეს, ნინო დარბაისელს, სხვა პროფესიების მეგობრებს, მუსიკოსებს, ტელეპატებს ან თუნდაც მომავალ ხელმოცარულებს და ალკოჰოლიკებს.

თუკი რამე საინტერესო ხდებოდა საქართველოში, შალვა მოვლენების ცენტრში იყო – მის ახალ, პატარა ბინაში ისევ იკრიბებოდნენ მხატვრები, პოეტები და მუსიკოსები საკუთარ ოცნებებზე სასაუბროდ, საკამათოდ, გეგმების მოსაფიქრებლად. აქ პოეტებს უკვე მხატვრები და მუსიკოსებიც შეუერთდნენ – ნიკო და მამუკა ცეცხლაძეები, ოლეგ ტიმჩენკო, ნიკო ლომაშვილი, კარლო კაჭარავა – ვინც ახალი თბილისის კულტურაში წარუშლელი და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. რა თქმა უნდა, მაშინდელ თბილისში მარტო ეს ადგილი არ ყოფილა, სხვაგანაც იკრიბებოდნენ ადამიანები და ასევე ფიქრობდნენ ახალზე და

ახალგაზრდულზე. შალვას სახლში კი ყველას ის მოსწონდა, რომ აქ ყველაფერი უშუალო იყო და მომავალი აკადემიურობის ქვეტექსტი ნაკლებად ახლდა.

საგნის დასანახად ყველაზე კარგი საშუალება კონტრასტია და ამიტომაც, მკითხველმა კარგად რომ გაგვიგოს, მცირე ახსნა-განმარტებაც დაგვჭირდება. დიახ, თბილისში იყო, მაგალითად, ე.წ. აბსტრაქციონისტთა ჯგუფი – მაგრამ მას მხატვართა კავშირი ჰქონდა მიზნად; ეროვნული გალერეა, როგორც ასაღები ციხესიმაგრე, ხოლო უფროსი თაობის მხატვარი ალექსანდრე ბანძელაძე, როგორც – მფარველი სახელი და ერთგვარი ალიბი. ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, მისასალმებელია ყველანაირი მიზანმიმართულება პროგრესისკენ; ასევე, მადლიერება შურა ბანძელაძისადმი, რომელმაც არაფიგურატიული ფერწერის სკოლას დაუდო საფუძველი. ტრადიციის გაგრძელების ასეთი სურვილი, ვთქვათ, კინოშიც რომ ყოფილიყო, დღეს სერგო ფარაჯანოვის სკოლაც იარსებებდა ჩვენს კინემატოგრაფში, რაღაც ექსპერიმენტი მაინც ჩატარდებოდა. მაგრამ, ცხადია, ასეთ შემთხვევებში მთავარი კრიტერიუმი მაინც ისტაბლიშმენტისკენ სწრაფვა იყო – ანუ რასაც ჩვენ ცოტა უფრო უხეშად ვუწოდებთ არა თვითდადგენას, არამედ საზოგადოებრივი სტატუსის მოპოვებას და კარიერისკენ სწრაფვას.

როდესაც შალვა ფანცულაია თავის „პელიკან ოპრიშენკოს“ წერდა, მას საერთოდ არ აინტერესებდა, თუ რას იტყოდა ამაზე მწერალთა კავშირი. ეს ირონიულ-სიურრეალისტური სახეებით შედგენილი პოემა მეგობრებისთვის და უშუალო ბედნიერებისთვის არსებობდა. მათთვის, ვისაც ღამე არ ეძინებოდა, და მთვარის შუქზე, ღვინის ჭიქით ხელში (ზუსტად ისე, როგორც ჩინურ ტრადიციაშია) არც პოეზიის მოსმენა ღლიდა.

შალვა ფანცულაია სხვა იმპულსს ატარებდა – მოქმედება მოქმედებისთვის და არა რაიმე მიზნისთვის. ამიტომაც, დღეს ძნელია, სადმე მოძებნო ის გამოუქვეყნებელი ლექსები, რომელსაც ის თავის ფართოგვერდებიან ბლოკნოტში წერდა. ეს ლირიკული ლექსები თბილისის არტისტულ წრეებში ყველას მოსმენილი ჰქონდა, დღეს კი უკვე, როგორც ჩანს, სამუდამოდაა დაკარგული. შალვა ფანცულაიას არ აინტერესებდა პოეტის კარიერა – მას ლექსები საკუთარი და მეგობრების სიამოვნებისთვის უნდოდა.

1989 წელს ტექნიკური ბიბლიოთეკის შენობაში, ვერაზე, ცოტა ხნით „თეთრი გალერეა“ გაიხსნა, სადაც ერთი ისტორიული კონცერტიც მოეწყო. არ ვიცი, ალბათ ეს პირველი გალერეა იყო ყოფილი საბჭოთა საქართველოს სივრცეში, რომელიც, მოსკოვის აიდან სალახოვას „პერვაია გალერეას“ მოდელის მსგავსად, ალტერნატიული ხელოვნების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. მაშინ როკ-მუსიკა ჯერ კიდევ ანდერგრაუნდად ითვლებოდა თბილისში, მას ჯერ ასე მასობრივად არ უსმენდა ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი. მაგრამ შალვა ფანცულაიასთვის და მხატვრების კამპანიისთვის, რომელთანაც მას უკვე მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა, მაშინაც რაღაც სხვა იყო საჭირო.

კონცერტს „როკ ნევროზი – მესამე ტალღა“ დაარქვეს, ბენდები პანკს და პოსტ-პანკს უკრავდნენ. კონცერტზე, რომლის არანაირი ვიდეოჩანაწერი არ დარჩა და ფოტოებიც მხოლოდ გურამ წიბახაშვილმა შემოინახა, მართლაც ისტორიული განლაგება იყო თბილისის ერთ დროს ლეგენდარული პანკ სცენის. აქ გამოვიდნენ „კომენდანტის საათი“, „რეცეპტი“, „კონტრაბანდა“, „ქიშო და ინტელიგენცია“ და „69“. ამ დროს ირაკლი ჩარკვიანი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, როგორც მუსიკოსი. კონცერტი ვიზუალური არტისტების ჯგუფმა გახსნა, რასაც პირობითად „დე მუსიკა“ ეწოდა. ეს ალბათ პირველი მუსიკალური პერფორმანსი იყო და სხვა ბენდების მუსიკოსებს გარკვეული დაძაბულობა შეუქმნა – მათთვის პოსტ-პანკი უახლესი სიტყვა იყო. ამ დროს ვიღაც მხატვრები ბედავენ უფრო მეტი ექსპერიმენტი წარმოადგინონ და მეტ სიახლეზე განაცხადონ პრეტენზია. მუსიკოსებს არ აინტერესებდათ, თუ რა არის ინტერდისციპლინური ხელოვნება და გადაწყვიტეს, „დე მუსიკა“ დასაწყისში გაეშვათ და მერე თავისი გეგმით გაეგრძელებინათ კონცერტი.

„დე მუსიკას“ წარმოადგენდნენ მხატვრები კოკა რამიშვილი, რომელიც ვენტილატორით და დოლზე დასარტყამი თეფშით უკრავდა, მამუკა ჯაფარიძე, მგონი, კლავიშებზე იყო, შალვა ლომსაძე, „თხუნელების“ და ლენდ არტის მხატვართა ჯგუფიდან – გიტარაზე, ნიკო ცეცხლაძე – დრამზე (მან საბოლოოდ დოლი გაგლიჯა და ამან კიდევ უფრო გაამძაფრა კონფლიქტი მუსიკოსებთან, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ მან ეს სპეციალურად გააკეთა მათი გამოსვლის ჩასაშლელად), ხოლო ვოკალისტი შალვა ფანცულაია იყო. ის ნახევრად გახდილი გამოვიდა სცენაზე, მიკროფონი დასადგამიანად ჰაერში ჰქონდა აწეული და გიტარასთან ერთად წარმოუდგენელ იმპროვიზაციას ქმნიდა. პარალელურად, კინოეკრანზე რომელიღაც საბჭოთა მულტფილმის 1-წუთიანი ლუპი ჩართეს, რომელიც შემთხვევით იპოვეს კინომექანიკოსის ოთახში, ხოლო კონცერტის მსვლელობისას ნიკო ცეცხლაძემ აუდიტორიაში რაღაც სამეცნიერო ბუკლეტების გადაყრა დაიწყო, რომელიც ასევე იქვე, რომელიღაც დერეფანში ეწყო.

მუსიკოსების კონცერტი მართლაც რისკის წინაშე დადგა, იმდენად დიდი იყო „დე მუსიკის“ ეფექტი. როგორც წესი, ასეთი მოვლენები ჩანაწერზეც არ რჩება ხოლმე, თითქოს საიდანღაც მოვიდა და გაქრა. აქაც ყველას ისევ შალვა ფანცულაიას იმედი ჰქონდა, ვოკალისტის გარეშე კონცერტი ძალზე აკადემიურ-ექსპერიმენტულ სახეს მიიღებდა, ეს კი დიდი დაბრკოლება აღმოჩნდებოდა მაინც ეიფორიულ ეფექტზე გათვლილი გამოსვლისთვის. ასეთი ეფემერული ხელოვნების ნიმუშებს უწოდებენ სწორედ ალტერნატიულ ხელოვნებას. ისინი შენახვისთვის არ კეთდება, პროდუქციად ჩამოყალიბებისთვის არ მოიაზრება და ამიტომაც, ფიზიკურად ქრება.

ერთი წლით ადრე, 1988 წელს შალვა ფანცულაიამ „ქარვასლაში“ გამართულ ქართული ავანგარდის პირველ ცნობილ გამოფენაზე მიიღო მონაწილეობა. სახლში ვიყავით მასთან და მგონი, მამუკა ცეცხლაძემ და ნიკო ლომაშვილმა შესთავაზეს. მერე მარტო დავრჩით და ფიქრობდა, – რა გავაკეთოო. იმ დროს მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკიდან ხელით გადმოწერილი ნორმან მეილერის ლექსების წიგნი ჩამოვიტანე „სიკვდილი ქალბატონებისთვის და სხვა უბედურებანი“. შალვას ძალიან მოსწონდა ეს წიგნი, და მეუბნებოდა, – უკვე ვიცი, რასაც გავაკეთებო: გადმოიღო გლობუსი თაროდან, მამამისისგან დატოვებულ ნივთებთან ერთად რომ ჰქონდა შენახული, შუაზე გახლიჩა, ნახატი მოაცალა და მეუბნება, აი, ეს ქალის მკერდია, მერლინ მონროს მკერდი, ამას ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდზე მოვათავსებ, მისი კაბაც ხომ ასეთი იყო და სათაური კი ექნება „სიკვდილი მერლინ მონროსთვის 2“. ძალიან მოეწონა ეს სიკვდილების იდეა და მგონი, კიდევ აკეთებდა რაღაცებს, მაგრამ ფოტოზე ეს ნამუშევარი შემორჩა.

ეს ეფემერული ხელოვნებაა, მხოლოდ ფოტოზე ან მოგონებაში თუ დარჩება, მით უმეტეს – საქართველოში, სადაც მუზეუმები არ არსებობს და კოლექციებიც ძალზე ცალსახად დგება. ეს არავის აინტერესებდა, არავის აინტერესებს დღესაც, მაგრამ სინამდვილეში სასიცოცხლო ენერგიის გენერაცია სწორედ აქედან ხდება.

1990 თუ 91 წელს თბილისს მინსკელი მხატვრები და პოეტები ესტუმრნენ. აი, რას იხსენებს დიმა სტროცევი საკუთარ წიგნში „სიხარულის კავკასია“:

„მისი სახლი გოგებაშვილზეა. ზემოთ მხოლოდ ქურთები ცხოვრობენ. კარი აივანზე ღიაა. პატრონი – სახლშია. ასე რომ, დღესასწაული გრძელდება. ჩვენ გვითხრეს, რომ არის ასეთი ადამიანი, შალვა ფანცულაია, რომელიც სიამოვნებით დააბინავებდა რამდენიმე რუსს. მაგრამ მხატვარი არაა, უბრალოდ ბოჰემური ადამიანია. ჩვენ ბოჰემურობით ვერ გაგვაკვირვებ. ოღონდაც კი იყოს. რაღაცით კარლსონი, რაღაცით შავი გნომი წარმოგვიდგება: „ყველაზე დიდი ქართველი სერი“, გულში გიკრავთ და გტოვებთ თავისთან ერთ, ორ, სამ დღეს... როგორ თუ არ არის მხატვარი? მხატვარია. პოეტი. აი, ლექსები ქართულად. ეს კი რუსულად. მაგრამ მოდით სხვა სტუმრებს გაუმარჯოს – ჟენიას, ირას, დიმას... ძვირფასო შალიკ, ვიცი, რომ შენ მძიმედ დაავადდი. რომ შენ ნახევრად პარალიზებული წაგიყვანეს საომარი, მშიერი თბილისიდან მთაში ნათესავებმა. როგორ ტიროდი ტელეფონში, როცა გვიყვებოდი, რა დაემართა შენს საყვარელ ქალაქს... დაე, უფალი იყოს შემწე შენი მხიარული, გულუხვი, ვაზის გულის“.

ბოლოს შალვამ მაინც მუსიკა არჩია და სიცოცხლის ბოლო წლები მთლიანად მას მიუძღვნა. თავიდან ის ბაჩი ქიტიაშვილმა დაპატიჟა „ბერმუხაში“, მერე კი შალვა საკუთარ ბენდს, „უიკენდს“ აყალიბებს და მთელ დროს ჰარდ როკს უთმობს. ვფიქრობ, ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება, რადგან შალვა ფანცულაია მაინც შემთხვევითი პერფორმანსის და ეფემერული პოეტური ხელოვნების ტიპაჟი იყო, ვისაც ჩაი, ღვინო და სამსტრიქონიანი ჰაიკუ უფრო უხდებოდა ღამის სუფრასთან მჯდომს. მაგრამ 90-იანი წლების არეულობამ თავისი გაიტანა. ხალხმა, ჯერ თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ ჩაკეტვა დაიწყო. ასე ჩაიკეტა შალვა ფანცულაიაც როკ-მუსიკაში და მალე მისი ისტორიაც დასასრულს მიუახლოვდა.

როგორც დღეს, თხუთმეტი წლის წინათაც „ბლეკ საბათი“ ან „ლედ ზეპელინი“ მელომან დენდებს აღარ აინტერესებდათ. ამ მუსიკას უკვე ყველა უსმენდა – პარლამენტარიც, კრიმინალიც, რელიგიური პირიც, მოკლედ ნამდვილ მასობრივ გასართობად გადაიქცა. ამიტომაც, პანკებს ჰიპები არ უყვარდათ, მათ აღარ აინტერესებდათ სულიერების ეს საყოველთაო და მასობრივი პოზა. პოზა და დიზაინი უკვე პროდუქციაა, შალვა ფანცულაია კი, როგორც სხვა მისი მსგავსი ადამიანები, ყოველთვის უნებურად პროდუქციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

შალვა ვერც პანკი გახდებოდა, პანკებმაც ძალზე სწრაფად გაყიდეს საკუთარი თავი სიდ ვიშესის სიკვდილის მერე. ეს თანამედროვე პოსტ-პანკური ნარცისტული აპათია კი ახალ პროდუქციად და იდეალად მოჩანდა. შეიძლება, ამიტომაც წავიდა შალვა ჰარდ როკში, როგორც ერთგვარ საპროტესტო დაპირისპირებაში ამ ახალ მუსიკალურ მოდასთან და თავისუფლების გამზადებულ სუროგატთან.

პირველი პარალიზი 1994 წელს დაემართა, ცალი მხარე წაერთვა. მაშინ, თემქაზე, საავადმყოფოში მივედით. თავთან ბიბლია ედო – ირას ეჩუქებინა, მის ახალშერთულ მეუღლეს, რომელმაც სიკვდილამდე უპატრონა. გარდაიცვალა 2001 წელს და ერთადერთი მუსიკალური ჩანაწერი დატოვა, სიმღერა „ჩვენ დღეს ერთად ვართ“. ამ სიმღერას 90-იანების დასაწყისში ის საქართველოს დამოუკიდებლობას უძღვნიდა. მაინც ოპტიმისტი იყო და სჯეროდა, რომ თანამოქალაქეები მალევე შერიგდებოდნენ და ყველაფერს დაივიწყებდნენ.

შალვა ფანცულაიას ახალგაზრდობაში ერთი მხატვარი გოგონა უყვარდა ტანია რედკო. შალვა რედისკას ეძახდა. მასთან წამიყვანა სახლში. კედელზე სტუდენტური კუბისტური ნახატები ეკიდა, ერთი აჩუქა კიდეც შალვას, მგონი – ჩაიდანი და ფინჯანი ეხატა, პასტელით. ნატურმორტი იყო და, ავანგარდული სტილის მიუხედავად, მაინც კარგად ჩანდა საგნები. ეს ოჯახური იდილია მათთვის არ განხორციელდა. არასდროს მიკითხავს – რატომ. ალბათ იმიტომ, რომ იცოდა თავისი დასასრული, ტანიამაც ეკლესიაში მოუხშირა სიარულს, ბოლოს დაღამებამდე იქ იყო ხოლმე.

ეს ნატურმორტი დაიკარგა, შალვას სახლი ბაქოს ქუჩაზე დღესაც დარაბებმიხურულია, ტანიაც ალბათ ისევ ეკლესიაში. როდესმე თუ ვინმე შემთხვევით გადაათვალიერებს ძველ გაზეთებს, იქნებ იმ 3-4 ლექსსაც წააწყდეს სადმე.

ამხანაგი როტენბერგი

<<< დასაწყისი გვ. 42

ვასო საშინლად აყვირდა, ხელი სტაცა თავის მაუზერს და მესროლა, მაგრამ მე უცებ ფანჯარაზე ავხტი და გადავხტი.

აი, სახლში მივირბინე.

მარიასთან ერთად უცებ ავიღეთ რაღაცები და ორი სადგური ფეხით გავიარეთ. მერე ბილეთები ავიღეთ და ბათუმში წავედით.

მერე გავიგე, რომ ვასო სადგურში მივარდნილა და იქ მშვიდობიან ხალხს ესროდა.

ბათუმში დიდი საქმე გვქონდა. იქ სისხლის სამართლის სამძებროს აგენტები გვყავდნენ მოსყიდული, ვინმე რიზა და სომეხი სამსონი, და კიდევ ერთი ბერძენი და სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ტონენბერგი. ასევე მქონდა კავშირი მილიციის უფროსთან და მას ფულს ვუნაწილებდი ხოლმე. და კიდევ რამდენიმე უბნის პრისტავსაც ვუხდიდი.

დანაშაულებს დაუსჯელად ჩავდიოდი, ამათ ყველას კარგად ვუხდიდი და ციხეში ერთხელაც არ ვმჯდარვარ, და ესენი ყველანი თვალებში მიყურებდნენ.

მაშინ ჩემს უმცროს ძმასთან ვცხოვრობდი, და იქ პაწაწინა დაიკოც იყო, რომელიც ახლა ექიმია. ახლა ის მედიცინის დოქტორია. მაშინ ძალიან კარგად ვცხოვრობდი. მთელი ოთახი ხალიჩებში იყო, ყვავილები იდგა და სუფრაზე სულ საუკეთესო საჭმელი მქონდა.

რა აღარ მქონდა! მოკლედ, მეფურად ვცხოვრობდი.

საზღვარგარეთ გამგზავრება

ამ დროს ინგლისელებმა გადაწყვიტეს, ბათუმი ქართველებისთვის გადაეცათ.

ნაცნობებმა კი მითხრეს, რომ ვასო მეძებს, რომ თბილისში მთელი ჩემი ბინა დალეწა და ახლა ბათუმში აპირებს ჩამოსვლას, ჩემთან ანგარიშის გასასწორებლად.

მაშინ კი ინგლისურ სამმართველოში საოკუპაციო მეთაურთან მივედი, ჩემთვის და მარიასთვის პასპორტები ავიღე და სულ მალე თურქეთში, კონსტანტინეპოლში გავემგზავრეთ.

მაგრამ იქ, თურქეთში, ჩვენი საქმე უარესად წავიდა. ფული არ მქონდა, მხოლოდ ხალიჩები მქონდა. შემოსავლებშიც გავიჭედე. ახალ ხალხს უნდა დავკვირვებოდი, რა უნდოდათ, რა სჭირდებათ, და მერე უნდა მემოქმედა.

ჩემი ცოლი მარია კი მაღაზიებში ქურდობდა, და ამ დროს თავისი საერთაშორისო საქმით ძალიან დამეხმარა.

ის მაღაზიებში დადიოდა და ქსოვილებს იპარავდა. ის მშვენივრად იცვამდა, ძალინ ლამაზი იყო და ვერავინ ვერაფერს ეუბნებოდა, თუნდაც რამე შეემჩნიათ. საოცრად ლამაზი იყო, ვერც კი აღვწერ – პირიც, თვალებიც, ფეხებიც ულამაზესი ჰქონდა.

თურქები მისჩერებოდნენ და ამბობდნენ: „ო!“

მაგრამ მერე კონსტანტინეპოლში ჩვენი თბილისელი და ქუთაისელი ბიჭები ჩამოვიდნენ. ჩვენ კვლავ გადავწყვიტეთ, ქვები ბრილიანტებად გაგვესაღებინა.

მე ვთქვი:

– ეგონებათ, რომ რუსეთში ნაძარცვია, და დაგვიჯერებენ.

და კვლავ კარგი ფულის კეთება დავიწყეთ.

მე კვლავ სმა დავიწყე, შანტანებში დავდიოდი, ბანქოს ვთამაშობდი და შანსონეტებთან ვლაზღანდარობდი. საზღვარგარეთულმა ცხოვრებამ გამიტაცა, რომელიც მანამდე არ მენახა. ამ საქმეების გამო მარია ტიროდა და მითხრა, თუ კიდევ ასე მოიქცევი, მიგატოვებო.

მაგრამ მე მას ყურადღებას არ ვაქცევდი. ახალმა, საზღვარგარეთულმა ცხოვრებამ თითქოს გამაგიჟა.

ახალი საქმეები

მაშინ ძალიან კარგ ფულს ვაკეთებდით. იქაური სისხლის სამართლის აგენტები ძალიან კარგად გვიცნობდნენ. კარგად ვუხდიდით და ისინიც არ გვეხებოდნენ. დიდი მექრთამეები და ფულის მოყვარულები იყვნენ.

მაგრამ ეს მათმა პოლიციის შეფმა გაიგო. მან ერთი თავისი აგენტი დაატიმრა და ბრძანა, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ჩვენც უნდა დავეპატიმრებინეთ.

და აი, ჩვენ, ანუ მე და ორი ჩემი ძმაკაცი, მიშკა ანტოშვილი და პაშკა კაზანცევი, სულ მალე დაგვიჭირეს და თავიანთ მუდრიეტში, ანუ სისხლის სამართლის სამძებროში წაგვიყვანეს.

მაგრამ ამჯერად საკუთარი თავის გამოსყიდვა შევძელით. გამომძიებელს

ფული და ბრილიანტები მივეცით.

ეს გამომძიებელი ბერძენი იყო.

საშინელი ხარბი იყო და სიამოვნებებზე დახარბებული კაცი.

ამ გაქნილ კაცს ბრილიანტები მივეცით, მაგრამ სულ მეტი უნდოდა. უცებ ჩვენი ცოლების გაცნობა მოინდომა.

პაშკა კაზანცევს მართლა არაუშავს ცოლი ჰყავდა. ჩემს ცოლზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

გამომძიებელს ხალხმა უთხრა, რომ ჩვენი ცოლები ძალიან ლამაზები არიან. განსაკუთრებით, მარია. ჰოდა, მათი გაცნობა გადაწყვიტა.

მან თქვა:

– ბრილიანტები ბრიალიანტებია. მაგრამ ეგ – თავისთავად.

ჩვენ კი ვთქვით:

– ჯერ გაგვიშვას და მერე ვნახოთ, ნამდვილად გავაცნობთ.

მან კი თქვა:

– მერე დაგავიწყდებათ. მე ახლავე მინდა.

მაშინ ერთი ჩვენი მეგობრის მეშვეობით ორი კოხტა შანსონეტი გავაცანით. კარგად მოვისყიდეთ და ბერძენს ვუთხარით:

„აი, ჩვენი ცოლები“.

თუმცა ეჭვები გაუჩნდა (მით უმეტეს, რომ მარია ორჯერ ჰყავდა ნანახი), ის სიამოვნებებზე დახარბებული კაცი იყო და ამ გოგოებთან დროის გატარება მოუნდა. მისთვის, ცხადია, სულ ერთი იყო, ვისთან იქნებოდა. უბრალოდ, თავმოყვარეობას იკმაყოფილებდა და ამიტომ უნდოდა მაინცდამაინც ცოლების გაცნობა.

ამის მერე კი გამოგვიშვეს.

მაშინ კვლავ ბრილიანტებს მივყავით ხელი.

მაგრამ მალე წარუმატებელი შემთხვევა გვქონდა.

ერთი საქმე გავჩარხეთ. ერთ თურქს ნამდვილი ბრილიანტები გამოვართვით, ვითომდა სანახავად, და ყალბები დავუბრუნეთ.

შტერი თურქი აგვიყვირდა, ჩვენ დაგვაპატიმრეს და კროკერ-ოტელს გადაგვცეს, იქაურ საოკუპაციო სასამართლოს.

ის შტერი თურქი იქ თვითონ მოვიდა და თავისი საზიზღარი ყვირილით მთელი მეთაურები ფეხზე დააყენა.

ის ყვიროდა, რომ ნამდვილი თვლები გამოვართვით და მსგავსი რამ სიცოცხლეში არ ჰქონდა ნანახი. და ის მოითხოვდა, რომ თვლები მისთვის დაგვებრუნებინა.

თვლები კი აღარ გვქონდა.

მოსამართლეები სიცილით იხოცებოდნენ. ისინი ამბობდნენ:

– მერე, შე შტერო, ბრილიანტები რატომ მიეცი? ეგ ვერ გაგვიგია.

თურქმა თქვა:

– ამ ეშმაკის ფეხებმა მთხოვეს, გვაჩვენე ეგ ქვები როგორ ბრჭყვიალებსო. მე ეს მესიამოვნა. და მივეცი.

მოსამართლეები ისე დასცინოდნენ, რომ ზოგი კინაღამ სკამიდან ჩამოვარდა. ასეთი სიცილით კმაყოფილები ლამის თანახმა იყვნენ, რომ გავეშვით.

მაგრამ, თითქოს ჯინაზე, აღმოჩნდა, რომ აქ უკვე რეგისტრირებულები ვიყავით.

ისინი ძალიან გაბრაზდნენ, როცა ქაღალდებიდან გაიგეს, როგორი აფერისტი ვიყავი.

მიყვიროდნენ და ფეხებს მიბაკუნებდნენ.

თურქს აღარ დასცინეს, პირდაპირ ექვსთვიანი კატორღა და 400 ლირა ჯარიმა მოგვისაჯეს. ვინც ჯარიმას ვერ გადაიხდიდა, ის კიდევ ნახევარი წელი უნდა მჯდარიყო.

მაგრამ მერე მოსამართლეებს ისევ სიცილი აუტყდათ, და ისიც კი ვიფიქრე, კატორღის ამბავი ხუმრობა იყო მეთქი. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად წავიდა.

ინგლისის ციხეში

მხოლოდ მე გამიშვეს ბაღდადის რკინიგზაზე, ბოსტანჯიკის სადგურზე. იქ მათი საოკუპაციო ციხე იყო.

აი, ამ ციხეში ნახევარ წელიწადზე მეტხანს ვიჯექი.

მთელ სამყაროს მოწყვეტილი ვიყავი. მარია უკანასკნელად სასამართლოს წინ ვნახე. მან მითხრა:

– ჩემთვის რომ გაგეგონა, ეს არ მოხდებოდა.

მე ვკითხე:

– დამელოდები?

მან თქვა:

– მე მგონი, დაგელოდები. მაგრამ ზუსტად არ ვიცი.

და აი, ნახევარ წელიწადზე მეტია, ინგლისის ციხეში ვზივარ.

და არავისზე არაფერი არ ვიცი.

იქ ჯდომა ძალიან მიმძიმდა.

ლაპარაკი, ცხადია, არ შეიძლება, მოწევა არ შეიძლება. საკანში მარტო ვარ. და ისეთი სიმკაცრეა, გაგიკვირდებათ.

ყველაფერი ბრძანებით ხდება. თუ რამე არ გააკეთე, მუშტს გირტყამენ სიფათში ან მუცელში და საუზმეს არ გაჭმევენ, ან ყავას არ გაძლევენ, ან მურაბას, ან კიდევ რამეს.

როგორც კი ციხეში მიმიყვანეს, რაღაც ფურცელი მომცეს, მენიუსავით. იქ ციხის წესები ეწერა. თარჯიმანმა ეს წესები წამიკითხა. თუმცა ინგლისური მეც მესმოდა.

ნომრიანი რკინა მომცეს. მითხრეს, რომ გვარი აღარ მაქვს და არც სახელი მაქვს, არამედ მაქვს ნომერი, თითქოს ძაღლი ვიყო.

და საკანში მარტო ჩამსვეს.

სანამ ზარი არ დარეკავდა, დაჯდომა არ შეიძლებოდა. უნდა მდგარიყავი. და ზარი რომ დარეკავდა, უნდა დაწოლილიყავი, დგომა აღარ შეიძლებოდა. ახლაც ვერ ვხვდები, ეგ როგორ შეიძლება.

საჭმელს ცოტას გვაძლევდნენ, მაგრამ საკმაოდ გემრიელი იყო. მაგრამ არაფრის ყიდვა არ შეიძლებოდა, როგორც ჩვენთან შეიძლება, მაგალითად. და საერთოდ, თუნდაც მილიონი გქონდეს, იქ ვერავინ ვერაფერს გამოგიგზავნის. რატომღაც მათთან ეს არ მოსულა. და ამის გამო ძალიან მოვიწყინე.

ვერავის ზრუნვას ვერ ვხედავდი.

სამუშაოს მკაცრად ეკიდებოდნენ. ბილიკებს ვაკეთებდით, ხრეშს ვტკეპნიდით ან ვამტვრევდით.

და თუ ვინმე ცუდად მუშაობდა, სერჟანტი მიდიოდა და მაგრად უბრაგუნებდა.

ეს ცემა დღემდე მახსოვს.

მაგრამ მერე სხვა საქმეზე გადამიყვანეს. ინგლისელებს მოვეწონე და სამრეცხაოს შეფად დამნიშნეს.

იქ კი ინგლისელებში დიდი ავტორიტეტი მქონდა. კარგი შემსრულებელი ვიყავი და ინგლისელებს უკვირდათ, რა კარგ თეთრეულს ვუბრუნებდით გარეცხვის მერე. არა, მე თვითონ არ

ვრეცხავდი, მაგრამ ამ საქმეს განვაგებდი.

კაპრალები და სერჟანტები თეთრეულს გასარეცხად გვაძლევდნენ და ამისთვის ზოგჯერ ბუტერბროტებს გვაძლევდნენ. ეს ჩვენს ცხოვრებას ცოტა ახალისებდა.

მაგრამ აი, გარეთ დარჩენილმა ამხანაგებმა გაიგეს, სად ვიჯექი, ჯარიმა გადაიხადეს (თორემ კიდევ ოთხი თვე მომიწევდა ჯდომა), და, როგორც იქნა, გამომიშვეს.

როცა ციხიდან გამოვედი, შვებით ამოვისუნთქე. გამიკვირდა, რა კარგი ყოფილა ეს ცხოვრება, როგორ მომწონს და როგორი იმედები მაქვს.

დიდი უბედურება

გამოვედი, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ჯერ კონსტანტინეპოლში არ ჩავალ.

მინდოდა, ფული გამეკეთებინა, რომ მარიასთან ხელცარიელი არ გამოვცხადებულიყავი.

უკვე ძალიან მენატრებოდა. მინდოდა, განსაკუთრებული რამით გამეოცებინა.

ცოტა ხნით ბულგარეთში გადავედი. აი, ამ ქვეყანაში კი მუშაობა ძნელია. იქ თავად ერკვევიან ყველაფერში და ბრილიანტებს ისე იოლად არ ენდობიან. მაგრამ იქ მაინც გავაკეთე ფული და საჩქაროდ დავბრუნდი თურქეთში, კონსტანტინეპოლში.

აი, ჩამოვედი. მივედი სახლში. მარიას ნახვა მინდა. მაგრამ დიასახლისი ამბობს:

– თქვენი ოთახი დაკეტილია.

გული გამიჩერდა. ვეკითხები:

– მარია სად არის?

ის მეუბნება:

– მე რა ვიცი.

მაშინ რაღაცით ჩემი ოთახის კარი გავაღე. შევედი. ვხედავ, მაგიდაზე წერილი დევს. წერილი ავიღე. ვხედავ, მარია მწერს.

ის წერილს მწერს:

„ჩემო სიცოცხლე, დღეს გემს მივყვები, „სიცილიას“. არ მეძებო, აზრი არა აქვს, ვერ მიპოვი. შენ გამო ბევრი ვიწვალე, ახლა კი მივდივარ, სად – არ ვიცი. ძველ ცხოვრებას ვეღარ დავუბრუნდებით“.

მაშინ უმალვე კარადები, გარდერობები და ჩემი ჩემოდნები გავხსენი. მაინტერესებდა, რა მომპარა.

მაგრამ რას ვხედავ: ყველაფერი თავის ადგილასაა. ყველაფერი ისევე დევს, როგორც იდო, და ეს ისეთი გასაოცარი იყო, რომ ჩემმა ფიქრებმა შემზარა.

ყველაფერი გადავქექე. ვხედავ – მხოლოდ თავისი ნივთები წაუღია, ჩემისთვის არაფრისთვის უხლია ხელი. ფულისაც ნაწილი წაიღო მხოლოდ, ნაწილი მე დამიტოვა. კარადაში ამ ფულისთვის ზედ სიმძიმე დაუდია. ალბათ ამით იმის თქმა უნდოდა, რომ ეს ფული შემთხვევით კი არ დარჩა, რომ მისი არსებობა კი არ დავიწყნია, არამედ პირიქით.

და მაშინ კვლავ გამიკვირდა, რომ ასე ვუყვარდი. გემით მიემგზავრება და ბოლოჯერ ზრუნავს ჩემზე. ამან გული ამიჩუყა. თვალზე ცრემლი მომადგა. ისღა ვთქვი: „კაზაკი გოგო... მარია კორნიენკო...“

მერე კი ვიფიქრე: აი, რა ყოფილა ქალის სიყვარული. მის ადგილას სხვა ქალი აუცილებლად ყველაფერს წაიღებდა. მაინც ძალიან ვუყვარდი.

ჩემთვის ეს ძალინ დიდი დანაკლისი და დიდი სატანჯველი იყო, ის, რომ მარიამ მიმატოვა. მაგრამ ისე მიმატოვა, რომ ყველა მამაკაცს ვუსურვებ, ასე იყვნენ მიტოვებული.

ჩვენთან, დანაშაულების სამყაროში, ასეთი რამეები ხდება ხოლმე.

მოგზაურობა ბულგარეთში

მაშინ ლოთობა დავიწყე. მაშინ მაგრად ვსვამდი. კაბარეში დავდიოდი. მაგრამ არაფერი მახარებდა და არაფერი მიტაცებდა.

დღისით ჩემს საქმეებს ვაკეთებდი, ღამღამობით კი ვსვამდი და შანსონეტების სიმღერას და ცეკვას შევცქეროდი.

მაშინ ჩემი საყვარელი სიმღერა იყო: „ჩვენ ერთმანეთს დავცილდით ფუჭი ცრემლების და ქვითინის გარეშე“.

და როცა რესტორანში შევდიოდი ხოლმე, ყველა ნაცნობი ერთხმად მიმღეროდა ამ სიმღერას, და მე თვალზე ცრემლი მადგებოდა.

ამ სიმღერას მშვიდად ვერც ახლა ვუსმენ.

მაშინ კარგი შესახედი კაცი ვიყავი, ქალები მიყურებდნენ და ათას რამეს მთავაზობდნენ.

მაგრამ შანსონეტები რატომღაც არ მიყვარდნენ და დიდად არცერთს არ დავახლოვებივარ.

მთელი ფული გავფლანგე და ერთ მეგობართან ერთად გავემგზავრე ბულგარეთში, სოფიაში.

იქ ბევრი საქმე იყო. დიდი გაყიდვები იყო. საოცარ საქმეებს ვატრიალებდით, რომ მოგიყვეთ, გაგიკვირდებათ. იქ ერთხელ ბოლშევიკად ჩამთვალეს. ფეხები მირტყეს და ციხეში ჩამსვეს. მაგრამ გადავიხადე და გამოვედი.

რამდენჯერმე დამაპატიმრეს, მაგრამ ვთავისუფლდებოდი. ჯაშუშები ფეხდაფეხ დამყვებოდნენ, მაგრამ მე მათგან თავს ვიძვრენდი.

ერთხელ, ერთი საქმის მერე, დამიჭირეს და ბორკილებიც კი დამადეს. მაგრამ მე ბადრაგს ვუთხარი:

– დიდი საქმე, ეგ რაღაა. ბურჟუებს ვძარცვავთ. ეგაა და ეგ. ემიგრანტები ვართ, ჩვენც ხომ რამით უნდა ვიცხოვროთ. გაგვიგეთ.

იმდენი ველაპარაკე, ბორკილები მომხსნა. ჰოდა, რომ მომხსნა, ავიღე და გავიქეცი.

ბევრი საქმის მერე ბლომად ფული გავაკეთე, მაგრამ ფულის დაგროვების ინტერესი არ მქონდა და ერთ დღესაც კაზინოში წავაგე.

გასტროლები

და აი, დაიწყო ჩემი სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა.

თვალწინ სხვადასხვა ქალაქები და სხვადასხვა ადამიანები დამირბიან. გადის თვეები და წლები. მალე 1925 წელი დადგება. ხან იქ ვარ, ხან – აქ. ყველგან ფულს ვაკეთებ. კვლავ მივდივარ. ჯაშუშები დამდევენ. მთელი პოლიცია დაბნეული მადევნებს თვალს, არ იციან, რა მოხდება.

ბულგარეთში, სოფიაში, ერთი წლით ციხეში ჩამსვეს. იქ უმოწყალოდ მცემეს მათრახებით, კონდახებით და რეზინის ჯოხებით, ისე, რომ გრძნობა დავკარგე. იქ მცემეს როგორც ქურდს, როგორც ებრაელს, როგორც საერთაშორისო აფერისტს.

მაგრამ მერე, ნახევარ წელიწადში, გავთავისუფლდი. სოფიაში გავემგზავრე. იქ გასტროლები მქონდა. დამაპატიმრეს, მაგრამ გავიქეცი. კვლავ დამაპატიმრეს, მაგრამ თავი გამოვისყიდე.

იაფაში გავემგზავრე. იქაც ბნელი საქმეები დავატრიალე.

მერე, ერთ მშვენიერ დილას, მოულოდნელად ეგვიპტეში გავემგზავრე, მშვენიერ ქალაქ ალექსანდრიაში.

ეს ქალაქი ულამაზოა. ჭუჭყიანია. თუმცა ეგვიპტეა, ეგვიპტური ვერაფერი ვნახე. მტვრიანი, ჩახუთული და უინტერესო ქალაქია. არც იქაური შანტანები ვარგა. დუქნებია.

მაგრამ იქ დიდი საქმეები დავატრიალე. აბა, რა იქნებოდა? უკვე რვა ენაზე ვლაპარაკობდი და ისეთი რამეები ვიცოდი, რაც ჩემი წრის არცერთ ადამიანს არ გაეგებოდა. უკვე ღრმად ვცურავდი, მაგრამ ყველა თევზს ჩემი ჩაყლაპვა უნდოდა. მაგრამ ამას ვითვალისწინებდი და ვერავინ მეხებოდა.

მაგრამ არ დავფიქრებულვარ, რას ვაკეთებდი. სინდისი სუფთა მქონდა და ვერავინ მომისყიდდა. ეს ცხოვრებამ მასწავლა. არ დავფიქრებულვარ, ვინ ვარ, რა ვარ, რა ხდება. ამაზე ახლა ვფიქრობ, მაგრამ მაშინ არ მიფიქრია. როცა ხალხს ვხვდებოდი, იმაზე ვფიქრობდი, რა მომეპარა. და არანაირი მსოფლიო სოლიდარობა არ მაღელვებდა.

და აი, ამ ქალაქ ალექსანდრიაში ერთი ახლო მეგობარი შემხვდა.

მან მითხრა:

– ქაიროში შენი ცოლი ვნახე. შენი სადღეგრძელო დალია. სხვა კაცთან ერთად იყო. თუ გინდა, ჩადი.

ამ სიტყვების გაგონებაზე გული გამიჩერდა.

მან თქვა:

– რა დაგემართა? ქაღალდივით ხარ გათეთრებული.

მე ვუთხარი.

– ახლა ქაიროში არ წავალ. მაშინ წავალ, როცა შენი სიტყვები მიმავიწყდება და ოდნავ დავწყნარდები. ახლა ქაიროში რომ წავიდე, შეიძლება დავჭრა. მე მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია, მან კი შეიძლება უარი მითხრას. და მეშინია, არ დავჭრა. არ მინდა. ჯობს, ცოტა ხნით საბერძნეთში წავალ, და ცოტა რომ დავწყნარდები, ქაიროში ჩავალ.

და აი, ერთ მშვენიერ დილას საბერძნეთში გავემგზავრე.

მარსხი

აი, მივდივარ საბერძნეთში და ვფიქრობ, რომ კარგად ვიქცევი, რომ საბერძნეთში მივდივარ. ვფიქრობ: ერთი თვე გავა, დავწყნარდები და საბერძნეთიდან ქაიროში გადავალ.

მაშინ, ამდენი საქმის მერე, ნერვები მაგრად მქონდა დაჭიმული. ვშფოთავდი და გულს ვერ ვიმშვიდებდი. ასეთ მდგომარეობაში მარია რომ მენახა, შედეგი საშინელი იქნებოდა.

საბერძნეთში ჩავედი, ათენში.

იქ ერთ მეგობართან ერთად დიდი საქმე გავჩარხე. შუადღის შესვენების დროს ერთი მაღაზია გავძარცვეთ. ფორდით მივედით, მე და ჩემმა მეგობარმა ყველა გამვლელის დასანახად მაღაზია გავაღეთ, ფორდი აბრეშუმით გავავსეთ და დაუსჯელები წავედით.

ნადავლი გავიყავით. მეგობარი ათენში დარჩა, მე პირეიში წავედი.

ვიფიქრე, პირეიში ორი კვირა ვიქნები და მერე ქაიროში წავალ-მეთქი, მაგრამ ნაკლებხანს დავრჩი. იქ მოხდა ისეთი რამე, რამაც მთელი ჩემი ცხოვრება გადაატრიალა.

იქ ერთი გარეწარი გავიცანი. საზიზღარი ადამიანი იყო, ნაძირალა. ქართველი ებრაელი იყო. მე მსგავსი არამზადა, რა ხანია, არ შემხვედრია. ასეთ არამზადას საერთოდ არ გადავყრივარ.

საერთოდ, იმით იყო ცნობილი, რომ საქონლის ფულს არ იძლეოდა.

მაგრამ მე ვიფიქრე: რა სისულელეა, როგორ შეიძლება, ფული არ მომცეს, ერთი, ეგ მანახა.

მე მას მოპარული კრეპდეშინის სამი თოფი მივეცი.

მან კი ფული მართლა არ მომიტანა.

მაშინ მის საძებნელად წავედი. ნერვები დაგლეჯილი მქონდა.

ერთ რესტორანში მივაგენი. ეს არამზადა დომინოს თამაშობდა. ვიღაც თავისნაირ ვიგინდარას ეთამაშებოდა. უცებ ორივენი ძალიან საზიზღრებად მეჩვენენ.

თუმცა ბრაზი მახრჩობდა, პირდაპირ ვუთხარი. მე ვუთხარი:

– ფულისთვის მოვედი. რას იტყვი?

მან მითხრა:

– ფულის დარდი არ გქონდეს. მე გადავწყვიტე, რომ ფულს არ მოგცემ. შენ კიდევ ტყუილად ნუ მომადგები. ისეთი ფარშევანგი ხარ, რომ თუ დაიყვირე, შენი ყვირილი პოლიციას გაუხარდება. გირჩევნია, წადი, თორემ დაგაპატიმრებენ. და შენ თვითონაც არ გაგიხარდება, რომ ფული მომთხოვე.

მაგრამ მე ეს სიტყვები მტკივან ადგილზე შემეხო. თან ნასვამი ვიყავი.

უცებ ავდექი, ნარგილეს ხელი ვტაცე და თავი გავუხეთქე.

ის დაეცა და ყველა აყვირდა.

მე კი კიბისკენ გავიქეცი. ხოლო როცა ქვემოდან ხალხი ამოცვივდა, რომ გაეგო, რა მოხდა და ვინ იყო დასაჭერი, საოცრად მშვიდად გავიარე. და ჩემზე არავინ იფიქრა.

ქუჩაში გამოვედი. აქ კი ჩემი სასტუმროსკენ გავიქეცი.

მაგრამ იქ უცებ პოლიციელები დავინახე. მე მომაკითხეს. შეატყობინეს, რომ უნდა დავეპატიმრებინე და მე კინაღამ კაცი მოვკალი.

მაშინ ისე, რომ სასტუმროში არც შევსულვარ, გავტრიალდი და გავიქეცი.

პორტში წავედი, რომ ნებისმიერ გემზე ავსულიყავი და აქაურობას გავცლოდი.

რაღაც ფული და საბუთები მქონდა. რაც ნივთებს შეეხება – აბა, ასეთ მდგომარეობაში რა ნივთებზეა საუბარი?

ერთი გემის შესახებ ვიკითხე:

– სად მიდის?

მითხრეს:

– ახლა იაფაში მიემგზავრება.

და მეც უჩუმრად (ღამე იყო) ამ გემის გემბანზე ავიპარე და ყუთების უკან დავიმალე.

და აი, მესმის – ზარს ჩამოკრეს. გემი დაიძრა. მეც მშვიდად გამოვედი და მოსეირნე ხალხს შევერიე.

უცებ რუსული ლაპარაკი მომესმა. ეს რა არის? რუსული ენა მესმის. ჩვენი სიტყვები. ამ სიტყვებისგან გული გამიჩერდა. და უცებ აღმოვაჩინე,

რომ საბჭოთა გემზე ვარ.

ერთს ვკითხე, ეს რა გემით მივემგზავრებით-მეთქი. მან მითხრა:

– საბჭოთა გემია, „ტობოლსკი“, იაფაში მიდის.

გულზე მომეშვა. ვიფიქრე, იაფაში აუცილებლად ჩავალ-მეთქი.

გაუთვალისწინებელი მოგზაურობა

ვიფიქრე, რადგან იაფაში მიდის, ბოლო-ბოლო, იაფამდე მივალ და იქ ჩავალ-მეთქი.

იაფაში ჩავედით. ჩასვლა დავაპირე, მაგრამ პოლიციამ ნაპირზე არ ჩამიშვა.

პასპორტს ვაჩვენებ, მაგრამ პოლიციამ არ დამიჯერა.

– თუ საბჭოთა გემით მოგზაურობთ, – მითხრეს მათ, – მაშ, უდავოდ საბჭოელი ხართ. იქნებ რამე ყალბ საბუთს გვაჩვენებთ? ამით ვერ გაგვაკვირვებთ. ეგეთები გვინახავს!

ვეუბნები:

– ეგ როგორ იქნება?!

მაგრამ მათ მითხრეს:

– ტყუილად ნუ ლაპარაკობთ. გზა განაგრძეთ.

ინგლისურად ვუთხარი:

– გამიგეთ. მე ამ გემით მოგზაურობა არ შემიძლია.

მაგრამ მათ მხოლოდ იცინეს და არაფრით არ გამიშვეს.

მაშინ ვკითხე:

– შემდეგი ნავსადგომი რა იქნება?

მითხრეს:

– იაფადან ოდესაში გავემგზავრებით.

მაშინ მივხვდი, რომ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სსრკ-ში მომიწევს წასვლა.

მაშინ დიდად არ ვიცოდი, რა არის ეს საბჭოთა ქვეყანა და საერთოდ, როგორ იჭმევა.

მე პოლიტიკაზე არ დავფიქრებულვარ. ჩემს საქმეს ვაკეთებდი და ეს ყველა ქვეყანაში საქმე იყო.

სინდისი სუფთა მქონდა.

სსრკ-ში გავემგზავრე.

მე გამოცდილი ქურდი და ჩემი საქმის ოსტატი ვარ. მე ვიფიქრე, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ადამიანები არიან, მე ჩემი ოსტატობით არ დავიკარგები.

და აი, იაფადან პირდაპირ ოდესაში გავემგზავრეთ.

გავემგზავრეთ ქვეყანაში, სადაც სოციალური რევოლუცია მოხდა. მაგრამ ჯერ არ ვიცოდი, ეს რას ნიშნავს. არ ვიცოდი, ეგ როგორ ხდება. მაგრამ ადრე სხვებს ნათქვამი ჰქონდათ, რომ იქ ცხოვრება ჭირს.

ოდესაში წავედით. წარმოიდგინეთ, რას ვგრძნობდი და რა გუნებაზე ვიყავი. არა, მიხაროდა კიდეც, რომ როგორც იქნა, ჩემს სამშობლოს ვნახავდი, მაგრამ გაურკვევლობა მაშინებდა.

მაშინ გემის მეთაურს ჩავბარდი და ვუთხარი, ვინც ვარ. მით უმეტეს, რომ გაუგებრობები არ მიყვარს.

მითხრეს:

– წადი ოდესაში. მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს გადაგცემთ. იქ გაარკვევენ, რა ჩიტი ხარ.

და აი, 1929 წლის იანვარში ოდესაში ჩავედით.

გასტროლები სსრკ-ში

ოდესაში მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს გადამცეს.

იქ თქვეს:

– იქნებ ჯაშუში ხარ. მოგისჯით 58-ე მუხლს, პუნქტი ბ.

მაშინ ყველაფერი ისე ვუამბე, როგორც იყო. აბსოლუტურად ყველაფერი ვუთხარი.

მაშინ ტიფლისში წამიყვანეს, პიროვნების დასადგენად.

იქ, ტიფლისში, მთავარი პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიამ მომცა სამწლიანი თავისუფალი გადასახლება ბარაბინის ოლქში, ციმბირში.

იქ ჩავედი და იქ დავიწყე ცხოვრება.

იქ ერთ მკერავ კაცთან ვცხოვრობდი.

იქ კინაღამ ცოლი მოვიყვანე, ერთი კომკავშირელი გოგო, ვ. ეს გოგო მომეწონა.

მეც მოვეწონე. მას კი კომკავშირული უჯრედის მდივანი უტრიალებდა.

ის წავიდა პროკურორთან და უთხრა:

– ვის გაუგია, ასეთ პიროვნებებს კომკავშირელ გოგოებთან ჰქონდეთ საქმე. (მას ეგონა, რომ ბანკირი ვარ და არა ქურდი).

მაშინ პროკურორმა ტურუხანის ოლქში გამიშვა, ენისეის რაიონში, სოფელ ნაზიმოვოში.

უჯრედის მდივანიც სადღაც გაემგზავრა. ისე კი, არ ვიცი, სად. მაგრამ სადღაც იქ კი დარჩა. ის ვ. მაინც არ ეღირსა.

ერთი წლის მერე გამათავისუფლეს. იმ ვ.-სთან წასვლა მომინდა, მაგრამ გავიგე, რომ ჩემთვის უღალატია.

მაშინ კავკასიაში გავემგზავრე. მასთან აღარ წავსულვარ. ჩვენთან, დანაშაულებრივ სამყაროში, თუ ქალი შენი არაა, შენი არც ყოფილა.

ტიფლისში ჩავედი და ძველ გეშეფტებს მოვკიდე ხელი.

ტიფლისიდან კი, სადაც ჩემი საქმეები არ მომეწონა, ბათუმში გავემგზავრე.

მაგრამ ბათუმშიც მარცხი განვიცადე. უკვე ვფიქრობდი, რომ ბედი აღარ მიმართლებდა, მაგრამ დავინახე, რომ ბედი არაფერშუაშია. ძველი მყიდველები ვეღარ ვნახე. და ვეღარც ის დავინახე, რომ ვინმეს უწინდებურად მონდომებოდა ჩემგან რამის ყიდვა. არა, რაღაც ფულის გაკეთება კი შეიძლებოდა, მიმნდობ ბრიყვებს მაინც იპოვიდი, მაგრამ ეს ყველაფერი ის აღარ იყო.

მაშინ ბათუმიდან ფოთში წავედი.

ფოთში ერთ საქმეზე დამიჭირეს და ექვსთვიანი ვადა მოვიხადე.

ამის მერე ტიფლისში დავბრუნდი და იქ ერთი წელი ისე ვიმუშავე, რომ არავის დავუპატიმრებივარ.

მაგრამ საქმე მდორედ მიდიოდა და განსაკუთრებული ვერაფერი გავაკეთე.

ბოლო საქმე

და აი, დადგა 1929 წელი. ტიფლისში ვცხოვრობ და ტიფლისში ცხოვრობს ერთი ქალბატონი, როგორც ვნახე, ფრიად ინტელიგენტი და კულტურული. ის პროსტიტუციითაა დაკავებული. მე ეს არ ვიცი. ცხადია, ამის შესახებ არაფერს მეუბნება. მე ისე გავიცანი, ვითომც არაფერია. რომანი გავაჩაღეთ. გარეგნულად ისეთია, ვერაფერს მიხვდები.

მაგრამ ის ისეთი აბსოლუტური ნაძირალა იყო, როგორ ვთქვა, მთელს ევროპაში განუმეორებელი პიროვნება, რომ ყველაფერი რომ აღგიწეროთ, გაგიკვირდებათ.

ის სრული ნაძირალა იყო. უსინდისო და უღირსი ნაძირალა, როგორსაც ჩვენს კავშირში და ჩვენს მომავალში არაფერი ესაქმება.

მე ამის შესახებ არაფერი ვიცი და მასთან ერთად ვცხოვრობ, ის კი თავს ისე მაჩვენებს, ვითომ ვუყვარვარ. მას კი ფული სჭირდება და მეტი არაფერი. მას კი საყვარელი ჰყავს. მე კი ეს არ ვიცი. მე მის ანკესზე წამოვეგე.

ჩემგან ჩემ შესახებ ათასი რამე გაიგო, ისეთი ცოდვებიც, საკუთარ დედას რომ არ გავუმხელდი.

და აი, გამოსასწორებელ ციხეში მოვხვდი. ერთ საქმეზე დამიჭირეს და ერთი წელი მომცეს.

მაგრამ იქ საკმაოდ ასატანად ვცხოვრობდი. თავისუფლად დავდიოდი. ამანათები დამქონდა და დავალებებზე ვეგზავნებოდი. ფულს მიხდიდნენ და დიდად ვერაფერს ვჩიოდი.

პოლინა კი (მას პოლინა ერქვა), ხშირად მოდიოდა და ფულს მართმევდა. მეც უარს არ ვეუბნებოდი.

ბოლოს დედაჩემი მოვიდა და მითხრა:

– შენი პოლინა ისეთი ნაძირალაა, რომ გასაოცარია. ის მეძავია. შენ ჩვენი სახლი გარყვენი.

მეგობრებმაც მითხრეს:

– როგორ არა გრცხვენია. დიდი ხანია, მეძავია. თუ რა, დაბრმავდი და ვეღარაფერს ხედავ?

და აი, მალე გამათავისუფლეს. ყველა შრომადღე ჩამითვალეს და ცოტა ხნის ციხეში ჯდომის მერე გამოვედი.

სახლში დავბრუნდი და პოლინას ვუთხარი:

– ჩემი ნივთების ნახევარს და მთელ ფულს მოგცემ, ოღონდ ტიფლისიდან წადი. შენთან ერთად ერთი ცის ქვეშ ვერ ვიცხოვრებ. ახლავე გაემგზავრე!

მან კი ფული აიღო, თავის საყვარელს მისცა და თქვა:

– არ წავალ. მე აქაც კარგად ვარ.

მაშინ ხელი ჩავკიდე და ვუთხარი:

– ახლა წავალთ, ბილეთს ვიყიდით და შენ წახვალ.

მან კი თქვა:

– კარგი, წავალ.

წავედი მისთვის ბილეთის საყიდლად, სადგურთან მივედი, ის კი უცებ აყვირდა:

– აი, ბანდიტი და ყაჩაღი მოდის. აი, ნახეთ, საერთაშორისო აფერისტი და მამაძაღლი, რომელიც აუცილებლად უნდა დაიხვრიტოს.

ბრბო მოგროვდა.

მე ბრბოს ვეუბნები:

– დაიშალეთ. საინტერესო აბსოლუტურად არაფერია. ცოლ-ქმრის პატარა ოჯახური ჩხუბია.

ის კი ყვირის:

– ეს ისეთი ბანდიტია, ისეთი საშინელებები აქვს გაკეთებული, ვერ წარმოიდგენთ. მეო, – ასე თქვა, – მის შეხედვაზეც ცუდად ვხდები. დაიჭირეთ, თორემ გაიქცევა.

მაშინ ჩეკისტები მოვიდნენ და ორივენი წაგვიყვანეს.

მან მათ ყველა ჩემი საქმე უამბო, ყველაფერი, რაც იცოდა, და მაშინ ციხეში გამიშვეს. ის კი გაათავისუფლეს.

და აი, ამიერკავკასიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიამ სამი წელი ბანაკები მომისაჯა.

ეს მოხდა 1932 წლის 29 აპრილს.

ბელომორის არხზე

და აი, 1932 წლის აპრილში მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს დაქვემდებარებაში ბელომორ-ბატიის არხის მშენებლობაზე გამიშვეს.

ამ მხარეში თავზარდაცემული ჩავედი. მეგონა, რომ ჩემი ცხოვრება დამთავრდა, რომ აქ დავიღუპები და დავიკარგები. და აღარასოდეს დავბრუნდები ტიფლისში.

აქაურობა ძალიან არ მომეწონა. თუმცა გაზაფხული იყო, აქ თოვლი იდო. ბუნებაც ბეჩავი იყო და აქ იმდენად განსაცვიფრებლად ცუდად ვიყავი, რომ ბოლოს ვერ ვხედავდი. და ამ გადასახლების სამი წელი უფრო მძიმედ მეჩვენებოდა, ვიდრე ამქვეყნად ყველა დანარჩენი გადასახლება.

გზაჯვარედინ სოსნოვეცის მეშვიდე განყოფილებაში გამამწესეს. ეს ბანაკის პირველი პუნქტი იყო.

და ამ პუნქტში ისე ჩავედი, როგორც სასაფლაოზე. მაშინ წვიმდა, ხეები ტანდაბალი იყო, ბალახიც კი არ იზრდებოდა, მხოლოდ ქვები ეყარა და მე ვიფიქრე, რომ ამ ქვებზე მოვკვდები, ისე, რომ სხვა ბედი არ მეღირსება.

ასე გულდამძიმებული გამიშვეს კლდის სამუშაოებზე, №11 შლუზზე.

იქ კლდეებს ამტვრევდნენ და აფეთქებდნენ, და სამუშაო ძალიან მძიმე იყო.

მით უმეტეს, მე არასოდეს მიმუშავია და მუშაობა დანაშაულად და სირცხვილად მიმაჩნდა.

პირველი დღეები რაღაცას ვჩიჩქნიდი და მხოლოდ 30, ან სულაც 20 პროცენტს ვიძლეოდი.

ჩვენ კი იქ ათმეთაური ბიფიუსი გვყავდა. გერმანელი.

მან თქვა:

– რა ჯანიანი ბიჭი ხარ, მუშაობა კი არ შეგიძლია. ფუ, რა სირცხვილია.

მე მას ვუთხარი:

– მუშაობენ სულელები და ცხენები. მე კი არც ერთი ვარ, არც – მეორე. შენ კი თუ ასე გიყვარს მუშაობა, ჩემ მაგივრად იმუშავე. მე კი შევხედავ, როგორი სულელი ხარ. თან გერმანელი.

იმან ეს ტრიასკოვს უთხრა. ასეთი კაცი იყო, ჩვენი მეთაური. საკმაოდ ენერგიული კაცი იყო.

ის დამელაპარაკა, მაგრამ სულ ტყუილად. გამოვლანძღე და ვუთხარი, მომშორდი-მეთქი აქედან.

აი, ასე იყო ეს ამბავი. 30 პროცენტს ძლივს ვაღწევდი, რომ არ დამეძინა, და ვფიქრობდი საბერძნეთზე, ჩემს საქმეებზე და ჩემს წარსულზე, რომელიც ჯადოსნურ ზღაპრად მეჩვენებოდა.

მაგრამ ამ დროს ჩვენმა უფროსმა საპრონოვმა გაიარა. ათმეთაურიც მივარდა და ჩემ შესახებ მოუყვა და მან, ანუ საპრონოვმა, მითხრა:

– რა უცნაურია. ჩვენთან ყველა მუშაობს. ჩვენთან ასეთი უარი იშვიათია. ჩვენი საქმე ძალიან საჩქაროა და გასაოცარია, რომ უარს ამბობ. ალბათ რაღაცა არ გესმის.

იდგა და მელაპარაკებოდა, მე კი მისი ლაპარაკი სულ არ მაინტერესებდა.

მე ვუთხარი:

– მე მიჩვეული ვარ, რომ მაშინათვე ვხედავ ხოლმე ჩემი შრომის შედეგებს, მე ჩემთვის ვმუშაობდი და სამაგიეროდ ვხედავდი, რომ ყოფა გამიუმჯობესდა. აქ კი ვის გავახარებ, თვითონაც არ ვიცი. თქვენ რაც შეგეხებათ, თქვენ უფროსობა ხართ და იმას მეუბნებით, რასაც გიბრძანებენ.

მას ჩემი სიტყვები ძალიან გაუკვირდა და წავიდა.

საუბარი ფინჯან ჩაისთან

მალე მეორე აღმზრდელი მოვიდა, ვარლამოვი. მან მითხრა:

– მუშაობის მერე საპრონოვთან შედი. სალაპარაკო აქვს. შენი ძალიან გაჰკვირვებია.

აი, საპრონოვთან მივედი. მას ჩაი მოუმზადებია, ნამცხვარი ეწყო, კარამელი, კარგი პაპიროსი.

მივდივარ და ჩემთვის მეღიმება. ვიფიქრე, ამას ბავშვი ვგონივარ, ამით უნდა ჩემი ნდობის ყიდვა.

აი, სკამებზე დავსხედით. ბევრი ვილაპარაკეთ. მას ჩემი წარსული აინტერესებდა.

მეც ყველაფერი ვუამბე.

მას კვლავ უაღრესად გაუკვირდა ჩემი ცხოვრების ამბავი.

ჩაის ვსვამდით და ნამცხვარს ვჭამდით, და დავინახე, რომ წესიერი კაცია, რომელთანაც ლაპარაკი შეიძლება.

მან მითხრა:

– აი, შენ ყველგან იყავი და ყველგან ნახე, საზღვარგარეთ როგორი აღმზრდელობითი პოლიტიკა აქვთ. ხელკეტებით გნაყავდნენ და ცხვირ-პირში გირტყამდნენ. მაგრამ ჩვენ მუშაობას კარგი მოპყრობის საფასურად არ ვითხოვთ. კი, სამოთხე არა გვაქვს. ძნელია. მაგრამ სამოთხე რომ გვქონდეს, ყველას ჩვენთან მოუნდებოდა მოსვლა და დანაშაულებს ჩაიდენდნენ. მაგრამ ჩვენ ეს არ გვინდა. ჩვენ შრომას ვითხოვთ – ჩვენ ჩვენთვის ვმუშაობთ და არა კაპიტალისთვის. და ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა აყვავდეს.

მან პაპიროსი მომცა, მე ჩემს ბარაკში წავედი და გზაში მიკვირდა, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში რა ახალი მოდა შემოუღიათ.

მეორე დღეს, უმალ მის მიმართ სიმპათიის და არა სხვა რამე მიზეზის გამო, 87 პროცენტი გამოვიმუშავე.

სიტყვა და საქმე

მეორე დღეს ჩაგვიარეს განყოფილების უფროსმა პროხორსკიმ საპრონოვთან ერთად.

პროხორსკიმ თქვა:

– შენი ვერაფერი გამიგია. რატომ არ გინდა მუშაობა? განა ჩვენთვის ვცდილობთ რამის აშენებას? ჩვენ იმისთვის ვმუშაობთ, რომ ქვეყანას უკეთ ჰქონდეს საქმე. თუ უკეთ იქნება, შენც უკეთ იქნები. ჩვენ ხალხის სასიკეთოდ ვმუშაობთ. ეს საერთო ინტერესია. განა შენ კონტრრევოლუციონერი ხარ? მე მგონი, სოციალურად ჩვენი ახლობელი უნდა იყო. აგვყევი, და ჩვენ შენზე ვიზრუნებთ. თუ კარგად იმუშავებ, ვადაზე ადრე გაგათავისუფლებთ და ისეთ სპეციალობას მოგცემთ, რომელიც შენსას აჯობებს, და ისეთ კვალიფიკაციას, რომ შენ წინაშე ყველა კარი გაიღება, როცა გათავისუფლდები.

ასე დამელაპარაკა, დამემშვიდობა და წავიდა.

და მე ვიფიქრე: გასაოცარია, რას შემომიჩნდნენ. უნდათ ქურდი მუშად აქციონ.

მაგრამ აი, სულ მალე, სამიოდე დღეში, აღმზრდელმა ვარლამოვმა მოირბინა და თქვა:

– ისევ პროხორსკი და საპრონოვი გეძახიან.

აი, მივედი. ვლაპარაკობთ. ვსაუბრობთ. ჩაის ვსვამთ. ნამცხვარს ვჭამთ. მათ ახალ სახელმწიფოზე დამიწყეს ლაპარაკი, სადაც კაპიტალისტები და მესაკუთრეები არ არიან. მათ შრომის და ისეთი ცხოვრების სურათი დამიხატეს, როგორიც სიზმარშიც არ მოგვლანდებია.

მაშინ ვუთხარი:

– საინტერესოა, რომ ქურდები არ იქნებიან. აი, ეს საინტერესოა.

– ქურდებიო, – თქვეს, – ცხადია, არ იქნებიან, იმიტომ რომ მოპარვა არავის მოუწევს. თან ვის უნდა მოპარო! ქურდი კაპიტალიზმის მეორე მხარეა.

მაშინ ათას რამეზე ვილაპარაკეთ. პროხორსკი მეუბნებოდა, რომ არა ვარ მართალი, რომ ახლა სხვა ცხოვრება მოვიდა და ქურდებს კვალიფიკაციის შეცვლა მოუწევთ.

ამან ძალიან გამაცინა და ვიფიქრე, რომ თუ მართლაც ასეა, მუშაობა მომიწევს. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ ტიფლისში ვიგრძენი, რომ რაღაცა ვერ იყო კარგად.

წავედი და მეორე დღეს 140 პროცენტი შევასრულე.

ისინი კი, ვისაც კლდეზე უმუშავიათ, მიხვდებიან, ეს რას ნიშნავს. ეს ეშმაკმა იცის, რას ნიშნავს! და მეორე დღესაც 140 შევასრულე.

მუშაობა დავიწყე. მერე ჩემს გავლილ ცხოვრებაზე დავიწყე ფიქრი და იმაზე, თუ რას წარმოვადგენ.

არა, სულაც არ მრცხვენოდა, რომ ქურდი ვარ. კაი, ქურდი ვარ. ცხოვრებამ ასე წარმმართა. პროხორსკიმ თვითონ მითხრა – ეს ცხოვრების მეორე მხარეა. ესე იგი, ეს ჩემი ბრალი არაა.

ესე იგი, ჩემი ბრალი იქნება, თუ ცხოვრება სხვაა და მე კიდევ ვიპარავ.

ნელ-ნელა სინდისმა შემაწუხა. მომინდა, დაძალების გარეშე მემუშავა.

და ერთხელ 150 პროცენტი შევასრულე.

და მთელმა ჩვენმა ბრიგადამ 100 პროცენტზე მეტის შესრულება დაიწყო. და ჩვენ გაგვიხარდა, როცა ეს მოხდა. დავდიოდით და გვიხაროდა. მაშინ ჯიხურში ყველაფერი მოგვცეს, რაც გვჭირდებოდა. მე კი კარგი ტანსაცმელი და ჩექმები გამომიწერეს.

როცა ჩემ მიმართ ასეთი სასიამოვნო, მზრუნველი დამოკიდებულება დავინახე, მზად ვიყავი, გავმსკდარიყავი, ოღონდ კი ყველაფერი ისე გამეკეთებინა, როგორც საჭირო იყო.

და მაშინ ბრიგადაში ვთქვი:

– მოდი, ვეცადოთ.

და ყველამ თქვა:

– კი, აბა, რა.

და ჩვენ ეშმაკებივით ვმუშაობდით, და ფიქრის დროც აღარ გვქონდა. მაგრამ მე ზოგჯერ მარია კორნიენკოზე ვფიქრობდი.

და გული მიჩერდებოდა.

მუშაობისას

ჰო, მაშინ მაგრად ვმუშაობდით. არ შეიძლებოდა, რომ არ გვემუშავა. ამხ. ფირინის ბრძანებები მოვიდა. ამხანაგი ფირინი თავის ბრძანებებში ამბობდა,

რომ ოცდათხუთმეტიანებს, სოცმავნებლებს და ქალებს საუკეთესოდ, ყოვლად ჰუმანურად უნდა მიდგომოდნენ.

დარტყმას კი არა, ხელის ხლებას ვერ გვიბედავდნენ.

ჩვენზე ხელის აღმართვის უფლება არ ჰქონდათ.

და ამხ. ფირინს რომ დაენახა, რომ ეს მაინც მოხდა, ვაი იმ უფროსს, ვინც მისი ბრძანება არ შეასრულა.

ჩვენ კი ამ მზრუნველმა და სიყვარულით აღსავსე სიტყვებმა უკარგეს გუნებაზე დაგვაყენა.

დიახ, მაშინ ჩვენი შრომის რეკორდული მაჩვენებლები გვქონდა.

150 პროცენტამდე ავედით.

ვერ დაიჯერებთ, მაგრამ ურიკებს სირბილით დავატარებდით. ურიკებით დავრბოდით. ისეთ საქმეებს ვაკეთებდით, რომ ძნელი აღსაწერია. ყველანი ძალიან ვცდილობდით.

დავინახეთ, რომ ეს დიდი საქმეა. დავინახეთ, რომ ეს საქმეა და არა უსულო ჯაფა, საოკუპაციო ციხეში ხრეშს რომ ვამტვრევდი, ისეთი.

ახლა ჩვენ მიზანი გვქონდა. გვინდოდა, ჩვენი მიზანი ჩქარა დაგვენახა. თან გვხედავდნენ, გვამჩნევდნენ, ჩვენზე ზრუნავდნენ და გვივლიდნენ.

ჩამორჩენილების გამწევები გავხდით. საზოგადოებრივ საქმიანობას ვეწეოდით. მე კი სამეწარმეო სამეულის წევრი გავხდი.

და აი, ჩვენი ბრიგადა საუკეთესო აღმოჩნდა, და ჩვენ ბეტონზე გადაგვისროლეს. იქ უნდოდათ, ჩვენთვის კარგი კვალიფიკაცია მოეცათ. და მივიღეთ კიდეც.

იქ 180-ს ვაღწევდით. თავად უფროსმა მარტინოვმა მოგვაქცია ყურადღება. უფროსები, საპრონოვი და პროხორსკი კი მეუბნებოდნენ:

– სწორად იქცევი. შენს საყურებლად მოვედით.

სიღატაკის ფილოსოფია

ერთ მშვენიერ დილას ჩემთან ისევ ეს უფროსები მოვიდნენ, საპრონოვი და პროხორსკი.

ასე მითხრეს:

– ოცდათხუთმეტიანებისგან უარი მივიღეთ. უნდა მიხვიდე და დაელაპარაკო. სამუშაოზე უნდა გამოვიდნენ. ურევენ. ისინი არიან, ვისაც საოქტომბროდ შეღავათები მიეცათ.

წავედი.

ბარაკში ოცდათხუთმეტიანები შეგროვებულიყვნენ. სულ მკვლელები იყვნენ, გამოცდილი ქურდები, ფარმაზონები და მომპარავები.

რომ მივედი, სიცილი დამაყარეს.

მათ მითხრეს:

– ჯერ თვითონაც იპარავდი, ახლა კი უფროსობამ გაგაბოზა. წადი აქედან.

მაშინ მე ვუთხარი:

– ორი სიტყვა მათქმევინეთ.

და ზოგმა თქვა:

– მიდი, ილაპარაკე. ოღონდ ჩქარა, გვეძინება (არადა, დღე იყო).

კისერმოღერებულები იწვნენ და ეტყობოდათ, რომ ვერაფერს შეაგნებინებდი.

მაშინ ვთქვი:

– ბატონებო, სოციალური ძვრები ხომ უნდა დაინახოთ. ქურდები ვართ, მაგრამ თურმე მალე ეს აღარ იარსებებს.

მაშინ ბევრმა გაიცინა და თქვა:

– ეგ როგორ?

მაშინ მე თაროზე დავდექი (ყველანი დაინტერესდნენ) და ასე ვუთხარი:

– აქ ერთ ოჯახად ვართ შეკრებილი. მრავალი წელი ერთ საერთო საქმეს ვაკეთებდით – ვყაჩაღობდით და ვქურდობდით. ჩვენ ეს საქმე განუყრელად გვაკავშირებდა, ხოლო რაც მე შემეხება, არავის არ გავუბოზებივარ. უბრალოდ, ისეთ ცვლილებებს ვხედავ, რომელთა გამოც ახლა ვმუშაობ და აქაც კი მოვედი.

მათ მკითხეს:

– რა ცვლილებებს?

მაშინ მე ვუთხარი:

– ბატონებო, ჩვენმა დანაშაულებრივმა სამყარომ კრახი განიცადა. ეს უნდა დავინახოთ და გავიგოთ. ისინი, ვინც ამ საქმეში დამწყებები არიან, დაე, კვლავ ცურავდნენ თავიანთ იმედებში, ჩემნაირებს კი უსასრულოდ ბევრი ესმით, ისინი ამას გრძნობენ. ჩვენმა დანაშაულებრივმა სამყარომ კრახი განიცადა. სხვა ქვეყნებზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩვენთან, როგორც ჩანს, ასეა. და თუ ახლა არა, ეს სულ მალე მაინც მოხდება.

მაშინ ზოგიერთმა თქვა:

– ასეთი პირი უჩანს.

ზოგმა კი თქვა:

– არა.

მაშინ შრომის ისეთი სურათი დავუხატე, რომ სახტად დარჩნენ.

– ვისღა უნდა მოვპაროთ, – ვთქვი მე, – თუ მდიდრები არ იქნებიან და მესაკუთრეები არ გვეყოლებიან.

მაშინ მათ თქვეს:

– თუ მარტო ღატაკები გვეყოლება და მდიდრები არ იქნებიან, ქურდობა მაინც იქნება. მაგრამ თუ ყველა შედარებით მდიდარი იქნება და სიღარიბე არ იარსებებს, მაშინ ჩვენი დანაშაულებრივი სამყარო ალბათ მართლა კრახს განიცდის.

მაშინ მე ვთქვი:

– ალბათ, ასეც იქნება. ჩვენ სხვა კვალიფიკაცია უნდა გვქონდეს. ჩვენი ვალია, ვიმუშაოთ, და ეს მალე ჩაგვეთვლება.

არა, იმ დღეს სამუშაოდ არ გასულან. იხმაურეს, იყვირეს და დასაძინებლად დაწვნენ. მეორე დღეს კი კვლავ ვესაუბრე. მე ვუთხარი:

– ბატონებო, მოდი, ვიმუშაოთ.

და მათ თქვეს:

– ეგ როგორ?

მესამე დღეს მინდოდა სასაუბროდ ჩაი და ნამცხვარი მეთხოვა, მაგრამ აღარ დამჭირვებია.

ყველანი სამუშაოდ გამოვიდნენ და ყველამ გადაჭედვა მოინდომა.

გადაჭედვა ანუ перековка.

მერე ავტორი წერს, რომ როტენბერგი დაწინაურდა. ავტორი წერს, რომ ის ბანაკიდან გავიდა, რომ ის ბელომორსტროის საპატიო სამკერდე ნიშნით დააჯილდოვეს, რომ ის ვოლგა-მოსკოვის მშენებლობაზე გაემგზავრა და შვებულების დროს ტიფლისშიც კი იყო, როგორც თავისუფალი მოქალაქე და ბედნიერი ადამიანი.

რა ვიცი, აბა...

მე ნაამბობის ბოლო წინადადებამ მომიღო ბოლო: „ეს მოთხრობა აუცილებლად გაუგზავნეთ ქაიროში კაზაკ გოგოს, მარია კორნიენკოს“.

ვერც კი ვხვდები, ეს რას ნიშნავს.

მე მგონი, კარგს არაფერს.

საუბარი ჯასთინ დი ჩიოჩიოსთან

<<< დასაწყისი გვ. 50

სკოლებისათვის დაფინანსება ადრეულ სამოცდაათიანებში შემცირდა, და ძირითადი დარტყმა სწორედ ხელოვნების კურსებმა მიიღო. დღეს ამერიკელების უმრავლესობამ მუსიკის შესახებ მხოლოდ ის იცის, რასაც რადიოთი უსმენენ, ან რასაც ჟურნალისტები ურჩევენ, რომ შეიძინონ. ისინი სხვადასხვა სახის მუსიკით არიან გარემოცულნი, მაგრამ ის მუსიკა, რასაც ისინი უსმენენ, მათ ახალი სიღრმეების აღმოჩენის საშუალებას არ აძლევს. ისინი მედიის კარნახით მოქმედებენ და არჩევანში თავისუფლები არ არიან. ხმის ჩამწერი კომპანიები ძირითადად 26-27 წლის კლერკებს ქირაობენ, მათ, ვისაც არანაირი მუსიკალური თუ ესთეტიკური განათლება მიღებული არ აქვთ, შესაბამისად, ნებისმიერი მათი გადაწყვეტილება მხოლოდ მათივე ბიზნეს ინტერესებითაა განპირობებული. ამ ადამიანებმა მუსიკის შესახებ მხოლოდ იმდენი იციან, რამდენის საშუალებასაც მათ რადიო ან ტელევიზია აძლევდა, როდესაც ისინი მოზარდები იყვნენ. აი, ასეთი ადამიანები ხდებიან დიდი კორპორაციების, ტელევიზიების და რადიოკომპანიების ხელმძღვანელები! მათი გადაწყვეტილებები არტისტულ ცოდნას კი არ ეფუძნება, არამედ ამწამინდელ პოპულარულ მუსიკას, რომელიც თავის მხრივ დღეს ძალიან დაბალ დონეზეა. მოჯადოებული წრეა! ჩვენ ჯერ პოპულარული მუსიკის დონე უნდა ავამაღლოთ და მხოლოდ ამის შემდეგ აღიქვამენ ადამიანები ჯაზის ან თუნდაც კლასიკური მუსიკის სილამაზეს. უნდა ვაღიარო, რომ ადრე ამ მხრივ განათლება სკოლებში ბევრად უფრო ხარისხიანი იყო, თანაც ადამიანები სახლებში იკრიბებოდნენ, სხვადასხვა ინსტრუმენტზე უკრავდნენ და ასე ერთობოდნენ. დღეს კი რა ხდება? – არაფერი! ისინი ტელევიზორის ეკრანს მიშტერებიან. ესაა და ეს. რამდენად დაინტერესებული იყო თქვენი თაობა?

საკმაოდ. ის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული თაობაა, თუ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებს ავიღებთ, თუმცა მან ამ ცოდნის გამოყენება ბოლომდე ვერ მოახერხა და ვერ ახერხებს; თუ – რატომ, ეს სხვა საკითხია. სამოცდაათიანებში ჩემი თაობისთვის ახალი რამეების სწავლა, თუნდაც ხელოვნებაში, ერთგვარი ამბოხის ფორმა იყო. ჩვენ არ შეგვეძლო დანარჩენ სამყაროსთან შეხება და ასე ჩუმ-ჩუმად, ნახევრად ჩახშობილი რადიოგადაცემების მეშვეობით და ხელით გადაწერილი ტექსტების საშუალებით აღმოვაჩინეთ ჯაზი, თუ თანამედროვე დასავლური ლიტერატურა, ყველამ ისე, როგორც შეგვეძლო.

საოცარია! იცით, კიდევ რა მაწუხებს, როდესაც ევროპაში ჩავდივარ, თანაც მე ბევრს ვმოგზაურობ – ვხედავ, რომ ევროპელ ახალგაზრდებს ჯაზი და ზოგადად ამერიკა ის ჰგონიათ, რასაც ტელევიზორის ეკრანზე უყურებენ და უსმენენ. მე კი, როგორც ამერიკელმა, კარგად ვიცი, რომ ეს ასე არაა. ისინი უყურებენ და უსმენენ იმას, რისი მათთვის მიყიდვაც ტელეკორპორაციების ხელმძღვანელებს სურთ. ისინი ასეთი სახით ყიდიან ამერიკულ კულტურას, ასე ფუთავენ მას ევროპელებისათვის. ეს კი ნამდვილად არ შეესაბამება სიმართლეს და ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ჩვენივე ქვეყნის ყალბ ასლს ვაჩეჩებთ დანარჩენ სამყაროს. ამერიკა არაა მხოლოდ გლამური, სექსი და ძალადობა. ჯაზიც არაა ის, რა სახითაც ის დანარჩენ სამყაროს მიეწოდება. სხვათა შორის, ეს იმ სტუდენტების დაკრულშიც კი იგრძნობა, ვისაც მე საქართველოში ყოფნისას ვასწავლიდი, ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტებს ვგულისხმობ. დიახ, ისინი ცდილობენ ჯაზი დაუკრან, მაგრამ მათ დაკრულში პოპ-ესთეტიკა იგრძნობა. მათ ეს არ ესმით, რადგანაც დარწმუნებულები არიან, რომ ჯაზისადმი მათი მიდგომა ჯაზის ესთეტიკას ეყრდნობა. ეს ასე არაა.

ამასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ: როგორც „რკინის ფარდის“ მიღმა დაბადებულმა და გაზრდილმა, შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ ამერიკის ამ ყალბმა და პრიალა სახემ მიბიძგა პირადად მე და ალბათ ბევრ ჩემს მეგობარსაც უფრო მეტი რომ გამეგო ამ ქვეყანაზე. შესაბამისად, ამერიკის დამახინჯებულად მოწოდებულმა სახემ თავისი კარგი საქმე გააკეთა. ჰო, შეიძლება ჩვენ „ლევისებით“ დავიწყეთ ამერიკის აღმოჩენა, მაგრამ „ლევისების და კოკა-კოლას გზას“ შემდგრებმა მოგვიანებით ალენ გინზბერგი, უილიამ ფოლკნერი და სოლ ბელოუც აღმოვაჩინეთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი ადამიანზე და მის ცნობისმოყვარეობაზეა დამოკიდებული. თუ ცნობისმოყვარეობა გაქვს, თუ ახლის გაგება გსურს, ვერავითარი კორპორაციები ვერ აგაცდენენ გზას.

რომ იცოდეთ, როგორი ბედნიერი ვარ, ამას რომ მეუბნებით! სწორედ ამის იმედი მაქვს და სწორედ ამას ვუჩიჩინებდი ჩემს სტუდენტებს კავკასიური შეხვედრების დროს. მე მხოლოდ ინსტრუმენტზე დაკვრის გაუმჯობესებაში კი არ ვეხმარებოდი მათ, არამედ ვცდილობდი, მესაუბრა მათთან ისეთ საკითხებზე, რაზეც ისინი ნაკლებად საუბრობენ. უფრო ღრმა ფენებისკენ ვექაჩებოდი მათ. ცნობისმოყვარეობა ყველაფერია!

ისე კი, შეგიძლიათ არ დამიჯეროთ, მაგრამ მე დღესაც ვინახავ ჩემივე ხელით გადაწერილ ამერიკელი და ევროპელი ავტორების ტექსტებს. თავის დროზე ეს ტექსტები წიგნების სახით ვიღაცამ მათხოვა და მე ისე მინდოდა თვითონ ვყოფილიყავი ამ ტექსტების მფლობელი, რომ დღეებს ვანდომებდი მათ გადაწერას. მოდი, ისევ იმ საკითხს დავუბრუნდეთ, თუ როგორ მიეწოდება ჯაზი დღევანდელ მსმენელს. დარწმუნებული ვარ, რომ მუსიკოსებიც არიან პასუხისმგებელი იმაზე, თუ რა სახით მიეწოდება მათივე მუსიკა ადამიანებს. მათთან საუბრების დროს ვატყობ, რომ არიან ისეთი მუსიკოსები, ვინც მუსიკის კეთების პროცესს ბურუსით მოცულს გაწვდიან. ასეთებს ჩემთვის „შამანებს“ ვუწოდებ ხოლმე და უეინ შორტერი ამის კარგი მაგალითია. მეორე მხრივ, არიან ისეთებიც, ვინც ზედმიწევნითი სიზუსტით ცდილობს გადმოსცეს მუსიკის კეთების პროცესი. ასეთებს „ხელოსნებს“ ვუწოდებ, თუმცა ამით არავითარ შემთხვევაში არ ვაკნინებ მათ მნიშვნელობას. მუსიკოსების მხრიდან მუსიკის კეთების პროცესის არტიკულირებისადმი ასეთი მიდგომა თქვენც შემჩნეული უნდა გქონდეთ და ალბათ შეგიძლიათ ამის ახსნა ჩემთვის?

რა თქმა უნდა, ეს მეც ვიცი, და აი, რას გიპასუხებთ ამ შეკითხვაზე: მგონია, რომ იმ ახალგაზრდა ამერიკელ მუსიკოსებს, ვინც განათლების სისტემაში გაიარა, მხოლოდ მუსიკას არ ვგულისხმობ, არამედ ზოგადად მუსიკალურ განათლებას, საკმაოდ კარგად შეუძლიათ მუსიკაზე საუბარი. ბოლოს და ბოლოს ეს მათი საქმე იყო მუსიკალურ სასწავლებლებში სწავლის პერიოდში – ვგულისხმობ იმას, რომ მათ ბევრი უნდა ეწერათ და ესაუბრათ მუსიკაზე თავიანთ პედაგოგებთან მუშაობის დროს. შესაბამისად, მათ კარგად შეუძლიათ მუსიკალური იდეების არტიკულირება. დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდა თაობის მუსიკოსებს ამის გაკეთება ძველი თაობის მუსიკოსებზე უკეთესად გამოსდით, რადგანაც ეს უკანასკნელნი თვითნასწავლები იყვნენ. ქრისჩიან მაქბრაიდი, უინთონ და ბრენფორდ მარსალისები, მარკუს მილერი და ბევრი სხვა, ძალიან კარგად და ადვილად ახერხებენ ამას. სხვათა შორის, მარკუსი ჩემი სტუდენტი იყო. ის და ომარ ჰაკიმი მანჰეთენის მუსიკალური სკოლის ბენდის რიტმსექციაში უკრავდნენ. მე ამ ადამიანებთან მუშაობა მიწევდა და მიწევს და შემიძლია გავიმეორო, რომ მათ მუსიკაზე არა მარტო ბევრი იციან, არამედ საკუთარი მუსიკალური იდეების კარგად გადმოცემაც შეუძლიათ. მათ იმის უნარი შესწევთ, რომ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ვერბალურად დაანაწევრონ მუსიკალური მოტივის ქსოვილი, თუ ეს მათ მოეთხოვებათ. ძველი მუსიკოსების შემთხვევაში, საქმე სულ სხვაგვარადაა. ისინი ტურნეებში აქეთ-იქით წანწალით სწავლობდნენ; გზებზე გადებულები, უფულოდ, ზოგჯერ დღეების განმავლობაში უჭმელნი, ნარკოტიკებით ან სასმელით გაბრუებულები. ისინი, ძალიან დიდი მუსიკოსები, საკუთარ შეცდომებზე სწავლობდნენ ყველაფერს, შეიგრძნობდნენ მუსიკას უმაღლეს დონეზე, მაგრამ მათ არ შეეძლოთ ამ მიღებული ცოდნის და გამოცდილების არტიკულირება. თუმცა, მეორე მხრივ, ისე, როგორც ისინი ამას ახერხებდნენ, დღეს ჯაზის შესახებ განათლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მათი დაუვიწყარი ისტორიები მართლაც რომ ძნელი დასავიწყებელია, არა? ამ მხრივ ისინი უნივერსიტეტის პროფესორებს კი არ ჰგავდნენ, არამედ ძენ-ბუდისტ ბერებს. ყველაზე მნიშვნელოვანი მუსიკაზე ლაყაფი კი არა, იმის დაკვრაა, რის თქმასაც აპირებ. ჯაზში შენ ხარ ის, ვინც ხარ მხოლოდ მაშინ, როდესაც სცენაზე დგახარ. ძველი თაობის მუსიკოსების დიდი ნაწილი ინსტრუმენტზე დაკვრის სწავლას ჯერ კიდევ სკოლის დამთავრებამდე იწყებდა, თუ უმართლებდათ, პირდაპირ დიდი მუსიკოსების ბენდებში ხვდებოდნენ და თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ასაკში უკვე პროფესიონალებად ყალიბდებოდნენ. სად ჰქონდათ მათ განათლების მიღების დრო? სამაგიეროდ, მათ გაიარეს ის უნივერსიტეტი, რასაც მე ქალაქიდან ქალაქში ხეტიალის უნივერსიტეტს ვუწოდებ. ინსტრუმენტზე დაკვრა შეიძლება სკოლებში ისწავლო, მაგრამ ჯაზის დაკვრას სკოლაში კი არ სწავლობ, არამედ იმ დროს, როდესაც სხვა ადამიანებთან ერთად ცდილობ მის დაკვრას. ერთადერთი განსხვავება განათლებამიღებულ და მიუღებელ მუსიკოსებს შორის კი ისაა, რომ განათლება გარკვეული მიზნის მისაღწევად „გზის მოჭრის“ საშუალებას გაძლევს. ამ დროს რაღაც-რაღაცების შესწავლას უფრო ნაკლებ დროს ანდომებ. ყველაფერ ამასთან ერთად უმაღლესი მუსიკალური განათლება იმის ცოდნასაც გაძლევს, რომ გესმოდეს მენეჯერების, კლერკების, კონტრაქტების, კორპორაციების ენა. ჩარლი ფარქერი გენიოსი იყო, მაგრამ უფულობაში ამოხდა სული, რადგანაც მას ბიზნესმენების ენა არ ესმოდა. ის არტისტი იყო და მოკვდა ისე, როგორც არტისტები კვდებიან. დღევანდელ მუსიკოსებს უფრო კარგად ესმით ხმის ჩამწერი სტუდიების ენა (თუმცა სადღაა ხმის ჩამწერი ინდუსტრია?!). მათ იციან ინტერნეტი, არ ეშინიათ ახალი ტექნოლოგიების და თავისუფლად იყენებენ ამ ტექნოლოგიებს. დღეს მათ ინტერნეტის მეშვეობით შეუძლიათ ჩინელი მოზარდების სწავლება პეკინში და ეს ცუდი არაა. რა თქმა უნდა, ეს ვერ შეედრება იმას, როდესაც ოთახში ორნი სხედან და ერთი მეორეს ცოდნას გადასცემს, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, დრო შეიცვალა და ჯაზისთვის აუცილებელია, დღევანდელობის ნაწილი გახდეს. დღეს, თუ ინტერნეტ კავშირი კარგია, მე და დე-

ვიდ ლიბმანს შეგვიძლია ერთად დავუკრათ – მე აქ დრამზე და დევიდი იქ, ნიუ-იორკში საქსოფონზე, ხოლო ამ დროს ჩვენ შეიძლება გვისმენდნენ საფრანგეთში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებშიც. დღეს ეს მუსიკის მსმენელისთვის მიწოდების კიდევ ერთი გზაა.

ერთი შეკითხვა მაქვს და მინდა, რომ ამ შეკითხვაზე გულახდილად მიპასუხოთ: ჯაზი ბევრ გენიალურ ტვინში, გულში, თითებსა და სუნთქვაში გამოვლილი მუსიკაა და დღეს სულ უფრო ძნელი ხდება ამ მუსიკაში ინოვატორების დაძებნა, ისეთი მუსიკოსების, ვინც ჯაზის ტრადიციაზევე დაყრდნობით მოახერხებს ახალი შემატოს ამ მუსიკას. როგორ გგონიათ, დღეს ეს კიდევ შესაძლებელია?

მოდი, ისევ განათლებას დავუბრუნდები ამ შეკითხვაზე პასუხი რომ გაგცეთ, თუმცა ეს ძალიან ძნელი იქნება ჩემთვის. დავუბრუნდეთ განათლების სისტემას ამერიკაში. დღეს იქ ათასობით სხვადასხვა ტიპის სასწავლებელია და თითქმის ყველა მათგანის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ჯაზის შესწავლას დიდი თუ მცირე დოზით. მიუხედავად ამისა, როდესაც ამ სასწავლებლების სტუდენტებს უსმენ, რომლებიც ადგილობრივ ბენდებში უკრავენ, ხვდები, რომ ყველა ეს მუსიკოსი ერთნაირად ჟღერს. ისინი სწორ კლავიშებზე აჭერენ თითს, სწორ აკორდებს და ნოტებს იღებენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ერთნაირად ჟღერენ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ემოციურ განცხადებებს ვერ აკეთებენ ინსტრუმენტის მეშვეობით. გარკვეული თვალსაზრისით, თქვენი შეკითხვაც ამ პრობლემას ეხება – ადამიანებს, ვინც ცდილობს ორიგინალური განცხადების გაკეთებას, თუმცა ერთადერთი, რაც მათ დაკრულს აკლია, სწორედ ორიგინალობაა. დიახ, თქვენ შეგიძლიათ მოიხმაროთ ჯაზის ენა დაკვრის დროს, ეს აუცილებელიცაა, როდესაც მე სოლოს ვუკრავ, ვთქვათ, ბი-ბოფის ენაზე და თქვენც იგივეს უკრავთ, ჩვენ ერთ ენაზე ვსაუბრობთ, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს დაკრულში ჯაზის ყველა ელემენტი სწორადაა წარმოდგენილი, აკორდები, რითმი, და ასე შემდეგ, ჩვენს დაკრულს ორიგინალობა აკლია, აკლია ჩვენი სულის რაღაც მოუხელთებელი ელემენტი. როდესაც მაილზ დევისი და ქლიფორდ ბრაუნი ბი-ბოფის სტილში სოლირებდნენ, ისინიც ერთ ენაზე საუბრობდნენ, მაგრამ ორივე თავისებურად „აფორმებდა“ დაკრულს, თავისი სულის ნაწილს დებდა მუსიკაში, თავისებურად ძერწავდა ბგერას. ისინი ჯაზს მიღმა უკრავდნენ. არმსტრონგი, ლესთერ იანგი, მაილზი, ფარქერი, ქოლთრეინი, როლინზი, ისინი ჯაზს უკრავდნენ, მაგრამ ამავე დროს ჯაზს მიღმა უკრავდნენ, ისინი თავის თავს უკრავდნენ ჯაზში. ერთი მაგალითიც გავიხსენოთ – ჯონ ქოლთრეინი. მან ჯაზს ახალი დიალექტები შესძინა. როდესაც ის ამას აკეთებდა, მოიხმარდა თუ არა ის ჯაზის ტრადიციულ ელემენტებს? – რა თქმა უნდა. ის სწორედ ამ ტრადიციაზე დაყრდნობით მიიწევდა წინ. მაგრამ, ამავე დროს, მას ახალი ჰარმონიული ენა შემოჰქონდა ჯაზში, რადგანაც ის ხომ გარე მუსიკალური თუ არამუსიკალური წყაროების გავლენასაც განიცდიდა. ის იღებდა მსოფლიო მუსიკალური მენტალიტეტის ელემენტებს და ცდილობდა ჯაზთან მათ შერწყმას.

ვინ არიან ასეთი მუსიკოსები დღეს? ქოლთრეინის შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია. ისევ და ისევ ვუბრუნდებით მას და ეს ბუნებრივია, იმიტომ, რომ მისი მუსიკა ამოუწურავად მდიდარია. მაგრამ, არიან თუ არა დღეს ქოლთრეინის მსგავსი ინოვატორები და შესაძლებელია თუ არა ჯაზში ინოვაცია დღეს? ვინ არიან ისინი, ვინც ახალ არჩევანს აწვდის ჯაზს?

ბევრი უკრავს კარგად, ძალიან კარგად. მე მათთან ერთად გავდივარ ცხოვრების გზას – ბობ მინცერი, ჯო ლოვანო, დევიდ ლიბმანი, ქრისჩიან მაქბრაიდი, ქრის ფოთერი, მათ ყველას რაღაც ახალი მოაქვთ ჯაზში; მარკუს მილერსაც. სია გრძელია. თუმცა ისინი უკვე ფეხმოკიდებული მუსიკოსები არიან. კარგი, ავიღოთ, ვთქვათ, სტეფონ ჰარისი, ბრედ მალდაუ და ახალი თაობის სხვა წარმომადგენლები. რა შემოაქვთ მათ ჯაზში ახალი? – დღევანდელობა. არა მარტო ჯაზის ენა, ჯაზის ისტორია, არამედ ახალი მუსიკალური იდეები დაკავშირებული თუნდაც ელექტრონულ მუსიკასთან და მედიასთან, კომპიუტერით მუსიკის კეთების ახალი მიდგომები, დღევანდელობის საუნდი, თანამედროვე ნარატივი (ჩარლი მინგუსს გამოსდიოდა ასეთი რამეები კარგად). მათ არ ეშინიათ ექსპერიმენტების არანჟირებებში, განსხვავებული რიტმული მოდულაციების, თანამედროვე აკადემიური მუსიკის გავლენის და ასე შემდეგ. ისინი უფრო გლობალურად ფიქრობენ ყველა მიმართულებით და სწორედ ასეთი ნაფიქრალის შედეგი შემოაქვთ ჯაზში. ყველაფერი ეს ღირებული საჩუქარია ჯაზისთვის. ეს ახალი არჩევანის შეთავაზებაა. მათი ჰარმონიული ლექსიკონი ბევრად უფრო მდიდარია შონბერგის, შტოკჰაუზენის, ქსენაკის, ვებერნის მუსიკის გავლენის შედეგად.

ჯაზის პურისტებს ეს უნდა აცოფებდეთ.

ჰო, ეს მათ აცოფებთ, მაგრამ გაცოფდნენ, თუ ასე უნდათ. რას მოიგებენ ამით? ერთ მაგალითს მოვიყვან: ამას წინათ მე და დევიდ ლიბმანმა სამი ალბომი ჩავწერეთ ერთად და მათ შორის – მაილზ დევისის და გილ ევანსის Sketches of Spain. რა თქმა უნდა, ევანსის მიერ შემოთავაზებულ არანჟირების ვარიანტებისათვის გვერდი არ აგვივლია, მაგრამ ამავე დროს სხვა გზები დავძებნეთ მსმენელისთვის ამ მუსიკის ახალი სახით მისაწოდებლად. მუსიკა დამატებითი ინსტრუმენტებით გავამდიდრეთ, დავუმატეთ სინთეზატორები, უამრავი ახალი რიტმი, ადგილ-ადგილ ფანკის ელემენტებსაც კი არ გავექეცით, მოკლედ სხვანაირად „გავხსენით“ ის მსმენელისთვის. ზოგს შეიძლება ეს არ მოეწონოს, მაგრამ მხოლოდ ასეა შესაძლებელი მუსიკის წინ წაყვანა. ვინ ჰკითხავს რამეს ჯაზის პურისტებს? ან რატომ უნდა ვკითხოთ მათ რამე?

ისლამიზმი-ზმი

<<< დასაწყისი გვ. 62

ჰირსი ალის მარტივი ოპოზიციური წყვილები – ტრადიციული საზოგადოება და დემოკრატია, ისლამი და დასავლური სეკულარიზმი – ვერ განაზოგადებს იმ გამოცდილებებს, რაც ევროპაში დასახლებულ მუსლიმებს აქვთ. მთელ კონტინენტზე ისინი გლობალიზაციის პროცესში ყველაზე მეტად ჩართულ უმცირესობას წარმოადგენენ – მრავალსახოვანი იდენტობით, რომელზეც გაცილებით დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო გაერთიანების პოლიტიკა, კულტურა, ეკონომიკა, ვიდრე ყურანი თუ შარიათი. ახალი სამშობლოს, ამერიკის განუწყვეტელი ქება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ავტორი სულ უფრო მეტად ითავისებს მემარჯვენეთა სტანდარტებს (საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, მთავრობის მიმართ უნდობლობა, ოჯახური ღირებულებები, იარაღის ტარების უფლება, ქრისტიანობა). მიუხედავად ამისა, ჰირსი ალი წერს, რომ მუსლიმი მხოლოდ მაშინ იქნება „ამერიკის პატრიოტი“, თუ „დიდ მნიშვნელობას არ მიანიჭებს საკუთარ მუსლიმობას“. როგორც ჩანს, ის ეჭვის თვალით უყურებს ქვეყნისთვის დამახასიათებელი კულტურული და რელიგიური პლურალიზმის არაევროპულ ტრადიციას. მას ძალიან სურს, „სხვა მომთაბარეები“ თავიდან აღზარდოს „ურწმუნოთა ყაიდაზე“, რადგან დარწმუნებულია: „ღირებულებათა სხვადასხვა სისტემას შორის მერყეობა“ „პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს აფერხებს“, როგორც მისი ნახევარ-დის შემთხვევაში ხდება. ამ დროს მათ, ვისაც ბედი იმდენად გაუღიმებთ, რომ დასავლეთში თავშესაფარს პოულობენ, იშვიათად უჩნდებათ სურვილი, ან იშვიათად უიოლდებათ წინაპართა კულტურაზე უარის თქმა და რენდიანული ინდივიდუალიზმის გათავისება, რაც ჰირსი ალის ადამიანური ყოფის ყველაზე ამაღლებულ ფორმად ეჩვენება. თანამედროვე მომთაბარის ხვედრი უფრო გაუთავებელი შინაგანი კონფლიქტია სხვადასხვა ცხოვრების წესს, განსხვავებულ ღირებულებათა სისტემებს შორის. სწორედ ეს აქცევს მომთაბარეს ჩვენი ეპოქის სიმბოლოდ.

თუ ჰირსი ალის რიტორიკას დასავლელი ლიბერალები აკრიტიკებენ, მას თავგამოდებული დამცველიც ჰყავს პოლ ბერმანის სახით, რომელიც ბოლო წიგნში „ინტელექტუალების გაქცევა“ „დევნილი დისიდენტი ინტელექტუალის კლასიკურ ნიმუშს“ უწოდებს. ის მძაფრად აკრიტიკებს ისეთ მწერლებს, როგორიცაა ბრიტანელ-ჰოლანდიელი იან ბურუმა და ბრიტანელი სწავლული ტიმოთი გარტონ ეში. როგორც ბერმანი წერს, მათ „ჰირსი ალის დასავლური ლიბერალიზმის იდეების გათავისებისთვის დასცინეს“. ის ამ მწერლებს იმის გამოც ჰკიცხავს, რომ ისინი ერთობ ეპირფერებიან ოქსფორდის უნივერსიტეტის მუსლიმ პროფესორს, წარმოშობით შვეიცარიელ ტარიკ რამადანს, რომელიც ცდილობს, ისეთ გზებს მიაგნოს, ღრმადმორწმუნე მუსლიმებს სეკულარულ დასავლურ საზოგადოებაში ინტეგრაციას რომ გაუიოლებს. ბერმანი მას ექსტრემიზმის აპოლოგეტად მიიჩნევს. მისი აზრით, იმ მწერლების საქციელი, რომლებიც ჰირსი ალის რამადანის თვეში ესხმიან თავს, ევროპისა და ამერიკის ინტელექტუალთა წრეებში საშიშ, „რეაქციონისტულ შემობრუნებაზე“ მიანიშნებს.

ბერმანი, ვინც ინტელექტუალის სახელი გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მოიპვა, როგორც ანარქისტული ციტატების ანთოლოგიის შემდგენელმა, ახლა მემარცხენე-ლიბერალური რიტორიკის გამოჩენილ კრიტიკოსად მოგვევლინა. „ორი უტოპიის ამბავში“ (1996) ის 60-იანი წლების მემარცხენე ამერიკელ სტუდენტებს იმის გამო საყვედურობდა, რომ მათ კომუნიზმის ბოროტი სახე ვერ ამოიცნეს. წიგნში „ტერორი და ლიბერალიზმი“ კი (2003) პირდაპირ ლანძღავდა ლიბერალებს, რადგან მათ ვერ გაბედეს, მხარი დაეჭირათ, მისი აზრით, ამერიკის მიერ ერაყში დემოკრატიის გასამარჯვებლად გამართული ჯვაროსნული ომისთვის. ბოლო ნაშრომებში ბერმანი ერთმნიშვნელოვნად იდეოლოგიურ თვალსაზრისებს გვაცნობს, რომლებშიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ლიბერალიზმისა და ტოტალიტარიზმის შეჯახებას აღწერს (ან ლიბერალიზმისა და ფაშიზმის – მას ეს უკანასკნელი ურჩევნია, რადგან „მწარე სიტყვები“ უფრო „კარგად ხვდება მიზანში“).

ცხადია, 11 სექტემბერმა ლიბერალურ ცივილიზაციას ახალი მტრის გამოჩენა აუწყა. ეს მტერი გაცილებით გაურკვეველი და ბნელით მოცულია, ვიდრე, ვთქვათ, პრუსიული მილიტარიზმი, ნაციზმი ან კომუნისტური ტოტალიტარიზმი იყო – თითოეული მათგანი ხომ განსაზღვრულ ტერიტორიასთან, განსაზღვრულ ქვეყანასთან და მის რეგულარულ ჯართან იგივდებოდა. აბა, რას გაუგებ იმ ადამიანებს, გამოქვაბულებში რომ იმალებიან და აპოკალიპტური ტონით საუბრობენ, თან ერთმანეთში ურევენ თანამედროვე ანტიიმპერიალისტურ რიტორიკასა და სასახელო ისლამური წარსულის გახსენებას? ვინ არიან ისინი: უფესვებო, მარგინალი რევოლუციონერები, რომლებსაც ერთიანობის ისლამური მითის ხორცშესხმა სურთ თუ ჩამორჩენილი, ტრადიციებით შებორკილი საზოგადოებების გაცილებით ღრმა პათოლოგიის გამომხატველები? მუსლიმურმა სამყარომ წარმოშვა თანამედროვე ტოტალიტარული იდეოლოგია, სახელად „ისლამიზმი“? პასუხები, რომლებსაც „ტერორი და ლიბერალიზმი“ გვთავაზობს, საკმაოდ მარტივი ჩანს.

ვიეტნამის ომის დროს ჰანა არენდტმა შენიშნა, რომ დემოკრატიული მთავრობების წარმომადგენლები ხშირად

მიმართავდნენ გამოთქმებს: „მონოლითური კომუნიზმი“ და „მეორე მიუნხენი“, საიდანაც დაასკვნა, რომ მათ არ შეეძლოთ „თავისი სიტყვებით გადმოეცათ რეალობა, რადგან გონებაში ყოველთვის ისეთ პარალელებს ავლებდნენ, ამ გამოთქმების გაგებაში რომ დაეხმარებოდათ“. ასევე, ბერმანიც, ვისაც აქამდე თანამედროვე აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური მიმდინარეობების ექსპერტად არავინ იცნობდა, ისლამიზმს იმ ტოტალიტარული მტრების – ფაშიზმისა და კომუნიზმის – განშტოებად განიხილავს, რომლებიც ლიბერალიზმმა მე-20 საუკუნეში უკვე დაამარცხა. „ბრუკლინის ისლამური წიგნების მაღაზიების შემორბენის“ შემდეგ მან ისლამიზმის გენეალოგია შემოგვთავაზა, რომელიც მთლიანად ეგვიპტელი მუსლიმების იდეოლოგის, საიდ ქუთუბის მისეულ წაკითხვას დაეფუძნა. ბირმანის მიხედვით, ლიბერალი ინტელექტუალები ვალდებულები იყვნენ, შებრძოლებოდნენ ახალ ნიჰილისტურ ფაშიზმს – როგორც საერო პირთა დიქტატურას ერაყში, ასევე პანისლამისტურ მიმდინარეობებს. „ბედნიერი ვარ, რომ ლეპტოპის გენერალი ვარ“, – დაწერა მან, მისმა ნაშრომმა კი უმალვე გააერთიანა სხვადასხვა საჯარო პირი, რიჩარდ ჰოლბრუკიდან მარტინ ემისამდე.

წიგნს ლიბერალი კრიტიკოსები გამოუჩნდნენ. „ნიუ იორკ რივიუ ოვ ბუქსში“ იან ბურუმამ ბერმანს დაუწუნა „ამერიკის სახელმწიფოს რადიკალური ხედვა: მისი წარმოსახვა იმ ქვეყნად, სადაც რევოლუციური მისწრაფება ჩანს და იარაღის ჟღარუნი ისმის, და რომელიც გმირულად, მარტოდმარტო ებრძვის მტრებს“. ის წერს: „ბერმანის პოლემიკის ტონში არის რაღაც, რაც გრემ გრინის რომანის პერსონაჟს, წყნარ ამერიკელს მაგონებს – პრინციპულ კაცს, რომელიც აურზაურს ატეხს, მაგრამ ამის მიზეზს თვითონაც ვერ ხვდება“. 2007 წელს, როცა ბურუმამ ტარიკ რამადანის შესახებ ბიოგრაფიული ესეი გამოაქვეყნა ჟურნალ „ტაიმში“, ბერმანმა მას 28 000-სიტყვიანი სტატიით უპასუხა „ნიუ რიფაბლიკში“, სადაც აკადემიური იდეები საკუთარი თავზარდამცემი აღმოჩენის სახით შემოგვთავაზა. მან ყურადღება გაამახვილა რამადანის „ოჯახის წევრებზე, რომლებიც ყველაფერს აკონტროლებენ, რასაც კი წერს და აკეთებს“. მას არც მისი ბაბუა, ჰასან ალ-ბანა გამორჩენია, ვინც მუსლიმური ერთობის დამფუძნებელი გახლდათ ეგვიპტეში.

ბერმანი „ინტელექტუალების გაქცევაშიც“ აგრძელებს თავდაპირველ ბრალდებას და ამტკიცებს, რომ რამადანის ხმამაღალი დასკვნები სწორია, თუმცა ის ქალთა უფლებებით ზედაპირულად ინტერესდება, ისლამური ტექსტების მისეული ინტერპრეტაციები კი სულაც არ ჩანს მეტად ლიბერალური, ან უკიდურესობებისგან დაზღვეული. ბერმანის თანახმად, თანამედროვე მუსლიმი მოაზროვნეები, რომლებთანაც რამადანია დაკავშირებული, ან რომლებიც მას აღაფრთოვანებენ, სინამდვილეში, ხელს უწყობენ ისრაელისა და დასავლეთის მიმართ ჯიჰადისა და სხვადასხვა ფორმით ძალადობის განხორციელებას. რამადანის ბაბუაც თავიდან მხარს უჭერდა იერუსალიმის დიდ მუფტის, ჰაჯ მუჰამად ამინ ალ-ჰუსეინის, რომელსაც არაბულ-ნაცისტური ალიანსის შექმნა სურდა. ბერმანი აღიარებს, რომ თავად რამადანი არ იცავს ტერორიზმსა თუ ანტისემიტიზმს, მაგრამ ის მკაცრად არ ჰგმობს იმ ხალხს, ვინც მათ იცავს. მით უფრო აუხსნელია, რატომ მიიჩნევენ ლიბერალი ინტელექტუალები „დასავლეთით აღფრთოვანებულ“ აიაან ჰირსი ალის გაუწონასწორებელ პიროვნებად, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი, რამადანს კი უწოდებენ „ისლამური სამყაროს ნანატრ გმირს – რელიგიურ მოაზროვნეს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისლამს თანამედროვე მსოფლიოს მოარგებს“. ბერმანის თანახმად, სწორედ ბურუმასა და გარტონ ეშის მსგავსი ინტელექტუალები დაეხმარნენ რამადანს იმაში, რომ „ჩვენი ეპოქის სახედ ქცეულიყო“.

რამადანი, რომელიც ნაყოფიერად მოღვაწეობს, წერს წიგნებს და „ევროპულ“ ისლამს ქადაგებს სეკულარული საფრანგეთის შუაგულში, ბუნებრივია, ჟურნალისტებისა და მეცნიერების ყურადღებას იპყრობს – მათ შორის – უკომპრომისო სეკულარისტებისაც, რომლებსაც ის ერთგვარ ფონად სჭირდებათ. თუმცა ბერმანი, ვინც რამადანს „სტუდიურ სივრცეში“ აფასებს, მეტად აზვიადებს მისი ნაშრომების რეზონანსს მსოფლიო მასშტაბით. ის წერს: „უამრავი ევროპელი მუსლიმის თვალში, არავის ჰყოლია იმაზე სახელოვანი წინაპრები, ტარიკ რამადანს რომ ჰყავდა“. ბევრად უფრო სარწმუნოა, რომ ევროპელი მუსლიმების უმრავლესობა გაცილებით მეტს ფიქრობს უმუშევრობაზე, დისკრიმინაციაზე, სოციალურ უთანასწორობაზე, ვიდრე ისლამური ხალიფატის შექმნაზე, ჰასან ალ-ბანას სახელი კი ცოტა ვინმეს თუ გაუგია. ფაქტობრივად, თავად რამადანიც უცნობია ევროპის არაერთი მუსლიმური საზოგადოებისთვის, მაგალითად – ბრიტანეთში მცხოვრები სამხრეთ აზიელი მუსლიმებისთვის. მათ, ინტერნეტისა და სატელიტური მაუწყებლობის ეპოქაში, თავისი ტრანსნაციონალური რეფორმისტი მოაზროვნეები, ურდუზე მოლაპარაკე პოპულარული მქადაგებლები და ქარიზმული ევანგელისტები ჰყავთ. ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში რამადანის პოზიტიური რეპუტაცია ვერც შეედრება „სატელიტის შეიხის“, ეგვიპტელი რეფორმისტის, ამრ ხალედისა თუ კატარში დამკვიდრებული თეოლოგის, იუსუფ ქარდავის სახელსა და დიდებას, ვინც ისრაელში თვითმკვლელ ტერორისტთა მოქმედებას ამართლებს და ვის გადაცემასაც „ალ ჯაზირაზე“ ათობით მილიონი მაყურებელი ჰყავს.

აბსურდულად მოჩანს ბერმანის შიში: თითქოს „ტაიმში“ დაბეჭდილ უღიმღამო ბიოგრაფიულ ესეს, ერთი-ორჯერ „ნიუ იორკ რივიუ ოვ ბუქსში“ პოზიტიურ კონტექსტში ხსენებას და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორობას შეუძლია რამადანი „ამერიკულ დიალოგში ჩართოს“. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ის ვერაფრით გამოიწვევს ქვეყნის ინტელექტუალურ ცხოვრებაში „რეაქციონისტულ შემობრუნებას“. ადრე თუ გვიან თითქმის ყველა არადასავლელი მწერალი თავისი წრის, ერის, რასისა თუ რელიგიის სახელით იწყებს საუბარს, მისი წარმომადგენელი ხდება. რამადანი, ვინც ეს როლი დიდი აღტაცებით (პომპეზურადაც კი) მოირგო,

მხოლოდ ერთ-ერთია იმ უამრავ სწავლულთაგან, რომლებიც ცდილობენ, დასავლეთში 11 სექტემბრის შემდეგ „ზომიერ“ ისლამზე გაჩენილი მოთხოვნა დააკმაყოფილონ. ბერმანს აშკარად სურს, რამადანმა თავისი მანდატი იმით დაამტკიცოს, რომ ხელაღებით უარყოს ნაირ-ნაირი ისლამისტი გრანდები. ამ უკანასკნელს კი, ცხადია, კონსერვატიული მუსლიმების საზოგადოებაში ნდობის დაკარგვის ეშინია, რადგან დასავლეთთან მათი შერიგება უნდა. ბერმანი მთელ ტომებს კითხულობს რამადანის სიჩუმეში და ამ კაცს ინკვიზიტორის გულმოდგინებით უკირკიტებს. ვარაუდობს, რომ რამადანი თალიბანს უჭერს მხარს, მიუხედავად იმისა, რომ მას არასდროს ახსენებს. ბერმანის თქმით, ოქსფორდელი პროფესორი არა მხოლოდ „აღფრთოვანებულია“ ქარდავით, არამედ მას „აღმერთებს“ კიდეც, თუმცა ამის დასასაბუთებლად მოყვანილ ციტატებში ავტორის მგზნებარებას ნამდვილად ვერ ვხედავთ – ისინი სამეცნიერო ენის სტანდარტულ ლექსიკონს ბოლომდე შეესაბამება: „იუსუფ ალ-ქარდავი სწორად შენიშნავს, რომ...“, „დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ იუსუფ ალ-ქარდავის ნაშრომი...“. რამადანის მიმართ ბერმანის ბრალდება: „ის გალიაშია გამოკეტილი... დამოუკიდებლად ფიქრი არ შეუძლია. არ სჯერა, რომ ყველაფერზე თვითონ უნდა იფიქროს“, – მის ტრადიციულ ენამახვილობას საბოლოოდ აცამტვერებს. ნეტავ ამით რის მიღწევას ცდილობს?

იქნებ ლიბერალური ცივილიზაციის ვერაგ მტრად რამადანის წარმოჩენით ბერმანი ცდილობს, თავი გაიმართლოს იმის გამო, რომ წლების წინ მართლაც ლეპტოპის გენერლის როლში ყოფნა მოუხდა. დაახლოებით 10 წლის წინ ბუშის ადმინისტრაციის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებულმა გლობალურმა ომმა, რომელიც ბერმანის თვალში დემოკრატიის დასაცავად გამართულ ჯვაროსნულ ომს წარმოადგენდა, სრული ფიასკო განიცადა. მან უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ამასთანავე, მისი წყალობით, ფანატიკოსების თავდაპირველად პატარა ჯგუფები გაიზარდა, გამრავლდა (ერაყში ალ ქაიდა, პაკისტანში თალიბანი) და ახალ ტერიტორიებს მოედო (ვაზირისტანს, კონექტიკუტს). რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ექსტრემისტული მოძრაობების გაძლიერება მართლაც მსოფლიო მასშტაბით მოქმედ ფაშისტურ ორგანიზაციაზე მიანიშნებდეს – იქნებ ბერმანმაც სწორედ ამის ჩვენება ჩაიფიქრა. რამადანის ნააზრევის „ფარული მხარეების“ ჩხრეკაში გართულს კი, როგორც ჩანს, ნაკლებად აინტერესებს იმის ჩვენება, თუ რა არის „ახალი შემობრუნება... დასავლური ინტელექტუალიზმის ისტორიაში“ (მელოდრამატული და არადამაჯერებელი სვლა). ის უფრო მეტად მონდომებულია, მოძებნოს მუსლიმური ექსტრემიზმის, რაც შეიძლება, ბევრი მაგალითი, აჩვენოს იმ ხალხში გამეფებული „წყვდიადი, ვისაც სისხლის წყურვილი თავბრუს ახვევს“ (ამ გამოთქმას ხმარობს წიგნში „ტერორი და ლიბერალიზმი“). სწორედ ეს უბიძგებს მას ებრაელების მიმართ იმ მძაფრი სიძულვილის გულმოდგინედ შესწავლისაკენ, რომლითაც რამადანის ბაბუა და მისი ისლამისტი მომხრეები გამოირჩეოდნენ.

რა თქმა უნდა, მსგავსი საფრთხე ჯერჯერობით არ ჩანს ჰამასისა და ჰეზბოლას პროკლამაციებში, ბერმანი კი მოხერხებულად თხზავს რევიზიონისტულ ისტორიას, სადაც ხაზგასმულია „საუკუნეების მანძილზე მუსლიმების მიერ ებრაელების მიმართ განხორციელებული სისასტიკეები“. ეს სრულიად ეწინააღმდეგება იმ გავრცელებულ აზრს, თითქოს ევროპული სტილის ანტისემიტიზმი ოტომანთა იმპერიაში არ არსებობდა. თუმცა ბერმანი ხელიდან უშვებს შესაძლებლობას, სიძულვილის გენეალოგია თანამედროვე ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის მაგალითებით გაამდიდროს. ის გაკვრით ახსენებს მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე გამოჩენილ ისლამისტ მოაზროვნეს და ალ-ბანას საყვარელ მასწავლებელს რაშიდ რიდას, აღნიშნავს მის მიერ პირველი სიონისტი მოსახლეების შექებას, მაგრამ ამ თემას აღარ აგრძელებს. რიდამ კი ბოლოს ზურგი აქცია სიონიზმს, როცა ბალფურის დეკლარაციის შედეგად პალესტინას ებრაელთა დიდი ნაკადი მიაწყდა. ის გულწრფელად აკრიტიკებდა ევროპულ ანტისემიტიზმს დრეიფუსის საქმის განხილვისას და ყოველმხრივ ცდილობდა თანხმობის მიღწევას „არაბ და ებრაელ ძმებს შორის“ (ამ მიზნით ხაიმ ვაიცმანსაც კი დაუკავშირდა). ბერმანი სწორად შენიშნავს, რომ იერუსალიმის მუფტი არ მალავდა ბინძურ წადილს, ნაცისტური გერმანიის გეგმა (ებრაელების ჟლეტა) ახლო აღმოსავლეთშიც განხორციელებულიყო. რასაკვირველია, ბრიტანელი კოლონიზატორებისა და სიონისტი მოსახლეების სიძულვილმა უამრავ არაბს ნაცისტები შეაყვარა გასული საუკუნის 30-40-იან წლებში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1941 წელს, როცა მუფტიმ იმდენი მოახერხა, რომ ჰიტლერს დაუახლოვდა, მერე კი რადიოში ანტისემიტური ტირადების წარმოთქმას მიჰყო ხელი, მისნაირ რეაქციონისტ ისლამისტებს ერთმანეთის მიყოლებით დაუპირისპირდნენ ლიბერალი მედასავლეთეები, მარქსისტები და სეკულარიზმის მომხრე არაბი ნაციონალისტები. მუფტი, რომელიც მეტად შორს იყო იმისგან, რომ მთელი არაბული სამყაროს წარმომადგენელი ყოფილიყო, თავის პატარა გავლენის სფეროშიც კი სწრაფად კარგავდა სახელს და მნიშვნელობას. საბოლოოდ, ის ბრიტანელებმა გააძევეს პალესტინიდან 1937 წელს და მთელ რიგ პოლიტიკურ შეცდომებში დაადანაშაულეს. ბერმანი თავადვე აღნიშნავს, რომ არაბებმა ვერ შეძლეს მუფტის მოწოდებას გამოხმაურებოდნენ და ებრაელები დაეხოცათ.

ბერმანის მონათხრობიდან მხოლოდ იმას ვერ შეიტყობთ, რამდენად ხშირად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ანტიკოლონიალისტი ლიდერები ასეთ უპერსპექტივო ალიანსებში. გასული საუკუნის 20-იან წლებში ღრმადმორწმუნე ინდუისტი და პაციფისტი მაჰათმა განდი მხურვალედ უჭერდა მხარს ხალიფატის აღდგენის კამპანიას. 1941 წელს მისმა ძველმა თანამოაზრემ, სუბჰას ჩანდრა ბოსმა კი ბერლინში იმოგზაურა და სამხედრო სამსახურზე დაითანხმა ის ინდოელი სამხედრო ტყვეები, რომლებიც მოგვიანებით მესამე რაიხის არმიაში იბრძოდნენ. ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია, – ამ გამოთქმით წახალისებულმა ებრაელთა მეამბოხე წი-

ნამძღოლმა, აბრაამ შტერნმა, 1940 წელს, ნაცისტების მხარდაჭერის მოპოვება სცადა პალესტინის ბრიტანელი მმართველების წინააღმდეგ.

ბოსი, ვინც იაპონელ მილიტარისტებს ბრიტანელების წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა ინდოეთში იაპონიის შეჭრის დროს, დღემდე უდიდეს ეროვნულ გმირად რჩება. უდრეკ ანტიფაშისტს უინსტონ ჩერჩილს კი, რომელიც დასავლეთში ასე ძალიან უყვართ, რასისტ იმპერიალისტად თვლიან და იმის გამო ლანძღავენ, რომ მან ინდოეთის დამოუკიდებლობის აღიარება, რაც შეეძლო, დიდხანს გადადო. ინდოელების რწმენით, ჩერჩილმა სასიკვდილოდ გაწირა მილიონობით ადამიანი იმ უმოწყალო პოლიტიკით, რომელსაც 1943 წელს, ბენგალიის დიდი შიმშილობის დროს ატარებდა. გამოჩენილი ადამიანების ასეთი ორგვარი რეპუტაცია შეგვახსენებს: ის, რასაც ბერმანი დასავლეთში ლიბერალიზმსა და ფაშიზმს შორის გამართულ გრანდიოზულ მორალურ ბრძოლას უწოდებს, აღმოსავლეთში სულ სხვანაირად აღიქვეს და დაიმახსოვრეს.

წიგნში „ტერორი და ლიბერალიზმი“ ბერმანს მაგალითად მოჰყავს ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო უილსონი, რომელიც პირველ მსოფლიო ომში ჩაება, რათა ლიბერალური ღირებულებები საერთაშორისო დონეზე დაეცვა. ამ მაგალითის მოხმობით ის საყვედურობს სულმდაბალ, უნებისყოფო ლიბერალებს, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს დემოკრატიის დასაცავად ერაყში წამოწყებულ ახალ ამერიკულ ჯვაროსნულ ომს. უილსონი აცხადებდა: „მხოლოდ ლიბერალიზმი იხსნის ცივილიზაციას ქაოსისაგან“ და მიუხედავად ამისა, მისი წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატები მაინც აღმოჩნდა იმ სასაკლაოზე, სადაც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სისხლისღვრა მოხდა. ერების თვითგამორკვევის მხარდაჭერამ მას მცირე ხნით საყოველთაო პატივისცემაც მოუტანა ქაიროდან პეკინამდე. სამშობლოში უილსონის ყველაზე გულმხურვალე მხარდამჭერები ლიბერალი ინტელექტუალები იყვნენ, რომლებსაც სჯეროდათ, რომ ქვეყნის ომში ჩაბმა არა მხოლოდ პრუსიაში ან ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში დემოკრატიის გამარჯვებას შეუწყობდა ხელს. თუმცა ომი, რომელსაც თავისი სასტიკი, ალოგიკური წესები აქვს, იშვიათად ექვემდებარება ვინმეს კეთილ ზრახვებს, დაზავება კი კიდევ უფრო ბინძურ საქმეს წარმოადგენს. ფრანგი და ბრიტანელი მოკავშირეების მიერ მოტყუებულმა უილსონმა, პარიზში, ომის შემდეგ გამართულ სამშვიდობო მოლაპარაკებაზე, ევროპელი იმპერიალისტების სასარგებლოდ, საბოლოოდ გადაუსვა ხაზი იმ უზარმაზარ ავტორიტეტს, კოლონიების მოსახლეობაში რომ ჰქონდა. 1919 წელს, როცა ლიბერალური ინტერნაციონალიზმის სიკეთეებით ინდოეთს, ჩინეთს და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს უნდა ესარგებლათ, ისინი მწარედ მოატყუეს. როგორც ჰარვარდელი ისტორიკოსი ერიზ მანელა განმარტავს, ბოლო წიგნში („უილსონის პერიოდი“), კოლონიებში მოღვაწე მრავალი ლიდერისა და მოაზროვნისთვის, რომლებიც უილსონს მხსნელად მიიჩნევდნენ, დასავლური ლიბერალიზმი იმპერიალიზმის სინონიმი გახდა.

ამ ალტერნატიული ისტორიების ფონზე, „ინტელექტუალების გაქცევაში“ ავტორი მხოლოდ იმის ხაზგასმას ცდილობს, რაც ისედაც ცხადია: მუსლიმი, რომლის პოლიტიკური სუბიექტივიზმიც ათწლეულების განმავლობაში იმპერიულმა დაპყრობებმა, დამცირებამ და პოსტკოლონიურმა მარცხმა ჩამოაყალიბა, ბრუკლინელი ლიბერალის მსოფლმხედველობას არ იზიარებს. ეს უფსკრული ხომ ყოველთვის იყო დასავლელ ინტელექტუალებსა და ყოფილი კოლონიების მკვიდრ მოაზროვნეებს შორის – ისტორიული მეხსიერებების შეუთავსებლობა. 11 სექტემბრის ტერორისტულმა თავდასხმებმა და ტერორიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულმა ომმა კი კიდევ უფრო გააღრმავა ცრურწმენები და ეჭვები ორივე მხარეს. ახლა, როგორც არასდროს, ისე სჭირდებათ დასავლელ ინტელექტუალებს ნამდვილი თანამოსაუბრეების პოვნა მუსლიმ მოაზროვნეებსა და აქტივისტებს შორის. ტარიკ რამადანი ალბათ არ არის იდეალური, თუმცა ერთგვარ მაგალითად გამოდგება: კარგად გვიჩვენებს, თუ რა უნდა იყოს საუკეთესო ტიპის ლიბერალიზმი – თვითკმაყოფილებისგან და ფარისევლობისგან შორს მყოფი, საკუთარი ნაკლოვანებების გამცნობიერებელი.

რასაკვირველია, ბერმანის იმედი, რომ საღ აზრსა და თავისუფლებას იარაღის ლულასთან მიაგნებდა, დამღუპველი აღმოჩნდა. უაზროა წუწუნი და მოთქმა, მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე ინტელექტუალთა უამრავი გაქცევა ვიხილეთო (ხმაურიანი იდეოლოგიური არჩევანი და საშინელი პოლიტიკური გადაწყვეტილებები). პოლონელმა ფილოსოფოსმა, ლეშეკ კოლაკოვსკიმ ერთხელ აღნიშნა: ბევრ ინტელექტუალს ძალიან სურს, „წინასწარმეტყველიც იყოს და საღად მოაზროვნეც“, ეს როლები კი ერთმანეთთან შეუთავსებელიაო. მისი დაკვირვებით, „ისეთი ზოგადადამიანური თვისებები, როგორიცაა პატივმოყვარეობა და ძალაუფლების წყურვილი“, მეტად საშიშია ინტელექტუალების შემთხვევაში, პოლიტიკაში გარევის სურვილი კი ხშირად მთავრდება „თითქმის დაუჯერებელი ამბით – კრიტიკული აზროვნების დაკარგვით“.

ეს საფრთხე არასდროს დამუქრებია ერასმუს როტერდამელს – კოლაკოვსკის თვალში, სანიმუშო მოაზროვნესა და მოღვაწეს – „მშვიდობისმოყვარე ცეცხლისგამჩაღებელს“, ვინც თავისი ეპოქის უმთავრეს კონფლიქტებში იყო ჩართული და თან „თავდაჭერილ, წინდახედულ კაცად ითვლებოდა, უკიდურესობებს კი მუდამ გაურბოდა“. მან დიდად შეუწყო ხელი კათოლიკური ეკლესიის წიაღში რეფორმის განხორციელებას, თუმცა თვითონ უარი თქვა რეფორმაციის მოძრაობას შეერთებოდა. ის ხალხი, ვისაც დღეს მთელ მსოფლიოში რევოლუციების მოწყობა სურს, და ვინც ცდილობს, იძულებით გაუხსნას გონება მუსლიმებსა თუ დასავლელებს, ალბათ ვერ ხედავს ერასმუსისდროინდელი, მე-16 საუკუნის ეტიკეტის მომხიბვლელობას. ჩვენს ცვალებად ეპოქაში კი ინტელექტუალები აუცილებლად უნდა გაეცნონ იმას, რასაც კოლაკოვსკი „უსაფუძვლო იმედების ისტორიას“ უწოდებდა – იდეოლოგიური ვნებათღელვის თანმხლებ დანაშაულებს, რომელთა აღსრულებაში ლიბერალების ხელიც ერია.

ძალლის გაზაფხული

<<< დასაწყისი გვ. 66

ეს ჩვენი კულტურაა – აბანოში გაშლილი პურმარილი. ამას ვერავინ წაგვართმევს. და „ნურც ნურვინ შეგვეცილება“... მით უმეტეს – ფრანგები; რა იციან მათ სტუმართმოყვარეობის. პრინციპში, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი ჩაიყვანა აირზენას თვითმფრინავმა პარიზში ქართველთა მთელი ამალა, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის სარკოზისთან ნახევარსაათიან შეხვედრას ოთხი დღე აღნიშნავდა კულტურული ღონისძიებებით „პიერ კარდენის ცენტრში“ და ცნობილ თანამედროვე ხელოვნების ცენტრში – „ტოკიოს სასახლეში“, თუმცა არავინ იცის, რა დაუჯდა ეს კულტურულ-სტრატეგიული მანევრი საქართველოს ბიუჯეტს. ფრანგებმა რომ მხოლოდ მოიგეს, ეს ფაქტია, რადგან ზუსტად სამი დღის შემდეგ, 11 ივნისს იგივე „ტოკიოს სასახლე“ უკვე პუტინს მიაქირავეს 6 მილიონ ევროდ, გამოფენისათვის „ისტორიის გაკვეთილები“, რომელიც ვლადიმირ ვლადიმიროვიჩმა სარკოზისთან და ჟაკ შირაკთან ერთად გახსნა პარიზში რუსული სეზონის ფარლებში.

მეორე დღეს, 12 ივნისს კი „კარდენის ცენტრი“ რუს მოდელიორებსა და მათ თაყვანისმცემელ ინტერნაციონალურ პარიზულ „ტუსოვკას“ დაუთმეს... უფასო ამქვეყნად და განსაკუთრებით საფრანგეთში, რომ არაფერია, ეს რუსებმაც კარგად იციან და ქართველებმაც. ფრაგებმა კი – ყველაზე უკეთ. ისინი ყველა შემთხვევაში მოგებულები რჩებიან. კრიზისით გატანჯული „კარდენის ცენტრი“, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, არც ოსურ „ფეშენ უიკზე“ იტყვის უარს. საერთოდ ქართულ-რუსული კონფლიქტის ეს ტურისტულ-კულინარიული ფაზა ნებისმიერი გაგებით მადის აღმძვრელია გურმანი და ცნობისმოყვარე ფრანგებისთვის.

კულტურის ქართველი პილიგრიმებისათვის, როგორც აღვნიშნე, ფრანგული პურმარილი არავის გაუშლია მარსის მინდვრებზე. ამას არც არავინ ელოდა. ამიტომ მათ, როგორც ყოველთვის, საკუთარი სტრატეგიული დანიშნულების „საველე სამზარეულო“ აამოქმედეს და თავად ამოალაგეს თავიანთი ხაჭაპურები, დედლები და მწვადები...

„ტოკიოს სასახლეში“ ფოტოსააგენტო „მაგნუმის“ ფოტოგრაფების მიერ საქართველოს დაკვეთით გაკეთებული ფოტოალბომის პრეზენტაცია-გამოფენა შედგა, „კარდენის ცენტრში“ კი ქართული კინოსა და თეატრის მხატვრობის გამოფენა, ასევე რეტროსპექტივა ქართული კლასიკური კინოსი, და გალა კონცერტი. პრინციპში ეს დღეები შესანიშნავი დამადასტურებელია იმისა, რომ ქართული კულტურა კატასტროფულ მდგომარეობაშია, რადგან ძირითადად ისევ სსრკ-ს დროს შექმნილ კლასიკას ვუჩვენებთ („მაგნუმის“ ფოტოგრაფები ქართველები სამწუხაროდ არ არიან...), ეს არც არის გასაკვირი – საქართველოში კულტურა ფაქტობრივად სასუნთქ აპარატზე მიერთებულ მომაკვდავი მოხუცის მდგომარეობაშია, რომელსაც გარშემო ახალგაზრდობაში გადაღებული ფოტოები აქვს შემოწყობილი განწყობის ასამაღლებლად. ყოველ შემთხვევაში მათ, ვინც ბოლო ათეული წლის მანძილზე ნებისმიერი რეჟიმისას გამართულ ქართულ კულტურის ფორუმებს ადევნებს თვალყურს (მაგალითად მე), სწორედ ასეთი შთაბეჭდილება ექმნება.

საქართველოს კულტურის პოლიტიკა კი ისევ მტვრიანი ანტიკვარიატის ექსპორტსა, და თანამედროვე დასავლელი ხელოვანების იმპორტზეა მიმართული. ამიტომ ძალიან მალე საექსპორტო აღარაფერი გვექნება, რადგან ქართულ კულტურაში ისევე არ იქმნება ახალი პროდუქცია, როგორც – მრეწველობაში. საექსპორტოდ მხოლოდ საველე სამზარეულო დაგვრჩება. თუმცა არც ეს არის ურიგო, „სუფრა“ ხომ ყველაზე მაგიური ქართული სიტყვა აღმოჩნდა. მე ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი აბანოთუბანში უცხოელი ფოტოსააგენტოებისთვის ღია ცის ქვეშ გამართულ კულტურის ფარაონულ-გასტრონომიულ „აღორძინებაწახალისებისას“. უნდა ვაღიარო, ეს ნამდვილად სრული სიახლე იყო ჩემთვის – მსგავსი რამ არც ვარდების რევოლუციამდე მინახავს, და არც (როგორც ოსტაპი იტყოდა) – ისტორიული მატერიალიზმის ეპოქაში. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, ხაზი გავუსვა, რომ ქეიფის მხრივ საქართველოში ნამდვილად შეინიშნება დემოკრატიული ძვრები – გასულ წელს აღდგომის დღეს ოპოზიციამაც გაშალა პურმარილი კანცელარიასთან, რომელსაც კობა დავითაშვილი თამადობდა... მგონი, „უცნობიც“ აპირებდა რუსთაველზე რამდენიმეკილომეტრიანი სუფრის გაშლას, სანამ საკუთარი ტელერეიტინგი მადისაღმძვრელი ოპტიმიზმის საფუძველს აძლევდა.

უფრო ადრე კი რიყეზე „ინდაურის საცივის ტბა“ და გოზინაყის მოედანი იყო ... როგორც ჩვენი ფრანგი ფოტომოყვარულები იტყოდნენ, – Bon appétit! ანუ ჩვენებურად – ღმერთო შეგვეწიე! ... და ჭკუა ჩვენი არსობისა მოგვეც ჩუენ დღეს, რამეთუ არა პურითა ერთითა... და ა.შ...

ამ ღირსშესანიშნავ კულტურულ მოვლენებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე სრულიად საქართველო შეაძრწუნა „ანტიეროვნული“ და „ანტიმართლმადიდებელი“ ხელისუფლების გადაწყვეტილებამ – 6 მაისს გიორგობის დღისათვის პოლიციის პროფესიული დღესასწაული შეეთავსები-

ნა. მცირე ინციდენტიც კი მოხდა სამოქალაქო და „რელიგიური წესრიგის“ დამცველებს შორის.

ჩემი აზრით, ამ ორი დღის ერთად აღნიშვნა ძალიან კარგი იდეა იყო, რადგან არაფერია ისეთი სიმბოლური დღეს საქართველოსათვის, როგორც ეკლესია და პოლიცია, მათი გადაჭარბებული, ფანატიკური თაყვანისცემა – მიუხედავად იმისა, რომ როცა გჭირდება, რეალურად არც ღმერთი გშველის რამეს და არც პოლიციელი.

პრინციპში ეს დღე აბსოლუტურად ასახავს ქართული საზოგადოების განწყობას – ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველოს ხსნა პოლიციასა და მინისტრ მერაბიშვილშია, ხოლო ზოგის აზრით – ეკლესიასა და პატრიარქში. ერთსაც და მეორე მხარესაც საკუთარი შეხედულებების თავისებური „კულტუროლოგიური“ არქიტექტურა აქვთ – ერთი მხრივ – ტრადიციული, დიდი გუმბათებით და ტრაგიკული მოგონებებით დამძიმებული, მეორე მხრივ კი – მსუბუქი, გამჭვირვალე პოლიციის შენობებით, მხიარული და რომანტიკული „ბროლის ოცნებებით“ გადახურული ხიდებით. სინამდვილეში, ყველაფერი ისე ჰარმონიულად არის დალაგებული, რომ მართლაც გაგიჭირდებათ, იპოვოთ „სხვა საქართველო“, სხვა ქვეყანა, სადაც ასე იმსახურებენ ერთმანეთს ხალხი, ხელისუფლება, ოპოზიცია, სულიერი მამები, პოლიციელები და ბანდიტები. სადაც ადამიანის ფასის განსაზღვრაზე ჯერ არავის უფიქრია, რადგან ავტომობილების, მიწების, უშნო შენობებისა და ბრჭყვიალა ნივთების ფასების დადგენით არიან დაკავებულნი. ამიტომ ადამიანი ყველას ერთნაირად ფეხებზე კიდია – პოლიტიკოსსაც, მღვდელსაც, ექიმსაც და ხელოვანსაც; მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი ფოტომოყვარული ფრანგი ტურისტი კი არა, გაზაფხულის პირველ მზეს მიფიცხებული ზამთარს შემთხვევით გადარჩენილი ადგილობრივი მაწანწალაა.

ჰუმანიზმის დეფიციტი საქართველოში იმდენად აშკარა და ბანალურია, რომ მას ნორმატიული სახე აქვს მიღებული; განსაკუთრებით ინტელექტუალებისთვის, რომლებსაც თითქოს ცრემლის, თანაგრძნობის ისე ეშინიათ, როგორც იმ პროვინციელების, რომლებმაც, როგორც ამბობენ, „შეჭამეს თბილისი“.

სამაგიეროდ, „საყოფაცხოვრებო“, უპასუხო ცინიზმს ყოველ ნაბიჯზე უხვად ვხვდებით. საკუთარი თავის გაუფასურებას შეგუებული ადამიანები აღარაფერს აპროტესტებენ – ქუჩაში მათთვის გამოყოფილ ტროტუარებზე უზარმაზარი ჯიპები დაბობღავენ შავი ტარაკნებივით, თანაც იმ მერის ნებართვით, რომელიც ქალაქში გამოკრულ უზარმაზარ ბანერებზე მედიტაციური გამომეტყველებით აცხობს ლავაშს. არავის უჩნდება სურვილი, ჰკითხოს ამავე ქალაქის თავს, სად უნდა გადაკვეთოს რუსთაველის ქუჩა ინვალიდმა ან მოხუცმა ადამიანმა თავისუფლების მოედნიდან უნივერსიტეტამდე, სადაც არც ერთი შუქნიშანი და გადასასვლელი არ არის, გარდა ჯოჯოხეთური მიწისქვეშა ჯურღმულებისა. არავინ სვამს კითხვას, ვიწრო ქუჩების ვიწრო ტროტუარებზე რატომ უნდა იდგნენ უზარმაზარი მანქანები, როდესაც დედები პატარებს ეტლებით მანქანის სავალ ნაწილზე კამიკაძეებივით ასეირნებენ. რატომ არ მოსდის არც ერთ პოლიციელს აზრად, ასეთი მძღოლი დააჯარიმოს, მაშინ, როდესაც რომელიმე სამთავრობო „ხაზეინის“ ჩამოვლის წინ საპატრულო მანქანის რუპორიდან ისტერიულად და მოურიდებლად ღრიალებს ბოლო ხმაზე „ტოიოტა ორასი! სასწრაფოდ გაიყვანე მანქანა!!“ მართლაც, რამხელა განსხვავებაა პარიზში ექსპორტირებულ WAP კულტურასა და თბილისში – საწოლის ქვეშ ცოცხით შეხვეტილი ნაგავივით მიჩქმალულ ადგილობრივ „კულტურას“ შორის, რომლის ფონზე, თვით ლუვრში გამოკეტილი ჯოკონდაც კი აყროლდებოდა.

ფრანგ ფოტომოყვარულებს ერთი ჩემი მეგობარი მხატვარი და მწერალი ჩამოჰყვა ნიციდან – ქალაქიდან, რომელსაც ბატონი პრეზიდენტი ასე „ემტერება“ ბოლო წლებში ბათუმში ყოფნისას – მონაკოსთან, დუბაისთან და ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ბარსელონასთან ერთად – რამდენიმე დღის წინ „ბათუმელმა გაუდიმ“ – ბატონმა ვარშალომიძემ უპატაკა კიდეც, – ამ ქალაქებს უკვე გავუსწარით ბევრ რამეშიო...

აი, სწორედ ერთ-ერთი ასეთი უკან ჩამოტოვებული ქალაქიდან ჩამოსულმა ჩემმა მეგობარმა სწორედ იმ დღეებში მძიმედ ავადმყოფი დედა ლისის ტბაზე ფასით მართლაც მონაკოს „დარ“ ონკოლოგიურ საავადმყოფოში წაიყვანა ქიმიის პროცედურის ჩასატარებლად. თუმცა იქ ყველაფერი უფრო სიურრეალისტულ ბოდვას უფრო წააგავდა, ვიდრე მძიმე ავადმყოფის მკურნალობის პროცესს – საავადმყოფოს თხუთმეტთეთრიანი ლიფტის გამოსაძახებლად კარზე მუშტების ბრახუნი, ცარიელ კორიდორში ოთახიდან ოთახში სკამის საშოვნელად სირბილი – მძიმე პრეპარატებით ძალაგამოცლილი ქალისათვის, რომელიც თითქმის იატაკზე იკეცებოდა...

ეს სახლიდან უკანასკნელი გასვლა იყო ჩემი მეგობრის დედისათვის: ის გუშინწინ გარდაიცვალა. მანამდე დიაგნოზი მონაკოში დაუსვეს, მკურნალობის პირველი კურსიც იქ ჩაუტარდა... ვარშალომიძის წარმატებულ საქართველოში მხოლოდ იმიტომ დაბრუნდა, რომ თავისი ახლობლების გარემოცვაში გაეტარებინა ბოლო დღეები და ღირსეულად წასულიყო.

მისი ბოლო შთაბეჭდილება ლიფტის კარზე მუშტების ბრახუნი და ექიმების მიერ მოწეული სიგარეტით გაბუღულ კორიდორში სკამის საშოვნელად მისი შვილის სასოწარკვეთილი სირბილი და მუდარა იყო. არ ვარ დარწმუნებული, რომ „მიმავალმა“ ახალი ესტაკადა, გმირების მემორიალი და ბანერებზე გამოსახული გაბადრული მეპურე-პოლიტიკოსები გაიყოლა ბოლო მოგონებად ქალაქიდან, სადაც მთელი ცხოვრება გაატარა.

ცნობილია, რომ ყოველი დღე ისე უნდა გაატარო, თითქოს ის შენთვის უკანასკნელი იყოს... შეიძლება! თუმცა მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ ყოველი დღე ისე უნდა გაატარო, თითქოს ის იმ ადამიანებისათვის იყოს უკანასკნელი, რომლებსაც ყოველ წუთს ხვდები, რადგან ყველაზე მძიმე სატარებელი ადამიანის ბოლო, უკანასკნელი მზერაა, რომელსაც, თუ თბილი ღიმილისა და მზრუნველობის ნაცვლად, რკინაბეტონისა და შუშის ცივი პეიზაჟი შეაგებე, მერე მთელ დარჩენილ ცხოვრებას ტანჯვაში გაატარებ... თუ, რა თქმა უნდა, ტანჯვის უნარი ჯერ კიდევ არ წაგართვეს ღმერთმა და იმ წმინდანებმა, რომლითაც მონაკოზე უფრო მაგარ და თანამედროვე ქალაქ თბილისის ცენტრში, გენერალ ღესელიძის ქუჩაზე ასე წარმატებით ვაჭრობენ იესოს მიერ იერუსალიმის ტაძრებიდან გამოყრილი „ბიზმესნემები“.



ანადენკო

<<< დასაწყისი გვ. 84

– სხვათა შორის, სიამაყე ჩვენშიც იშოვება, ლევან ვალერიანის ძევ, – თქვა ანადენკომ და ცბიერად გაიღიმა. – თქვენს ნაციონალურ ხასიათს რაც შეეხება, ისტორიულად უკვე გვქონდა საშუალება სხვა, კიდევ უფრო მსხვილი კალიბრის ეგზემპლარი შეგვესწავლა. არ გვინდა ჩხუბი და გაუგებრობა, ჩემი წინადადება უაზრო აღმოჩნდა, უკვე მეოთხე პატიოსანი კაცი მეუბნება ამას და მომიწევს დაჯერება.

– თუ საიდუმლო არ არის, ვინ გითხრათ უკვე უარი?

– ვადიმ ანატოლის ძე იანკოვმა, მიხაილ ვასილის ძე პოლიაკოვმა და პეტრე ალექსეის ძე ბუტოვმა, – უყოყმანოდ დაასახელა თავისი კანდიდატები ანადენკომ.

– მანილოვიჩს რატომ არ მიმართეთ, ბორის ისაკის ძეს? – ჩავეკითხე მე, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რომ ფრედი ბორიას ასეთ თანამდებობას არასდროს შესთავაზებდა.

– მქონდა ამის მიზეზი, – მნიშვნელოვანი სახით განაცხადა ანადენკომ.

– ვხვდები მაგ მიზეზს და მგონი, არ ბრძანდებით მართალი, – არ შევარჩინე მსუბუქი ანტისემიტიზმი ანადენკოს მე, – და ყველაფერ ამის შემდეგ რა მოხდება, თქვენი აზრით?

– ამის შემდეგ, ჩემი აზრით, ძვირფასო ლევან ვალერიანის ძევ, ჩვენი ზონის კორუმპირებული ადმინისტრაცია მრავალწლიანი ტრადიციის შესაბამისად ჯაშუშებისგან და სამშობლოს მოღალატეებისგან „ღირსეულ“ კანდიდატს შეარჩევს, მზარეულად თუნდაც საბჭოთა სამხედრო-სარაკეტო სიამაყის, CC20-ის ტაქტიკურ-ტექნიკური დოკუმენტაციის ამერიკელებისთვის სპარსულ ხალიჩასთან ერთად მიმყიდველ ახპერ მეხტის ძე რაჯაბოვს დანიშნავს. ის ჩვენი ულუფის ნახევარს ზონის უფროს შალინს მიურბენინებს, დარჩენილ ნახევარს უღმერთოდ მოიპარავს და მე გენერალურ პროკურორს ახალ წერილს მივწერ, – სევდიანი ღიმილით დაასრულა ჩვენი დიალოგი ფრედმა.

პატიმრები ხელთათმანებს ვკერავდით. კაცმა რომ თქვას, მთლად ხელთათმანი არ იყო, მხოლოდ ერთი ცერა თითი ჰქონდა, სამაგიეროდ, რეზინის ხელისგულით მოგაწონებდათ თავს. ასეთი, უკაცრავად და, „პროდუქცია“ მანამდეც და შემდეგაც ბევრი მინახავს მშენებლობებზე, განსაკუთრებით მეტროს მშენებლობა ასაღებდა გულაგის ამ შედევრებს. ხელთათმანების დღიური ნორმა 92 წყვილი იყო. როგორც წესი, ყველა 93 წყვილს კერავდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ანადენკომ ერთბაშად ორასი წყვილის კერვა დაიწყო.

თავიდან ამას ყურადღება არავინ მიაქცია, მაგრამ როდესაც ანადენკომ სამასი წყვილი ხელთათმანი ჩააბარა, სამკერვალო საამქროში დრტვინვამ იმატა და პრობლემა „გარეთ გამოვიდა“. წინააღმდეგობის საიდუმლო კომიტეტმა, რომელშიც იმ მომენტში მეც შევდიოდი და რომელსაც სწორედ ანადენკო ხელმძღვანელობდა, ღამის სამ საათზე კურილკაში სხდომა დანიშნა. გამოცხადდნენ კომიტეტის წევრები (ანბანის მიხედვით): ალთუნიანი, ანადენკო, ბერძენიშვილი, ბუტოვი, დონსკოი, იანკოვი, მანილოვიჩი, პოლიაკოვი და ხომიზური. სხდომა თხუთმეტ წუთს გრძელდებოდა: ანადენკოს განმარტებით, ზონის უფროსმა შალინმა მას მეუღლესთან შეხვედრის უფლება ჩამოართვა. პატიმარმა განიზრახა, დაესაჯა მოქალაქე უფროსი. თურმე ამდენს იმიტომ კერავდა, რომ მაიორი შალინი შეცდომაში შეეყვანა და მას დღიური ნორმა გაეორმაგებინა. ორმაგ ნორმას ვერავინ შეკერავდა, დაიწყებოდა უვადო გაფიცვა. შალინს მოხსნიდნენ და ძველ ნორმას დააბრუნებდნენ. კომიტეტმა გეგმა დაიწუნა, როგორც უაღრესად რისკიანი და საშიში. თავმჯდომარე სწრაფად დაგვეთანხმა და გვითხრა, – აგაშენათ ღმერთმა, გავწყდი ამდენი კერვითო.

განთავისუფლებისა და რეაბილიტაციის შემდეგ ანადენკომ სიტყვა შეასრულა და უზარმაზარი ნაშრომი დაწერა მარქსსა და პოპერზე.

ამ დღეებში ფრედ ანადენკოს 73 წელი უსრულდება. ცნობილმა უკრაინელმა ჟურნალისტმა მისგან ინტერვიუ აიღო და ამ ინტერვიუს მიაწერა თავისი აზრი რესპონდენტზე:

გონების სიღრმე და კრიტიკულობა,

დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა,

სიმტკიცე და ტაქტი,

შრომისმოყვარეობა და სიუხვე,

მოკრძალება და რაინდობა.

ვერაფერს ვიტყვი, კარგი ჟურნალისტი ყოფილა, თუ ერთ ინტერვიუში ამდენი დაინახა, მე ანადენკოს დასანახავად სამი წელი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სიფხიზლე და ოცდასამი წელი თავისუფლებით თრობა დამჭირდა.

რადიო „ნაცნობი“ გეპატიჟებათ კლუბში „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა

მისამართი: აბანოს ქ. N 3

MON group

VONG
asian fusion
29 Abashidze st.
T:(+995 32) 292 570
(special lunch menu)

cafe BELLE DE JOUR
29 Abashidze st.
T: (+995 32) 23 09 23
(special lunch menu)

BUFFET
31 Abashidze st.
T:(+995 32) 224 961

"SAKURA 桜 SUSHI"
29 Abashidze st.
T:(+995 32) 293 108

BRASSERIE L'EXPRESS
14 Chardin st.
T:(+995 32) 439 349
(special lunch menu)

Upscale Restaurant Chain

www.mon.ge

UPgrade Your Life



WWW.LIBERALI.GE